

მიხეილ ოქროსაშვილი, ლედი ბერეჟიანი

თერმულად დამუშავებული ნაკთობის
დავთავთები და მათი პონტოლის
გათოდები

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მიხეილ ოქროსაშვილი, ლედი ბერეჟიანი

თერმულად დამუშავებული ნაკეთობის
დეველოპერი და მათი პონტიფიციური მეთოდები



დამტკიცებულია სალექციო კურსად
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 28.02.2018, ოქმი №1

თბილისი
2018

სალექციო კურსში „თერმულად დამუშავებული ნაკეთობის დეფექტები და მათი კონტროლის მეთოდები“, ზოგადად არის გაშუქებული ლითონების საკონსტრუქციო სიმტკიცე, მისი მახასიათებლები და თვისებათა გაუმჯობესების მეთოდები; საექსპლუატაციო გარემოს, აგრეთვე, თერმული და ქიმიურ-თერმული დამუშავების გავლენა ლითონის თვისებებზე. ყურადღება გამახვილებულია თერმულად დამუშავებული ნაკეთობის წუნის სახეებზე, მათი წარმოქმნის მიზეზებზე, გამოსწორებისა და აცილების გზებზე. განხილულია ნაკეთობათა მექანიკური თვისებების შეფასების და დიაგნოსტიკის სტრუქტურული და ფიზიკური მეთოდები.

სალექციო კურსი განკუთვნილია მასალათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ფოფორაძე,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ირაკლი ქაშაკაშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2018

ISBN 978-9941-28-033-7 (PDF)

<http://www.gtu.ge>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არაარიც ფორმით და სამუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.

ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.



შინასიტყვაობა

მანქანათმშენებლობის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ლითონებისა და შენადნობების თერმული დამუშავების პროცესებს, რადგან იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად, ყველაზე აუცილებელ ოპერაციას ლითონების საერთო დამუშავების ციკლში. სწორედ თერმული დამუშავების ოპერაციების სწორად შერჩევასა და შესრულებაზეა დამოკიდებული მანქანათა ნაწილებისა და მექანიზმების, იარაღებისა თუ, პრაქტიკულად, ნებისმიერი ლითონური პროდუქციის ხარისხი და საბოლოო საექსპლუატაციო (მექანიკური, ფიზიკურ-ქიმიური) მახასიათებლები. თერმული დამუშავების შედეგად ლითონებისა და შენადნობების თვისებები შეიძლება საკმაოდ ფართო დიაპაზონში შეიცვალოს. მექანიკური თვისებების მნიშვნელოვანი ამაღლება, საწყისი მასალის მდგომარეობასთან შედარებით, საშუალებას იძლევა გაიზარდოს დასაშვები ძაბვები, შემცირდეს მანქანებისა და მექანიზმების გაბარიტები და წონა, რაც მათ დასამზადებლად საჭირო ლითონური მასალის მნიშვნელოვან ეკონომიას განაპირობებს.

აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად ტექნოლოგს მოეთხოვება არა მარტო ლითონების თერმული დამუშავების თეორიისა და პრაქტიკის ღრმა ცოდნა, არამედ უნარ-ჩვევებიც; დამოუკიდებლად შეარჩიოს და შეიმუშაოს სხვადასხვა დატალისა და ინსტრუმენტის დამუშავებისათვის ეფექტური ტექნოლოგიური პროცესები, აღნიშნულ სფეროში უახლესი მიღწევების გამოყენებით; შეარჩიოს ტექნოლოგიური პროცესებისა და ხარისხის კონტროლის ყველაზე რაციონალური მეთოდი; დაადგინოს წუნის გამომწვევი სავარაუდო მიზეზი, მათი აცილებისა და გამოსწორების მეთოდები; გამოიყენოს ყველა ტექნიკური შესაძლებლობა შრომის სწორი ორგანიზაციისათვის. ამ საკითხების გონიერადაცვილურად გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მანქანათა ნაწილებისა და კვანძების ხარისხის ამაღლებას, მათი საექსპლუატაციო ხანმედეგობის გაზრდას და წუნის შემცირებას, რაც პროდუქციის თვითღირებულებაზე მნიშვნელოვან დადებით ზემოქმედებას მოახდენს.

ლექციების კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს თერმულად დამუშავების პროცესში წარმოქმნილი წუნის სახეები, მათი გამომწვევი მიზეზები, კონტროლისა და წუნის აცილების მეთოდები, რაც საწარმოო ციკლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

I თავი. ლითონების პონტიური სიმფონი

1. საკონსტრუქციო მასალების ზოგადი მახასიათებლები

საკონსტრუქციოს უწოდებენ ისეთ მასალებს, რომლებიც მანქანათა ნაწილების, ხელსაწყოებისა და საინჟინრო კონსტრუქციების დასამზადებლად არის განკუთვნილი. მანქანათა ნაწილები ფორმის, ზომებისა და ექსპლუატაციის პირობების მრავალფეროვნებით ხასიათდება. მათ შორის უწევთ მაღალ ტემპერატურაზე, სტატიკური, ციკლური და დარტემითი დატვირთვის პირობებში, აგრეთვე სხვადასხვა გარემოსთან კონტაქტში. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს საკონსტრუქციო მასალებისადმი მოთხოვნებს, რომელთაგან ძირითადია საექსპლუატაციო, ტექნოლოგიური და ეკონომიკური მახასიათებლები.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა საექსპლუატაციო მოთხოვნებს ენიჭება. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კონკრეტული ხელსაწყოებისა და მანქანების საიმედო მუშაობის უნარიანობა, საკონსტრუქციო მასალა უნდა ხასიათდებოდეს მაღალი კონსტრუქციული სიმტკიცით.

კონსტრუქციული სიმტკიცე არის მასალის მექანიკურ თვისებათა კომპლექსი, რომელიც გარკვეულ კორელაციაშია კონკრეტული ნაკეთობის საექსპლუატაციო მახასიათებლებთან და უზრუნველყოფს მასალის საიმედო და ხანგრძლივ მუშაობას. ნაკეთობის კონსტრუქციულ სიმტკიცეს შერჩეული მასალის ხარისხი, დეტალის კონსტრუქციის თვისებურებანი, დამზადების ტექნოლოგია და საექსპლუატაციო პირობები განსაზღვრავს.

ამგვარად, კონკრეტული ნაკეთობის დასამზადებლად განკუთვნილი მასალის მექანიკური თვისებების მახასიათებლები დამოკიდებულია არა მხოლოდ ძალოვან ფაქტორებზე, არამედ საექსპლუატაციო გარემოსა და ტემპერატურის ზემოქმედებაზეც.

საექსპლუატაციო გარემო – თხევადი, აირადი, იონიზირებული, რადიაციული, რომელშიც მასალა მუშაობს, არსებით და უპირატესად უარყოფით გავლენას ახდენს მის მექანიკურ თვისებებზე, რაც ამცირებს დეტალის მუშაობისუნარიანობას. კერძოდ, სამუშაო გარემომ შეიძლება გამოიწვიოს ნაკეთობის ზედაპირის დაზიანება, კოროზიული დაბზარვის, დაქანგვისა და ხენჯის წარმოქმნის გამო; არასასურველი მიმართულებით ზედაპირული ფენების ქიმიური შედგენილობის შეცვლა სხვადასხვა ელემენტით (მაგალითად, წყალბადით), გაჯერების გზით, რაც ლითონის გამყიფების მიზეზი შეიძლება გახდეს. გარდა ამისა, შესაძლებელია მასალა გაიჯირჯვოს და მოხდეს მისი ადგილობრივი რდვევა იონიზაციური და რადიაციუ-

ლი დასხივების გზით.

იმისათვის, რომ მასალამ წინააღმდეგობა გაუწიოს მუშა გარემოს ზემოქმედებას, მას უნდა გააჩნდეს არა მხოლოდ მექანიკური, არამედ გარკვეული ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლებიც, როგორიცაა, მაგალითად: ხენჯმედეგობა, რადიაციული მედეგობა, უნარი იმუშაოს გაიშვიათების (ვაკუუმის) პირობებში და ა.შ.

თანამედროვე მასალების მუშაობის ტემპერატურული დიაპაზონი საკმაოდ ფართოა და -269°C -დან 1000°C -მდე ინტერვალს მოიცავს, ხოლო ზოგიერთ ექსტრუდალურ სიტუაციაში ზედა ტემპერატურული ზღვარი 2500°C -მდეც კი აღწევს. მაღალ ტემპერატურულ პირობებში მუშაობის უნარიანობისათვის მასალას მოეთხოვება მხერვალმტკიცობა, ხოლო დაბალი ტემპერატურის პირობებში – გამძლეობა ცივმეტებისადმი.

ზოგ შემთხვევაში მთავარია, აგრეთვე, გარკვეული მაგნიტური, ელექტრული და თბური თვისებები ან ზომების სტაბილურობა, განსაკუთრებით მაღალი სიზუსტის ხელსაწყოებში.

მასალის ტექნოლოგიური თვისებები (ტექნოლოგიურობა) უნდა უზრუნველყოფდეს კონსტრუქციებისა და დეტალების დამზადებას, მცირე დანახარჯებით, მაღალი მწარმოებლობის პირობებში. მასალის ტექნოლოგიურობას ახასიათებენ მისი დამუშავების შესაძლო მეთოდებით – ჭრით და წნევით დამუშავებადობით, შედუდებადობით, ჩამოსხმის უნარით და ა.შ. ტექნოლოგიურობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან იგი დამზადებული დეტალის მწარმოებლობასა და ხარისხს განაპირობებს.

ძირითადი ეკონომიკური მოთხოვნებია მასალის დაბალი ღირებულება. იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისათვის. აქედან გამომდინარე, ფოლადები და სხვა შენადნობები უნდა შეიცავდნენ მაღეგირებელ ელემენტებს მცირე რაოდენობით. ნაკეთობის დასამზადებლად ლეგირებული ფოლადის შერჩევა დასაბუთებული უნდა იყოს საექსპლუატაციო მახასიათებლების მოთხოვნების გათვალისწინებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ნებისმიერი საკონსტრუქციო მასალა თვისებათა გარკვეულ კომპლექსს უნდა აკმაყოფილებდეს.

2. ლითონის კონსტრუქციული სიმტკიცის მახასიათებლები

ხშირად, ნაკეთობის მუშაობის უნარიანობის კარგვა (მტყუნება) იმ მასალის ბუნებასთან არის დაკავშირებული, რომლისგანაც აღნიშნული დეტალია დამზადებული. მიზეზი შეძლება იყოს დეტალის დეფორმაცია, ცვეთა ან კოროზია, რაც ნაკეთობის ზედაპირულ ფენებში მასალის ხარისხის შეცვლას და, დროზე ადრე, მისი მწყობრიდან გამოსვლას იწვევს. ამდენად, რეალურ პირობებში ნაკეთობის მტყუნებას კომპლექსურად მოქმედი არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს. ნაკეთობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ყველა იმ თავისებურების გათვალისწინებით არის შესაძლებელი, რომელშიც დეტალს უხდება მუშაობა და მის კონსტრუქციულ სიმტკიცეს განაპირობებს.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს კონსტრუქციულ სიმტკიცეზე, შემდეგია:

- ა – დეტალის კონსტრუქციული თავისებურებანი (ფორმა და ზომები);
- ბ – მასალის რდვევის მექანიზმი;
- გ – დეტალის ზედაპირული ფენების მდგომარეობა;
- დ – ზედაპირულ ფენებში მიმდინარე პროცესების ხასიათი.

მასალის სიმტკიცის კრიტერიუმებს ირჩევენ მისი მუშაობის პირობებიდან გამომდინარე. კრიტერიუმი, სტატიკური დატვირთვის შემთხვევაში, როდესაც დეტალი მარტივი ფორმისაა და ისეთ პირობებში მუშაობს, რომელიც ახლოს დგას სტანდარტული ნიმუშის გამოცდის პირობებთან, არის დროებითი წინააღმდეგობა გაგლეჯაზე საჭარა ან დენადობის ზღვარი $\sigma_{0,2}$ (σ_{d2}), რომელიც ახასიათებს მასალის წინააღმდეგობას დეფორმაციისადმი. ვინაიდან მუშაობის დროს დეტალების უმეტესობაში დეფორმაცია დაუშვებელია, მათ ამტანიანობას, როგორც წესი, დენადობის ზღვრით საზღვრავენ. სტატიკური სიმტკიცის მიახლოებითი შეფასებისათვის მასალის სისალის მნიშვნელობით სარგებლობენ:

$$\sigma_{\text{აჯ}} = \text{HB}/3 \quad (1)$$

თუ სამუშაო პირობები არაადეკვატურია ნიმუშის გამოცდის პირობებთან შედარებით, დეტალის მუშა კვეთის გამოთვლისას მარაგის კოეფიციენტს ითვალისწინებენ, ანუ შერჩეული მასალის სიმტკიცის მახასიათებლებს, ბევრად უფრო შემცირებულს იღებენ ცნობარში წარმოდგენილ მონაცემებთან შედარებით. ამდენად, აუცილებელი საკონსტრუქციო სიმტკიცის უზრუნველსაყოფად საგრძნობლად იზრდება დეტალის ზომები, რაც საბოლოო ჯამში კონსტრუქციის მასისა და ლითონის

სარჯის გაზრდას იწვევს.

მანქანათა ნაწილების უმრავლესობა სანგრძლივ ციკლურ დატვირთვებს განიცდის. მისი კრიტერიუმია გამძლეობის (ამტანიანობის) ზღვარი σ_R , რომლის მიხედვითაც დასაშვებ სამუშაო ძაბვებს ითვლიან. რაც უფრო მაღალია მასალის სიმტკიცე, მით უფრო მეტია დასაშვები ძაბვები და მცირეა დეტალის მასა და ზომები.

სიმტკიცის მახასიათებლების დონის და, როგორც შედეგი, მუშა ძაბვების გაზრდას თან სდევს დრეკადი დეფორმაციის ამაღლება:

$$\varepsilon_{\text{დღ}} = \sigma / E \quad (2),$$

სადაც E არის დრეკადობის მოდული.

როგორც წარმოდგენილი ტოლობიდან გამომდინარეობს, დრეკადი დეფორმაციის შეზღუდვისათვის მასალა უნდა სახიათდებოდეს დრეკადობის მაღალი მოდულით. სწორედ სიხისტის კრიტერიუმი და არა სიმტკიცე განსაზღვრავს, მაგალითად, რედუქტორის კორპუსის და სხვა ანალოგიური დეტალების მუშაობის პირობებს, რომლებსაც ზუსტი ზომებისა და ფორმის შენარჩუნება მოეთხოვება.

არსებობს საწინააღმდეგო მოთხოვნებიც. ზამბარების, მემბრანებისა და სხვა მგრძნობიარე დრეკადი ელემენტებისათვის უმთავრესია მნიშვნელოვანი დრეკადი გადაადგილების უზრუნველყოფა. რადგან $\varepsilon_{\text{დღ}}^{\text{max}} = \sigma_{\text{დღ}} / E$, ამ შემთხვევაში მასალას დრეკადობის მაღალი ზღვარი და დრეკადობის დაბალი მოდული მოეთხოვება.

ავიაციასა და სარაბატო ტექნიკაში გამოყენებული მასალების უმთავრესი მახასიათებელია ეფექტურობა მასის მიხედვით. იგი ფასდება კუთრი მახასიათებელით:

ა – კუთრი სიმტკიცით $\sigma_{\text{აქ}} / \rho g$, სადაც ρ არის მასალის სიმკვრივე; g – თავისუფალი ვარდნის აჩქარება;

ბ – კუთრი სიხისტით – $E / \rho g$.

ამგვარად, საკონსტრუქციო სიმტკიცის კრიტერიუმებად უნდა შეირჩეს ის მახასიათებლები, რომლებიც ყველაზე სრულყოფილად ასახავენ მასალის სიმტკიცეს ექსპლუატაციის პირობებში.

სარისხოვანი კონსტრუქციების შესაქმნელად, მასალის ეკონომიკურად გამოყენების პირობის უზრუნველყოფით, აუცილებელია კიდევ ორი კრიტერიუმის გათვალისწინება. ესენია საიმედოობა და ხანგამძლეობა.


საიმედოობა არის მასალის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს მყიფე რდვევის განვითარებას. საიმედოობას განსაზღვრავს ცივტეხადობის ტემპერატურული ზღურბ-

ლი და წინააღმდეგობა ბზარის გავრცელებისადმი.

მყიფე რდვევა განაპირობებს დეტალის უცაბედ მტყუნებას ექსპლუატაციის დროს. იგი ყველაზე სახიფათოდ ითვლება, რადგან ტეხილი დიდი სიჩქარით ვითარდება გაანგარიშებულზე უფრო დაბალი ძაბვის პირობებში, რაც ავარიულ შედეგს იწვევს.

მყიფე რდვევის ასაცილებლად საკონსტრუქციო მასალები საქმაო პლასტიკურობით (δ, ψ) და დარტყმითი სიბლანტით (KCU) უნდა ხასიათდებოდეს. მაგრამ საიმედოობის ეს პარამეტრები, რომლებიც მიღებულია მცირე ზომის ლაბორატორიული ნიმუშების გამოცდით, დეტალის სამუშაო პირობების გათვალისწინების გარეშე, მხოლოდ ნაკლებადმტკიცე, რბილი მასალებისათვის არის დამაჯერებელი. ტექნიკაში კი სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს მაღალმტკიცე და, როგორც წესი, ნაკლებად პლასტიკური მასალები მყიფე რდვევისადმი გაზრდილი მიღრეკილებით. ნაკეთობის უცაბედი გადატეხის ალბათობის შესამცირებლად მასალის ბზარმედეგობის გათვალისწინებაა აუცილებელი. იგი წარმოადგენს კიდევ ერთ პარამეტრს, რომელიც ახასიათებს მასალის უნარს, დამუხსრუჭოს ბზარის განვითარება.

ბზარმედეგობის რაოდენობრივი შეფასება რდვევის წრფივ მექანიზმზეა დაფუძნებული, რომლის თანახმადაც მაღალმტკიცე მასალებში რდვევის კერას ტექნოლოგიური ან ექსპლუატაციური წარმოშობის მცირე ბზარები წარმოადგენენ. ისინი შეიძლება შედეულების ან თერმული დამუშავების დროს წარმოიქმნას. ასეთოვე როლს თამაშობს ბზარისებრი დეფექტები – არალითონური ჩანართები, დისლოკაციების თავმოყრის ადგილები და ა.შ. ბზარი ძაბვების კონცენტრატორს წარმოადგენს, რომლის წვეროში ადგილობრივი (ლოკალური) დაძაბულობა რამდენ-ჯერმე შეიძლება აღემატებოდეს საშუალო გამოთვლილ მნიშვნელობას.



ℓ სიგრძისა და r რადიუსის მქონე ბზარის (სურ. №.1)
წვეროში დაძაბულობა

$$\sigma_y^{\max} = \sigma_{\text{საჟ}} 2 \sqrt{\frac{\ell}{r}} \quad (3)$$

სურ. №1. წვეროსთან
რადიუსის მქონე
ბზარის წარმოქმნის
სქემა

განტოლებიდან გამომდინარე, დაძაბულობა მით უფრო მე-

ტია, რაც უფრო გრძელია ბზარი, ხოლო წვერო – მახვილი.

პლასტიკური მასალებისათვის ასეთი სახის დეფექტების


წარმოქმნის მცირე საშიშროება არსებობს. დისლოკაციის გადაადგილების შედეგად, ბზარის წვეროში, ადგილობრივი პლასტიკური დეფორმა-

ციօ მიმდინარეობს, რომელიც ლოკალური ძაბვის რელაქსაციას და მათ გათანაბრებას განაპირობებს. ამასთანავე, წვეროში დისლოკაციისა და ვაკანსიების სიმკვრივის ზრდას თან სდევს მისი გაბლაგვება და დეფექტი წყვეტს ძაბვების მკვეთრი კონცენტრატორების როლის შესრულებას. მყიფე მასალები კი პირიქით, მეტად მგრძნობიარეა ჩანაჭრების (ბზარების) მიმართ. იმის გამო, რომ დისლოკაციები ბლოკირებულია და პლასტიკური დეფორმაციის განვითარება შეუძლებელი, ძაბვის საშუალო მნიშვნელობის გაზრდით ლოკალური ძაბვები σ_y^{\max} იმდენად მატულობს, რომ ირღვევა ატომთა შორის კავშირი და ბზარი ვითარდება. ბზარის ზრდა კი არ მუხრუჭდება, არამედ პირიქით, ჩქარდება. რაღაც კრიტიკული სიდიდის მიღწევის შემდეგ ხდება ბზარის თავისთავადი, ზვავისებრი ზრდა, რაც ნაკეთობის მყიფე რღვევას იწვევს.

რადგან მაღალმტკიცე საკონსტრუქციო მასალები გარკვეული პლასტიკურობით ხასიათდება, მათთვის რეალურ საშიშროებას არა ნებისმიერი ზომის, არამედ მხოლოდ კრიტიკული სიგრძის (ℓ_{Jr}) ბზარი წარმოადგენს. ბზარის გაზრდა ℓ_{Jr} სიდიდემდე, მასში ადგილობრივი პლასტიკური დეფორმაციის წყალობით მუხრუჭდება. მაგრამ, მუშა ძაბვებისა და დეფექტების სიგრძის გარკვეული თანაფარდობის შემდეგ ბზარის წონასწორული მდგომარეობა ირღვევა და იწყება მასალის თავისთავადი რღვევა.


ცივტეხადობის ზღურბლი ახასიათებს ტემპერატურის გავლენას მასალის მიღრეკილებაზე მყიფე რღვევისადმი. მას განსაზღვრავენ ჩანაჭერის მქონე ნიმუშის დარტყმით სიბლანტეზე გამოცდით დაბალ ტემპერატურაზე. დარტყმითი დატვირთვის, ჩანაჭერისა და დაბალი ტემპერატურის ასეთი ურთიერთშესამება ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებითაც შეიძლება შეფასდეს მასალის ქცევა ექსპლუატაციის ექსტრემალურ პირობებში.

ბლანტი მდგომარეობიდან მყიფეში გადასვლას თან სდევს ტეხილის აგებულების შეცვლა და დარტყმითი სიბლანტის მკვეთრი შემცირება (სურ. №2), რაც (t_B-t_X) ტემპერატურულ ინტერვალში შეინიშნება. ამ ტემპერატურებს ბლანტი და მყიფე რღვევის ზღვრულ ტემპერატურებს უწოდებენ. ტეხილის აგებულება ბოჭკოვანიდან (ბლანტი რღვევა, $t \leq t_B$) კრისტალურამდე (მყიფე რღვევა, $t \geq t_B$) იცვლება. ცივტეხადობის ზღურბლს ტემპერატურული ინტერვალით (t_B-t_H) ან ერთი ტემპერატურით, t_0 აღნიშნავენ, რა დროსაც ნიმუშის ტეხილი შედგება 50% ბოჭკოვანი შემდგენისაგან, ხოლო მუშაობა ბზარის გავრცელებაზე (KCT) განახევრებულია.



სურ. №2. გამოცდის ტემპერატურის გავლენა
ტეხილში ბლანტი შემდგენის შემცველობაზე
(B) და დარტყმით სიბლანტზე

ირია, მყიფე მდგომარეობაში გადასვლა კი წვრილმარცვლოვანი ფოლადში (-40°C-ზე იწყება, მსხვილმარცვლოვანი ფოლადში (K) კი - 0°C-ზე. საექსპლუატაციო ტემპერატურასთან (t_E) შედარებისას დგინდება, რომ წვრილმარცვლოვანი ფოლადისათვის სიბლანტის ტემპერატურული მარაგი 60°C შეადგენს, ხოლო მსხვილმარცვლოვანი ფოლადისთვის – 20°C. აქედან გამომდინარე, M ფოლადი უფრო საიმედოა, რადგან ექსპლუატაციის პირობებში ტემპერატურის შესაძლო შემცირება, მასში ბზარების არსებობისა და დარტყმითი დატვირთვის შემთხვევაში, მყიფე რღვევის განვითარებას არ გამოიწვევს.



სურ. №3. ფოლადის ($C=0,22\%$) დარტყმითი სიბლანტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

M – წვრილმარცვლოვანი,

K – მსხვილმარცვლოვანი,

I – სიბლანტის ტემპერატურული მარაგი

ხანგამდლეობა არის ლითონის თვისება, წინააღმდეგობა გაუწიოს თანდათანობით რღვევას, რაც უზრუნველყოფს დეტალის მუშაობის უნარიანობას დადგე-

ბისათვის მასალის ვარგისიანობაზე სიბლანტის ტემპერატურული მარაგით მსჯელობებს, რომელიც საექსპლუატაციო ტემპერატურისა და მყიფე მდგომარეობაში გადასვლის ტემპერატურის (t_{50}) სხვაობით განისაზღვრება. ამასთანავე, რაც უფრო დაბალია t_{50} , მით უფრო მეტია სიბლანტის მარაგი და მაღალია მყიფე რღვევის განვითარებისაგან დაცვის გარანტია.

№3 სურათზე ისეთი შემთხვევაა წარმოდგენილი, როდესაც ორი ფოლადის დარტყმითი სიბლანტე 20°C-ზე ერთნა-

ნილი დროის განმავლობაში (რესურსი). მუშაობის უნარიანობის კარგვის (თანდა-თანობითი მტკუნების) მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაგალითად, დაღლი-ლობის პროცესების განვითარება, ცვეთა, ცოცვადობა, კოროზია, რადიაციული გა-ჯირჯვება და ა.შ. ეს პროცესები მასალაში შეუქცევადი დაზიანების დაგროვებას და ნაკეთობის რდვევას განაპირობებს. მასალის ხანგამდლეობის გაზრდა ნიშნავს რდვევის სიჩქარის შემცირებას საჭირო მნიშვნელობამდე.

მანქანათა ნაწილების უმრავლესობისათვის (80%-ზე მეტი) ხანგამდლეობა გა-ნისაზღვრება მასალის წინააღმდეგობით, დაღლილობითი რდვევისადმი (ციკლური ხანგამდლეობით). ამიტომ, მუშაობის უნარიანობის კარგვის აღნიშნული მიზეზები დაწვრილებით გაანალიზებას მოითხოვს.

ციკლური დატვირთვა ახასიათებს მასალის მუშაობის უნარიანობას მრავალ-ჯერადი, განმეორებითი ციკლური დატვირთვების პირობებში. დატვირთვის ციკლი არის ძაბვის ცვალებადობა მის ორ ზღვრულ მნიშვნელობას შორის (σ_{\max} და σ_{\min}) რა-დაც T პერიოდის განმავლობაში. იგი ხასიათდება ციკლის ასიმეტრიულობის კოეფი-ციენტით $R=\sigma_{\min}/\sigma_{\max}$; ძაბვის ამპლიტუდით $\sigma_a=(\sigma_{\max}-\sigma_{\min})/2$; ციკლის საშუალო ძაბვით $\sigma_m=(\sigma_{\max}+\sigma_{\min})/2$.


ანსხვავებენ სიმეტრიულ ($R=-1$) და არასიმეტრიულ ციკლს, როდესაც R სი-დიდე ფართო ზღვრებში იცვლება. ციკლის სახესხვაობები მანქანათა ნაწილის მუ-შაობის სხვადასხვა რეჟიმს განაპირობებს.

ციკლური დატვირთვების ზემოქმედებით დაზიანების თანდათანობით დაგ-როვებას, რომელიც მასალაში თვისებების შეცვლას, ბზარის წარმოქმნას, მის გან-ვითარებას და ნაკეთობის რდვევას იწვევს, დაღლილობას, ხოლო მასალის თვი-სებას, გაუძლოს დაღლილობას – გამდლეობას, ამგანობას უწოდებენ.

დაღლილობით გამოწვეული რდვევა სტატიკურთან შედარებით, რიგი თავი-სებურებებით ხასიათდება:

- იგი სტატიკურ დატვირთვასთან შედარებით უფრო დაბალი ძაბვების (დგ-ნადობის ზღვრისა და დროებითი წანააღმდეგობის) პირობებში მიმდინარეობს.
- რდვევა იწყება ზედაპირზე (ან მასთან ახლოს მიმდებარე შრეებში) ლოკა-ლურად, ძაბვების კონცენტრაციის ადგილებში. ძაბვების ლოკალურ კონცენტრა-ციას ქმნის ციკლური დატვირთვებით ან გარემოს ზეგავლენით გამოწვეული დაზი-ანება, ან ჩანაჭრები დამუშავების კვალის სახით.
- რდვევა რამდენიმე სტადიად მიმდინარეობს – მასალაში დაზიანების დაგ-

როვებით, დაღლილობითი ბზარის წარმოქმნით, დაზიანების განვითარებითა და რამდენიმე მათგანის შერწყმით ერთ მაგისტრალურ ბზარად სწრაფი დამამთავრებელი რღვევით;



სურ. №4. დაღლილობითი ტეხნიკის სქემა

- 1 – ბზარის ჩასახვის კერა,
- 2 – დაღლილობითი ზონა,
- 3 – რღვევის დამთავრების ზონა.

ტეხნიკის დამახასიათებელი აგებულება გააჩნია, რომელიც დაღლილობის პროცესის თანმიმდევრობას ასახავს. ტეხნილი შედგება რღვევის კერისგან (მიკრობზარის წარმოქმნის უბანი 1, სურ. №4) და ორი, დაღლილობისა (2) და რღვევის დამთავრების (3) ზონებისაგან. რღვევის კერა ზედაპირს ესაზღვრება და მცირე ზომებითა და გლუვი ზედაპირით ხასიათდება. დაღლილობით ზონაში მოჩანს დამახასიათებელი ნაღარები, რომლებსაც რგოლების კონფიგურაცია აქვს,

რაც დაღლილობითი ბზარის ნახტომისებრ წაწევაზე მიუთითებს. დაღლილობითი ზონა ვითარდება მანამ, სანამ სულ უფრო შემცირებულ მუშა კვეთში ძაბვების სიდიდე იმ ზომამდე არ გაიზრდება, რომ ნაკეთობის უცაბედი რღვევა გამოიწვიოს.

ციკლური ხანგამძლეობა და სიმტკიცე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან გადამწყვეტ მნიშვნელობას სტრუქტურა, ზედაპირული შრის დაძაბული მდგომარეობა, ზედაპირის ხარისხი და კოროზიული არის ბუნება ღებულობს. ზედაპირზე მკუმშავი ძაბვების არსებობა აძნელებს დაღლილობითი ბზარის წარმოქმნასა და მის განვითარებას, რაც ზრდის გამძლეობის ზღვარს. მკვეთრ უარყოფით გავლენას ახდენს გამჭიმავი ძაბვები და ძაბვების კონცენტრატორები:

1. კონსტრუქციული – ნაკეთობის კვეთის ფორმის შეცვლა: ჰალტელები, ნახერები, დარები და ა.შ.
2. ტექნოლოგიური – ზედაპირის მიკროუსტორმასტორობა, ნაკაწრები და მექანიკური დამუშავების სხვა კვალი.
3. მეტალურგიული – შიგა დეფექტები: ფორები, ნიჟარები, არალითონური ჩანართები (ოქსიდები, სულფიდები, სილიკატები და ა.შ).

ნაკეთობის ხანგამძლეობა მცირდება დეტალის ზომების გაზრდით (მასშტაბური ფაქტორი). პროცესს აჩქარებს ზედაპირის სხვადასხვა დაზიანება – ჩაღრმავებები, ბზარების ბადისა და ძაბვების სხვა კონცენტრატორების არსებობა.

ცვეთამედეგობა არის მასალის თვისება, ხახუნის გარკვეულ პირობებში წინააღმდეგობა გაუწიოს ზედაპირის ცვეთას. ცვეთადობა გულისხმობს ნაკეთობის ზედაპირის თანდათანობით რდვევას, ხახუნის ძალის ზემოქმედებით მისი ნაწილაკების მოცილების გზით. შედეგს ცვეთას უწოდებენ. ცვეთას განსაზღვრავენ ზომების ცვლილებით (ხაზობრივი ცვეთა) და მოცულობის ან მასის შემცირებით (მოცულობითი ან მასური ცვეთა).

მასალის ცვეთამედეგობას აფასებენ ცვეთის სიჩქარის (V_h) შებრუნებული სიდიდით ან ინტენსიურობით I_k . ცვეთის სიჩქარე ან ინტენსიურობა წარმოადგენს ცვეთის სიდიდის შეფასებას შესაბამის დროსთან, ან ხახუნის მანძილთან. რაც უფრო მცირეა ცვეთის სიჩქარე (ანუ ხაზობრივი ცვეთის სიდიდე Δh), მით უფრო მეტია კვანძის მუშაობის რესურსი t : $t = \Delta h / V_h$. ბუნებრივია, ცვეთის სიჩქარეს დროის ფაქტორი განსაზღვრავს.

ცვეთის სამ პერიოდს ანსხვავებენ:

I – საწყისს, ანუ მისახმარისების (მიმუშავების) პერიოდს, რომლის დროსაც ცვეთა მიმდინარეობს მუდმივად შემცირებული სიჩქარით;

II – დამყარებულს, ნორმალური ცვეთის პერიოდს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცვეთა მცირე და მუდმივი სიჩქარით;

III – კატასტროფული ცვეთის პერიოდს.

ცვეთამედეგობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ცვეთის კატასტროფული პერიოდის აცილება, აგრეთვე, საწყისი და დამყარებული ცვეთის სიჩქარეების შემცირება. ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია მოხახუნე წყვილის მასალების რაციონალურად შერჩევითა და დამუშავების ხერხის სწორი განსაზღვრით. მასალის შერჩევის დროს აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ცვეთამედეგობის კრიტერიუმები არა მარტო მასალის ზედაპირული ფენების თვისებებზე და მდგომარეობაზეა დამოკიდებული, არამედ მისი მუშაობის პირობებზეც. ეს უკანასკნელი კი იმდენად მრავალფეროვანია, რომ გერ მოიძებნება უნივერსალური ცვეთამედეგი მასალა – ერთ პირობებში მდგრადი, სხვა შემთხვევაში შეიძლება კატასტროფულად სწრაფად დაირღვეს. ამიტომ, ყველა კერძო შემთხვევისათვის როგორც წესი, მასალის ცვეთამედეგობას ექსპერიმენტულად განსაზღვრავენ.

ისეთი მასალების ხანგამძლეობას, რომლებიც მაღალ ტემპერატურებზე (ენერგეტიკული დანადგარის დეტალები, რეაქტიული ძრავები და ა.შ) მუშაობენ, ცოცვადობის სიჩქარით განსაზღვრავენ. ცოცვადობის სიჩქარის შეზღუდვისათვის მხურვალმტკიცე მასალებს იყენებენ.

გახურებული მშრალი აირების ან თხევად ელექტროლიტებში მომუშავე დატალების ხანგამძლეობა ქიმიური, ან ელექტროქიმიური კოროზიის სიჩქარეზეა დამოკიდებული. ასეთ არეებში მუშაობის უნარიანობის შესანარჩუნებლად მხურვალ-მედეგი და კოროზიამედეგი მასალები გამოიყენება.

ამგვარად, საკონსტრუქციო მასალის მუშაობის უნარიანობა საექსპლუატაციო გარემოს პირობების გათვალისწინებით საკონსტრუქციო სიმტკიცის შემდეგი კრიტიკულებით ხასიათდება:

1. სიმტკიცის კრიტერიუმი ($\sigma_{\text{აქ}}$ და $\sigma_{0,2}$), რომლებიც სიმტკიცის მოცემული მარაგის შემთხვევაში დასაშვებ მუშა ძაბვებს, დეტალის მასას და ზომებს განსაზღვრავს.

2. დრეკადობის მოდული (E), რომელიც დეტალის მოცემული გეომეტრიის შემთხვევაში დრეკადი დეფორმაციის სიდიდეს, ანუ მასალის სიხისტეს განსაზღვრავს.

3. პლასტიკურობა (δ , ψ), დარტყმითი სიბლანტე (KCU, KCV, KCT), რდგევის სიბლანტე, ცივტეხადობის ტემპერატურული ზღურბლი (t_{50}), რომლებითაც აფასებენ მასალის საიმედოობას ექსპლუატაციაში.

4. ციკლური ხანგამძლეობა, ცვეთის სიჩქარე, ცოცვადობა და კოროზიამედებობა, რომლებიც მასალის ხანგამძლეობას განსაზღვრავს.

3. შენადნობის ფაზური შედგენილობის გავლენა კონსტრუქციულ სიმტკიცეზე

როგორც სუფთა ლითონებში, ისე შენადნობებში, კონსტრუქციული სიმტკიცის პრობლემას დისლოკაციის ძვრადობა და მისი დამუხრუჭების ხარისხი განსაზღვრავს.

მყარ ხსნარში ჩანერგილი ან ჩანაცვლებული ელემენტების ატომები ძირითადად დისლოკაციის უბნებში მიიზიდება. შესაძლებელია მათ ექსტრასიბრტყის გასწვრივ უცხო ატომების ჯაჭვიც წარმოქმნან. აღსანიშნავია, რომ ნაპირა დისლოკაციის ბმის ენერგია ჩანერგილ ატომებთან დაახლოებით $0,2\text{-}0,5$ ევ შეადგენს, ხოლო ჩანაცვლებულ ატომთან – $0,05\text{-}0,1$ ევ.

უცხო ატომებით წარმოქმნილი ატომსფერო ამუხრუჭებს დისლოკაციას მისი მოძრაობის გზაზე და ამნელებს შემდგომი გადაადგილების უნარს. ბუნებრივია, დისლოკაციის მოწყვეტა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ უფრო მაღალი ძაბვები განვითარდება, ანუ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ხსნადობით განმტკიცების ეფექტს. იგი შეიძლება განისაზღვროს ტოლობით:

$$\sigma_{\text{დენ}} = G \varepsilon^2 C \quad (4),$$

სადაც $\sigma_{\text{დენ}}$ არის დენადობის ზღვარი;

G – ძრის მოდული;

C – გახსნილი კომპონენტის კონცენტრაცია ატომურ პროცენტებში;

ε – პარამეტრი, რომელიც დამოკიდებულია გამხსნელისა (r_0) და გახსნილი (r) კომპონენტების ატომთა ზომებს შორის სხვაობაზე:

$$\varepsilon = \frac{r - r_0}{r_0} \quad (5)$$

განმტკიცების ყველაზე მაღალი ეფექტი იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც მყარი ხსნარი დამატებით შეიცავს სხვადასხვა ფაზის, უპირატესად ქიმიური ნაერთის წვრილდისპერსიულ ჩანართებს. ისინი ეფექტურად ზღუდავენ დისლოკაციის ძვრადობის უნარს, რითაც იზრდება საკონსტრუქციო მასალის დენადობის ზღვარი.

თუ გადაჯერებული მყარი ხსნარიდან გამოყოფილი მეორეული ფაზა პეტეროგენულია დედა ხსნართან, კონსტრუქციაზე მოდებული ძაბვის ზემოქმედებით დისლოკაციამ ან უნდა გადაჭრას დაბრკოლება, ან გარს შემოეხვეს მას. ეს დამოკიდებულია განმამტკიცებელი ფაზის ნაწილაკების ზომაზე, სიმტკიცეზე და მათ შორის მანძილზე.


როდესაც გამონაყოფი არაკოჰერენტულია და M ჩანართებს შორის მანძილი ℓ საკმაოდ დიდია, მოძრავი დისლოკაცია ჯერ გაიღუნება (სურ. №5, a), ხოლო მოქმედი ძაბვის გაზრდის შემთხვევაში – გარს შემოევლება ჩანართს და ე.წ. დისლოკაციურ მარყუეს (b) წარმოქმნის. შემდგომში დისლოკაცია ტოვებს წარმოქმნილ მარყუეს და მოძრაობას განაგრძობს იგივე მიმართულებით. ახლად წარმოქმნილი დისლოკაციების მოძრაობით ახალ-ახალი მარყუები წარმოქმნება, იზრდება დისლოკაციის ჯამური სიგრძე და კრისტალური გისოსის ენერგია, რაც დისლოკაციის მოძრაობის გზაზე დამატებით დაბრკოლებას ქმნის.

კრიტიკული ძაბვა ($\sigma_{\text{კრ}}$), რომელიც აუცილებელია მინარევებს შორის დისლოკაციის წასაბიძგებლად, ℓ მანძილის უკუპროპორციულია:

$$\sigma_{\text{კრ}} = \frac{Gb}{\ell}$$

სადაც G არის მატრიცის ძრის მოდული;

b - დისლოკაციის ბიურგერსის ვექტორი.



სურ. №5. დისპერსიულ ნაწილაკებს შორის
AB დისლოკაციის მოძრაობის სქემა

ახალ-ახალი დისლოკაციური მარყუჯების წარმოქმნის შედეგად განმამტკიცებელი ფაზის ნაწილაკებს შორის ℓ მანძილი თანდათან მცირდება. აქედან გამომდინარე, დისლოკაციის წასაბიძგებლად საჭირო კრიტიკული ძაბვა, ანუ დენადობის ზღვარი, იზრდება.

თუ ნაწილაკებს შორის მანძილი საკმაოდ მცირეა ($\sim 100\text{\AA}$), დისლოკაციამ დაბრკოლება უნდა გადაჭრას (სურ. №5, გ). ამისათვის კი ძაბვის კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობამდე გაზრდაა საჭირო. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია ჩანართების ძვრის მოდული, მით უფრო მცირეა დისლოკაციებით მათი გადაჭრის ალბათობა. ნაწილაკის გადაჭრის პროცესში ვითარდება ძვრა დისლოკაციის ბიურგერსის ვექტორის სიდიდით, რაც მატრიცასა და გადაჭრილ ჩანართს შორის ზედაპირის გაზრდას იწვევს. ეს კი დისლოკაციის მოძრაობის გზაზე დამატებით წინააღმდეგობას ქმნის.

4. საკონსტრუქციო მახასიათებლების ამაღლების მეთოდები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კონსტრუქციის მაღალი სიმტკიცე და ხანგამდლეობა მინიმალური მასისა და უმაღლესი საიმედოობის უზრუნველყოფით, ტექნოლოგიური, მეტალურგიული და კონსტრუქციული მეთოდებით მიიღწევა. მასალის მექანიკური თვისებებისა და ხარისხის ამაღლებისათვის ყველაზე მაღალეფებურია ტექნოლოგიური და მეტალურგიული მეთოდები.

მექანიკური თვისებებიდან უმთავრესია მასალის სიმტკიცე, რომლის გაზრდა

პლასტიკურობისა და სიბლანტის საკმაო მარაგის შენარჩუნებით, კონსტრუქციის წონის შემცირებას, საიმედოობასა და ხანგამდლეობას განაპირობებს.

სიმტკიცე დამოკიდებულია ატომთა შორის კავშირის ძალებზე, ატომთა შორის ურთიერთქმედების ენერგია კი – დრეკადი თვისებების (დრეკადობისა და ძვრის მოდულების) მახასიათებლებზე. ნორმალური დრეკადობის მოდული და ძვრის მოდული მასალის სტრუქტურულად არამგრძნობიარე მახასიათებლებია და მუდმივ სიდიდეებს წარმოადგენენ.

თეორიული სიმტკიცე (წინააღმდეგობა ატომთა შორის კავშირის ძალების გაწყვეტის მიმართ) რეალურ კრისტალებში სტრუქტურული დეფექტების არსებობის გამო ვერ მიიღწევა. რეალური სიმტკიცე ორი-სამი რიგით უფრო დაბალია თეორიულთან შედარებით, რასაც ძირითადად ლითონის სტრუქტურა და არა ატომთა შორის კავშირის ძალები განაპირობებენ.

რეალურ კრისტალებში სიმტკიცის დონეს, უმთავრესად, დისლოკაციის გადა-ადგილების უნარი განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, მასალათა სიმტკიცის გაზრდის თანამედროვე მეთოდები ისეთი სტრუქტურული მდგომარეობის უზრუნველყოფაზეა დაფუძნებული, რომელიც დისლოკაციის მაქსიმალურ დამუხრუჭებას (ბლოკირებას) განაპირობებს. მათ მიეკუთვნება ლეგირება, პლასტიკური დეფორმაცია, თერმული, თერმომექანიკური და ქიმიურ-თერმული დამუშავება. აღნიშნული მეთოდებით სიმტკიცის გაზრდა მთელ რიგ სტრუქტურულ ფაქტორებზეა დაფუძნებული, როგორებიცაა:

1. დისლოკაციების სიმკვრივის გაზრდა.

დისლოკაციის სიმკვრივესა (ρ) და დენადობის ზღვარს ($\sigma_{\text{დენ}}$) შორის შემდეგი დამოკიდებულება არსებობს:

$$\sigma_{\text{დენ}} = \sigma_0 + \alpha b G \sqrt{\rho} \quad (7),$$

სადაც σ_0 არის დენადობის ზღვარი განმტკიცებამდე;

α – კოეფიციენტი, რომელიც დისლოკაციის დამუხრუჭების სხვა მექანიზმებს ითვალისწინებს;

b – ბიურგერსის ვექტორი;

G – ძვრის მოდული.

დისლოკაციის სიმკვრივის გაზრდა მიზანშეწონილია 10^{12} სმ² სიდიდემდე. უფრო მეტი მნიშვნელობის შემთხვევაში ადგილი ექნება მასალის მთლიანობის დარღვევას სუბმიკროსკოპული ბზარების სახით, რაც, უდავოდ, შეამცირებს მასა-

ლის სიმტკიცეს.

2. დისლოკაციური ბარიერების შექმნა მარცვლის საზღვრების, სუბსაზღვრებისა და მეორეული ჩანართების დისპერსიული ნაწილაკების სახით. ასეთი ნაწილაკების გადალახვა მოითხოვს ძაბვების დამატებით გაზრდას დისლოკაციის წასაწევად, რაც განმტკიცების ეფექტზე მიუთითებს.

ეფექტური ბარიერების როლს მარცვლისა და სუბმარცვლების (მოზაიკის ბლოკების) საზღვრები ასრულებენ. დაცურებული დისლოკაცია იძულებულია განერდეს აღნიშნულ საზღვრებთან, რადგან მეზობელ მარცვალში (სუბმარცვალში) დაცურების სიბრტყეს სხვა ორიენტაცია გააჩნია. სიმტკიცესა და მარცვლის ზომას შორის შემდეგი დამოკიდებულება არსებობს:

$$\sigma_{\text{დენ}} = \sigma_0 + \frac{k}{\sqrt{d}} \quad (8)$$

სადაც σ_0 არის ძაბვა, რომელიც საჭიროა თავისუფალი დისლოკაციის მოძრაობისათვის;

k - კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს დისლოკაციის ბლოკირების ხარისხს;
 d - მარცვლის (სუბმარცვლის) ზომა.

აღნიშნული ფაქტორის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მარცვლის დაწვრილმანება განაპირობებს მარცვლის საზღვრების ჯამური სიგრძის ზრდას და, აქედან გამომდინარე, დარტყმითი სიბლანტის გადიდებას. ამის მიზეზია ბზარის ჩანასახის ზომის შემცირება და მისი გავრცელების შესაძლებლობის გაძნელება – ბზარმა უნდა იცვალოს მოძრაობის მიმართულება ერთი მარცვლიდან მეორეზე გადასვლის დროს, რის შედეგადაც მისი ტრაექტორია და წინააღმდეგობა გავრცელებისადმი იზრდება.

3. დრეკადი დაძაბულობის ველის შექმნა, რომელიც ამასინჯებს კრისტალურ გისოსს. ასეთი ველი იქმნება წერტილოვანი დეფექტების მახლობლობაში (ვაკანსია, მინარევი ატომი და, უმთავრესად, მალეგირებელი ელემენტის ატომი).

სხვადასხვა სტრუქტურული ფაქტორის კომბინაციით შესაძლებელია მნიშვნელოვნად ამაღლდეს სიმტკიცის მახასიათებლები, მაგრამ სიმტკიცის ამაღლებას, დისლოკაციების ძვრადობის შემცირებით, თან სდევს მასალის პლასტიკურობის, სიბლანტისა და საიმედოობის შემცირება.

კონსტრუქციული სიმტკიცის ამაღლების პრობლემა მდგომარეობს არა იმდენად სიმტკიცის მახასიათებლების გაზრდაში, რამდენადაც მაღალ სიმტკიცესთან ერთად პლასტიკური რდგევისადმი, ასევე მაღალი წინააღმდეგობის უზრუნველყო-

ფაში. მაგალითად, ნახშირბადიან ფოლადებში ($0,4\%C$) მარტენსიტზე წრობით და დაბალი მოშვებით შეიძლება უზრუნველვყოთ $\sigma_{\text{მაქ}} \approx 2400$ მგპა; ნახშირბადის გაზრდით $0,6\%-მდე$ – 2800 მგპა, თუმცა ასეთი მაღალი სიმტკიცის მიუხედავად ფოლადები მყიფეა ($KCT \approx 0$) და ექსპლუატაციაში არასაიმედო.

სიმტკიცის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის უზრუნველყოფა ლითონის გარკვეული სტრუქტურული მდგომარეობით მიიღწევა. კერძოდ, დისლოკაციების დამუხრუჭების ხარისხის ეფექტური შეხამებით მათ თანაბარ განაწილებასთან მასალის მოცულობაში და, რაც უკელაზე ხელსაყრელია, ბარიერებთან თვმოყრილ დისლოკაციებს უნდა მიეცეთ გარკვეული ძვრადობის უნარი. ცნობილია, რომ მყიფე რღვევა ინიცირდება კრიტიკული სიმკვრივის დისლოკაციების თავმოყრის უბნებში, მაგალითად, გადაულახავ ბარიერებთან, სადაც მეტად სახიფათო ლოკალური დაბულობები აღიძვრება. მათი რელაქსაცია ორი გზით მიმდინარეობს:

1. მყიფე ბზარის განვითარებით;
2. ბარიერის გარღვევით და დისლოკაციის წანაცვლებით მოსაზღვრე უბნებში.

ეს უგანასკნელი განაპირობებს ძაბვების რელაქსაციას, ლოკალური პლასტიკური დეფორმაციის გზით. ასეთი ტიპის ბარიერების როლს ასრულებს საზღვრები მცირე კუთხით – სუბმარცვლების საზღვრები. ხელსაყრელი სტრუქტურის ფორმირებას და ლითონის საიმედოობის უზრუნველყოფას ხელს უწყობს რაციონალური ლეგირება, დაწვრილმარცვლოვნება და მეტალურგიული ხარისხის ამაღლება.

მაღალი კონსტრუქციული სიმტკიცის უზრუნველსაყოფად, კომპოზიციურ მასალებში, პრინციპულად განსხვავებული ხერხია გამოყენებული. როგორც ცნობილია, ასეთი მასალები რბილი მატრიცისა და მაღალმტკიცე ბოჭკოების კომპოზიციას წარმოადგენს. მთელ დატვირთვას ბოჭკოები დებულობს. სწორედ ამაში მდგომარეობს პრინციპული განსხვავება ბოჭკოვან კომპოზიციურ მასალებსა და ჩვეულებრივ შენადნობებს შორის, რომლებიც განმტკიცებულია, მაგალითად, დისპერსიული ნაწილაკებით. შენადნობებში, ძირითად, დატვირთვას მატრიცა (მყარი სსნარი) დებულობს, ხოლო დისპერსიული ნაწილაკები ამუხრუჭებენ მასში დისლოკაციების მოძრაობას, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება შენადნობის პლასტიკურობა. კომპოზიციურ მასალებში მაღალმტკიცე ბოჭკოები ერთმანეთთან პლასტიკური მატრიცით არის დაკავშირებული. მატრიცა სუსტად არის დატვირთული და ემსახურება დატვირთვის გადაცემასა და გადანაწილებას ბოჭკოებს შორის. გარდა ამისა, კომპოზიციური მასალები, სადაც გამოყენებულია მაღალმტკიცე და მაღალი

მოდულის მქონე ბოჭკოები და მსუბუქი მატრიცა, მაღალი კუთრი სიმტკიცითა და სიხისტით ხასიათდება.

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ნაკეთობის მუშაობის უნარიანობა კონკრეტულ საექსპლუატაციო გარემოს პირობებში ხასიათდება ისეთი საკონსტრუქციო კრიტერიუმებით, როგორიცაა სიმტკიცე ($\sigma_{\text{აქ}}, \sigma_{0,2}$), სიხისტე (E), პლასტიკურობა (δ, ψ), დარტყმითი სიბლანტე ($\alpha_{\text{ნა}}$), ციკლური ხანგამდლეობა. სიმტკიცისა და პლასტიკურობის მახასიათებლები კარგად არის შეხამებული წვრილმარცვლოვანი აგებულების ლითონებში და მაღალდისპერსიული ფხვნილებით მიღებულ ნაკეთობებში. აქედან გამომდინარე, მაღალი საკონსტრუქციო თვისებების უზრუნველყოფის ძირითად მეთოდს მიეკუთვნება სტრუქტურის ჩამოყალიბების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მეტად წვრილმარცვლოვანი აგებულების სტრუქტურების მიღებას. ამის შესაძლებლობას იძლევა კრისტალიზაციის პროცესის ისეთნაირად წარმართვა, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება ჩანასახთა (კრისტალიზაციის ცენტრების) წარმოქმნის დიდი და კრისტალების ზრდის დაბალი სიჩქარეების ურთიერთშეხამება. ასეთ პირობებში მეტად წვრილდისპერსიული ნაწილაკები ყალიბდება, რომლებიც რენტგენოსტრუქტურულად ამორფულ ფაზებს მიეკუთვნებიან. ნაწილაკის ზომები რამდენიმე ასეული ანგსტრემიდან ასეულ ნანომეტრამდე დიაპაზონში იცვლება. ასეთი განზომილების მქონე ნაწილაკების ფხვნილებს ულტრადისპერსიულ ან ნანოზომის ფხვნილებს უწოდებენ. ასეთი აგებულების მქონე უწყვეტი ფირის მიღება შესაძლობელია, აგრეთვე, დანაფარების ან ლენტის სახით.

ფირის სისქე და ფხვნილის დისპერსიულობის ხარისხი მზა ნაკეთობის პრაქტიკულად ყველა მახასიათებელზე (მექანიკურ, თბო, ელექტროფიზიკურ და მაგნიტურ) ახდენს გავლენას. ლითონურ ნანოგანზომილების ფაზებში შემჩნეულია, აგრეთვე, მექანიკური, ელექტრული, თბური, მაგნიტური, ოპტიკური და სხვა თვისებების უნიკალური შეხამება. მაგალითად, თხელ ფირებში ან ნაწილაკებში, რომელთა ზომა 1000\AA -ის რიგისაა, დაფიქსირებულია სიმტკიცის მახასიათებლების ზრდა, მათი ზედაპირის სრულყოფილებისაგან დამოუკიდებლად. ამის ახსნა შესაძლებელია იმ მოსაზრებით, რომ აგრეგატების მცირე ზომები არ არის საკმარისი დისლოკაციების ჩასახვისა და განვითარებისათვის. უფრო მეტიც, თუ დისლოკაცია ფირის ზრდის პროცესში წარმოიქმნება, იგი არ გამოიწვევს დეფორმაციას. 1500 - 2000\AA ზომის ფორებშიც კი არ ხდება დისლოკაციის გადაადგილება 1% -მდე დრეკადი დაფორმაციის პირობებში. რაც უფრო დისპერსიულია ფხვნილი, მით უფრო მკვრივი

და მტკიცე შეცხობილი ნაკეთობა მიიღება, ფხვნილთა შეცხობის ტემპერატურა კი მნიშვნელოვნად იწევს დაბლა სტანდარტულ გრანულომეტრულ ფხვნილებთან შედარებით. სპილენძისა და ოქროს ფხვნილების დაწნებითა და შეცხობით დამზადებულ ნიმუშებში, სადაც ფხვნილების მარცვლის ზომა 1 მკმ-ს არ აღემატება, ნიმუშის სიმტკიცე თეორიულს უახლოვდება.

ასე გაჩნდა ჯერ ნანოკრისტალური მასალები, შემდეგ – ნანოსტრუქტურული, ნანოფაზური, ნანოკომპოზიტური და ა.შ ტერმინები. ყველასათვის ცნობილი მიკრონაწილაკების გარდა მატერიის შესახებ, ჩვენს შემუცნებაში, გაჩნდა ნანონაწილაკები – ნივთიერების უწვრილესი მტვერი. მათი დასახელება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ჯუჯა“. ეს თითქოს მიგვანიშნებს ნაწილაკების მინიატურულ ზომებზე, რომელთაც ზღაპრული თვისებები ახასიათებთ. ნანოტექნოლოგიების შესწავლა და გამოყენება საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების საგანი გახდა. მათ უკვე მოასწრეს ეჩუქებინათ კაცობრიობისათვის ფანტასტიკური თვისებების მასალები და დანაფარები მატერიალური წარმოების და მეცნიერული ძიების ყველა დარგში.

II თავი. ბარემოს ბავლენა საპონსტრუქციო მასალის თვისებებზე

1. მაღალი ტემპერატურები


ტემპერატურის მატება არსებით გავლენას ახდენს საკონსტრუქციო მასალის სტრუქტურასა და თვისებებზე: მცირდება სიმტკიცე, იზრდება პლასტიკურობა, უფრო ინტენსიურად იწყებს მიმდინარეობას ჟანგვის პროცესები.

მასალებში სიმტკიცის მახასიათებლების შემცირების ხარისხი ტემპერატურის მატებისას არაერთგვაროვანია. სიმტკიცის ვარდნა და პლასტიკურობის ზრდა დაკავშირებულია ატომთა შორის კავშირების შემცირებასთან, გაკანსიების რიცხვისა და წერტილოვანი დეფექტების ძვრადობის და დიფუზიის ინტენსიურობის გაზრდასთან. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ცვლის დიოთონის საწყის სტრუქტურასა და თვისებებს.

მაღალი ტემპერატურა თითქოს და დამატებით „თავისუფლების ხარისხს“ ანიჭებს დისლოკაციებს, რის გამოც მათი გადაადგილება გადაცოცების გზით მიმდინარეობს. შეინიშნება, აგრეთვე, დისლოკაციების ანიპილაცია და გადანაწილება, ანუ ინგრევა თავდაპირველი დისლოკაციური სტრუქტურა.

ტემპერატურის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვიოს, რასთანაც დაკავშირებულია თერმული დამუშავების გზით განპირობებული განმტკიცების ეფექტისა და ცივჭედვით მინიჭებული სიმტკიცის მახასიათებლების კარგვა (პირველ შემთხვევაში გადაჯერებული მყარი ხსნარის დაშლა, განმამტკიცებელი ფაზების კოაგულაცია და გახსნა, ხოლო მეორე შემთხვევაში – გამობრუნებისა და რეკრისტალიზაციის პროცესების მიმდინარეობა).

მაღალი ტემპერატურა განაპირობებს მარცვლის საზღვრების სიმტკიცის უფრო ინტენსიურ კარგვას მარცვალთან შედარებით. t₀ თანაბარსიმტკიცის ტემპერატურის ქვემოთ (სურ. №6) ნაკეთობის რდვევა მარცვლის მოცულობაში მიმდინარეობს, რადგან მარცვალი ნაკლებად მტკიცეა. t₀ ტემპერატურის ზემოთ კი რდვევის ხასიათი იცვლება და იგი მარცვლის საზღვრებში ვითარდება. ამის მიზეზია აღნიშნულ უბნებში თავმოყრილი ადვილდნობადი მინარევები, რის გამოც ტემპერატურის გავლენით საზღვრების სიმტკიცე მარცვლის სიმტკიცეზე დაბალი აღმოჩნდება. აქედან გამომდინარე, მაღალტემპერატურულ არეებში საექსპლუატაციოდ შენადნობი უნდა იყოს მსხვილმარცვლოვანი აგებულების, რადგან ასეთი სტრუქტურის ლითონში საზღვრების ჯამური სიგრძე ნაკლებია, უფრო სუსტად არის მათში გამოხატული ცოცვადობა და დიფუზური გადატანის პროცესები.



სურ. №6. ტემპერატურის გავლენა რეგენას ხასიათზე

1. მარცვლის საზღვრის სიმტკიცე,
2. მარცვლის სიმტკიცე.

ზრდას განაპირობებს. ასეთი კანონზომიერება შეინიშნება ტემპერატურის თითქმის $77K$ -მდე შემცირებისას; მის ქვემოთ კი დრეგადობის მოდულის ზრდის ინტენსიურობა მცირდება და აბსოლუტური ნულის მახლობლობაში აღარ მუდავნდება. პრაქტიკაში მიღებულია, რომ ტემპერატურის $1 K$ -ით შემცირება დრეგადობის მოდულს $0,03\%-ით$ ზრდის.

ტემპერატურის შემცირებასთან ერთად მასალების უმრავლესობაში დენადობის ზღვარი იზრდება. ეს კანონზომიერება განსაკუთრებით მიესადაგება სივრცით დაცენტრებული კუბური და მჭიდრო ჰექსაგონური გისოსის მქონე ლითონებს. გაორების წილი საერთო დეფორმაციაში მატულობს. წახნაგდაცენტრებული კუბური გისოსის მქონე ლითონებში, თუ ისინი მინარევების მცირე რაოდენობას შეიცავს, სუსტად არის გამოხატული დენადობის ზღვრის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, თუმცა იზრდება სიმტკიცის ზღვარი, ხოლო პლასტიკურობა მაღალ დონეზეა შენარჩუნებული. ამით აიხსნება მათი მუშაობის საიმედოობა საკმაოდ დაბალ ტემპერატურებზე.

სივრცით დაცენტრებული კუბური გისოსის მქონე ლითონების პლასტიკურობას მინარევების კონცენტრაცია, უპირველეს ყოვლისა, ჩანერგილი ატომების რაოდენობა განსაზღვრავს. მაგალითად, თუ წახნაგდაცენტრებული კუბური გისოსის მქონე ლითონები ნაკლებ მგრძნობიარეა მინარევების მიმართ ($1\%-მდე$ მათი შემცველობის შემთხვევაში), სივრცით დაცენტრებული კუბური გისოსის მქონე ლითონები მყიფე მდგომარეობაში მეასედი და მეათასედი პროცენტი ჩანერგილი მინარევების შემცველობის შემთხვევაშიც კი გადადის.

ტემპერატურის ზრდა აადვილებს ცოცვადობის პროცესს, ამცირებს დამყარებული ცოცვადობის სტადიის ხანგრძლივობას და აჩქარებს რდევას.

2. დაბალი ტემპერატურები


ლითონთა მექანიკური თვისებები დაბალ ტემპერატურაზე მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ტემპერატურის შემცირებისას მცირდება ატომთმორისი მანძილები, რაც დრეგადობის მოდულის გაზრდას განაპირობებს. ასეთი კანონზომიერება შეინიშნება ტემპერატურის თითქმის $77K$ -მდე შემცირებისას; მის ქვემოთ კი დრეგადობის მოდულის ზრდის ინტენსიურობა მცირდება და აბსოლუტური ნულის მახლობლობაში აღარ მუდავნდება. პრაქტიკაში მიღებულია, რომ ტემპერატურის $1 K$ -ით შემცირება დრეგადობის მოდულს $0,03\%-ით$ ზრდის.

ტემპერატურის შემცირებასთან ერთად მასალების უმრავლესობაში დენადობის ზღვარი იზრდება. ეს კანონზომიერება განსაკუთრებით მიესადაგება სივრცით დაცენტრებული კუბური და მჭიდრო ჰექსაგონური გისოსის მქონე ლითონებს. გაორების წილი საერთო დეფორმაციაში მატულობს. წახნაგდაცენტრებული კუბური გისოსის მქონე ლითონებში, თუ ისინი მინარევების მცირე რაოდენობას შეიცავს, სუსტად არის გამოხატული დენადობის ზღვრის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, თუმცა იზრდება სიმტკიცის ზღვარი, ხოლო პლასტიკურობა მაღალ დონეზეა შენარჩუნებული. ამით აიხსნება მათი მუშაობის საიმედოობა საკმაოდ დაბალ ტემპერატურებზე.


სივრცით დაცენტრებული კუბური გისოსის მქონე ლითონების პლასტიკურობას მინარევების კონცენტრაცია, უპირველეს ყოვლისა, ჩანერგილი ატომების რაოდენობა განსაზღვრავს. მაგალითად, თუ წახნაგდაცენტრებული კუბური გისოსის მქონე ლითონები ნაკლებ მგრძნობიარეა მინარევების მიმართ ($1\%-მდე$ მათი შემცველობის შემთხვევაში), სივრცით დაცენტრებული კუბური გისოსის მქონე ლითონები მყიფე მდგომარეობაში მეასედი და მეათასედი პროცენტი ჩანერგილი მინარევების შემცველობის შემთხვევაშიც კი გადადის.

მყიფე რდგევისადმი მიღრეკილების თვალსაზრისით, მჭიდრო პექსაგონური გისოსის მქონე ლითონებს შუალედური მდგომარეობა უკავიათ სდკ და წდკ ლითონებს შორის.

№7 სურათზე წარმოდგენილია დენადობის ზღვრის დამოკიდებულება პომოლოგიურ (დაყვანილ) ტემპერატურაზე (ნიმუშის გამოცდის ტემპერატურის შეფარდება ლითონის დნობის ტემპერატურასთან) წდკ, სდკ და მკ გისოსის მქონე ლითონებისათვის. როგორც დიაგრამიდან გამომდინარეობს, წდკ ლითონებში (Al, Ni) დენადობის ზღვრის მნიშვნელობა სუსტად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე, სდკ



სურ. №7. დენადობის ზღვრის დამოკიდებულება დაყვანილ ტემპერატურაზე.



სურ. №8. ლითონის გადასკლა პლასტიკური მდგომარეობიდან (I) მყიფე მდგომარეობაში (II)

1. წინააღმდეგობა გაგლეჯაზე,
2. დენადობის ზღვარი.

(V, Nb, Ta, Fe) და მკ (Ti) მქონე ლითონებისა – იზრდება ტემპერატურის შემცირებისას. ამასთანავე პირველ მათგანში ცვლილების ტემპი მნიშვნელოვნად მაღალია. ტემპერატურის გავლენას რდგევის ხასიათზე №8 სურათზე წარმოდგენილი სქემა ასახავს. როგორც მრუდეთა ხასიათიდან გამომდინარეობს, ტემპერატურის შემცირებასთან ერთად დენადობის ზღვრის ცვლილება უფრო მნიშვნელოვანია ლითონის გაგლეჯაზე (მოწყვეტაზე) წინააღმდეგობასთან შედარებით. t_{γ} ტემპერატურაზე (გამყიფების კრიტიკული ტემპერატურა) მრუდები იკვეთება. როდესაც $t > t_{\gamma}$, ლითონის რდგევა ბლანტი ხასიათისაა, რადგან ძაბვა თავდაპირველად იმ მნიშვნელობას აღწევს, რომელიც დენადობის ზღვარს შეესაბამება და ლითონში პლასტიკური დეფორმაცია იწყება. როდესაც $t < t_{\gamma}$, მყიფე რდგევა მიმდინარეობს, რადგან ამ შემთხვევაში მოდებული ძაბვა სწრაფად აღწევს გაგლეჯაზე წინააღმდეგობის ზღვარს. ასეთ პირობებში ლითონის მთლიანობა პლასტიკური დეფორმაციის გარეშე ირდგევა.

ტემპერატურას, რომელზეც ხდება ბლანტი რღვევიდან მყიფე რღვევაში გადასვლა, ცივტეხადობის ზღურბლი ეწოდება. ცივტეხადობის ზღურბლის მდებარეობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. სტრუქტურის დაწვრილმანება ადაბლებს ცივტეხადობის ზღურბლს, ხოლო დეფექტების კონცენტრაციის გაზრდით იგი მაღლდება. ჩანერგილი მინარევები ზოგიერთ ლითონში (W, Mo, Cr) არსებითად ზრდის t_{50} (ტემპერატურა, რომელზეც განვითარებულ ტეხილში 50% ბლანტი რღვევის შემდგნია, 50% - მყიფე რღვევისა). დეფორმაციის სიჩქარის გაზრდა და მასშიცაბური ფაქტორი, ასევე, ამაღლებს ცივტეხადობის ზღურბლს.

ნგრევის ერთი სახის შეცვლა მეორით დენადობის ზღვრისა (სდენ.) და მრღვევი ძაბვის (სარლ) ურთიერთშეფარდებით განისაზღვრება. დენადობის ზღვარი გამოითვლება ფორმულით:

$$\sigma_{დენ} = \sigma_0 + kd^{-1/2}, \quad (1)$$

სადაც σ_0 არის კრისტალური გისოსის ხახუნის ძაბვა;

k - მუდმივა;

d - მარცვლის დიამეტრი.

კრისტალური გისოსის ხახუნის ძაბვა ტემპერატურაზეა დამოკიდებული და შემდეგი თანაფარდობით განისაზღვრება:

$$\sigma_0 = b e^{\beta T}, \quad (2)$$

სადაც b და β მუდმივი სიდიდეებია.

მრღვევი ძაბვა გამოითვლება დამოკიდებულებიდან:

$$\sigma_{მრღ} = (4G\gamma d^{-1/2})/k, \quad (3)$$

სადაც G არის ძვრის მოდული;

γ - რღვევის ეფექტური ზედაპირული ენერგია;

d - მარცვლის დიამეტრი;

k - მუდმივა.

როგორც პირველი და მეორე დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, ტემპერატურის შემცირებით გისოსის ხახუნის ძაბვა და, აქედან გამომდინარე, დენადობის ზღვარიც, მკვეთრად იზრდება მაშინ, როდესაც მრღვევი ძაბვა ტემპერატურაზე არსებითად არ არის დამოკიდებული.

რღვევის სიბლანტე (K_{IC}) დაკავშირებულია ლითონის სიმტკიცის მახასიათებლებთან. საშუალო და დაბალი სიმტკიცის მასალები, მაღალმტკიცე მასალებთან შედარებით, ოთახის ტემპერატურაზე K_{IC} -ს მაღალი მნიშვნელობით ხასიათდება. ტემ-

პერატურის შემცირებისას სიტუაცია განსაკუთრებით იცვლება სდკ და მჴ გისოსის მქონე შენადნობებში – მათი სიმტკიცე მატულობს და გარკვეულ პირობებში საშუალო და დაბალი სიმტკიცის მასალებშიც მუდავნდება მიდრეკილება მყიფე რღვევისადმი (ისევე, როგორც მაღალი სიმტკიცის მასალებისათვის არის დამახასიათებელი). ტიტანის შენადნობებში და მაღალმტკიცე ფოლადებში kIC-ს მნიშვნელობა ტემპერატურის შემცირებასთან ერთად მცირდება, ხოლო ალუმინის შენადნობები რღვევის მაღალ სიბლანტეს აბსოლუტური ნულის მახლობლობაშიც კი ინარჩუნებენ.

3. კოროზიულად აქტიური არეები

გარემოს ზემოქმედებით ლითონების საექსპლუატაციო თვისებები მკვეთრად შეიძლება გაუარესდეს, მის ზედაპირზე ხილული ცვლილებების მიმდინარეობის გარეშე. ზოგჯერ კოროზიის პროდუქტების კვალიც შეინიშნება. კოროზიას უწოდებენ მასალის თავისთავად ნგრევას, გარემოსთან მისი ქიმიური ან ელექტროქიმიური ურთიერთქმედების შედეგად. სამუშაო გარემო ყოველთვის შეიცავს საკონსტრუქციო მასალის მიმართ რამდენიმე აგრესიულ ნივთიერებას და კოროზიის სტიმულატორებს.

მოქმედების მექანიზმის მიხედვით არჩევენ ქიმიურ და ელექტროქიმიურ კოროზიას. ქიმიური კოროზია ვითარდება გაზრდილ და მაღალ ტემპერატურებზე, ლითონების ურთიერთქმედებით მშრალ აირებთან – ჰაერთან, ნახშირმჟავა აირთან, მშრალი წყლის ორთქლთან, ჟანგბადთან, წვის პროდუქტებთან (აირული კოროზია) ან არაელექტროლიტებთან – ბენზოლთან, სპირტთან, ნახშირწყლებთან, თხევად საწვავთან (კოროზია არაელექტროლიტებთან). ელექტროქიმიური კოროზია ვითარდება ელექტროლიტების ზემოქმედებით, როდესაც ნივთიერების წყალხსნარები ან ნალღობები მოძრავ იონებს (ანიონებსა და კატიონებს) შეიცავს და ელექტრულ დენს ატარებს. ასეთ გარემოს მიეკუთვნება ტენიანი ჰაერის ატმოსფერო (ატმოსფერული კოროზია), წყალი, მათ შორის მდინარისა და ზღვის წყალი, მუვები, ტუტები, მარილები, გამაცივებელი სითხეები და ა.შ (კოროზია სითხით).

აირულ კოროზიას განიცდის საფრენი აპარატებისა და ძრავის დეტალების უმრავლესობა. ეს არის შემონაკერი, ეკრანი, მიმწოდები, რომლებიც ჰაერის აეროდინამიკური წინააღმდეგობის გამო მაღალ ტემპერატურამდე ხურდებიან; ტურბინისა და საქშენი აპარატის თათები, საცეცხლე მილები, რეაქტიული ძრავის სარქველები და ა.შ. საავიაციო ძრავების ცხელი ტრაქტისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს აირული კოროზიის ნაირსახეობა – მარილიანი კოროზია, რომელიც იმ შემთხვევა-

ში ვითარდება, როდესაც აირადი გარემო ზოგიერთი ლითონის მარილს, უმეტეს შემთხვევაში, ნატრიუმის მარილს და ნატრიუმის, გოგირდისა და ვანადიუმის ოქსიდებს შეიცავს. ასეთი კოროზია დიდი სიჩქარით ვითარდება, რომელიც ტემპერატურის მატებასთან ერთად უფრო იზრდება.


ატმოსფერულ კოროზიას განიცდის კონსტრუქციის გარე დეტალები (შემონაკერი, გარსაცმი, შემომდენები, შასი), რომლებიც კოროდირებს ტენიანი ჰაერის, წვიმის, თრთვილის და ატმოსფეროს სხვა აგენტებით. სითხით კოროზია პიდრავლიკური, გამაცივებელი, გაყინვის საწინააღმდეგო სისტემებისათვის, რაც არღვევს მათი ნორმალური მუშაობის პირობებს კოროზიის პროდუქტებით დაჭუჭუიანების გამო და აუარესებს თხევადი გარემოს მუშა მახასიათებლებს.

ყველა კოროზიული პროცესი თავისთავად მიმდინარეობს, რადგან კოროზიის პროდუქტები თერმოდინამიკურად უფრო მდგრადია, ვიდრე ის ლითონები, რომლის-განაც ისინი წარმოიქმნებიან. კოროზიულ არეში ტემპერატურისა და ჟანგბადის წნევის გაზრდით პროცესის სიჩქარე იზრდება, რადგან მატულობს ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის, დიფუზიისა და აგრესიული არის კომპონენტების ლითონში სხიადობის სიჩქარეები.

კოროზიის დროს რღვევის პროცესი ყოველთვის ზედაპირზე, ნელი სიჩქარით იწყება და თანდათან ნაკეთობის შიგნით აღწევს. ანსხვავებენ თანაბარ კოროზიას, რომელიც ერთი და იგივე სიჩქარით მიმდინარეობს აგრესიულ არეში მოთავსებული ნაკეთობის მთელ ზედაპირზე და ლოკალურს, რა დროსაც პროცესში ჩართულია ნაკეთობის რაღაც უბანი (სურ. №9). ამ უკანასკნელის სახესხვაობებია: კოროზია ლაქებით, წყლულოვანი, წერტილოვანი, კრისტალოშორისი და შერჩევითი კოროზია. ლოკალური კოროზიის კერას ძაბვების კონცენტრატორები წარმოადგენენ. ისინი ხელს უწყობენ ბზარის წარმოქმნასა და განვითარებას, განსაკუთრებით ძაბვების ციკლური ცვალებადობის პირობებში. ეს საგრძნობლად ამცირებს ნაკეთობის საიმედოობას და ხანმედეგობას. თანაბარი კოროზია მაქსიმალურ ზიანს აუქნებს საფრენ აპარატებს, რაც განაპირობებს ლითონის მასის შეუქცევად კარგვას.

კოროზიას ძაბვის ქვეშ უწყოდებენ რღვევის ისეთ სახეს, რომელიც კოროზიული გარემოსა და გამჭიმავი ძაბვების ერთდროული ზემოქმედებით მიმდინარეობს და მისი სიდიდე არ აღემატება $\sigma_{0,2}$. ძაბვა ხელს უწყობს საერთო კოროზიისა და კოროზიული დაბზარვის ინტენსიურად განვითარებას, ნაკეთობის სიღრმეში თხელი ბზარების ჩასახვისა და გავრცელების გზით.

მასალა, რომელსაც ძაბვის ქვეშ კოროზიისადმი მიღრეკილება გააჩნია, კარ-



სურ. №9. ლითონის ლოკალური კოროზიის სახეები:
 α – კოროზია ლაქებით ($d>h$), β – წყლულოვანი ($d=h$),
 γ – წერტილოვანი ($d<h$), δ – კრისტალთშორისი.

საერთო კოროზიამედეგობის მიუხედავად, შეიძლება სწრაფად დაირღვეს. ამიტომ, კოროზიის ეს სახე ლითონური კონსტრუქციებისათვის მეტად სახითოა.

კრისტალთშორისი კოროზიის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვითარდება ნაკეთობის მოცულობაში (მარცვლის საზღვრებზე), იწვევს სიმტკიცისა და პლასტიკურობის კარგვას და, როგორც შედეგი, ნაკეთობის მწყობრიდან ადრე გამოსვლას.


კოროზიის შეფასება ხდება მასის კუთრი დანაკარგებით დროის ერთეულში ან მასალის სისქის ცვლილებით დროის მიხედვით. ლოკალური კოროზიის შემთხვევაში რდვევის ხარისხს არაპირდაპირი მეთოდით – ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ცვლილების ინტენსიურობით განსაზღვრავენ.

ქიმიურ კოროზიას საფუძვლად უანგვითი პროცესები უდევს, რომელთა პროდუქტებს ქიმიური ნაერთები წარმოადგენენ. უანგბადის შემცველ გარემოში აირულ კოროზიას თან ახლავს ლითონის ზედაპირზე ოქსიდური ფირის წარმოქმნა, რომელსაც შეუძლია ლითონის შემდგომი უანგვა მეტ-ნაკლებად შეასუსტოს. უწყვეტი, მკვრივი ოქსიდური ფირი, თუ იგი კარგი შეჭიდულობით ხასიათდება ფუძეშრესთან, ხელს უშლის მორეაგირე ელემენტების შეღწევას ლითონის შემდგომ ფენებში და უანგვის პროცესი წყდება.

ქიმიური კოროზია შეიძლება შემზეთმა მასალებმაც გამოიწვიოს, რომლებიც სხვადასხვა მექანიზმებში გამოიყენება. თავად შემზეთი მასალები ლითონზე უარყოფითად არ მოქმედებს, მაგრამ ტემპერატურის, წნევის, ხახუნის, უანგბადისა და

ლითონების კატალიზური მოქმედების შედეგად ზეთი შეიძლება დაიშალოს ორგანული მჟავების, ალდეგიდების, ზეჟანგის და სხვა აქტიური პროდუქტების გამოყოფით, რომლებიც ლითონისა და შენადნობების კოროზიას გამოიწვევენ.

ელექტროქიმიურ კოროზიას საფუძვლად უდევს ლითონების ელექტროქიმიური ურთიერთქმედების პროცესები, ელექტროლიტური არის მონაწილეობით. ელექტროლიტურ არეში სხვადასხვაგვარი ლითონების კონტაქტის შემთხვევაში, კოროზიული წყვილის (არსებითად გაღვანეური ელემენტების) წარმოქმნის გამო, იწყება შედარებით უარყოფითი ელექტროდული პოტენციალის მქონე ლითონის გახსნა (იგი ანოდს წარმოადგენს). კათოდის როლს ან მეორე ლითონი ასრულებს, ან ელექტროლიტის მოლექულები, რომლებსაც აღდგენა შეუძლია. დამცავი დანაფარის შესარჩევად აუცილებელია აგრესიული არის შედგენილობისა და ლითონის ზედაპირზე წარმოქმნილი ქიმიური კოროზიის პროდუქტების თვისებების ცოდნა. მიკროგაღვანეური წყვილების წარმოქმნის ასაცილებლად ლითონის სტრუქტურა ერთფაზა (სუფთა ლითონები ან მყარი სსნარები), ერთგვაროვანი უნდა იყოს. პეტეროვაზური შენადნობის კოროზიის სქემა №10 სურათზეა წარმოდგენილი.



სურ. №10. მჟავაში პეტეროვაზური შენადნობის კოროზიის სქემა

თერმული დამუშავება ცვლის შენადნობის აგებულებას და, აქედან გამომდინარე, მის კოროზიამედეგობას. ისეთი სახის თერმული დამუშავება, რომელსაც ერთფაზა სტრუქტურის ჩამოყალიბებამდე მივყავართ, ზრდის კოროზიულ მედეგობას. მაგალითად, უჟანგავი ფოლადის წრთობა, რაც განაპირობებს ერთგვაროვანი მყარი სსნარის (აუსტენიტის) მიღებას.

პლასტიკური დეფორმაცია აუარესებს კოროზიულ მედეგობას, რადგან იგი სტრუქტურაში ან დეტალის ცალკეულ უბნებში დაძაბულობათა გრადიენტის წარმოქმნას იწვევს. ყველაზე ხშირად სწორედ კოროზიული დაბზარვა წარმოადგენს კოროზიული არის, პლასტიკური დეფორმაციისა და შიგა დაძაბულობების ერთობლივი ზემოქმედების შედეგს. დაძაბულობის მოსახსნელად დაბალ მოშვებას ატარებენ, რომელიც ლითონის მექანიკური თვისებების გაუარესებას არ იწვევს.

ელექტროქიმიური კოროზიის აცილება ან უარყოფითი შედეგის შემცირება შესაძლებელია:

- კონტაქტში მყოფი ლითონებისა და შენადნობების რაციონალური შერჩევით კონკრეტული დატვირთვებისა და გარემოს ზემოქმედების პირობების გათვალისწინებით;
- დამცავი დანაფარების გამოყენებით, რომელიც მასალას კოროზიული გარემოსაგან გაამხოლოებს;
- ელექტროქიმიური დაცვით, რაც ელექტრული დენით კოროზიული პოტენციალის რეგულირებით ხდება.

შენადნობების ელექტროქიმიური კოროზიისადმი მდგრადობის ამაღლების მეტალურგიული მეთოდები ისეთი ელემენტებით ლეგირებაში მდგომარეობს, რომელიც ნაკეთობის ზედაპირზე დამოუკიდებლად ან ფუძელითონთან ერთად დამცავ ფირებს წარმოქმნის; ამაღლებს შენადნობის ელექტროქიმიურ პოტენციალს საკონტაქტო აგრესიულ არეში, აგრეთვე, ხელს უწყობს ისეთი მიკროსტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც კოროზიულ რღვევას არ განიცდის. მაგალითად, ნახშირბადიან ფოლადებში კოროზია განპირობებულია რკინის ელექტროდული პოტენციალის უარყოფითი მნიშვნელობით და მიკროსტრუქტურის თავისებურებით. კოროზიისაგან მათი დაცვის უფექტურ საშუალებას ქრომითა და ნიკელით ლეგირება წარმოადგენს.

4. წყალბადის, წყლისა და წყლის ორთქლის გარემო

საავიაციო და კოსმოსური ტექნიკის საექსპლუატაციო აირადი გარემოს უმრავლესობა, გარდა ჟანგბადისა, წყალბადს, ნახშირბადის ოქსიდებს, წყლის ორთქლს და სხვა აგრესიულ კომპონენტებს შეიცავს. კერძოდ, წვის პროდუქტებს, რომელთა უმნიშვნელო რაოდენობით არსებობაც კი ახდენს გავლენას კოროზიის მიმდინარეობაზე. ასეთი კომპონენტები პრაქტიკულად მაღალტემპერატურულ, ჟანგბადის შემცველ აირად ნაკადში ორთქლის სახით იმყოფება. ისინი ლითონის ზედაპირზე სხვადასხვა ნაერთების სახით (K_2SO_4 , Na_2SO_4 და ა.შ) კონდენსირდება, რის შედეგადაც ხდება ქიმიური ჟანგვის პროცესის გადასვლა ე.წ. მაღალტემპერატურულ ელექტროქიმიურ კოროზიაში და კოროზიის მექანიზმის რადიკალურ შეცვლას განაპირობებს.

ჰაერი ფართოდ გამოიყენება საწვავის წვის პროცესში, როგორც ქიმიური რეაგენტი. ამასთანავე, მისი უფექტურობა ჟანგბადით გამდიდრების გზით იზრდება. ჰაერის ძირითად აგრესიულ მდგენელს სწორედ ჟანგბადი წარმოადგენს, რომელიც ლითონებისა და შენადნობების მაღალტემპერატურულ აირულ კოროზიას იწვევს. აზოტი ნაკლებად სახიფათოა, რადგან ლითონის ზედაპირზე წარმოქმნილი ოქსი-

დური ფირი აზოტისათვის პრაქტიკულად გაუმტარია. გამონაკლისს გაფაშრებული ხენჯი წარმოადგენს, რომლის გავლითაც აზოტი ლითონის ზედაპირამდე აღწევს, რეაგირებს მასთან და გამყიფებას იწვევს.

წყალი, ტენიანი ჰაერი და წყლის ორთქლი ნეიტრალურ არეს (H^+ და OH^- იონების კონცენტრაცია დაახლოებით თანაბარია) მიეკუთვნება. მაგრამ, თუ მათში მარილები და აირებია (CO_2 , SiO_2 , აზოტის ოქსიდი) გახსნილი, შეიძლება როგორც ტუტე (OH⁻-ის გაზრდის შემთხვევაში), ისე მჟავე (H^+ -ის გაზრდის შემთხვევაში) არებად გადაიქცეს. ასეთ ელექტროლიტებს შეუძლია გახსნან ლითონის ზედაპირზე წარმოქმნილი კოროზიის პროდუქტების დამცავი ფირი და მკვეთრად დააჩქაროს კოროზიული პროცესები. აღნიშნულ არებში აირული კოროზია მაღალ ტემპერატურაზე ძლიერდება. რადგან წყალში და წყლის ორთქლში აგრესიულ რეაგენტებს წარმოადგენს როგორც ჟანგბადი, ისე წყალბადი, მაღალტემპერატურული ქიმიური ჟანგვა ელექტროქიმიური კოროზიის პარალელურად მიმდინარეობს.


H_2-H_2O ატმოსფეროში ჟანგვის სიჩქარე, ჟანგბადის დაბალი პარციალური წნევის გამო, მასალების უმრავლესობისათვის (ნიკელი, რკინა და მათი შენადნობები) უფრო დაბალია, ვიდრე ჰაერზე. ზოგიერთი შენადნობი კი (ვანადიუმის შემცველი უხვადლეგირებული ფოლადები და შენადნობები) საერთოდ არ ხასიათდება წყლის ორთქლში ჟანგვისადმი მიდრეკილებით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წყლის ორთქლის დაჭუჭუიანება სხვადასხვა რეაგენტით (Na_2SO_4 , $NaOH$, $NaCl$) მრავალჯერ ზრდის კოროზიის სიჩქარეს.

ლითონები, რომლებსაც წყალბადთან შედარებით უარყოფითი სტანდარტული პოტენციალი გააჩნია, კოროზიას ჟანგბადით გამდიდრებულ წყალში ან ტენიან გარემოში განიცდის. ლითონიდან ხსნარში გადასული იონები ურთიერთქმედებს OH^- ჰიდროქსილ-იონებთან და წყალში უხსნად ჰიდროქსილებს – ჟანგს წარმოქმნის. რკინის ელექტროლიტური ჟანგვის სქემა ასეთია:



რკინის ჰიდროქსილი $Fe(OH)_2$ წყალში გახსნილი ჟანგბადის თანაობისას $Fe(OH)_3$ -ად გარდაიქმნება. რადგან რკინის იონები $Fe(OH)_3$ უხსნად ნაერთშია დაკავებული, წონასწორული პოტენციალის მიღწევა შეუძლებელი ხდება და კოროზია ლითონის სრულ გახსნამდე მიმდინარეობს.

ლითონებს აქვს წყლის აღდგენის უნარი:



წარმოქმნილი წყალბადი ლითონში იხსნება და ამყიფებს მას. დაწყალბადი-

ანება მთელ რიგ ლითონებში, მაგალითად, ტიტანში, ცირკონიუმში და ზოგიერთ შენადნობში, კოროზიული დაბზარვის განსაკუთრებულ სახეს განაპირობებს, რომელსაც წყალბადური სიმყიფე ეწოდება. ეს განპირობებულია ლითონის მიკროფორებში წყალბადის ატომების თავმოყრის გამო, გაზრდილი წნევის ზონების წარმოქმნით.

მრავალი ლითონის მიდრეკილება აირად არესთან რეაქციისადმი, მათ შორის წყალბადთან, დიდ პრობლემებს ქმნის მათი მიღების, დამუშავებისა და მაღალ ტემპერატურულ პირობებში ექსპლუატაციისადმი. წყალბადური სიმყიფის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად მეთოდებს წარმოადგენს:

- ისეთი ინპიბიტორების (ნივთიერება, რომელიც ანელებს ქიმიურ პროცესს) გამოყენება, რომლებიც ამცირებენ წყალბადის ხსნადობის ზღვარს ლითონში;
- ალტერნატიული ტექნოლოგიების შერჩევა, რომელიც შეცვლის კოროზის მექანიზმს წყალბადის გამოყოფით;
- გაუწყალბადოების მიზნით ლითონის მოწვა ვაკუუმში.

ლითონური კონსტრუქციების ელემენტებისათვის მეტად აგრესიულია საავიაციო-სარაკეტო საწვავის წვის პროდუქტები. აღნიშნულ ძრავებში საწვავად თხევადი და მყარი საწვავის (ნახშირწყალბადები, თხევადი წყალბადი, მეტალიზირებული საწვავი და ა.შ) მაღალენერგეტიკული ნარევი გამოიყენება, ხოლო დამუანგველად – ჰაერი, ჟანგბადი, ფტორი, აზოტმჟავა და ა.შ. გარდა მაღალტემპერატურული ჟანგვისა და წყალბადური სიმყიფის განვითარებისა, ძრავების აირდინამიკური ტრაქტის ლითონებისათვის დიდ საშიშროებას სულფიდური კოროზია წარმოადგენს. იგი წვის პროდუქტებში სულფიდური ნაერთების (SO_2 , H_2S და ა.შ) არსებობის შემთხვევაში ვითარდება. არანაკლებ სახიფათოა ე.წ. „ნაცროვანი კოროზია“, რომელიც მინერალური ნივთიერებების (ქლორიდების, სულფიდების, ოქსიდების, ვანადიუმის სულფატების, ტუტემიწათა ლითონებისა და ა.შ) არსებობით არის გამოწვეული. მათ წვის პროდუქტები შეიცავს აირად, თხევად თუ მყარ მდგომარეობაში. „ნაცროვანი კოროზიის“ მიმართ მდგრადობის ამაღლება შესაძლებელია:

- შენადნობის ლეგირებით ისეთი ელემენტებით, რომლებიც ზედაპირზე ოქსიდების, სულფიდების და ა.შ. დამცავ ფენას წარმოქმნის;
- ზედაპირზე სპეციალური დამცავი დანაფარის დატანით, რომელიც გაუმტარი იქნება გარემოს აგრესიული ელემენტებისათვის;
- სათბობის ინპიბიტორული დამუშავებით, რომელიც წვის პროდუქტებში ფენები აგრესიული შემდგენის წარმოქმნის შესაძლებლობას გამორიცხავს;

- სპეციალური კონსტრუქციული გადაწყვეტებით.

ლითონების უმრავლესობა კოროზიის მიმართ საკმაოდ მდგრადია შეზღუდულ გარემოში. მაგალითად, ნიობიუმი ხასიათდება მაღალი კოროზიული მედეგობით ჰაერზე, ჟანგბადში, წყალში, ამიაკში, აზოტმჟავაში და კიდევ სხვა არეაბში, ნორმალურ და მცირედ გაზრდილ ტემპერატურაზე, მაგრამ, არამდგრადია მლექი მჟავაში, ტუტებში და ფტორიდებში; კატასტროფულად ირლვევა ჟანგბადის შემცველ მაღალტემპერატურულ გარემოში, მათ შორის ჰაერზე. უჟანგავი ფოლადები მდგრადია ჰაერზე, წყლის ორთქლში, მრავალი სახის წვის პროდუქტებში 800-900°C-ზე, აგრეთვე მარილმჟავაში, მაგრამ აქვს მიდრეკილება გაუნახშირბადოების, წყალბადით გაჯერებისა და „ნაცროვანი“ და სულფიდური კოროზიის მიმართ. ამიტომ, მასალის შერჩევისას ტექნიკის მრავალფეროვანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია საცნობარო ლიტერატურის გამოყენება, საექსპლუატაციო (კოროზიული) გარემოს გათვალისწინებით.

5. რადიაციული დასხივება

მასალების რადიაციული დასხივება განპირობებულია დედამიწის გარშემო არსებული ძლიერი რადიაციული ველით. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის კორპუსკულური რადიაცია – დედამიწის მაგნიტური ველით წატაცებული ელექტრონები და პროტონები; კოსმოსური სხივები – მაღალი ენერგიის ნაწილაკები, რომელიც ჩვენამდე გალაქტიკის სიღრმიდან და სამყაროს სხვა სივრცეებიდან აღწევს; მზის კოსმოსური სხივები – ნაწილაკების ნაკადი, რომელიც გენერირდება მზეზე რადაც აფეთქებების შედეგად და ბოლოს, მზის ქარი – კორპუსკულების უწყვეტი ნაკადი (პროტონები, ა ნაწილაკები), რომელიც მზიდან გრცელდება და პლანეტათაშორის სივრცეს აგსებს.

დასხივების ზეგავლენით მასალა სტრუქტურულ ცვლილებებს განიცდის, რომელიც ექსპლუატაციის პროცესში მათი თვისებების არასასურველი მიმართულებით შეცვლას იწვევს. ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას ნეიტრონებით დასხივება ახდენს. α ნაწილაკების, პროტონებისა და, მით უმეტეს, მსუბუქი β ნაწილაკებისა და γ გამოსხივების ზემოქმედება სუსტია. აქედან გამომდინარე, მასალებს, რომლებსაც მუშაობა გამოსხივების პირობებში უწევს, რადიაციული მდგრადობა უნდა ახასიათებდეს. რადიაციული მდგრადობა გულისხმობს სტრუქტურისა და თვისებების სტაბილურად შენარჩუნებას დასხივების პირობებში.

რადიაციული ზემოქმედების ეფექტი ყველაზე ძლიერ წახნაგდაცენტრებული კუბური გისოსის მქონე ლითონებში ვლინდება. რადიაციული დასხივების შედეგად იზრდება წერტილოვანი და ხაზოვანი დეფექტების კონცენტრაცია, ვითარდება მიკროფორიანობა და სხვა სახის დაზიანებები; მიმდინარეობს ატომების იონიზაცია (ელექტრონების მოწყვეტა გარე ელექტრონული გარსიდან ან მათი გადაყვანა უფრო მაღალ ენერგეტიკულ დონეზე); აღიძვრება ხელოვნური რადიოაქტიურობა. ნაწილაკების პირველი შეჯახება კრისტალურ გისოსში განლაგებულ ატომებთან, მათ აღგზნებას და გადაადგილებას იწვევს, რადგან ნაწილაკებისაგან ისინი გარკვეულ დამატებით ენერგიას იძენენ. აღგზნების შედეგად იზრდება დასხივებული და მისი მეზობელი ატომების რხევითი მოძრაობა, რასაც თან სდევს კრისტალის მცირე მოცულობაში ტემპერატურის ლოკალური გაზრდა.

თუ ატომი ღებულობს რაღაც E_a ენერგიას, რომელიც მისი გადაადგილებისათვის საჭირო E_c ენერგიას აღემატება, იგი ტოვებს თავის რეგულარულ ადგილს და კრისტალური გისოსის კვანძებს შორის გადადის. რეგულარული მდგომარეობიდან კვანძებს შორის ატომის გადანაცვლება ე.წ. „ფრენკელის წყვილის“ (კვანძებს შორისი ატომისა და ვაკანსიების) გაჩენას იწვევს. E_a ენერგია, რომელსაც ნაწილაკი ატომს გადასცემს მასთან დრეკადი შეჯახებისას, ტოლია:

$$E_a = \frac{4EMm}{(M+m)^2} \quad (4)$$

სადაც E და m არის ნაწილაკების ენერგია და მასა,

M – ნაწილაკთან ურთიერთქმედებაში მოსული ატომის მასა.

ეს გამოსახულება სამართლიანია ისეთი ნაწილაკებისათვის, რომელთა მოძრაობის სიჩქარე სინათლის გავრცელების სიჩქარეს (მაგალითად, პროტონები და ნეიტრონები) არ აღმატება. წარმოდგენილი ფორმულიდან გამომდინარე, მძიმე ნაწილაკებით დასხივებამ კრისტალური გისოსის დეფექტების არსებითი ცვლილება უნდა გამოიწვიოს.

ისეთი ნაწილაკებით დასხივებისას, რომელთა მოძრაობის სიჩქარე სინათლის გავრცელების სიჩქარის თანაზომადია (ელექტრონები), ზემოთ წარმოდგენილი გამოსახულება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$E_a = \frac{2E(E+2mc^2)}{Mc^2} \quad (5)$$

სადაც m არის მშვიდი ელექტრონის მასა;

c - სინათლის გავრცელების სიჩქარე.

მე-4 და მე-5 გამოსახულება საშუალებას იძლევა დასხივების ის მინიმალური ენერგია გამოითვალის, რომელიც კრისტალურ გისოსში მდგრადი დეფექტების წარმოქმნას განაპირობებს.

დიდი ენერგიის მქონე მძიმე ნაწილაკებით დასხივების შემთხვევაში ატომების გადანაცვლებათა მთელი კასკადი წარმოიქმნება. სამიზნეს მასის გაზრდით მცირდება ატომების მეორეული გადანაცვლებათა რიცხვი და, აქედან გამომდინარე, ვაკანსიებისა და კვანძებსშორისი ატომების რაოდენობაც.

განსაკუთრებით ძლიერია ლითონებისა და შენადნობების თვისებებზე ნეიტრონების ზემოქმედება. ლითონში ნეიტრონების შედწევადობის უნარი დიდია, რადგან ისინი არ არის ელექტრული მუხტის მატარებელნი.

ნეიტრონებით ბომბარდირების შემთხვევაში ატომებთან შეჯახების ზონაში ტემპერატურული პიკები აღიძერება, რომელთა არსებობის ხანგრძლივობა $\tau=0,5 \times 10^{-11}$ წამს შეადგენს და ლოკალიზებულია $1-10\text{cm}$ დიამეტრის არეში. ეს არები რიგ შემთხვევაში გამდნარ, და შემდგომ პერიოდში, გამოკრისტალებულ ზონებს წარმოადგენს. ვოლფრამისა და მოლიბდენის ატომები, რომლებიც თერმული პიკის მოქმედების ზონაში იმყოფებიან, ვერ გადავა თხევად ფაზაში, თუთიასა და სპილენძში კი ლოკალური ნალეობი უბნების წარმოქმნის ალბათობა დიდია.

დამუხტული ნაწილაკების გავლა მყარ ტანში ინტენსიურ იონიზაციას და ატომთა აღგზებას იწვევს. ლითონებში იონიზაციის ეფექტი სწრაფად ნეიტრალიზდება გამტარობის ელექტრონებით, რის გამოც ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შეცვლა არ შეინიშნება. რადიაციული დასხივება ცვლის მექანიკურ და მაგნიტურ თვისებებს, კუთრ ელექტრონულობას და თბოგამტარობას.

ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი მოვლენა, რომელსაც რადიაციული დასხივება იწვევს, ლითონის გამყიფება და მისი ცივტეხადობის ზღურბლის ამაღლებაა. მაგალითად, ნეიტრონებით დასხივების შემდეგ მოლიბდენის ცივტეხადობის ზღურბლი $50-100\text{K}$ -ით იზრდება. ერთდროულად მცირდება დარტყმითი სიბლანტის აბსოლუტური მნიშვნელობაც.

დასხივების დროს ლითონის თვისებათა შეცვლის ხარისხი დამოკიდებულია ნეიტრონების ჯამურ ნაკადზე (f), რომელიც განივალეთის ერთეულში (f^2) გადის, აგრეთვე, დასხივებისა და ლითონის რეკრისტალიზაციის ტემპერატურაზე. ბუნებრივია, დეფექტების რიცხვი გაიზრდება დასხივების ჯამური ნაკადის გაზრდით.

დასხივება რეკრისტალიზაციის ტემპერატურის ქვემოთ, ანუ დაბალტემპერატურული დასხივება, ლითონების მექანიკური თვისებების ცვლილების ხასი-

ათზე ისევე მოქმედებს, როგორც ცივად პლასტიკური დეფორმაცია: მასალა მზარდება, მაგრამ პლასტიკურობას კარგავს. ნახშირბადიანი ფოლადების მაქსიმალური სიმტკიცე 20^0C -ზე მიიღწევა ნეიტრონების $f=2\times10^{23}$ m^{-2} ჯამური ნაკადის ნეიტრონებით დასხივების შემთხვევაში. f -ის შემდგომი გაზრდით თვისებები არ იცვლება.

რეკრისტალიზაციის ტემპერატურის ზემოთ დასხივებას (მაღალტემპერატურული დასხივება) თან სდევს რადიაციული მოწვა, რაც კრისტალის მცირე მოცულობაში ტემპერატურის ლოკალური მატებით არის განპირობებული. ამ დროს მიმდინარეობს ვაკანსიებისა და კვანძებსშორისი ატომების ურთიერთქმედება – მათი ანიჭილაცია (ურთიერთმოსპობა), რაც დეფექტების კონცენტრაციას ამცირებს. ერთდროულად ხდება ვაკანსიების თავმოყრა რაღაც მოცულობაში, რომელიც მიკროფორებად შეიძლება გარდაიქმნას და მასალის გაჯირჯვება გამოიწვიოს. იგი ხელს უწყობს, აგრეთვე, სტრუქტურისა და მექანიკური თვისებების აღდგენას.

პერლიტური ფოლადების სტრუქტურა უმნიშვნელოდ იცვლება $250-450^0\text{C}$ -ზე დასხივებისას, ხოლო 450^0C -ის ზემოთ თვისებები პრაქტიკულად არ იცვლება, რადგან რეკრისტალიზაცია სრულად მიმდინარეობს. აუსტენიტური ფოლადები სტაბილურობას 600^0C -ზე ზევით ინარჩუნებს, ალუმინი და მაგნიუმი კი, რომლებსაც რეარისტალიზაციის დაბალი ტემპერატურა გააჩნია, რადიაციისადმი მდგრადობას 150^0C -ზე ზევით ამჟღავნებს. მათი პლასტიკურობა არ იცვლება, სიმტკიცე კი მატულობს.

დასხივების შედეგად ხანგრძლივი სიმტკიცე ყოველთვის მცირდება, განსაკუთრებით ისეთ შენადნობებში, რომლებიც დაძველებას ექვემდებარება. ეს განპირობებულია დასხივების შედეგად დიფუზური პროცესების გააქტიურებით. ნეიტრონების ნაკადისა და დასხივების ტემპერატურის გაზრდით მცირდება, აგრეთვე, მხერვალსიმტკიცის მახასიათებლები.

ნეიტრონების გაზრდილი ნაკადით მაღალტემპერატურული დასხივების შედეგად ზოგიერთ ლითონში (აუსტენიტურ ქრომნიკელიან ფოლადებში და შენადნობებში, ნიკელის, მოლიბდენის, ტიტანის, ცირკონიუმისა და ბერილიუმის ფუძეზე დამზადებულ შენადნობებში) შეინიშნება გაჯირჯვება. ნეიტრონების $f=10^{24}$ m^{-2} ჯამური ნაკადით $800-900^0\text{C}$ -ზე დასხივებისას ბერილიუმის მოცულობა იზრდება 3-5%-ით, 450^0C -ზე $f=10^{27}$ m^{-2} დასხივებისას აუსტენიტური ფოლადისა – 10%-ით. მაქსიმალური ხარისხით მათი გაჯირჯვება $350-650^0\text{C}$ ტემპერატურაზე შეინიშნება.

ბუნებრივია, გაჯირჯვება, გარდა მექანიკური თვისებების გაუარესებისა, დეტალების ფორმისა და ზომების შეცვლასაც იწვევს. უარყოფითი ეფექტი ძლიერდება

დასხივების შედეგად გაჩენილ მიკრობზარებში, მოლექულური წყალბადისა ან წყალ-ბადის შემცველი აირების თავმოყრით. ქრომნიკელიანი ფოლადის ლეგირება ტიტანით, მოლიბდენით და ნიობიუმით ამცირებს გაჯირჯვების ხარისხს. შესაძლებელია, ეს იყოს წყალბადის ხსნადობის ზღვრისა და დიფუზიის სიჩქარის შემცირების შედეგი რთულადლეგირებულ აუსტენიტში. აუსტენიტური ფოლადების ცივად პლასტიკური დეფორმაცია ამცირებს გაჯირჯვების ხარისხს.

მრავალ საკონსტრუქციო მასალაში, რომელიც დასხივების პირობებში მუშაობს, კოროზიულ არეს წყალი, ტენიანი გარემო ან გადახურებული ორთქლი წარმოადგენს. ლითონების მედეგობა ქიმიური კოროზიის მიმართ დასხივების პირობებში მცირდება, რადგან ინგრევა ზედაპირული დამცავი ფირი. ეს კი აჩქარებს კოროზიული რღვევის განვითარებას.

დასხივებისას ელექტროლიტის შედგენილობის შეცვლა მიმდინარეობს: წყლის მოლექულები იშლებიან, რის შედეგადაც ჟანგბადისა და წყალბადის იონები, აგრეთვე OH⁻ ჰიდროქსილის ჯგუფები წარმოიქმნება. ჟანგბადი ჟანგავს ლითონს, წყალბადი – აწყალბადიანებს და ამყიფებს. ორივე პროცესი – ჟანგვაც და დაწყალბადიანებაც აძლიერებს ლითონის ელექტროქიმიური დაშლის პროცესს, OH⁻ იონები კი ზედაპირული ოქსიდური ფირების გახსნას განაპირობებს. ამგვარად, დასხივება მკვეთრად აჩქარებს წყალში და წყლის ორთქლში კოროზიულ რღვევას, იწვევს ლითონის სტრუქტურულ დაზიანებას და ზედაპირზე წარმოქმნილი პასივირებული ოქსიდური ფირის შრის ნგრევას.

ალუმინისა და მისი შენადნობების კოროზიის სიჩქარე, წყალში თბური ნეიტრონებით დასხივების პირობებში 190°C-ზე, 2-3-ჯერ იზრდება. ეს განპირობებული უნდა იყოს OH⁻ იონების კონცენტრაციის გაზრდით, რაც ოქსიდის დამცავი ზედაპირული ფენის გახსნას იწვევს. ამავე მიზეზით ცირკონიუმის შენადნობების კოროზიის სიჩქარე 20°C-ზე 50-70-ჯერ იზრდება.

ტენიან ორთქლში, დასხივების შედეგად, აუსტენიტურ ქრომნიკელიან შენადნობებში ადგილობრივი სახის კოროზია – კრისტალთშორისი, წერტილოვანი და კოროზიული დაბზარვა ვითარდება.

საკონსტრუქციო მასალების რადიაციული მედეგობის უზრუნველყოფა შესაძლებელია შესაბამისი ქიმიური შედგენილობის, სტრუქტურისა და ექსპლუატაციის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფით: საექსპლუატაციო ტემპერატურის, დასხივებული ველის გვარობისა და ენერგიის, დასხივების ნაკადის სიდიდისა და კო-

როზიული გარემოს თვისებების გათვალისწინებით. დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას შენადნობების ისეთი რაციონალური შედგენილობის შერჩევა წარმოადგენს, რომელიც შთანთქავს ნეიტრონებს.

ტემპერატურის გაზრდით რადიაციული დასხივების შედეგად წარმოქმნილი დეფექტების კონცენტრაცია მცირდება. მაგალითად, 4-25K ტემპერატურაზე დასხივებულ სპილენძში მოწვის დროს მიმდინარე გარდაქმნების ხუთი სტადია შეიძლება გამოიყოს. I და II სტადია დაკავშირებულია ჩანერგილი ატომების მიგრაციასთან, კრისტალური გისოსის ვაკანტურ კვანძებში, სხვები კი თავისუფლდება გარშემორტყმული მინარევების ზემოქმედებისაგან. შემდგომ სტადიებში მიმდინარეობს შეწყვილებული კვანძებსშორისი ატომების დისოციაცია (განცალკევება), მათი რეკომბინაცია ვაკანსიებთან და დეფექტების კომპლექსის სრული რდვევა ატომების თვითდიფუზიის ხარჯზე. სპილენძში მოწვის დროს მიმდინარე პროცესები იწყება 70K ტემპერატურაზე და მთავრდება 450K-ზე ზემოთ. სხვა ლითონებისათვის სურათი, მთლიანობაში, ანალოგიურია, თუმცა სტადიების ტემპერატურული დონეები რამდენადმე განსხვავებული.

6. მაღალი წნევა და ღრმა ვაკუუმი

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან გამომდინარეობს, ნივთიერება მეტად მგრძნობიარეა გარე ფაქტორების ზემოქმედების მიმართ. ისინი ცვლის ლითონების შინაგან სტრუქტურას, ელექტრონულ-იონურ აგებულებას და, აქედან გამომდინარე, ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებსაც. აღნიშნული ფაქტორების გავლენა მასალის აგებულებასა და თვისებებზე ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი, თუმცა, ზოგიერთი კვლევის შედეგი მართლაც უნიკალურია. ამის მაგალითად გამოდგება მაღალი წნევის პირობებში დაკრისტალებული ნივთიერებების თვისებები.

ცნობილია, რომ ჩვეულებრივ ატმოსფერულ პირობებში ყინული დნება 0°C ტემპერატურაზე, ხოლო ეწ. ყინული-VII, რომელიც მაღალი წნევის პირობებშია დაკრისტალებული - 442°C -ზე.

გამოთვლებით ნაჩვენებია, რომ ორ მილიონ ატმოსფერულ წნევას წყალბადი ლითონურ მდგომარეობაში გადაჰყავს. ლითონური წყალბადი კი უნდა ხასიათდებოდეს ზეგამტარული თვისებებით და ეს მდგომარეობა შენარჩუნებული იქნება არა მარტო ოთახის, არამედ $10^2\text{-}10^3\text{K}$ ტემპერატურულ პირობებშიც. საკითხავია, შენარჩუნდება თუ არა მიღწეული ლითონური მდგომარეობა ზემაღალი წნევის მოხსნის

შემდეგ, თუმცა, ამის ფაქტი არსებობს – ხელოვნური ალმასი არ განიცდის თავის-თავად უკუგარდაქმნას წნევის მოხსნის შემდეგ.

პირიქით, ღრმა ვაკუუმის ზემოქმედებით მიმდინარეობს ლითონის აორთქლება, რომლის სიჩქარე აისახება ფორმულით:

$$W = \frac{P}{C} \sqrt{\frac{M}{T}} \quad (6),$$


სადაც P არის ლითონის ორთქლის წნევა,

M - ლითონის მოლებულური წონა აირად მდგომარეობაში,

T – აბსოლუტური ტემპერატურა,

C – გუდმიგა.

№11 სურათზე წარმოდგენილია დაყვანილი ტემპერატურები, რომლის დროსაც ვაკუუმში აორთქლების შედეგად სხვადასხვა ლითონის დანაკარგები 0,25მმ-ს შეადგენს წელიწადში. როგორც ნომოგრამიდან ჩანს, ვაკუუმში საექსპლუატაციოდ ყველაზე მისაღებია W, Ta, Nb, Mo Co და Ni. მრავალ მალებირებელ ელემენტს, რომელიც შენადნობებში გამოიყენება, მიდრეკილება აქვს ინტენსიური აორთქლებისადმი, თუმცა მათი აორთქლების სიჩქარე უფრო ნაკლებია, ვიდრე იგივე ელემენტებისა სუფთა მდგომარეობაში. შენადნობებიდან ელემენტების აორთქლება თავდაპირველად იწვევს წერტილოვანი დეფექტების, ხოლო შემდეგ – მიკროსიცარიელებების წარმოქმნას, რაც ლითონის სიმტკიცის კარგვას განაპირობებს.



სურ. №11. ლითონების აორთქლების დაყვანილი ტემპერატურები

ნაკეთობის თავისუფალი ზედაპირის მდგრადი მდგომარეობა მხოლოდ კრისტალისა და აირადი ფაზის თერმოდინამიკური წონასწორობის შემთხვევაში მიიღება. თუ ასეთი მდგომარეობა დაირღვა, მაშინ ფაზათა გამყოფ ზედაპირზე დაიწვევა.

ყება პროცესები, რომლებიც წონასწორობის ადგენისაკენ იქნება მიმართული: ან კონდენსაცია აირადი ფაზიდან ლითონის ზედაპირზე, ან ლითონის სუბლიმაცია, ანუ ნივთიერების გადასვლა მყარი ფაზიდან უშუალოდ აირად მდგომარეობაში.

დადგენილია, რომ თანაბარ პირობებში MA-11 მაგნიუმის შენადნობის მექანიკურად დამუშავებული ზედაპირიდან სუბლიმაცია დაახლოებით 6-ჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე იგივე მასალის გაპრიალებული ზედაპირიდან. ცხადია, სუბლიმაციის სიჩქარის შემცირება დაკავშირებულია გაპრიალების შედეგად ზედაპირული დეფექტების სიმკვრივის მნიშვნელოვნად შემცირებასთან.

სუბლიმაციის მიმდინარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლითონის ზედაპირზე წარმოქმნილი ოქსიდური ფირი. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ოქსიდური ფირი არ არის აბსოლუტურად მკვრივი, არამედ სხვადასხვა სახის მიკროარამთლიანობით ხასიათდება. ვაკუუმში იზოთერმული მოწვის დროს, აქროლადი კომპონენტის ატომები ლითონის ზედაპირს ამ დეფექტების გავლით ტოვებს, რაც აღნიშნულ ზონაში ვაკანსიების ყველაზე დიდ კონცენტრაციას ქმნის. ვაკანსიების კოაგულაციის შედეგად „ლითონი-ოქსიდური ფირი“ ფაზათა გაყოფის საზღვარზე მიკროფორმები წარმოიქმნება, რაც ხელს უწყობს ფირის განშრევებას და ნგრევას. იზრდება დეფექტების ფართობი და მინარევი ატომების აორთქლების ინტენსიურობა.

ლითონმცოდნეობის თვალსაზრისით კოსმოსი ბუნების მიერ შექმნილ გიგანტურ ლაბორატორიას წარმოადგენს, ექსტრემალური პირობებით, რაც მკვეთრად ცვლის საკონსტრუქციო მასალების საექსპლუატაციო პირობებს. კოსმოსი – ეს არის ბუნებრივი დრმა ვაკუუმი, უფასო მზის ენერგია (მაღალი ტემპერატურა, მზის ღუმელი), კოსმოსური სიცივე – ტემპერატურა, რომელიც ახლოს დგას აბსოლუტურ ნულთან. ამას უნდა დაემატოს უწონადობა, რაც კრისტალიზაციისა და კრისტალების ზრდის პროცესის მართვის საშუალებას იძლევა. უწონადობის პირობებში შესაძლებელია ისეთი ნივთიერებების ერთმანეთში შერევა, რომლებიც დედამიწის პირობებში შეუთავსებელია.

კოსმოსში კოლოსალური სიდიდის დაძაბულობის მაგნიტური ველია – ასეული და ათასეული მილიარდი ერსტედი. ასეთ ველში შეტანილი ნივთიერების ატომები მაგნიტური ველის გასწვრივ იწელება, წვრილი ნემსის ფორმას დებულობს და მკვეთრად იუმშება. შედეგად კრისტალში მეტად მაღალი ენერგიის კავშირის ძალები წარმოიქმნება. ნივთიერების დნობის ტემპერატურა მილიონამდე გრადუსს აღწევს.

7. შეჯახება მყარ ნაწილაკებთან

მეტეორიტული მტვერი წარმოადგენს ნაწილაკებს, რომელთა ზომა მიკრო-მეტრის რამდენიმე მეტრედს შეადგენს და 11,1-დან 73,4 მ/წმ სიჩქარით მოძრაობს. ასეთი ენერგიის ნაწილაკები ლითონის ზედაპირთან შეჯახებისას მის თანდათანობით დაშლას იწვევს, იცვლება მასალის ოპტიკური თვისებები და ირლვევა მუშაობის თბური რეჟიმი, ზედაპირის სიმქისის გაზრდის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ 3მმ დიამეტრის მქონე მეტეორიტის 6,33 მ/წმ სიჩქარით ფრენისას, მისი ენერგიის უდიდესი ნაწილი სითბოში გადადის. ამიტომ, სამიზნეს ის ნაწილი, რომელიც ამ სითბოს ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდება, თითქმის დნობის ტემპერატურამდე ხურდება. ბუნებრივია, დაზიანებული არის ზომები, რომელიც არსებითად, აღემატება მეტეორიტის ზომებს.

მეტეორიტული ეროზიის შედეგად მასალის სისქის ჯამური დანაკარგი, დიდ სიმაღლეზე 0,16მ-ს შეადგენს წელიწადში, ხოლო დედამიწიდან რამდენიმე ასეულ კილომეტრზე ეს მახასიათებელი დაახლოებით 20 ნანომეტრამდე იზრდება წელიწადში. ეროზიის შედეგი მედავნდება მცირე ზომის ნახევარსფეროს ფორმის ჩაღრმავებების სახით. თუ მტვრის ნაწილაკი მკვრივია, ნაჯაოს (ეროზიის შედეგად განენილი ჩაღრმავების) დიამეტრი 10მკ-ს აღწევს, ხოლო თუ ნაწილაკის სტრუქტურა ფხვიერი, გაფაშრებულია, ნაჯაოს ზომა 100მკ-მდე იზრდება.

დედამიწიდან საკმაოდ დაშორებულ სივრცეში მკვრივი ნაწილაკების სამიზნესთან შეჯახების შედეგად, ერთი ნაჯაო რამდენიმე კვადრატულ სანტიმეტრზე წარმოიქმნება, დედამიწასთან მახლობელ სივრცეში კი – დაახლოებით 10^4 ნაჯაო იგივე ფართობზე წელიწადში. გაფაშრებული ნაწილაკებით გამოწვეული დაზიანების ალბათობა შესაბამისად 10^2 სმ⁻² და 10^3 სმ⁻² შეადგენს წელიწადში.

8. კონტაქტი თხევად ლითონებთან

საავიაციო-კოსმოსურ ტექნიკასა და ატომურ ენერგეტიკაში ფართოდ გამოყენება ისეთი კონსტრუქციები, რომლებსაც უშუალო კონტაქტი აქვს ლითონის ნალღობთან და ადვილდნობად ლითონებთან. ესენია, მაღალტემპერატურული საცივებელი დეტალები თხევადი ლითონის თბოგადამტანებით, კონსტრუქციის ნარჩილი კვანძები, გადახურებული ანტიფრიქციული შენადნობები, რეაქტორის მილები, დეტალები ადვილდნობადი ზედაპირული დანაფარებით და ა.შ.


პრაქტიკაში არც თუ იშვიათია თხევად ლითონურ არესთან კონტაქტის პორობებში დეტალების სახითათო, მყიფე რღვევის განვითარების შემთხვევები. ამიტომ, ნაკეთობის საიმედოობისა და ხანგამძლეობის პრობლემების გადაჭრისას აუცილებელია თხევადი ლითონის ფიზიკურ-ქიმიური ზეგავლენის თავისებურებების გათვალისწინება.

თხევად ლითონთან კონტაქტში მყოფი ნაკეთობის გამყიფების მიზეზი დაკავშირებულია ე.წ. სიმტკიცის ადსორბციული შემცირების ეფექტთან. ბზარის განვითარების სიჩქარე მოდებული ძაბვისა და გამდნარი ლითონის ზემოქმედებით იმდენად მაღალია, რომ მისი წარმოქმნა არ შეიძლება აისხნას ქიმიური ან დიფუზური პროცესებით. აქ საქმე უფრო რთულადაა. გამყიფების პროცესი ორი ძირითადი მიზეზით უნდა იყოს განპირობებული: მყარი ტანის ზედაპირთან კონტაქტში მყოფი აქტიური ნალეობის ატომების ლითონის სიღრმეში ჩასახულ მიკროზარებამდე ადვილად შედგევით, სტრუქტურის დეფექტების გავლით და მეორე, სითხით დასველების გამო, მყარი ტანის ზედაპირული ენერგიის მნიშვნელოვანი შემცირებით. ყოველივე ეს ლითონის გაგლეჯაზე წინააღმდეგობის შემცირებას და, როგორც შედეგი, მყიფე რღვევის განვითარებას იწვევს.

ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების (ადვილდნობადი ლითონები და შენადნობები თხევად მდგომარეობაში) ზემოქმედება დატვირთული პოლიკრისტალის ქცევაზე როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივი გამოცდებისას მუდავნდება. H77TI0 მხერვალმტკიცე ნიკელის შენადნობის დეფორმაციის მრუდები, რომლებიც ჰაერზე და თხევადი კალის, ტყვიის, ბისმუტისა და მათი შენადნობების (Pb-Sn, Pb-Bi) არეში გამოცდისას არის ჩაწერილი, გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ შემთხვევაში მნიშვნელოვნად არის შემცირებული სიმტკიცის მახასიათებლები (სურ. №12), ბლანტი

რღვევა კი მყიფე რღვევით არის შეცვლილი. შენადნობის სიმტკიცის ზღვარი 750მპა-დან 250მპა-მდე მცირდება Pb-Bi სისტემის თხევად, ეპტექტიკურ შენადნობში გამოცდისას.


პოლიკრისტალური ლითონების სიმტკიცის მახასიათებლების შემცირების ხარისხი ურთიერთშეხებაში მყოფი არეების ფიზიკურ ბუნებაზეა დამოკიდებული. უდიდესი აქტიურობით გამოირჩევა არა სუფთა



სურ. №12. XH77TI0 შენადნობის გაჭიმვის მრუდები ჰაერზე და ლითონურ ნალეობებში ($t_{გა}=700^{\circ}\text{C}$)

ლითონები, არამედ მათი ევტექტიკური შენადნობები. ლითონური ნალღობის ზემოქმედებით თვისებათა შეცვლა სხვადასხვაგარი ლითონების ურთიერთგონტაქტის პორობებში მჟღავნდება. მაგალითად, თუთია მყიფდება და სიმტკიცეს კარგავს მისი ვერცხლისწყლითა და გალიუმით, თითბერი – კალით, ვერცხლისწყლით, ლითოუმით და ბისმუტით, ხოლო ალუმინის შენადნობები – კადმიუმითა და ვერცხლისწყლით დასველებისას. ფოლადისათვის მეტად საშიშია კონტაქტი გამდნარ კადმიუმთან. ეს პრობლემა აღიძვრება, აგრეთვე, ფოლადის კონსტრუქციების რჩილვისას, როდესაც ტექნოლოგიურად აუცილებელია მასალის ხანმოკლე კონტაქტი თხევად სარჩილთან.

თხევადი ლითონით გამყიფების ეფექტს ძლიერ ზრდის ზედაპირზე არსებული ჩანაჭრები და ძაბვის სხვა კონცენტრატორები. აღსანიშნავია, რომ ნალღობისა და დაძაბული მყარი ტანის ურთიერთშეხების ფართობს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. უმთავრესია ფოლადის სისალისა და სიმტკიცის დონე. მაღალი სიმტკიცის ფოლადებში განსაკუთრებით სახიფათოა ადვილდნობადი ნალღობის უარყოფითი მოქმედება (სურ. №13). თხევადი ლითონების ზეგავლენით რღვევა, უმეტეს შემთხვევაში, მყარი სსნარის მარცვლის საზღვრებზე მიმდინარეობს. პოლიკრისტალურ აგრეგატებში მარცვლის საზღვრები გაზრდილი ენერგიით ხასიათდება, ამიტომ, ეს უბნები



სურ. №13. 40XHMA ფოლადის სიმტკიცის ზღვარსა და სისალეს შორის დამოკიდებულება.


1 – ჰაერზე, 2 – ლითოუმის ნალღობში.

ძები, სადაც ნალღობისა და ლითონური დეტალის კონტაქტი გარდუგალია. ამიტომ, აუცილებელი გახდა, თხევადი ლითონის ზეგავლენით, ნაკეთობის გამყიფებისაგან

მეტად ხელსაყრელ გზას წარმოადგენს თხევადი ლითონის ატომების დიფუზიისა და შემდგომში ბზარის წარმოქმნისათვის. ეს კი კრისტალოშორისი ტებლის განვითარების წინაპირობაა.

ელექტრონულმიკროსკოპული კვლევით მხურვალმტკიცე XH77TiO ნიკელის შენადნობში, ბზარის პირთან, დაფიქსირებულია ტევია-ბისმუტი ევტექტიკის არსებობა (სურ. №14 ისრით მითითებული უბნები), რაც განპირობებულია დაძაბული ლითონის კონტაქტირებით თხევად სსნართან.

ბუნებრივია, არსებობს ისეთი კვან-



სურ. №14. XH77TiO შენადნობის რღვევის ხასიათი Pb-Bi სისტემის თხევადი არის ზემოქმედებით.
ა – x400; ბ – x5500.


დაცვის ხერხების ძიება. მაგალითად, შესაძლებელია ფოლადის კვანძების რჩილვით შესაერთებელი უბნების დაფარვა საკმაოდ მაღალი ხარისხის სპილენძის ან ნიკელის ქეშრით; Sn-Zn სისტემის სარჩილის შეცვლა ვერცხლის სარჩილით; რჩილვის წინ ფოლადის დეტალების შეერთების ადგილებში დაძაბულობის მოხსნა; შესაძლებლობის ფარგლებში რჩილვის ჩატარება დაბალ ტემპერატურაზე.

თხევადი ლითონის თბოგადამტანების გამოყენების შემთხვევაში (ნატრიუმი, კალიუმი და მათი ეპტექტიკური ნალღობები) ნიკელის მხურვალმტკიცე შენადნობების საკონტაქტო ზედაპირზე დატანილი უნდა იყოს მოლიბდენის დამცავი დანაფარი. კონსტრუქციების ცხელ ზონასთან არ უნდა იყოს გამოყენებული ადვილ-დნობადი დანაფარით დაცული სამაგრი დეტალები, მაგალითად, კადმირებული ქან-ჩი და ჭანჭიკი.

9. ელექტრული და მაგნიტური ველი

ელექტრული და მაგნიტური ველის ზემოქმედება ლითონებში სუსტად მჟღავნდება, რადგან გარე ელექტრული ველი მასალის ზედაპირული შრეებით ეკრანირდება და შიგა ფენებში ვერ აღწევს. ნახევრად გამტარებსა და დიელექტრიკებში კი მათი ზემოქმედება მნიშვნელოვანია.

განსაკუთრებულია ელექტრული ველის გავლენა სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესზე, ანუ კრისტალიზაციაზე და ნაკეთობის თერმული დამუშავების რეჟიმზე. ამ შემთხვევაში ელექტრულმა ველმა შესაძლებელია ისეთი შეუქცევადი სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვიოს, რაც მასალათა თვისებებს გააუმჯობესებს. ასეთი ზემოქმედების ფიზიკური ბუნება მაღეგირებელი ელემენტების ხსნადობის ზღვრის გაზრდასთან არის დაკავშირებული. ლეგირების ხარისხის გაზრდით მა-




სურ. №15. ელექტრული ველის გავლენა
Al-Cu სისტემის მდგომარეობის
დიაგრამაზე (პუნქტირი)

ტულობს მყარი ხსნარის სისალე, სიმტკიცე და მხურვალსიმტკიცის მახასიათებლები, სათანადო თერმული დამუშავების შემდეგ. გარდა ამისა, მაგნიტური ველის ზემოქმედების ქვეშ თერმული დამუშავების ჩატარება სტრუქტურაში უფრო მეტი წვრილდისპერსიული ნაწილაკების მიღებას უზრუნველყოფს. წონასწორული მდგომარეობის დიაგრამაზე შეინიშნება, აგრეთვე, ხაზების წანაცვლება (სურ. №15). როგორც დიაგრამიდან ჩანს, ალუმინიუმი სპილენბის ზღვრული ხსნადობის აღმნიშვნელი ხაზი მარჯვნივ არის დაძრული, რაც ხსნადობის ზღვრის გაზრდაზე მიუთითებს. ამგვარად, წრთობის წინ ელექტრული ველის ზემოქმედებით შესაძლებელია გახურება უფრო დაბალ ტემპერატურამდე განხორციელდეს.

III თავი. თერმული და ძიმიურ-თერმული დამუშავების გაცლენა ნაკათობის თვისებებზე

თერმული დამუშავება არის ლითონური შენადნობების თვისებათა სასურველი მიმართულებით შეცვლის უმნიშვნელოვანესი საშუალება. თერმული დამუშავების დროს იცვლება ლითონის სტრუქტურა და, შესაბამისად, თვისებები მისი ქიმიური შედგენილობის შეუცვლელად.

თერმულ დამუშავებაზე ორი ძირითადი ფაქტორი მოქმედებს: ტემპერატურა და დრო. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი თერმული დამუშავების რეჟიმი შეიძლება გამოისახოს კოორდინატთა სისტემაში ტემპერატურა (t) – დრო (τ). №16 სურათზე წარმოდგენილია თერმული დამუშავების ზოგადი გრაფიკი.



სურ. №16. თერმული დამუშავების ზოგადი გრაფიკი

თერმული დამუშავების რეჟიმს შემდეგი

ძირითადი პარამეტრები ახასიათებს: გახურების ტემპერატურა t_{\max} . ეს არის ზედა ზღვრული ტემპერატურა, სადამდეც ხურდება ნაკეთობა, თერმული დამუშავების დროს; გახურების ტემპერატურაზე ნაკეთობის დაყოვნების დრო $\tau_{\text{და}}$; გახურების სიჩქარე $V_{\text{გას}}$ და გაციების სიჩქარე $V_{\text{გაც}}$. თერმული დამუშავების გრაფიკით შეიძლება ნებისმიერი სახის თერმული დამუშავების პროცესი გამოისახოს.

1. ფოლადის თერმული დამუშავების სახეების მიმოხილვა

თერმული დამუშავების ძირითადი სახეებია: მოწვა, წრთობა და მოშვება. თავის მხრივ, მოწვის პროცესი ორგვარია: პირველი გვარის და მეორე გვარის მოწვა.

პირველი გვარის მოწვა. პირველი გვარის მოწვა სხვადასხვა მიზანს ისახავს. პროცესი არ არის დაკავშირებული ფაზურ გადაკრისტალებასთან, ამიტომ ასეთ მოწვას ნებისმიერი შენადნობი ექვემდებარება. პირველი გვარის მოწვაში შედის სარეკრისტალიზაციო, საჭომოგენიზაციო და ძაბვების მოსახსნელი მოწვა.

როგორც ცნობილია, ცივჭედვას ლითონი სტრუქტურულად არაწონასწორულ მდგომარეობაში გადაჰყავს, რაც სისალისა და სიმტკიცის მახასიათებლების ზრდასა და პლასტიკურობის შემცირებას იწვევს. ხშირად ლითონი ცივჭედვას ტექნი-

ლოგიური პროცესის დროს დებულობს და აუცილებელი ხდება პლასტიკურობის მახასიათებლებზე მისი უარყოფითი გავლენის მოხსნა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ნახშირბადიანი ფოლადის სარეკრისტალიზაციო მოწვის ტემპერატურა 600-700°C-ის ზღვრებშია, დაყოვნების დრო – 1-2 საათი.

შენადნობების, კერძოდ, მყარი ხსნარის გამყარების დროს, მიმდინარეობს შერჩევითი კრისტალიზაცია – ყოველ მომენტში გამოყოფილი ნაწილაკები თავისი კონცენტრაციით განსხვავდება როგორც ადრე, ისე შემდგომ პერიოდში გამოკრისტალებული ნაწილაკებისაგან. ეს იწვევს მარცვალთშიგა ქიმიურ არაერთგვაროვნებას, ანუ დენდრიტულ ლიკვაციას. დენდრიტული ლიკვაცია ნაკეთობას არაერთ უარყოფით თვისებას ანიჭებს. მაგალითად, გლინვის შემდეგ სტრიქონა სტრუქტურა მიიღება, რომელიც თვისებების მკვეთრი ანიზოტროპიით ხასიათდება. უმეტეს შემთხვევაში აუცილებელი ხდება დენდრიტული ლიკვაციის მოსპობა. პროცესი დიფუზური მოწვის გზით მიმდინარეობს, რომელსაც პომოგენიზაციას უწოდებენ.

პომოგენიზაციას, ჩვეულებრივ, უტარებენ ფოლადის ზოდებს და დიდი ზომის სხმულ დეტალებს. პროცესი საჭიროებს ელემენტების დიფუზიას, ამიტომ, მოწვის ტემპერატურა ფოლადებისათვის მაღალია და 1100-1200°C შეადგენს, ხოლო დაყოვნების დრო - 10-20 საათს. გაცივება ხდება ძალიან ნელა ისე, რომ მთელი პროცესი, ხშირად, 80-100 საათს გრძელდება. დიფუზური მოწვის შედეგად მარცვლები ინტენსიურად იზრდება, ამიტომ, ხშირად აუცილებელი ხდება სტრუქტურის გამოსწორება.

ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური პროცესი შეიძლება ისეთი იყოს, რომ მსხვილ სხმულებში, ნაჭედებში, შენადუდ ნაწილებში ნარჩენი შიგა თერმული ძაბვები წარმოიქმნას. დაძაბულობა შეიძლება მოიხსნას ლითონის პლასტიკური დეფორმაციის ხარჯზე, რაც ნაკეთობის დაბრეცას ან დაბზარვას გამოიწვევს. ამ უარყოფითი მოვლენის თავიდან ასაცილებლად ნაკეთობას უტარებენ მოწვას ძაბვების მოსახსნელად: მას ახურებენ 550-680°C-მდე და აყოვნებენ დაახლოებით 2,5 წუთს ნაკეთობის განივავეთის ყოველ 1 მილიმეტრზე. გაცივება ხდება ნელა.

მეორე გვარის მოწვა. მეორე გვარის მოწვა დაკავშირებულია ფაზურ გადაკრისტალებასთან, ამიტომ, იგი შეიძლება ისეთ შენადნობებში განხორციელდეს, რომლებიც გახურება-გაცივების დროს მეორეულ გარდაქმნებს განიცდის. ფოლადებში იგი აუსტენიტურ-პერლიტურ გარდაქმნასთან არის დაკავშირებული.

მეორე გვარის მოწვის სახეებია: სრული მოწვა, არასრული მოწვა და ნორმალიზაცია.

წონასწორულ მდგომარეობაში ფოლადს ფერიტო-პერლიტური სტრუქტურა აქვს, რომელიც შედარებით დაბალი სისალითა და სიმტკიცით, მაგრამ გაზრდილი პლასტიკურობით, ხასიათდება. ფოლადის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური პროცესები არ გამორიცხავს შედარებით აჩქარებულ გაცივებას, რის შედეგადაც შეიძლება გაზრდილი სისალის მქონე გარდამავალი სტრუქტურები ჩამოყალიბდეს. ეს მნიშვნელოვნად აძნელებს ლითონის შემდგომ მექანიკურ დამუშავებას.


არასასურველი სტრუქტურის შესაცვლელად აუცილებელია ლითონის სრული გადაკრისტალება და ერთგვაროვანი აუსტენიტის მიღება. ამ მიზნით, ქეევტექტო-იდურ ფოლადს ახურებენ Ac_3 კრიტიკული წერტილის ზემოთ $(30-50)^\circ\text{C}$ -ით, აყოვნებენ ნაკეთობის განივავეთში ტემპერატურის სრულ გათანაბრებამდე და შემდეგ, ძალიან ნელა აცივებენ. მოწვის შემდეგ არასასურველი სტრუქტურა წვრილმარცლოვანი ფერიტოპერლიტური სტრუქტურით შეიცვლება, მისთვის დამახასიათებელი თვისებებით. ასეთი რეჟიმით მოწვას სრული მოწვა ეწოდება.

ზეევტექტო-იდურ ფოლადს, ძირითადად, არასრული მოწვა უტარდება. ამ შემთხვევაში ნაკეთობას Ac_1 ტემპერატურის ზემოთ $(740-770)^\circ\text{C}$ -მდე) ახურებენ და დაყოვნების შემდეგ ნელა აცივებენ. Ac_1 წერტილის ზემოთ გახურების შემდეგ ფოლადში ჩამოყალიბდება აუსტენიტურ-ცემენტიტური სტრუქტურა. მოწვის შემდეგ ცემენტიტი ფირფიტოვანის ნაცვლად მომრგვალებულ ფორმას დებულობს, ანუ ყალიბდება მარცვლოვანი პერლიტი (სურ. №17). პროცესს სფეროიდიზაციას უწოდებენ. მარცვლოვანი პერლიტი ფირფიტოვანთან შედარებით უფრო ნაკლები სისალითა და სიმტკიცით, მაგრამ გაზრდილი პლასტიკურობითა და სიბლანტით ხასიათდება. სფეროიდიზაციას განსაკუთრებით ხშირად საიარაღო ნახშირბადიან ფოლადებს უტარებენ.


ნორმალიზაცია არსებითად სრული მოწვის სახესხვაობაა და იმაში მდგომარეობს, რომ Ac_3 (Ac_{cm} , SE ხაზი Fe-C დიაგრამაზე) $+(30-50)^\circ\text{C}$ ტემპერატურამდე გახურებისა და დაყოვნების შემდეგ ნაკეთობას მშვიდ ჰაერზე აცივებენ. ნორმალიზაციის მიზანია სხმული, ნაჭედი ან ნატვიფრი ნაკეთობების მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურის შეცვლა წვრილმარცვლოვანით. ამ ოპერაციისათვის გაცივების სიჩქარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, ამიტომ, ჰაერზე გაცივებას მიმართავენ, რაც ღუმელში გაცივებასთან შედარებით უფრო ეკონომიურია.

№18 სურათზე წარმოდგენილია მოწვის ტემპერატურული არეები.

წრთობის მიზანი. ზოგადად, წრთობის მიზანს აუსტენიტურ მდგომარეობამდე გახურებული ფოლადის ნაკეთობის სწრაფი გაცივების გზით, არაწონასწორული



სურ. №17. მარკელოვანი პერლიტი (სფეროდიტი). а—x500; б—1500.




სურ. №18. მოწის ტემპერატურული არები.


სტრუქტურის მიღება წარმოადგენს, რომელიც გადიდებული სისალითა და სიმტკიცით ხასიათდება.

ოთახის ტემპერატურაზე ფოლადის სტრუქტურასა და თვისებებს არსებითად იმ პირობების თავისებურებანი განსაზღვრავს, რომელშიც აუსტენიტის გარდაქმნა მიმდინარეობს. ამიტომ ეს საკითხი თერმული დამუშავების თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, A_1 (727°C) კრიტიკული წერტილი არის ევტექტოიდურ ფოლადში აუსტენიტისა და პერლიტის წონასწორობის ტემპერატურა. თუ სისტემის ტემპერატურა დაიწევს A_1 -ზე დაბლა, დაიწყება აუსტენიტის პერლიტური გარდაქმნა:



აუსტენიტის დაშლის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი გადაცივების ხარისხი. რაც უფრო დაბალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს გარდაქმნა, მით უფრო მეტია გადაცივების ხარისხი; აუსტენიტისა და პერლიტის თავისუფალ ენერგიებს შორის სხვაობა ($\Delta F = F_s - F_a$), რაც აჩქარებს გარდაქმნის მიმდინარეობას. მეორე მხრივ, აუსტენიტის პერლიტური გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნება საწყის ფაზასთან მპეტორად განსხვავებული სტრუქტურები – ფერიტი, რომელიც თითქმის არ შეიცავს ნახშირბადს და ცემენტიტი, რომელშიც ნახშირბადის შემცველობა 6,67%-ს შეადგენს. ამიტომ, აუსტენიტის პერლიტური გარდაქმნა დიფუზური პროცესია და მოითხოვს ნახშირბადის ატომების გადანაწილებას ფაზებს შორის. გარდაქმნის ტემპერატურის შემცირებით კი დიფუზიის სიჩქარე (D) მკვეთრად მცირდება და, ამ თვალსაზრისით, იგი უნდა ამუხრუჭებდეს გარდაქმნის მიმდინარეობას.




სურ. №19. აუსტენიტის დაშლის სიჩქარის გრაფიკი გადაცივების ხარისხს დამოკიდებულებით.

ამდენად, გადაცივების ხარისხის გაზრდასთან ერთად მოქმედებაში მოდის ორი ფაქტორი, რომელიც აუსტენიტის პერლიტური გარდაქმნის სიჩქარეზე ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. მათი ერთობლივი მოქმედების შედეგად გადაცივების ხარისხის გაზრდასთან ერთად თავდაპირველად იზრდება აუსტენიტის გარდაქმნის სიჩქარე (V), აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას და შემდეგ იწყებს კლებას (სურ. №19). როგორც გრაფიკიდან გამომდინარეობს, 727°C-ზე (A₁) და 200°C-ის ქვემოთ (d) გარდაქმნის სიჩქარე ნულის ტოლია, რადგან პირველ შემთხვევაში აუსტენიტისა და პერლიტის თავისუფალ ენერგიებს შორის

სხვაობა $\Delta F = 0$, ხოლო მეორე შემთხვევაში პროცესის მიმდინარეობისათვის საჭმარისი არის ნახშირბადის დიფუზიის სიჩქარე.

აუსტენიტის დაშლის პროცესს განიხილავნ აუსტენიტის იზოთერმული გარდაქმნის დიაგრამასთან კავშირში, რომელსაც №20 სურათზე წარმოდგენილი სახე აქვს. a – მრუდი არის აუსტენიტის გარდაქმნის დაწყების, ხოლო b – გარდაქმნის დამთავრების მრუდი. აქედან გამომდინარე, a მრუდის მარცხნივ შენარჩუნებულია

გადაცივებული აუსტენიტი, ხოლო b მრუდის მარჯვნივ მიიღება გარდაქმნის პრო-დუქტები. აუსტენიტის გარდაქმნა ამ ორ მრუდს შორის მიმდინარეობს.



სურ. №20. აუსტენიტის იზოთერმული გარდაქმნის დიაგრამა.

ჰორიზონტალური M_H ხაზი მიუ-
თითებს აუსტენიტის არადიფუზური,
მარტენსიტული მექანიზმით გარდაქმნის
საწყის ტემპერატურას.


აუსტენიტის იზოთერმული გარდა-
ქმნის პროცესის ძირითადი პარამეტრი,
რომელიც ჩამოყალიბებული სტრუქტუ-
რის თავისებურებას განსაზღვრავს, არის
გარდაქმნის ფაქტიური ტემპერატურა.
რადგან, უმრავლეს შემთხვევაში, ფო-
ლადის სტრუქტურის ფორმირება განუ-
წყვეტელი გაცივების პირობებში მიმდი-

ნარეობს, ძირითადი ფაქტორი გაცივების სიჩქარე ხდება.

განუწყვეტელი გაცივების პირობებში ფოლადში მიმდინარე გარდაქმნების ასახსნელად აუსტენიტის იზოთერმული გარდაქმნის დიაგრამაზე გაცივების სიჩქა-
რის მრუდებს ატარებენ (სურ. №21). სურათზე გაცივების სიჩქარეები $V_1 < V_2 < V_3 < V_4 < V_5$.
 V_1 მრუდი, რომელიც ნელი გაცივების სიჩქარეს შეესაბამება, დიაგრამის ხაზებს a_1
და b_1 წერტილებში კვეთს. აღნიშნული წერტილების შესაბამის ტემპერატურაზე
(~700-650°C) დაიწყება და დამთავრდება აუსტენიტის გარდაქმნა, რის შედეგადაც
წარმოიქმნება ფერიტისა და ცემენტიტის უხეში აგებულების მიკრომექანიკური ნა-
რევი, რომელსაც პერლიტი ეწოდება. იგი დაბალი სისალით ხასიათდება, აუსტენი-
ტის დაშლის სხვა პროდუქტებთან შედარებით. კოლონიების ორფაზა აგებულება
კარგად ჩანს №22 ა სურათზე წარმოდგენილი მიკროსტრუქტურიდან.

უფრო მაღალი სიჩქარით გაცივებისას (V_2, V_3) მრუდები აუსტენიტის დაშლის
დიაგრამის ხაზებს შედარებით უფრო დაბალ ტემპერატურაზე გადაკვეთს (a_2, b_2 ,
~650-600°C; a_3, b_3 , ~600-500°C). შესაბამისად წარმოიქმნება სულ უფრო წვრილფირ-
ფიტოვანი დაშლის პროდუქტები – სორბიტი და ტროსტიტი, რომლებიც პერლიტ-
თან შედარებით უფრო გაზრდილი სისალით ხასიათდება (ნახ. №22 ბ, გ). პერლიტს,
სორბიტსა და ტროსტიტს პერლიტური ოჯახის სტრუქტურებს უწოდებენ.

თუ ფოლადის გაცივება დიდი სიჩქარით მიმდინარეობს (V_5 , სურ. №21), მისი




სურ. №21. აუსტენიტის იზოთერმული გარდაქმნის დიაგრამა
გაცივების გაცივების სიჩქარის მრუდებით.

მრუდი იზოთერმული დიაგრამის ხაზებს არ გადაკვეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი სიჩქარით გაცივების დროს აუსტენიტის გარდაქმნა დიფუზური მექანიზმით (პერლიტური ოჯახის სტრუქტურების წარმოქმნით) არ ხდება. გადაცივებული აუსტენიტი მთლიანად აღმოჩნდება შენარჩუნებული M_H ტემპერატურამდე, რომლის მიღწევის შემდეგ დაიწყება აუსტენიტის უშუალო გარდაქმნა არადიფუზური, მარტენსიტული მექანიზმით. გარდაქმნის პროცესებს მარტენსიტი წარმოადგენს.

გაცივების მინიმალურ სიჩქარეს, რომლის დროსაც არ ხდება აუსტენიტის დაშლა პერლიტური ოჯახის სტრუქტურების წარმოქმნით და აუსტენიტიდან მარტენსიტი მიიღება, წრთობის კრიტიკული სიჩქარე ეწოდება. იგი წარმოადგენს მხებს აუსტენიტის იზოთერმული დაშლის დიაგრამის a მრუდთან (V_k , სურ. №21).

თუ გაცივების სიჩქარე რამდენადმე ნაკლებია კრიტიკულთან შედარებით (მაგალითად, V_4 , სურ. №21), მაშინ ზედა ტემპერატურულ ინტერვალში, a მრუდის გადაკვეთის შემდეგ, დაიწყება აუსტენიტის ნაწილობრივი დაშლა ტროსტიტის წარმოქმნით. რადგან გაცივების სიჩქარის მრუდი V_4 b მრუდს არ კვეთს, პროცესი ბოლომდე არ მიმდინარეობს, დარჩენილი აუსტენიტი გადაცივებული აღმოჩნდება M_H ტემპერატურამდე და გარდაქმნა მარტენსიტული სტრუქტურის წარმოქმნით დამთავრდება. საბოლოოდ ჩამოყალიბდება ტროსტიტულ-მარტენსიტული სტრუქტურა (სურ. №23). სტრუქტურაში მუქი არეები ტროსტიტია.

დაბოლოს, თუ აუსტენიტის დაშლა აუსტენიტის იზოთერმული დაშლის დიაგრამის მუხლს ქვემოთ, მაგრამ მარტენსიტული გარდაქმნის ინტერვალის ზემოთ იზოთერ-



სურ. №22. პერლიტური ოჯახის სტრუქტურები:
ა – პერლიტი, x5000, ბ – სორბიტი, x5000,
გ – ტროსტიტი, x15000.



სურ. № 23. ტროსტიტულ-მარტენიტული
სტრუქტურა. x 350.

ზელ პირობებში მოხდა, ბეინიტური სტრუქტურა ჩამოყალიბდება.


წრთობის მიზანს, უმეტეს შემთხვევაში, მარტენიტული სტრუქტურის მიღება წარმოადგენს. M_H ტემპერატურის (იხ. სურ. №21) ქვემოთ ფოლადის გადაცივების შემთხვევაში ნახშირბადის დიფუზია პრაქტიკულად წყდება, ამიტომ, აუსტენიტის დიფუზური დაშლა ფერიტო-პერლიტური სტრუქტურის წარმოქმნით შეუძლებელი ხდება, მაგრამ, რკინის γ→α გარდაქმნის მიმდინარეობა ჯერ კიდევ შესაძლებელია, რადგან იგი ატომების უმნიშვნელო გადაადგილებას მოითხოვს. შედეგად ყალიბდება α რკინის სივრცითი კრისტალური გისოსი, რომელშიც ნახშირბადის ატომები იძულებით აღმოჩნდება ჩანერგილი იმავე რაოდენობით, რამდენსაც შენადნობი შეიცავს.

რადგან ოთახის ტემპერატურაზე α რკინაში ნახშირბადის ხსნადობის ზღვარი უმნიშვნელოა (0,01%), α რკინა ნახშირბადით გადაჯერებული აღმოჩნდება.

ამგვარად, მარტენიტი წარმოადგენს ნახშირბადის გადაჯერებულ მყარ ხსნარს α რკინაში. ნახშირბადის ატომების იძულებითი ჩანერგის გამო α რკინის კუბური კრისტალური გისოსი სივრცით დაცენტრებულ ტეტრაგონურ გისოსში გადადის. მარტენიტი ხასიათ-

დება მაქსიმალური სისალით განხილულ სტრუქტურებთან შედარებით, მაგრამ საგრძნობლად არის შემცირებული პლასტიკურობის მახასიათებლები.

ფოლადის წრთობის რეჟიმი. წრთობისათვის გახურების ტემპერატურა რკინა-ნახშირბადის დიაგრამის მიხედვით (სურ. №24) შემდეგი მოსაზრებიდან გამომდინარე, შეირჩევა: წრთობის წინ გახურების მიზანი არის არსებული, ფერიტო-კერლიტური (ქვევტექტოიდური ფოლადებისათვის) სტრუქტურის გადაყვანა აუსტენიტი. ამისათვის, ქვევტექტოიდურ ფოლადს $Ac_3+(30-50)^{\circ}\text{C}$ ტემპერატურამდე ახურებენ და წინასწარ შერჩეული დროის განმავლობაში აყოვნებენ. მიღებული აუსტენიტის კრიტიკული სიჩქარით გაცივება მარტენიტის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. ნაკეთობის წრთობას ერთფაზა აუსტენიტური მდგომარეობიდან სრული წრთობა ეწოდება.



სურ. №24. ნახშირბადიანი ფოლადების წრთობის ტემპერატურული ინტერვალი

ბუნებრივია, ზევტექტოიდური ფოლადის სრული წრთობა (გახურება Ac_m ტემპერატურის ზემოთ) ასევე, მარტენიტის მიღებას განაპირობებს, მაგრამ, თუ ფოლადს წრთობის წინ მხოლოდ Ac_1 ტემპერატურის ზემოთ ($30-50)^{\circ}\text{C}$ -ით გავახურებთ, სტრუქტურაში აუსტენიტთან ერთად შემონახული აღმოჩნდება მეორეული ცემენტიტი. წრთობის შემდეგ აუსტენიტი მოგვცემს მარტენიტს. ამდენად ოთახის ტემპერატურაზე ფიქსირებული სტრუქტურა შედგენილი იქნება მარტენიტისა და ცემენტიტისაგან. რადგან ცემენტიტის თანხლება (მისი სისალეა 800 HB) არა თუ აუარესებს ფოლადის თვისებებს, არამედ ზრდის კიდეც მის სისალესა და ცვეთამედეგობას მჭრელ იარაღებში, ზევტექტოიდურ ფოლადს ყოველთვის არასრულ წრთობას უტარებენ.

წრთობის ტემპერატურამდე გახურებისათვის საჭირო დროის მიახლოებითი გაანგარიშებისათვის სხვადასხვა ემპირიული ფორმულით სარგებლობენ, ხოლო დაყოვნების დრო, რაც აუცილებელია ნაკეთობის განივ კვეთში სტრუქტურის გათანაბრებისათვის, გახურების დროის მეოთხედი აიღება.

წრთობის პროცესში გადამწყვეტი ეტაპია გაცივება, რომლის სიჩქარეც, ძორითადად განაპირობებს წრთობის ეფექტს. გაცივების სიჩქარის რეგულირება ხდება გამაცივებელი არის შერჩევით. ამჟამად ყველაზე ფართოდ გავრცელებული

გამაცივებელი არებია წყალი და ზეთი. ჩვეულებრივ ნახშირბადიან ფოლადებს წყალში აწრთობენ, ხოლო ლეგირებულ ფოლადებს – ზეთში. წყალში წრთობა ყოველთვის ძალიან დიდ ნარჩენ ძაბვებს აღძრავს ნაკეთობაში, მაგრამ, სხვა ცნობილი გამაცივებლები ნახშირბადიანი ფოლადების საწრთობად უვარგისია.

მოშვება. მოშვება თერმული დამუშავების საბოლოო სახეა და ყოველთვის წრთობის შემდეგ ტარდება. ნაწრთობი ნაკეთობის საბოლოო თვისებებს, მნიშვნელოვან წილად, სწორედ მოშვების ტემპერატურა აყალიბებს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მოშვების დროს ხდება გახურება A₁ კრიტიკული ტემპერატურის ქვემოთ, დაყოვნება გარკვეული დროის განმავლობაში და გაცივება. მოშვების მიზანი სხვადასხვა შეიძლება იყოს. პრაქტიკულად მოშვების სამ სახეობას იყენებენ:


- ა. დაბალ მოშვებას** – გახურება 150-200°C-მდე;
- ბ. საშუალო მოშვებას** – გახურება 300-500°C-მდე;
- გ. მაღალ მოშვებას** – გახურება 500-700°C-მდე.

დაბალი მოშვების მიზანია მხოლოდ ნარჩენი ძაბვების მოხსნა, რაიმე სტრუქტურული გარდაქმნების გარეშე. ამ დროს ტეტრაგონური მარტენიტი მოშვებულ, კუბურ მარტენიტი გადადის. სისალე თითქმის უცვლელი რჩება, ძაბვები კი მოიხსნება.

დაბალ მოშვებას, ძირითადად, უტარებენ მჭრელ და საზომ იარაღებს, აგრეთვე, ისეთ ნაკეთობას, სადაც აუცილებელია მაღალი სისალე, სიმტკიცე და ცვალამარტინი.

საშუალო მოშვება ძირითადად ზამბარებსა და რესორებს უტარდება. მარტენიტი იშლება მაღალდისპერსიული ფერიტისა და ცემენტიტის მიკრომექანიკური ნარევის – ტროსტიტის წარმოქმნით (სურ. №25 ა). ფოლადი საკმაოდ მაღალ დრეკად თვისებებს დებულობს. მოშვების შემდეგ გაცივება შეიძლება წყალში განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში ზედაპირულ შრეებში მკუმშავი ნარჩენი ძაბვები წარმოიქმნება, რაც ზრდის ზამბარის გამძლეობას დაფლილობისადმი.

მაღალი მოშვების მიზანია წრთობით მიღებული სტრუქტურის ისეთნაირი შეცვლა, რომ სისალე და სიმტკიცე რამდენადმე შემცირდეს, მაგრამ, სიბლანტე და პლასტიკურობა გაიზარდოს. გახურების პროცესში ჯერ წვრილდისპერსიული ფერიტ-ცემენტიტური ნარევი წარმოიქმნება, ხოლო შემდგომი გახურება ცემენტიტის მარცვლების გამსხვილებას და ფერიტის რეკრისტალიზაციას იწვევს. ფოლადი დებულობს სორბიტულ სტრუქტურას (სურ. №25, ბ).



სურ. №25. მოშვების ტროსტიტი (ა) და მოშვების სორბიტი (ბ). x1000.

მოშვების პროდუქტები - ტროსტიტი და სორბიტი ერთნაირი ბუნების სტრუქტურას წარმოადგენს; ისინი შედგებიან ფერიტისა და ცემენტიტის ნარევისაგან, მაგრამ, ერთმანეთისგან ცემენტიტის დისპერსიულობითა და ფერიტის რეკრისტალიზაციის ხარისხით განსხვავდებიან, რაც ძირითადად ფოლადის მექანიკურ მახასიათებლებზე ახდენს გავლენას. მოშვების ტემპერატურის გაზრდით სისალე და სიმტკიცე მცირდება, ხოლო პლასტიკურობა და სიბლანტე – მატულობს. წრთობას მარტენსიტზე და მაღალ მოშვებას გაუმჯობესება ეწოდება.

ა1 ტემპერატურის მახლობლობაში მოშვების დროს, უხეში ფერიტო-ცემენტიტური ნარევი – მარცვლოვანი პერლიტი წარმოიქმნება.


მოშვების სტრუქტურები, აუსტენიტის დაშლის შედეგად მიღებული ფირფიტოვანი სტრუქტურებისგან განსხვავებით, მარცვლოვანი აგებულებით ხასიათდება, რაც თვისებების კომპლექსის თვალსაზრისით მათ დიდ უპირატესობას ანიჭებს (განსაკუთრებით დარტყმითი სიბლანტის მაჩვენებლებით) წრთობის ანალოგიურ სტრუქტურებთან შედარებით.

ზედაპირული წრთობა. საექსპლუატაციო თვისებებიდან გამომდინარე, ხშირად საჭიროა ნაკეთობათა ზედაპირი იყოს სალი და ცვეთამედეგი, ხოლო გული ინარჩუნებდეს გარკვეულ სიბლანტეს. თვისებათა ასეთი შესამების მიღება შესაძლებელია, თუ ნაცვლად მოცულობითი წრთობისა, ზედაპირულ წრთობას ჩავატარებთ. ამ დროს სტრუქტურა და თვისებები მხოლოდ ნაკეთობის ზედაპირზე იცვლება, გული კი უცვლელი რჩება.

ზედაპირული წრთობის დროს ნაკეთობას დიდი სიჩქარით ახურებენ (მაღალი სიხშირის დენით ან ალით), ამიტომ, ზედაპირული ფენები სრული წრთობის ტემპერატურამდე ხურდება (I ზონა, სურ. №26), მომდევნო ფენები – არასრული წრთობის ტემპერატურამდე (II ზონა), გარკვეული სიღრმის ქვემოთ კი ტემპერატურა არ

იწვევს სტრუქტურულ ცვლილებებს (III ზონა). აქედან გამომდინარე, წრთობის შემდეგ ზედაპირზე მარტენსიტული სტრუქტურა მიიღება, მომდევნო ფენებში – გარდამავალი სტრუქტურები, გულში კი შენარჩუნდება საწყისი სტრუქტურა მისთვის დამახასიათებელი თვისებებით.

ზედაპირული წრთობის შემდეგ, როგორც წესი, მიმართავენ მოშვებას $150\text{--}180^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე. ნაკეთობას, რომელსაც ზედაპირული წრთობა უტარდება, სპეციალური, შემცირებული შეწრთობადობის ფოლადებისგან ამზადებენ, როგორიცაა 55pp, 60pp და ა.შ. ზედაპირულ წრთობას ექვემდებარება აგრეთვე ჩვეულებრივი ნახშირბადიანი ფოლადიც ნახშირბადის შემცველობით 0,4% და მეტი.




სურ. №26. ნაკეთობაში ტემპერატურის განაწილების ხასიათი ზედაპირული წრთობის დროს.

ქიმიურ-თერმული დამუშავება თვისებათა შეცვლის ფართო დიაპაზონს იძლევა. ამ დროს ნაკეთობის ზედაპირულ შრეებში ერთდროულად იცვლება როგორც შენადნობის ქიმიური შედგენილობა, ისე სტრუქტურა. დამუშავების ეს ხერხი იმ შემთხვევაში გამოყენება, როდესაც მიზანშეწონილია ნაკეთობის ზედაპირისა და გულის თვისებებში მკვეთრი განსხვავება. უმეტეს შემთხვევაში ქიმიურ-თერმული დამუშავების მიზანია ნაკეთობის ზედაპირის განმტკიცება, გულის სიბლანტის შენარჩუნებით. გარდა მექანიკური თვისებების ამაღლებისა, მეთოდი ნაკეთობათა კოროზიამედეგობის გაზრდის შესაძლებლობასაც იძლევა.

ქიმიურ-თერმული დამუშავების ძირითადი სახეებია: **ცემენტაცია, დააზოტება, დაციანება და დიფუზური მეტალიზაცია.**

ცემენტაცია. ცემენტაცია არის ფოლადის ზედაპირის გამდიდრება ნახშირბადით. მისი მიზანია ზედაპირული სისალის, ცვეთამედეგობისა და დაღლილობისადმი გამძლეობის ამაღლება, გულში სიბლანტის შენარჩუნებით, რაც ნაკეთობის მაღალ საკონსტრუქციო სიმტკიცეს განაპირობებს. ცემენტაცია უტარდება კბილანებს, თითებს, ლილვებს, დერძებს, სხვადასხვა სახის ბერკეტებს, საკისრების ცალკეულ ნაწილებს და ა.შ., რომელთა საექსპლუატაციო ტემპერატურა არ აღემატება

150-200°C. საცემენტაციოდ იღებენ 10, 15, 20 და 25 ნახშირბადმცირე ფოლადებს, უფრო მაღალი სიმტკიცის უზრუნველსაყოფად – ნახშირბადუხვ ფოლადებს ფოლად 40-მდე.



სურ. №27. ცემენტირებული შრის მიკროსტრუქტურის სქემა წონასწორულ მდგომარეობაში.

შემდგომი აუცილებელი ოპერაციაა წრთობა და დაბალი მოშვება, რის შედეგადაც ზედაპირზე მაღალი სისალე (58-60 HRC) მიიღება, ხოლო გული რბილი (20-30 HRC) რჩება.

დააზოტება. დააზოტება არის ფოლადის ნაკეთობის ზედაპირის დიფუზური გამდიდრება აზოტით. მისი მიზანია მაღალი ზედაპირული სისალის, ცვეთამედეგობის და დაღლილობისადმი გამძლეობის გადიდება. ერთდროულად იზრდება ნაკეთობის კოროზიამედეგობა, ატმოსფერულ პირობებში. გარდა ამისა, დააზოტებული ზედაპირი კარგად პრიალდება და ლამაზად ბზინავს, ამიტომ, დააზოტებას დეკორატიული მნიშვნელობაც გააჩნია.

დააზოტება ისეთ დეტალებს უტარდება, როგორიცაა კბილანები, შპინდელები, ლილვები, კარდანის ჯვარები, ზუსტი მანქანათმშენებლობის დეტალები, ხელსაწყოთა ნაწილები, ნაირგვარი თარგები და სხვა, რომლებიც შედარებით მცირე ხვედრითი წნევის პირობებში, მაგრამ, გაზრდილ ტემპერატურაზე (500-600°C) მუშაობს.

ცემენტაციის ტემპერატურაა 900-950°C. ცემენტაციის შემდეგ ნახშირბადის რაოდენობა ზედაპირზე 1,0-1,1%-შეადგენს. გულისკენ მისი შემცველობა თანდათან კლებულობს და ფოლადში არსებულ მნიშვნელობას აღწევს. შესაბამისად იცვლება ლითონის სტრუქტურაც (სურ. №27). ცემენტირებული შრის სისქე შეიძლება 0,1-10 მმ-ის ზღვრებში იცვლებოდეს, უმეტეს შემთხვევაში კი 0,5-3,0 მმ-ია მიღებული.

სასურველი თვისებები უშუალოდ ცემენტაციის შემდეგ არ მიღება. ცემენტირებული ნაკეთობის

აზოტის დადებითი გავლენა ფოლადის თვისებებზე უშუალოდ, თერმული დამუშავების გარეშე მუდავნდება. ამიტომ, დააზოტებას საბოლოოდ დამუშავებულ დატალებს (ჭრით, ხეხვით და თერმული დამუშავების შემდეგ) უტარებენ.

დააზოტებული შრის სტრუქტურა, თვისებები და სისქე დააზოტების ტემპურატურასა და დაყოვნების დროზეა დამოკიდებული. ტემპერატურა არ აღემატება 590°C , დაყოვნების დრო – 2-დან 60 საათამდე. დააზოტებული შრის სისქე 0,1-0,8მმ-ს შეადგენს. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა (500 -დან 600°C -მდე ინტერვალში), მით უფრო მეტია დააზოტებული შრის სისქე, მაგრამ, ზედაპირის სისალე დაბალი მიიღება: 500°C -ზე 1150 HV, 550°C -ზე 1000 HV, ხოლო 600°C -ზე – 900 HV.

დააზოტების პროცესს, პრაქტიკულად, ნებისმიერი ქიმიური შედგენილობის ფოლადი ექვემდებარება.

დაციანება. დაციანება არის ფოლადის ნაკეთობის ზედაპირის დიფუზური გამდიდრება, ერთდროულად, ნახშირბადით და აზოტით. დაციანების მიზანია სისალისა და ცვეთამედეგობის გაზრდა საკონსტრუქციო ფოლადში და სისალისა და თბომედეგობის გადიდება სწრაფმჭრელ ფოლადში.

პროცესს ტემპერატურული რეჟიმების მიხედვით არჩევენ:

- **მაღალტემპერატურულ დაციანებას.** მას საკონსტრუქციო ფოლადის სისალის, ცვეთამედეგობისა და დაღლილობისადმი გამძლეობის გასაზრდელად მიმართავენ. დაციანებას 850 - 900°C -ზე აწარმოებენ, რა დროსაც ფოლადში უპირატესად ნახშირბადი იხსნება. ზედაპირულ შრეებში მიიღება $0,8$ - $1,1\%$ C და $0,2$ - $0,3\%$ N. პროცესი ნახშირბადმცირე საცემენტაციო და საშუალონახშირბადიან ფოლადებს უტარდება. 1-6 საათის განმავლობაში შეიძლება $0,5$ - $1,0$ მმ დაციანებული შრის მიღება.

მაღალტემპერატურული დაციანების შემდეგ აუცილებელია წრთობისა და მაღალი მოშვების ჩატარება.

- **საშუალოტემპერატურულ დაციანებას.** მისი მიზანი იგივეა, რაც მაღალტემპერატურული დაციანების შემთხვევაში. დაციანების ტემპერატურა 820 - 850°C შეადგენს. წინა რეჟიმთან შედარებით, ნახშირბადის რაოდენობა $0,2$ - $0,7\%$ -მდე კლებულობს, აზოტისა კი $0,8$ - $1,2\%$ -მდე მატულობს. ნაკეთობას წრთობა უშუალოდ დაციანების ტემპერატურიდან უტარდება. დამამთავრებელი ოპერაციაა დაბალი მოშვება.

- **დაბალტემპერატურულ დაციანებას.** პროცესი ძირითადად სწრაფმჭრელი ფოლადისაგან დამზადებული იარაღის სისალისა და წითელმედეგობის (თბომედეგობის) გასაზრდელად გამოიყენება. დაციანების ტემპერატურა 540 - 560°C შეადგენს,

ამიტომ, ზედაპირი უპირატესად მდიდრდება აზოტით, ნაკლებად – ნახშირბადით. დაბალტემპერატურული დაციანება საბოლოო თერმული დამუშავების შემდეგ ტარდება. დაციანებული შრე მეტად მცირეა – 0,02-0,08მმ, ზედაპირული სისალე – 1000-1100HV (66-70HRC).

დიფუზური მეტალიზაცია. დიფუზური მეტალიზაციის დროს ხდება ნაკეთობათა ზედაპირის გამდიდრება სხვადასხვა ლითონით. ამჟამად გავრცელებულია დაალუმინება, დაქრომვა და დასილიცირება.

დაალუმინების შემდეგ ფოლადის ნაკეთობა იძენს კოროზიულ მედეგობას ჩვეულებრივ ატმოსფერულ პირობებში, ზოგიერთ აგრესიულ არეში და მაღალ ტემპერატურაზე. დაალუმინებას ძირითადად უტარებენ ნახშირბადმცირე ფოლადისაგან დამზადებულ ნაკეთობებს, რომლებიც მაღალ ტემპერატურაზე განიცდის ექსპლუატაციას. ასეთებია: დუმელის მოწყობილობა, სახურებელი ელემენტები და ა.შ. დაალუმინებულ ნაკეთობათა სამუშაო ტემპერატურაა 900°C . დაალუმინებას ექვემდებარება, აგრეთვე, სავიაციო ძრავის ზოგიერთი დეტალი, მაგალითად, სარაკეტო საქშენის, ტურბინის თათის და სხვა დეტალები.

ნახშირბადმცირე ფოლადის დაქრომვის შემდეგ ნაკეთობა ასევე იძენს კოროზიულ მედეგობას ატმოსფერულ პირობებში, ზოგიერთ აგრესიულ არეში და მაღალ ტემპერატურაზე. ქრომი ნახშირბადთან წარმოქმნის კარბიდს, რომელიც ფოლადს მაღალ სისალეს ანიჭებს, ამიტომ, ნახშირბადუხვ ფოლადებში სისალე ზედაპირზე 1500 HV-ს აღწევს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ცემენტირებული შრის სისალეს.

დასილიცირების პროცესი გამიზნულია ფოლადის კოროზიული მედეგობის ასამაღლებლად, ატმოსფერულ პირობებში, ზოგიერთ აგრესიულ არეში ($\text{ზღვის } წყალში$, აზოტის, გოგირდის, მარილის მჟავებში) და მაღალ ტემპერატურაზე (1000°C -მდე). დასილიცირებული ზედაპირის სისალე არ აღემატება 300 HB . მიუხედავად ამისა, ნაკეთობის ცვეთამედეგობა გარკვეული ხარისხით იზრდება. დასილიცირებული შრის სისქე $0,3\text{-}1,0 \text{ მმ}$ შეადგენს.

ზემოაღნიშნული მეთოდებით ნაკეთობის ზედაპირის კომპლექსური დამუშავება საშუალებას იძლევა, ზოგიერთ შემთხვევაში, მხურვალმედეგობის უფრო მაღალი მნიშვნელობები იქნეს მიღწეული. მაგალითად, ქრომითა და ალუმინით ზედაპირის ერთდროული გამდიდრება (ქრომალიტირება) წარმატებით გამოიყენება სავიაციო ძრავის ზოგიერთი ისეთი დეტალის მხურვალმედეგობისა და მხურვალ-

მტკიცობის გასაზრდელად, როგორიცაა ტურბინის თათები და საქმენის აპარატის დეტალები.

ქვემოთ წარმოდგენილია ქიმიურ-თერმულად დამუშავებული ნაკეთობის გამოყენების ზედა ტემპურატურული ზღვარი:

დაქრომილი. 800°C ;

დასილიცირებული. . . 900°C ;

ქრომსილიცირებული. . 1000°C ;

ქრომალიცირებული. . . 1050°C ;

დაალუმინებული. 1150°C ;

IV თავი. თერმულად დამუშავებული ნაკეთობის დეფექტები და მათი ზარმოშობის მიზანები

ლითონებისა და შენადნობების თერმული დამუშავება წარმოადგენს ტექნოლოგიური ოპერაციების ერთობლიობას, რომელიც ნაკეთობის გახურებასთან, დაყოვნებასთან და გაცივებასთან არის დაკავშირებული. იგი თანმიმდევრულად ან ერთდროულად მიმდინარე (დამხმარე, ძირითადი, დამატებითი) ოპერაციებს გულისხმობს.

თერმული დამუშავების მიზანია მექანიკური, ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებების სასურველი მიმართულებით შეცვლა, დეტალის ან ნამზადის ძირითადი ზომებისა და ფორმის შეცვლელად. თერმული დამუშავებით ფართო დიაპაზონში შეიძლება შეიცვალოს ლითონის სიმტკიცე, მხურვალსიმტკიცე, პლასტიკურობა, სიბლანტე, ტექნოლოგიური თვისებები (ჭედადობა, ჭრით დამუშავება-დობა, შედუღებადობა, შეწრობადობა, თბომედეგობა), აგრეთვე, მაგნიტური, კოროზიული, თბური და ოპტიკური თვისებები.

თერმული დამუშავება ამაღლებს საკონსტრუქციო სიმტკიცეს – საკონსტრუქციო მასალის, კვანძის ან დეტალის საიმედოობას და ხანძელებას ექსპლუატაციის პროცესში. იმ დეტალების ნომენკლატურა, რომლებიც თერმულ დამუშავებას განიცდიან, მეტად დიდია – პრეციზიული ხელსაწყოების მინიატურული დეტალები-დან მსხვილ სხმულებამდე და ნაჭედებამდე. თერმული დამუშავება არსებით გავლენას ახდენს წარმოების მომიჯნავე ოპერაციების თვითდირებულებასა და შრომა-ტევადობაზე. ამასთანავე, თვით თერმული დამუშავების თვითდირებულება სრული თვითდირებულების 2-4%-ს არ აღემატება.

პროდუქციის ხარისხს წარმოების მთელი ციკლი განაპირობებს. ამიტომ, ტექნოლოგიური პროცესის ყველა საფეხურზე, ხარისხის კონტროლი და მისი მიზანმიმართული მართვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. იგი ტექნოლოგიური პროცესების, მათ შორის თერმული დამუშავების, დახვეწისა და სრულყოფის მძლავრი საშუალებაა.

ამგვარად, თერმულად დამუშავებული ნაკეთობის ხარისხის კონტროლი, წუნის გამოვლენისა და მისი შემცირების გზების ძიება, ნაკეთობათა ხანგამძლეობის ამაღლების, პროდუქციის თვითდირებულების შემცირებისა და წარმოების შემდგომი განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

1. წუნის სახეები თერმულად დამუშავებულ ნაკეთობაში

არასწორად ჩატარებული თერმული დამუშავების შედეგად, ნაკეთობაში შეიძლება სხვადასხვა სახის დეფექტი ჩამოყალიბდეს. მათგან ყველაზე გავრცელებულია დაბრეცა, დეფორმაცია და ბზარები, არასაკმარისი სისალე, გაზრდილი სიმყიფე, გაუნახშირბადოება და ზედაპირის ჟანგვა.


მოწვისა და ნორმალიზაციის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს უკმარხურებას, გადახურებას და ფოლადის გადაწვას.

უკმარხურებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მოწვის ან ნორმალიზაციის ტემპერატურა ნაკლებია ტექნოლოგიური პირობებით მოთხოვნილ ტემპერატურასთან შედარებით ან არასაკმარისია დაყოვნების დრო. უკმარხურების შედეგად დაბალი პლასტიკური მახასიათებლები მიიღება. უკმარხურებული ფოლადის გამოსწორება განმეორებითი მოწვით ან ოპტიმალურ ტემპერატურაზე ნორმალიზაციით არის შესაძლებელი.

გადახურება მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც ღუმელის ტემპერატურა მნიშვნელოვნად აღემატება ოპტიმალურს ან დაყოვნების დრო გადაჭარბებულიდ. გადახურება მოწვის დროს მარცვლის ზრდას განაპირობებს, ხოლო ძლიერი გადახურების შემთხვევაში ე.წ. ვიდანშტატური სტრუქტურა წარმოიქმნება, რომელიც ფერიტული უბნების ფირფიტოვანი აგებულებით ხასიათდება. ფირფიტები ერთმანეთის მიმართ გარკვეული კუთხით არის განლაგებული (სურ. №28 ა). ასეთი სტრუქტურის მქონე ფოლადი დაბალი პლასტიკური თვისებებით გამოირჩევა. მნიშვნელოვნად არის შემცირებული დარტყმითი სიბლანტე. გადახურებული ფოლადის სტრუქტურის გამოსწორება, ოპტიმალურ ტემპერატურაზე, განმეორებითი მოწვით ან ნორმალიზაციით არის შესაძლებელი. მნიშვნელოვანი გადახურების შემთხვევაში რეკომენდებულია ორჯერადი მოწვა. ამასთანავე, პირველ მოწვას ოპტიმალურთან შედარებით $50-150^{\circ}\text{C}$ -ით უფრო მაღალ ტემპერატურაზე აწარმოებენ.

ფოლადის გადაწვა მიმდინარეობს მაღალ ტემპერატურაზე, დამუანგველ ატმოსფეროში მისი გახურებისას, როდესაც ტემპერატურა ახლოს დგას ლითონის დნობის ტემპერატურასთან. ლითონის ჟანგვა მარცვლის საზღვრებში მიმდინარეობს (სურ. №28 ბ). გადამწვარი ფოლადი მაღალი სიმყიფით ხასიათდება და იგი გამოუსწორებელ წუნს მიეკუთვნება.

წუნის დანარჩენი სახეები, ძირითადად, ფოლადის წრთობის პროცესში წარმოიქმნება.



სურ. №28. ფოლადის მაკროსტრუქტურა
ა - ძლიერად გადახურებული, ბ - გადამწვარი.

2. თერმულად დამუშავებულ ნაკეთობაში დეფექტების წარმოქმნის წყაროები

თერმული დამუშავების პროცესში დეფექტების წარმოქმნის ძირითად წყაროს შინაგანი და ნარჩენი დაძაბულობა წარმოადგენს.


შინაგანი დაძაბულობის განვითარებას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: ტემპერატურის არათანაბარი ცვლილება ნაკეთობის განივ კვეთში და ფაზური გარდაქმნების არაერთდროულად მიმდინარეობა, რასაც თან სდევს კუთრი მოცულობის ცვლილება. აქედან გამომდინარე, ასხვავებენ დროებით და ნარჩენ შინაგან დაძაბულობას. დაძაბულობას, რომელიც არათანაბარი თბური დეფორმაციის შედეგად წარმოიქმნება, თბურ ან თერმულ დაძაბულობას უწოდებენ, ხოლო დაძაბულობას, რომელიც არაერთდროულად მიმდინარე ფაზური გარდაქმნების და კუთრი მოცულობის ცვლილების გზით ვითარდება – სტრუქტურულს.

დაძაბულობები ერთმანეთისგან იმ არის (ფართობის) სიდიდით განსხვავდება, რომელშიც ისინი წონასწორულ მდგომარეობას აღწევენ. ამასთან დაკავშირებით ასხვავებენ I, II და III გვარის დაძაბულობას. ლითონური მასალების რეალური აგებულებიდან გამომდინარე, გარკვეული მსჯელობა მხოლოდ I გვარის, ანუ ზონურ დაძაბულობაზეა შესაძლებელი, რომელიც მაკროსკოპულ არეში წონასწორდება. II და III გვარის დაძაბულობა კი დისლოკაციების არსებობასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, დისლოკაციების თავმოყრის უბნებში II გვარის დაძაბულობა წარმოიქმნება, ხოლო ცალკეული დისლოკაციებით აღძრული დაძაბულობა III გვარის დაძაბულობას მიეკუთვნება. გარკვეული ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ II გვარის დაძაბულობა ერთი კრისტალის (მარცვლის) ფარგლებში წონასწორდება, ხოლო III გვარისა – რამდენიმე ატომთშორისი მანძილის დაშორებით.

თერმულ დამუშავებაში მნიშვნელოვანია I გვარის დაძაბულობა, ამიტომ, ჩვენ ყველადღებას სწორედ ამ მიმართულებით გავამახვილებთ.

ნარჩენმა ძაბვებმა შეიძლება ლითონის კონსტრუქციული სიმტკიცე ან შეამ-ციროს, ან გაზარდოს. მაგალითად, ნარჩენი ძაბვები დადებითად იმ შემთხვევაში მოქმედებს, როდესაც მათი მიმართულება ექსპლუატაციის დროს ნაკეთობაში აღდ-რული ძაბვების მიმართულების საპირისპიროა. ცნობილია, რომ დეტალის ზედა-პირზე მკუმშავი ძაბვების არსებობა დადლილობისადმი სიმტკიცეს ზრდის, ხოლო გამჭიმავი ძაბვები – ამცირებს. აქედან გამომდინარე, ისეთ დეტალებს, რომლებიც ნიშანცვლად დატვირთვებს განიცდის, შეგნებულად უტარებენ ისეთ დამუშავებას, რომელიც ხელს უწყობს მის ზედაპირზე მკუმშავი ძაბვების წარმოქმნას. დამუშავე-ბის ასეთ ხერხს ზედაპირული წრთობა, დააზოტება ან ზედაპირული პლასტიკური დეფორმაცია შეიძლება მივაკუთვნოთ. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მი-დებული არა მარტო ნარჩენი ძაბვების სიდიდე ზედაპირზე, არამედ, უმთავრესად, მათი ცვლილების ხასიათი ნაკეთობის განივ კვეთში.

შინაგანი ძაბვების წყაროები. წრთობის პროცესში ინტენსიური გაცივება, ნაკეთობის განივ კვეთში, ტემპერატურული გრადიენტის წარმოქმნას განაპირობებს. მის სიდიდეს, წრთობის წინ გახურების ტემპერატურა, დეტალის ფორმა და ზო-მები, ფოლადის ტემპერატურული გამტარობა და, ბოლოს, საწრთობი არის მაცივე-ბელი უნარი და ცირკულაციის ხარისხი განსაზღვრავს. მაგალითის სახით №29 ხუ-რათზე წარმოდგენილია 330მმ დიამეტრის მქონე ნაკეთობის განივ კვეთში ტემპერა-ტურული არეების ცვლილების ხასიათი, 880°C -დან ზეთში გაცივების პროცესში. როგორც მრუდების ხასიათიდან გამომდინარეობს, გაცივების საწყის მომენტში ტემპერატურა ზედაპირზე მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად ვარდება, ვიდრე ცენტრ-ში, ე.ი. $\frac{dt_s}{d\tau} > \frac{dt_c}{d\tau}$, სადაც t_s , t_c შესაბამისად არის ზედაპირის და ცენტრის ტემპერა-ტურა, ხოლო τ - გაცივების დრო.



სურ. №29. ტემპერატურის ცვლილების ხასიათი 330 მმ-ის დიამეტრის ნაკედის განივ კვეთში 880°C -დან ზეთში გაცივებისას.


მანძილი ზედაპირიდან: 1 – 30 მმ; 2 – $1/2$ R; 3 – R

ზედაპირსა და ცენტრს შორის ტემპერატურათა სხვაობა Δt თავდაპირველად იზრდება, ხოლო შემდეგ შემცირებას იწყებს. ტემპერატურული ვარდნის მაქსიმალური მნიშვნელობა საწრთობი ნაკეთობის საწყისი ტემპერატურით, მისი ფორმით, ზომებით, ფიზიკური თვისებებით, საწრთობი არის გამაცივებელი უნარით და მისი ცირკულაციის ხარისხით განისაზღვრება. ნაკეთობის ზედაპირისა და ცენტრალური ფენების სხვადასხვა სიჩქარით გაცივებას თან სდევს არაერთგვაროვანი თბური კუმშვა და, აქედან გამომდინარე, თერმული დეფორმაციებისა და დაძაბულობების წარმოქმნა. №30 სურათზე წარმოდგენილია სწრაფი გაცივების დროს ნაკეთობის ზედაპირზე და ცენტრში, დერმული თერმული ძაბვების ცვლილების სქემა. ფოლადის მაღალი პლასტიკურობის გამო დეფორმაცია მაღალ ტემპერატურაზე დრეგად-პლასტიკური ხასიათისაა, ამიტომ, ზედაპირული ფენები ცენტრალურ ზონებთან შედარებით უფრო გაჭიმული აღმოჩნდება. რადგან საწრთობი სხეულის მთლიანობა შენარჩუნებულია, გაცივების ბოლოს ზედაპირზე მკუმშავი, ხოლო ცენტრში – გამჭიმავი ძაბვები შეინიშნება. ამგვარად, გაცივების პროცესში თავდაპირველად დროუბითი, ხოლო შემდეგ – განსხვავებული მიმართულების ნარჩენი ძაბვები წარმოიქმნება.


თუ გაცივებისას სხეულში გამჭოლი წრობა განვითარდა, რომელსაც თან სდევს სტრუქტურული ცვლილებებით განპირობებული მოცულობის ზრდა, მაშინ დროებითი და ნარჩენი ძაბვების ცვლილების ხასიათს №31 სურათზე წარმოდგენილი სახე ექნება. №30 და №31 სურათის ურთიერთ შედარებით ადვილად დგინდება, რომ სტრუქტურული დაძაბულობები თერმული დაძაბულობების საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლება – გაცივების დასასრულს ზედაპირულ ფენებში გამჭიმავი, ხოლო ცენტრში – მკუმშავი ძაბვები აღიძვრება. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია სტრუქტურული არაერთგავაროვნების გამო დამატებითი დაძაბულობებიც აღიძრას.

შედარებით მარტივ ამოცანას წარმოადგენს ტექნოლოგიურ ფაქტორებსა და თერმულ დაძაბულობებს შორის კავშირის დადგენა ისეთი ლითონური მასალების გახურებისა და გაცივების შემთხვევაში, რომელშიც ფაზური გადაკრისტალება ან არ მიმდინარეობს, ან ქვედა კრიტიკული წერტილის ქვემოთ გახურებული ფოლადის გაცივება წონასწორულ მდგომარეობასთან მიახლოებულ პირობებში ხდება. რაც უფრო მაღალია გახურების ტემპერატურა და ინტენსიურია გაცივების პროცესი, მით უფრო მაღალია თერმული დაძაბულობების დონე. იგივე ეფექტს იწვევს ნაკეთობის ფორმის გართულება და ზომების გაზრდა.

უფრო რთულია სტრუქტურული დაძაბულობების შეფასება, რადგან მათი განსაზღვრა ჯამური სტრუქტურული და ტემპერატურული დეფორმაციით ხორციელ-



სურ. №30. ცილინდრული სხეულის სწრაფი
გაცივების დროს წარმოქმნილი თერმული
ძაბვების ცვლილების სქემა
—შეუაგული; ზ-ზედაპირი; ც-ცენტრი



სურ. №31. ცილინდრული სხეულის გამჭოლი
წრთობის პირობებში წარმოქმნილი სტრუქტურული
ძაბვების ცვლილების სქემა
—შეუაგული; ზ-ზედაპირი; ც-ცენტრი


დება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ნარჩენი ძაბვების სიდიდე მასალის მექანიკური, ფიზიკური და ტექნოლოგიური თვისებებით განისაზღვრება. სხვა თანაბარ პირობებში ნარჩენი ძაბვების შემცირებას ხელს უწყობს დენადობის ზღვრის, თერმული გაფართოების კოეფიციენტისა და რეკრისტალიზაციის ტემპერატურის დადაბლება, ტემპერატურის ერთგვაროვნების ხარისხის ამაღლება, რელაქსაციური მდგრადობის შემცირება, დაბოლოს, მატრიცის, მისგან გამოყოფილი მეორეული ფაზის ან წარმოქმნილი ნაწილაკების კუთრ მოცულობებს შორის სხვაობის შემცირება.

დადგენილია, რომ მარტენსიტული გარდაქმნის ტემპერატურულ ინტერვალში გაცივების სიჩქარის შემცირება მნიშვნელოვნად ამცირებს ნარჩენ ძაბვებს. მაგალითად, წყალში წრთობიდან ზეთში წრთობაზე გადასვლა ნარჩენ ძაბვებს 4-ჯერ ამცირებს, ჰაერზე წრთობა – დაახლოებით 10-ჯერ; ზეთში წრთობის ნაცვლად ცხელ გამაცივებელ არეში წრთობა განაპირობებს ნარჩენი ძაბვების შემცირებას 3-4-ჯერ. ნარჩენ ძაბვებს ეფექტურად ამცირებს აგრეთვე ნაწილობი ფოლადის მოშვების ტემპერატურის ამაღლება.

განსაკუთრებით საყურადღებოა წრთობის წინ ზედაპირული ფენების გახურების გავლენა ნაკეთობის განივ კვეთში, ნარჩენი ძაბვების ცვლილების ხასიათზე. ზედაპირული ფენების გახურება დროებითი მკუმშვი ძაბვების აღძვრას გამოიწვევს. გაცივების პროცესში, რადგან ზედაპირის შეკუმშვას წინააღმდეგობას ცივი შუაგული გაუწევს, საპირისპირო, გამჭიმავი ძაბვები წარმოქმნება. ასეთი სურათი შეინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც ზედაპირულ ფენებში მარტენსიტული გარდაქმნა არ მიმდინარეობს.

თუ გაცივებისას ზედაპირული ფენები მარტენსიტულ გარდაქმნას განიცდის,

მათში მკუმშავი ძაბვები აღიძვრება, რომლებიც ზედაპირიდან გარკვეულ სიღრმეში გამჭიმავ ძაბვებში გადადის. გამჭიმავი ძაბვები მაქსიმალურ მნიშვნელობას გარდამავალ ზონაში აღწევს და შემდეგ ისევ მკუმშავი ძაბვებით იცვლება. ძაბვების ასეთი ცვლილების ხასიათი სქემატურად №32 სურათზეა წარმოდგენილი.




სურ. №32. ნარჩენი ძაბვები ფოლად 45-ში
ზედაპირული წრთობის შემდეგ.

თერმული დამუშავების პრაქტიკაში, გარდა I გვარის ნარჩენი ძაბვებისა, შეიძლება ე.წ. ადგილობრივი (ლოკალური) ნარჩენი ძაბვებიც აღიძრას, რომლებიც გასაცივებელი დეტალის ზედაპირზე თბოგადაცემის პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგს წარმოადგენს. როგორც წესი, ასეთი დაძაბულობები მახვილ კუთხებთან, მკვეთრი გადასვლის უბნებში, ჩაღრმავებებთან და ხვრელებთან აღიძგრება. ლოკალური დაძაბულობების წყაროს შეიძლება, ასევე, ხენჯის არათანაბარი შრე წარმოადგენდეს.


წრთობის დროს წარმოქმნილი დეფექტები და მათი შემცირების გზები. ძირითად დეფექტებს, რომლებიც ფოლადის თერმული დამუშავების დროს შეიძლება წარმოიქმნას, დეფორმაცია, დაბრეცა და შიგა ან გარე ბზარები მიეკუთვნება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წრთობის პროცესში, გაცივებისას, ნაკვთობის განივევეთში ტემპერატურის ვარდნილი წარმოიქმნება, რომელიც კუთრი მოცულობების ცვლილების გამო თერმულ ძაბვებს აღძრავს.

როგორც №33 სურათზე წარმოდგენილი მრუდების ხასიათიდან გამომდინარეობს, ზედაპირთან შედარებით, ნაკვთობის გული მნიშვნელოვნად უფრო ნელი სიჩქარით ცივდება. ამასთანავე, ტემპერატურათა სხვაობა Δt მით უფრო მეტია, რაც



სურ. №33. ტემპერატურის ცვლილების ხასიათი ნიშვნის ცენტრული და ზედაპირული.



სურ. №34. ნარჩენი თერმული ძაბვების ცვლილების ხასიათი, რომელებიც წარმოიქმნება ზედაპირსა და გულს შორის უდიდესი ტემპერატურათა სხვაობის მომენტში (ა) და საბოლოო გაცივების შემდეგ (ბ).

უფრო მცირეა ზედაპირის ტემპერატურა. ძაბვების წარმოქმნის თვალსაზრისით გაცივების ის პერიოდია ყველაზე საშიში, როდესაც ტემპერატურათა სხვაობა მაქსიმუმს აღწევს. გაცივების ამ პერიოდში ზედაპირულ ფენებში გამჭიმავი, ხოლო გულში – მკუმშავი ძაბვები წარმოიქმნება (სურ. №34 ა). ბზარწარმოქმნისათვის საშიშროებას გამჭიმავი ძაბვები წარმოადგენს. შემდგომი გაცივების პროცესში ძაბვების გადანაწილება მიმდინარეობს და სრული გაცივების შემდეგ, ნორმალურ ტემპერატურაზე, ნაკეთობის ზედაპირული ფენები მკუმშავი, ხოლო გული – გამჭიმავი ძაბვების ზემოქმედებას განიცდის (სურ. №34 ბ). ამ ძაბვებს ნარჩენი ძაბვები ეწოდება.

სტრუქტურული ძაბვები აუსტენიტის მარტენსიტული გარდაქმნის პროცესში წარმოიქმნება. ამის მიზეზი საწყისი აუსტენიტისა და გარდაქმნის პროდუქტის, მარტენსიტის, მოცულობებს შორის განსხვავებაა. კერძოდ, ატომების შედარებით უფრო მჭიდრო წყობის გამო აუსტენიტი ნაკლები მოცულობით და მეტი სიმკვრივით ხასიათდება, მარტენსიტი კი ფოლადის სტრუქტურული შემდგენებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი მოცულობით გამოირჩევა. ამიტომ, მარტენსიტზე წრთობას თან სდევს ხაზობრივი ზომების ზრდა. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ მარტენსიტული გარდაქმნა ნაკეთობის სხვადასხვა უბანში განსხვავებულ პერიოდებში მიმდინარეობს.

წრთობის დროს აღძრული თერმული და სტრუქტურული დაძაბულობები ჯამდება. ჯამური ნარჩენი დაძაბულობები გაცივების პირობებზე, ნაკეთობის განივ კვეთზე, შეწრთობადობის სიღრმეზე და სხვა ფაქტორებზე დამოკიდებულებით, შეიძლება სხვადასხვა აღმოჩნდეს. მაგალითად, ზედაპირულ ფენებში მოსალოდნელია როგორც მკუმშავი, ისე გამჭიმავი ძაბვების წარმოქმა.

დეფორმაცია (დაძრევა). აღძრული თერმული ძაბვები, თავის მხრივ, ნაკეთობის ზომების, ფორმისა და მოცულობის ცვლილებას, ანუ მის დეფორმაციას განაპირობებს.

რობებს. მაგალითის სახით №35 სურათზე წარმოდგენილია I ფირფიტის დეფორმაცია ერთი მხრიდან მისი გაცივების პირობებში. თუ ფირფიტა ქვემოდან ციკლება, პირველ რიგში ზომებში ფირფიტის ქვედა ფენები მოიკლებს და იგი II მდგომარეობაში წარმოდგენილ სახეს მიიღებს. ფირფიტის ზედა მხარის გაცივება მოგვიანებით იწყება, რაც მის ფორმას საპირისპიროდ შეცვლის (III პოზიცია №35 სურათზე).




სურ. №35. თერმული ძაბვებით განპირობებული ფირფიტის დეფორმაცია ცალი მხრიდან გაცივების პირობებში.

წარმოდგენილი მაგალითიდან პრაქტიკისათვის მეტად სასარგებლო ზოგადი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: თერმული ძაბვებით განპირობებული ზომების შემცირება სხეულის იმ ადგილებშია მოსალოდნელი, რომლებიც უკანასკნელად ცივდება. თვალსაჩინოებისათვის №36 სურათზე ნაჩვენებია მარტივი გეომეტრიის მქონე სხეულის (ა) ფორმის ცვლილების ხასიათი კრიტიკული წერტილის ქვემოთ მრავალჯერადი გახურებისა და გაცივების შედეგად წარმოქმნილი თერმული დაძაბულობების ზეგავლენით (ბ). როგორც წარმოდგენილი სქემებიდან გამომდინარეობს, დიაგონალების შემცირებისა და წახნაგების ამოზნექის გამო, კუბის ფორმა სფეროს უახლოვდება. ცილინდრული ფორმის სხეულის გაცივებისას კი მისი სიმაღლე მცირდება იმ შემთხვევაში, თუ ეს ზომა ცილინდრის დიამეტრს აღემატება და პირიქით, იზრდება, თუ სიმაღლე დიამეტრზე ნაკლებია.


სტრუქტურული დაძაბულობებით განპირობებული დეფორმაცია ზემოთ აღნიშნულის საპირისპიროდ მიმდინარეობს (სურ. 37). კერძო, კუბის დიაგონალების სიგრძე იზრდება, ხოლო წახნაგები ცენტრისკენ იზნიქება. ცილინდრული ნაკეთობა სიმაღლეში მატულობს, ხოლო დისკოსებრისა – მცირდება. აქედან გამომდინარე, სტრუქტურული ძაბვებით განპირობებული სხვადასხვა ნაკეთობის ფორმის შეცვლის მიმართულება, თერმული ძაბვებით გამოწვეული მიმართულებების შებრუნებულია.

ამგვარად, სტრუქტურული ძაბვების ზეგავლენით იმ ადგილების (მიმართულებების) ზომების გაზრდა შეინიშნება, რომელთა გაცივება ყველაზე ბოლოს მთავრდება.

ნაკეთობის არასიმუტრიული დეფორმაცია (დაბრეცა) ვლინდება, აგრეთვე, არათანაბარი და ზედმეტად მაღალ ტემპერატურამდე გახურებისას, საწრთობ არეში დეტალის არასწორი მდგომარეობით ჩატვირთვისა და მარტენსიტული გარდაქმნის ტემპერატურულ ინტერვალში მაღალი სიჩქარით გაცივების შემთხვევაში. აღნიშნუ-



სურ. №36. მარტივი ფორმის სხეულები
თბური ძაბვების ზემოქმედებით
დეფორმაციის შემდეგ
ა – საწყისი ფორმა; ბ – მრავალჯერადი
გახურებისა და გაცივების შემდეგ.



სურ. №37. მარტივი ფორმის სხეულები
სტრუქტურული ძაბვების ზემოქმედებით
დეფორმაციის შემდეგ
ა – საწყისი ფორმა; ბ – მრავალჯერადი
გახურებისა და გაცივების შემდეგ.

ლი მიზეზების გამორიცხვა მნიშვნელოვნად შეამცირებს ნაკეთობის დაბრეცის ალბათობას.


დაბრეცის არიდება უფრო ძნელია თხელ და გრძელ ნაკეთობაში. დაბრეცის შესამცირებლად ასეთ დეტალებს წრთობის დროს შტამპში, წნეხში ან სპეციალურ სამარჯვებში ჩამაგრებულ მდგომარეობაში აცივებენ. მარტენსიტული გარდაქმნის მიმდინარეობისას ფოლადი სიმტკიცეს კარგავს, ამიტომ ჩამაგრებულ მდგომარეობაში ლითონი ადვილად სწორდება.

№38 სურათზე წარმოდგენილია სხვადასხვა ფოლადის ხაზობრივი ზომების ცვლილების (შემცირების ან გაზრდის) ხასიათი პრაქტიკაში მიღებული ტემპერატურიდან წრთობის შემდეგ. ფოლადებში კარბიდების (ზომით 2-3 ბალი) განაწილება ერთგვაროვანია.

ნაკეთობის დეფორმაციის ხარისხი ნახშირბადისა და მალეგირებელი ელემენტების შემცველობაზე, საწყისი სტრუქტურის ხასიათზე, მარტენსიტის, ნარჩენი აუსტენიტისა და ნაწრთობი ფოლადის სტრუქტურაში გაუხსნელი კარბიდების რაოდენობაზე, ნაკეთობის ფორმასა და ზომებზე, წრთობის წინ გახურების ტემპერატურაზე, გაუნახშირბადიანების ხარისხზე და გაცივების პირობებზეა დამოკიდებული.

ამგვარად, თერმული დამუშავების დროს ნამზადისა თუ ნაკეთობის დეფორმაცია მრავალი ფაქტორის ერთდროული ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს, ამიტომ, დეფორმაციის შემცირების გზების ცალსახად ფორმულირება მეტად გართულებულია.

ფორმის შეცვლა წარმოადგენს I გვარის ძაბვების წარმოქმნის შედეგს. თერმული და ფაზური დაძაბულობა ლითონის პლასტიკურ დეფორმაციას, ანუ ფორმის



სურ. №38. წვრილ მარცვალზე წრთობის დროს ხაზობრივი ზომების ცვლილების სასიათი მარტენიტში ნახშირბადის კონცენტრაციასა და ნარჩენი აუსტენიტის შემცველობაზე დამოკიდებულებით. $D:L=1:10$.


შეუქცევად ცვლილებას განაპირობებს. I გვარის ნარჩენი ძაბვები დამატებით დრეკად დეფორმაციას იწვევს. დრეკადი დეფორმაციის მოხსნა გახურების გზით, მაგალითად, მოწვით ან მოშვებით, არის შესაძლებელი.

მოშვების დროს შინაგანი დაძაბულობის მოხსნის ხარისხი ტემპერატურისა და მოშვების ხანგრძლივობის გაზრდით მატულობს. მაგალითად, როდესაც საწყისი შინაგანი დაძაბულობა $\sigma_t=600$ მგპა, ერთი საათის განმავლობაში 150, 300, 450 და 500°C -ზე მოწვის შემდეგ დაძაბულობა მცირდება 500, 450, 300 და 120 მგპა-მდე შესაბამისად. იზოთერმულ პირობებში, 550°C -ზე სხვადასხვა ხანგრძლივობით მოწვის შედეგად კი შემდეგი მონაცემებია მიღებული: 1,5 საათის შემდეგ საწყისი ძაბვა 600 მგპა-დან 100 მგპა-მდე მცირდება, ხოლო 4 საათის შემდეგ – 40 მგპა-მდე. ნახშირბადის შემცველობა გამოსაცდელ ფოლადში 0,3%-ს შეადგენს.

დეფორმაციისა და დაბრეცის ასაცილებლად ისეთ საშუალებებს მიმართავენ, რომლებიც მარტენიტული გარდაქმნის ტემპერატურულ ინტერვალში შენელებულ გაცივებას უზრუნველყოფს – საფეხურებიან და იზოთერმულ წრთობას, წრთობას ორ მაცივებელში, ნახშირბადიანი ფოლადების შეცვლას ლეგირებულით, რომლის წრთობაც წყლის ნაცვლად ზეთშია შესაძლებელი.

მარტენიტული გარდაქმნის ტემპერატურულ ინტერვალში გაცივების სიჩქარე არა მარტო ნაკეთობის დეფორმაციის ხარისხს განსაზღვრავს, არამედ ფოლადის თვისებებსაც. მაგალითად, ფოლად Y10-ის წრთობის პროცესში, მარტენიტული გარდაქმნის ინტერვალში გაცივების სიჩქარის გაზრდა იწვევს სიმტკიცის ზღვრის შემცირებას 1200 მგპა-დან 670 მგპა-მდე, ანუ თითქმის ორჯერ (სურ. №39). სიმტკი-

ცის შემცირება განპირობებულია წრთობის დროს აღძრული შიგა გამჭიმავი ძაბვებით, რომლის სიდიდე 500 მგპა-ს აღწევს. ამასთანავე, გაცივების სიჩქარის შემცირების ხარისხი წრთობის კრიტიკული სიჩქარით არის შეზღუდული. ამიტომ, ფოლადების უმრავლესობა წყალში ან ზეთში იწრთობა, რაც გაცივების აუცილებელ სიჩქარეს უზრუნველყოფს. ასეთ პირობებში წრთობის შედეგად მცირე განივევეთის ან დიდი სიგრძის დეტალების დაბრუცის აცილება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.




სურ. №39. Y10 ფოლადის სიმტკიცის ზღვრის
დამოკიდებულება მარტენიტულ ინტერვალში
გაცივების სიჩქარეზე

დაბრეცის ხარისხის შესამცირებლად აუცილებელია გამაცივებელ სითხეში დეტალის წინასწარ შერჩეული, სწორი ხერხით ჩატვირთვა. მაგალითად, გრძელი, დეროსებრი დეტალები მკაცრად ვერტიკალურ მდგომარეობაში უნდა ჩაიტვირთოს; სასურველია წრთობა საწრთობ მანქანა-დანადგარებში და შტამპებში ტარდებოდეს, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას ნაკეთობის ფორმას დააფიქსირებს. თერმული დამუშავების პრაქტიკაში ამ სამარჯვებს საწრთობ წნევებს უწოდებენ.

გარედან მიყენებული დატვირთვის ზემოქმედებით დეფორმაციის აცილება იმ შემთხვევაში მიმდინარეობს, თუ გარე დატვირთვით აღძრული ძაბვა ლითონის დენადობის ზღვარს აღემატება.

წრთობის დროს მარტენიტის რაოდენობა განუხრელად იზრდება, ამიტომ აუსტენიტ-მარტენიტის ნარევის დენადობის ზღვარი $\sigma_{0,2}$ იზრდება, როგორც ეს №40 სურათზეა წარმოდგენილი. აუსტენიტ-მარტენიტული გარდაქმნის პროცესში დენადობის პირობითი ზღვარი (ანუ ე.წ. გარდაქმნის დენადობის ზღვარი $\sigma'_{0,2}$) მარ-

ტენსიოს რაოდენობის ზრდასთან და ტემპერატურის შემცირებასთან ერთად მკვეთრად (13-14-ჯერ) იწყებს შემცირებას. აქედან გამომდინარე, ფაზური გარდაქმნის მიზანია პროცესში პლასტიკური დეფორმაციისათვის საკმარისია 50-100 მგბა ძაბა, ნაცვლად 600-800 მგბა-ისა, იგივე სტრუქტურის მქონე ფოლადისათვის. ასევე დადგენილია, რომ ფოლადის პლასტიკურობა მოშვების პროცესში, მარტენიზის გარდაქმნის დროს, მნიშვნელოვნად აღემატება მაღალ ტემპერატურაზე ფოლადი შეიცავს 22%Ni, 2,5%Mn.



სურ. №40. დენადობის ზღვრის $\sigma_{0,2}$, გარდაქმნის დენადობის ზღვრისა $\sigma'_{0,2}$ და მარტენიზის M შემცელობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე. ფოლადი შეიცავს 22%Ni, 2,5%Mn.

ფორმის უცვლელად შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში გეომეტრიული ფორმის შეცვლის ასაცილებლად ნაკეთობას ამაგრებენ დამაფიქსირებელ სამარჯვე ისეთნაირად, რომ წრთობისა თუ მოშვების პროცესი გარე ძალების ზემოქმედების პირობებში მიმდინარეობდეს. მინიჭებული გეომეტრიული ფორმის უცვლელად შენარჩუნება განპირობებულია გარდაქმნის დროს $\sigma'_{0,2}$ დენადობის ზღვრის მკვეთრი შემცირებისა და ტექნოლოგიური პლასტიკურობის განვითარების გამო. ამასთან ერთად მიმდინარეობს ნარჩენი შიგა ძაბვების რელაქსაცია, რაც ფოლადის მექანიკური თვისებების კომპლექსის ამაღლებას განაპირობებს.

მოცულობის ცვლილების გარეშე დეტალის თერმული დამუშავება ნაწილობი ფოლადის სტრუქტურაში მარტენიზისა და ნარჩენი აუსტენიტის გარკვეული თანაფარდობის შენარჩუნების შემთხვევაშია შესაძლებელი. ამ პროცესს არადეფორმაციულ წრთობას უწოდებენ.

თუ ცნობილია ნახშირბადის საშუალო შემცელობა ფოლადში, მარტენიზი და ნარჩენ აუსტენიტში, აგრეთვე, მარტენიზის, ნარჩენი აუსტენიტისა და წრთობის ტემპერატურაზე მატრიცაში გაუხსნელი კარბიდების წილი, შესაძლებელია წრთობის შედეგად ნაკეთობის კუთრი მოცულობის ცვლილებისა და, შესაბამისად, დეფორმაციის ხარისხის განსაზღვრა. მოცულობის უცვლელად შენარჩუნებისათვის თერმულმა დამუშავებამ მარტენიზისა და ნარჩენი აუსტენიტის ისეთი თანაფარდობის შენარჩუნება უნდა უზრუნველყოს, რომ საშუალო კუთრი მოცულობა საწ-

ვა, ნაცვლად 600-800 მგბა-ისა, იგივე სტრუქტურის მქონე ფოლადისათვის. ასევე დადგენილია, რომ ფოლადის პლასტიკურობა მოშვების პროცესში, მარტენიზის გარდაქმნის დროს, მნიშვნელოვნად აღემატება მაღალ ტემპერატურაზე მოშვებული ფოლადის პლასტიკურობას.


ზემოთ აღწერილი ფაქტი დაედო საფუძვლად თერმული დამუშავების ხერხს, რომელიც დეტალის

ფორმის უცვლელად შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში გეომეტრიული ფორმის შეცვლის ასაცილებლად ნაკეთობას ამაგრებენ დამაფიქსირებელ სამარჯვე ისეთნაირად, რომ წრთობისა თუ მოშვების პროცესი გარე ძალების ზემოქმედების პირობებში მიმდინარეობდეს. მინიჭებული გეომეტრიული ფორმის უცვლელად შენარჩუნება განპირობებულია გარდაქმნის დროს $\sigma'_{0,2}$ დენადობის ზღვრის მკვეთრი შემცირებისა და ტექნოლოგიური პლასტიკურობის განვითარების გამო. ამასთან ერთად მიმდინარეობს ნარჩენი შიგა ძაბვების რელაქსაცია, რაც ფოლადის მექანიკური თვისებების კომპლექსის ამაღლებას განაპირობებს.

ეს, წრთობამდე სტრუქტურის (პერლიტის) კუთრი მოცულობის შესაბამსი იყოს.

დეტალის არადეფორმაციული წრთობის ტექნოლოგია იმ ფაქტზეა დაფუძნებული, რომ პერლიტური სტრუქტურა მარტენსიტულ და აუსტენიტურ სტრუქტურებს შორის კუთრი მოცულობის შუალედური მნიშვნელობით ხასიათდება. მაგალითად ფოლადში, რომელიც ნახშირბადს 0,5%-ს შეიცავს, მარტენსიტის კუთრი მოცულობა $0,128 \text{სმ}^3/\text{გ}$ შეადგენს, აუსტენიტისა – $0,123 \text{სმ}^3/\text{გ}$, ხოლო პერლიტისა – $0,127 \text{სმ}^3/\text{გ}$. მოცულობათა შორის სხვაობა 4%-ს აღწევს. ფოლადში ნახშირბადის რაოდენობის გაზრდით პერლიტურ (ჩვეულებრივ, იგი ნაკეთობისათვის საწყის სტრუქტურას წარმოადგენს) და მარტენსიტულ სტრუქტურებს შორის მოცულობათა სხვაობა განუხრელად იზრდება. თერმული დამუშავების დროს მოცულობის უცვლელი შენარჩუნებისათვის საჭიროა აუსტენიტისა და მარტენსიტის შორის ისეთი თანაფარდობის შერჩევა, რომ საშუალო კუთრი მოცულობა საწყისი პერლიტური სტრუქტურის ტოლი აღმოჩნდეს. №41 სურათზე წარმოდგენილია მარტენსიტისა და ნარჩენი აუსტენიტის თანაფარდობა, რომელიც ნაკეთობის წრთობას დეფორმაციის გარეშე უზრუნველყოფს. №41 ა სურათზე მოყვანილი დიაგრამა წრთობის მარტენსიტისა და ნარჩენი აუსტენიტის კომბინაციისათვის მათ საჭირო თანაფარდობას მიუთითებს. მაგალითად, ფოლადში 0,4% ნახშირბადის შემცველობის შემთხვევაში დეფორმაციის გარეშე წრთობის უზრუნველსაყოფად ნარჩენი აუსტენიტის რაოდენობა დაახლოებით 27%-ს უნდა შეადგენდეს. თუმცა რბილი ნარჩენი აუსტენიტის ასეთი რაოდენობა სისალის შემცირებას და არადამაკმაყოფილებელი საექსპლუატაციო მახასიათებლების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

ნარჩენი აუსტენიტის აუცილებელი რაოდენობის შესამცირებლად, საჭიროა მარტენსიტის კუთრი მოცულობის შემცირება. ამ მიზნით, მარტენსიტული გარდაქმნის ინტერვალში, შენელებული სიჩქარით გაცივებას მიმართავენ, რა დროსაც



სურ. №41. ნარჩენი აუსტენიტის, წრთობის მარტენსიტისა (ა) და მოშვების მარტენსიტის (ბ) რაოდენობებს შორის თანაფარდობა, დეფორმაციის გარეშე ფოლადის წრთობისათვის.

მარტენისიტის წარმოქმნას თან სდევს მისი მოშვება და α მყარ ხსნარში ნახშირ-ბადის რაოდენობის შემცირება.

№41 პ სურათზე წარმოდგენილია ნარჩენი აუსტენიტისა და მოშვების მარტენისიტის საჭირო რაოდენობების თანაფარდობა, დეფორმაციის გარეშე წრთობისათვის (ნახშირბადის შემცველობა მყარ ხსნარში 0,5%-ს შეადგენს). ეს მეთოდი სპეციალური მარკის საიარაღო ფოლადების დეფორმაციის გარეშე წრთობისათვის გამოიყენება.

იზოთერმული წრთობის დროს, როდესაც ფოლადში ბეინიტი და ნარჩენი აუსტენიტი მიიღება, მოცულობათა ცვლილება უმნიშვნელოა.

ფოლადის ნაკეთობის მოცულობითი ცვლილებები შეიძლება არა მარტო თერმული დამუშავების, არამედ მზა ნაკეთობის დავარგების პროცესშიც მიმდინარეობდეს. ზომების არასტაბილურობა და მათი დროის მიხედვით ცვლილება, ჩვეულებრივ, ნახშირბადუხვი ფოლადებისგან დამზადებული მაღალი სიზუსტის ნაკეთობებში (საზომი ინსტრუმენტები, ბურთულა საკისრების დეტალები და ა.შ) შეინიშნება. მათი თერმული დამუშავება წრთობასა და დაბალტემპერატურულ მოშვებაში მდგომარეობს.

ოთახის ტემპერატურაზე დავარგებისას, შეიძლება მოხდეს როგორც ზომების შემცირება, ისე გაზრდა. ზომების შემცირება იმასთან არის დაკავშირებული, რომ ოთახის ტემპერატურაზე დავარგება წრთობის მარტენიტის თანდათანობით მოშვებას იწვევს, რაც მყარი ხსნარიდან ნახშირბადის გამოყოფას და მარტენიტის კუთრი მოცულობის შემცირებას განაპირობებს. მარტენიტის სტაბილიზაციისათვის და ნაკეთობის ზომების შემცირების ასაცილებლად რეკომენდებულია მოშვება $120\text{--}150^{\circ}\text{C}$ -ზე ჩატარდეს. ამ პროცესში მარტენიტი სტაბილურ მდგომარეობაში გადადის და ოთახის ტემპერატურაზე დაშლას ადარ განიცდის.

ნაკეთობის ზომების გაზრდა ოთახის ტემპერატურაზე დავარგებისას, ნარჩენი აუსტენიტის თანდათანობითი დაშლით არის განპირობებული. ამის ასაცილებლად თერმული დამუშავება უნდა ჩატარდეს ნარჩენი აუსტენიტის მარტენიტში სრული გარდაქმნისათვის, ანუ ნაკეთობა სრული მარტენიტული სტრუქტურით უნდა ხასიათდებოდეს.

გეომეტრიული ფორმის ადგენას, ანუ დაბრეცილი დეტალების გამართვას, თერმული დამუშავების შემდეგ, მისი სწორებით ან შეზუსტებით აწარმოებენ. სწორების დროს დეტალზე, რომელიც სპეციალურ სამარჯვშია ჩამაგრებული, გარედან

მიყენებული ძალით მოქმედებენ. თუმცა, ეს მეთოდი დამატებითი ნარჩენი ძაბვების წარმოქმნას და მექანიკური თვისებების გაუარესებას განაპირობებს.

წრთობის პზარები. ნაკეთობაში აღძრულმა I გვარის შიგა გამჭიმავმა ძაბვებმა შეიძლება ფოლადის სიმტკიცის ზღვარს გადააჭარბოს, რაც პზარების წარმოქმნას განაპირობებს. პზარები გამოუსწორებელ წუნს მიეკუთვნება. პზარები, უმეტეს შემთხვევაში, მნ ტემპერატურის ქვემოთ, გაცივების შემდეგ წარმოიქმნება.

წრთობის პზარების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს ლითონის მეტად მკვეთრი გაცივება ან გახურება, დაძაბულობის კონცენტრატორების (მახვილი კუთხები, განივავეთის მკვეთრი გადასვლები, ღრმა კაწრულები და ა.შ), ნიჟარებისა და სხვა დეფექტების არსებობა. მიღრეკილება პზარების წარმოქმნისადმი მატულობს ფოლადში ნახშირბადის შემცველობის გაზრდასთან ერთად, აგრეთვა, წრთობის ტემპერატურისა და მარტენსიტული გარდაქმნის ინტერვალში გაცივების სიჩქარის გაზრდით. პზარების წარმოქმნას ხელს უწყობს ფოლადის შეწრობადობის გაზრდაც.

პზარი შეიძლება გაჩნდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ნაწრობ დეტალში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არის შიგა ძაბვები მოხსნილი.

წრთობის პზარებს ოთხ ტიპად ყოფენ (სურ. №42):

I ტიპი – ღრმა პზარები (სურ. №42 ა) წარმოიქმნება ისეთ ნაკეთობაში, რომელიც გამჭოლ წრთობას განიცდის. ისინი შეიძლება განვითარდეს როგორც ნაკეთობის გახურებისას (მსხვილ ნაჭედებსა და სხმულებში), ისე გაცივებისას (მეტად მცირე განივავეთის ნაკეთობაში). ამიტომ, მსხვილი ნაჭედები ან სხმულები 20-750°C ტემპერატურულ ინტერვალში მცირე სიჩქარით უნდა გახურდეს.


პზარები გაცივებისას რომ არ წარმოიქმნას, საჭიროა: გადახურების აცილება, რადგან ფოლადის მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურა პზარწარმოქმნის წინაპირობას წარმოადგენს; წრთობის ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც მარტენსიტული გარდაქმნის ინტერვალში ხელი სიჩქარით გაცივებას უზრუნველყოფს (საფეხურიანი წრთობა, წრთობა ორ მაცივებელში); ისეთი გამაცივებელი არის გამოყენება, რომელიც მარტენსიტულ ინტერვალში წყალთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო დაბალი სიჩქარით გაცივებას განაპირობებს (ნავთი, მწვავე ნატრიუმის 50%-იანი ხსნარი, გლიცერინის წყალხსნარი და ა.შ).

გაცივების შემდეგ პზარების წარმოქმნის ასაცილებლად, აუცილებელია ნაკეთობას წრთობის შემდეგ მოწვა ჩაუტარდეს.

II ტიპი – შიგა ბზარები (ბ) წარმოიქმნება ნაკეთობის კუთხეებში და გააჩნია რკალისებრი ფორმა. ბზარწარმოქმნა შიგა ფენებში იწყება და ზოგჯერ ზედაპირზე გამოდის. II ტიპის ბზარები უპირატესად ცუდი შეწრობადობის ფოლადებში ან დაცემენტებულ ნაკეთობაში წარმოიქმნება.

სხმულში II ტიპის ბზარები მაღალი ტემპერატურის მქონე ლუმელში მისი გახურების მიზნით ჩატვირთვის შედეგად ვითარდება. უარყოფითი შედეგის აცილება ნელი გახურებით არის შესაძლებელი.

გაცივებისას II ტიპის ბზარები იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც წრობისათვის ფოლადს შედარებით დაბალ ტემპერატურამდე ახურებენ, ხოლო ნაკეთობის გულის სისალე, წრობის შემდეგ, 35-45 HRC-ს არ აღემატება. აღნიშნულ პროცესში შიგა ბზარების ასაცილებლად საჭიროა წრობის ტემპერატურის ამაღლება, გულში კი სისალე არ უნდა იყოს 45 HRC-ზე ნაკლები. ამასთანავე მარტენსიტული გარდაქმნის ტემპერატურულ ინტერვალში აუცილებელია ნაკეთობის დაბალი სიჩქარით გაცივება და უშუალოდ წრობის შემდეგ მოშვების ჩატარება.




სურ. №42. წრობის ბზარების კლასიფიკაცია პირველი გვარის ძაბვების განაწილების ხასიათზე დამოკიდებულებით.

III ტიპის ბზარები (გ) ნაკეთობის ზედაპირზე უწყვეტი ან წყვეტილი ბადის სახით ვითარდება და სიღრმეში 0,01-დან 2მმ-მდე ვრცელდება. ასეთი ბზარები წარმოიქმნება, მაგალითად, ნაწრობი ნაკეთობის ხევისას, როდესაც მხოლოდ ზედაპირული ფენები ხურდება. ზედაპირის გახურება მცირე მოცულობის განსხვავებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რის შედეგადაც ამ ზონაში გამჭიმავი ძაბვები აღიძვრება. ხევის ბზარების აცილებას ხელს უწყობს თანაბარზომიერი მოშვება წრობის შემდეგ.

III ტიპის ბზარების წარმოიქმნა შეიძლება განპირობებული იყოს, აგრეთვე, ნაწრობი ფოლადის მოშვების პროცესში სწრაფი გახურებით.

ზედაპირული ბზარები შეიძლება ქიმიურ-თერმულად დამუშავებული (ცემენტირბული, დაქრომილი, დასილიცირებული) ნაკეთობების გაცივების პროცესშიც განვითარდეს. როდესაც წრთობისას დაცემენტებული ფოლადის ზედაპირზე აუსტენიტურ-მარტენიტისიტული სტრუქტურა ყალიბდება, ხოლო მომდევნო ფენაში – მარტენიტისიტული, ზედაპირზე გამჭიმავი ძაბვები წარმოიქმნება. სტრუქტურის ასეთი შესაძების შემთხვევაში გამჭიმავი ძაბვების არსებობა სახიფათო არ არის, რადგან აუსტენიტი, როგორც რბილი სტრუქტურული შემდგენი, პლასტიკურ დეფორმაციას განიცდის.

თუ ზედაპირულ ფენებში ტროსტიტი ფორმირდება, ხოლო მის ქვეშრეში – მარტენიტი, მაშინ, ტროსტიტში აღმრული გამჭიმავი ძაბვები ბზარის წარმოქმნის საშიშროებას ქმნის (სურ. №43). სტრუქტურების ასეთი შესაძება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ნაკეთობის ცემენტაციის შემდეგ, ნელი გაცივების პირობებში მაშინ, როდესაც მეტ-ნაკლებად მდგრადი, ეპტექტოიდური ზონის აუსტენიტი, ვერ ასწრებს ფერიტულ-ცემენტიტურ ნარევად დაშლას და მარტენიტული გარდაქმნის ტემპერატურამდე გადაცივდება.




სურ. №43. სტრუქტურული ზონების განაწილება ცემენტირებულ შრეში, რომლის დროსაც მესამე და მეოთხე ტიპის პზარები წარმოიქმნება.

იმისათვის, რომ ცემენტირებულ შრეში სტრუქტურის ასეთი არასასურველი შეხამება არ მოხდეს, საჭიროა ან გაცივების შენელება (რათა ცემენტირებული შრის მთელ სისქეში მოხდეს პერლიტური ტიპის სტრუქტურის ჩამოყალიბება), ან პირიქით, გაცივება დაჩქარდეს (მაგალითად, ლეგირებული ფოლადის წრთობა ზეთში განხორციელდეს), რათა ზედაპირულ ფენებში აუსტენიტურ-მარტენიტული სტრუქტურა ჩამოყალიბდეს და ბზარების წარმოქმნა გამოირიცხოს.

IV ტიპი – აშრევების ბზარები (სურ. №43 დ) ნაკეთობის ზედაპირთან, კუმშვის ზონაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც შეინიშნება გამჭიმავი ძაბვების მეტად მკვეთრი გადასვლა მკუმშავ ძაბვებში. ხშირად აშრევების ბზარები ზედაპირული ბზარების განვითარების თანმხლები პროცესია. იგი III ტიპის ბზარების ანალოგიურად, ხეხვისა და ქიმიურ-თერმული დამუშავების პროცეს-

ში შეიძლება წარმოიქმნას, ამიტომ, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები III ტიპის ბზარების წარმოქმნის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხების ანალოგიურია.

ამგვარად, დეფორმაცია, დაბრეცა და ბზარები შიგა დაძაბულობის შედეგს წარმოადგენს. წრთობის დროს მარტენსიტული გარდაქმნის ინტერვალში ნელი გაცივება დაძაბულობის შესამცირებლად და აღნიშნული ტიპის დეფექტების ასაცილებლად ყველაზე ეფექტურ ხერხს წარმოადგენს. წვრილი, ასევე მარტივი ფორმის მქონე დეტალები მახვილი კუთხეებისა და მკვეთრი გადასვლების გარეშე, ნაკლებად ხასიათდება დაბრეცისა და ბზარწარმოქმნისადმი მიღრეკილებით. ამიტომ კონსტრუირების დროს დეტალისადმი ტექნოლოგიური ფორმის მინიჭება აღნიშნული სახის დეფექტების შემცირების მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს. №44 სურათზე წარმოდგენილია დეტალების სწორად (ა) და არასწორად (ბ) კონტრუირებული დეტალის ესკიზები.




სურ. №44. სწორად (ა) და არასწორად (ბ) კონტრუირებული დეტალის ესკიზები.

არასაკმარისი სისალე. ნაწრთობი დეტალის არასაკმარისი სისალე უკმარხურებით ან გაცივების არასაკმარისი ინტენსიონით აიხსნება.

პირველი შემთხვევის მიზეზი შეიძლება იყოს დუმელის დაბალი ტემპერატურა ან წრთობის ოპტიმალურ ტემპერატურაზე დაყოვნების არასაკმარისი დრო. ასეთ პირობებში მარტენსიტი ვერ გაჯერდება ნახშირბადით, რაც, როგორც შედეგი, მარტენსიტის შემცირებულ სისალეს განაპირობებს.

ქვევტექტოიდური ფოლადის Ac₃ ტემპერატურამდე, თუნდაც უმნიშვნელო უკმარხურების შემთხვევაში, ფერიტის გარკვეული რაოდენობა არ გარდაიქმნება აუსტენიტად. წრთობის შემდეგ აუსტენიტი მოგვცემს მარტენსიტს, ხოლო ფერიტი, რო-

მელიც გახურების პროცესში აუსტენიტად არ გარდაიქმნა, უცვლელად იქნება შემონახული ნაწრთობ ფოლადში. შედეგად მარტენსიტულ-ფერიტული სტრუქტურა ჩამოყალიბდება (სურ. №45). ფერიტი, რომელიც დაბალი სისალით ხასიათდება და მარტენსიტან თანაარსებობს, ნაწრთობი ფოლადის საერთო სისალეს შეამცირებს. ამ დეფექტის გამოსწორება შეიძლება მოწვით და ობტიმალური ტემპერატურიდან განმეორებითი წრთობით.



სურ. №45. კრიტიკული წერტილის ზემოთ გახურებული ქავვატექტორი ფოლადის მიკროსტრუქტურა წრთობის შემდეგ. ფერიტი-მარტენსიტი. x500.

გალითად, გამაცივებელ სითხეში დეტალის ენერგიული (ხრახნული მოძრაობებით) გადაადგილება ან უბრალო წყლის ნაცვლად მარილიანი, ან შემჟავებული წყლის გამოყენება.

რბილი ლაქები (ლაქებიანი წრთობა). რბილი ლაქების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს ნაკეთობის არასაკმარის ტემპერატურამდე გახურება, დაბალი ინტენსივობით გაცივება ან დეტალის ზედაპირის არათანაბარი გაცივება. ამ დეფექტის მოსპობის მეთოდიკა იგივეა, რაც ზემოთ იყო განხილული.

რბილი ლაქების წარმოქმნას ზოგჯერ საწყისი სტრუქტურის არაერთგვაროვნებაც (მსხვილი მარცვლების თანაარსებობა წვრილ მარცვლებთან ერთად, ზოლოვნება, ფერიტის თავმოყრის უბნები) განაპირობებს. წრთობის ტემპერატურამდე გახურებისას, ამ ადგილებში შეიძლება შემონახული აღმოჩნდეს ფერიტი ან წარმოიქმნას აუსტენიტი ნახშირბადის დაბალი კონცენტრაციით. ბუნებრივია, წრთობის სწორად ჩატარების შემთხვევაშიც კი ასეთ უბნებში სისალე არასაკმარისი მიიღება. ლაქებიან წრთობას ხელს უწყობს, აგრეთვე, დეტალის ზედაპირზე ხენჯისა და ჭუჭყის არსებობა, გაცივების პროცესში საწრთობი დეტალების ერთმანეთთან შეხება, არალითონური ჩანართები.

წრთობის დროს არასაკმარისი ინტენსივობით გაცივება ვერ უზრუნველყოფს აუსტენიტის შენარჩუნებას მარტენსიტული გარდაქმნის ტემპერატურამდე, რის გამოც ლითონის სტრუქტურა შედგენილი იქნება არა მარტენსიტისაგან, არამედ მთლიანად ან ნაწილობრივ აუსტენიტის დაშლის პროდუქტებისაგან – ტროსტიტისაგან, ან სორბიტისაგან. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გაცივების უფრო ინტენსიური მეთოდის გამოყენება, მა-

ლაქებიანი წრთობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებია: წინასწარი თერმული დამუშავება (ნორმალიზაცია), რომელიც შედარებით ერთგვაროვანი საწყისი სტრუქტურის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს; გახურების პროცესში დეტალის დაცვა ხენჯის წარმოქმნისაგან; წრთობის წინ დეტალის გასუფთავება; გაცივების ხერხის სწორად შერჩევა; ფოლადის კონტროლი ერთგვაროვნებაზე და ჩანართების არსებობის გამორიცხვა.

გადამეტეურება. იმ შემთხვევაში, თუ ფოლადი წრთობის დროს ოპტიმალურზე მაღალ ტემპერატურამდე იყო გახურებული ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაყოვნებული, ადგილი ექნება გადამეტეურებას. ასეთ პირობებში ბუნებრივად ხდება აუსტენიტის მარცვლის მნიშვნელოვანი ზრდა, რის შედეგადაც, წრთობის შემდეგ, ფოლადში მსხვილნემსა მარტენსიტული სტრუქტურა ყალიბდება (სურ. №46).

იგი გაზრდილი სიმყიფით და ბზინვარე ტეხნიკით გამოირჩევა. დეფექტის გამომჟღავნება მექანიკური გამოცდებისას, ტეხნიკის ანალიზით ან მიკროსტრუქტურული კვლევით ხდება.

წუნის გამოსწორება მოცემული ფოლადისათვის შესაბამისი ნორმალური ტემპერატურიდან განმეორებითი წრთობით არის შესაძლებელი.

ზედაპირის უანგელი და გაუნახშირბადოება.

ეს დეფექტი უმეტესწილად ალქმედ ან ელექტროლუმელებში, კონტროლირებადი ატმოსფეროს გამოყენების გარეშე, გახურებისას მიიღება. ამიტომ, დეტალის კონსტრუირებისას ხეხვაზე ნამატს ითვალისწინებენ, რაც აძვირებს და ართულებს თერმულად დასამუშავებელი დეტალის დამზადების ტექნოლოგიას. თერმულ დუმელებში ხელოვნური კონტროლირებადი ატმოსფერო ამ დეფექტის აცილების ან შემცირების რადიკალურ ხერხს წარმოადგენს. მარილ-აბაზანებში გახურება ასევე ხელს უწყობს უანგელისა და გაუნახშირბადოების შემცირებას.



სურ. №46. მსხვილნემსა მარტენსიტი წრთობის დროს გადამეტეურებულ ფოლადში. x500.

V თავი. თერმულად დამუშავებული ნაკეთობის ხარისხის კონტროლი

1. ზოგადი მიმოხილვა

ტექნიკური კონტროლი გულისხმობს ნაკეთობის მახასიათებლებისა და თვისებების (ზომების, ფორმის, მასალის შესაბამისობის, ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, ხარისხის, ფუნქციონალური მახასიათებლების და ა.შ.) სათანადო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, ხოლო ხარისხის კონტროლი – ნაკეთობის და/ან მისი შემადგენელი ნაწილების ყველა პარამეტრის კონტროლს, ტექნიკურ პირობებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ამგვარად, კონტროლის ობიექტს საწყისი მასალები, თერმული დამუშავების ტექნოლოგიური პროცესები, აგრეთვე, მზა პროდუქციის ხარისხი წარმოადგენს. კონტროლი სისტემატურად, საკმაოდ ზუსტად და საიმედოდ უნდა ტარდებოდეს.

მზა პროდუქციაში ან ნახევარფაბრიკატში თერმული დამუშავების დროს წარმოქმნილი წუნის მიზეზი შეიძლება იყოს წმინდა მეტალურგიული წარმომავლობა (ბეწვბზარა, ჩაჯდომის ნიჟარა, გადაჭარბებული ლიკვაცია), ცხელი ან ცივი პლასტიკური დეფორმაციის დეფექტები, თერმული დამუშავების რეჟიმიდან გადახრა.

თერმული დამუშავების ხარისხი შეიძლება ლითონის მიკროსტრუქტურით, მექანიკური, ფიზიკური, ტექნოლოგიური და სხვა სპეციალური თვისებების შესწავლით შეფასდეს.

კონტროლი ხორციელდება ტექნიკური პირობების შესაბამისად, რომელშიც მითითებულია შემოწმებისთვის გათვალისწინებული ობიექტები, საკონტროლო მახასიათებლები და კონტროლის მეთოდები, საკონტროლო ობიექტის რაოდენობა პროცენტებში პროდუქციის ყოველი პარტიიდან ან ჩანატვირთიდან, აგრეთვე, თვისებების დასაშვები გაბნევის ხარისხი. კონტროლი შეიძლება იყოს შერჩევითი ან ასპროცენტიანი.

უმეტეს შემთხვევაში მზა პროდუქციის საექსპლუატაციო მდგრადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ზედაპირის მდგომარეობა და მისი სიმქისის ხარისხი ახდენს. ზედაპირული დეფექტები საგრძნობლად ამცირებს ისეთი ნაკეთობის ხანმედეგობას, რომელიც ექსპლუატაციის პროცესში ნიშანცვლად დატვირთვებს განიცდის. აქედან გამომდინარე, ნაკეთობის ზედაპირის მდგომარეობის გულდასმით შემოწმება და შესწავლა ხარისხის კონტროლის მეტად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

თერმული დამუშავების პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება კონტროლის სტა-

ტისტიკური მეთოდები, რომლებიც ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაზეა დაფუძნებული.

წარმოებაში სტატისტიკური კონტროლი, ჩვეულებრივ, შემდეგი ძირითადი ფორმებით ხორციელდება:


ა) შემომავალი კონტროლი, რომლის მიზანია მიღებული მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ხარისხის შეფასება (ფოლადი, ნაჭედი, სხმული);

ბ) პროდუქციის ხარისხის ტექნოლოგიური კონტროლი წარმოების ცალკეულ სტადიაზე;

გ) გამოსაშვები პროდუქციის გამავალი კონტროლი.

მონაცემების სტატისტიკური დამუშავება იმ შემთხვევაშია საჭირო, როდესაც თერმული დამუშავების მოცემული ტექნოლოგიური პროცესის სტაბილურობის დადგენაა აუცილებელი. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ყველაზე მიზანშეწონილია მსხვილსერიული წარმოების პირობებში.

თუ დეტალების ან ნახევარფაბრიკატების განმეორებითი გაზომვებით მიღებულ შედეგებს სიხშირის ფუნქციის სახით წარმოვადგენთ (ნაკეთობის რაოდენობა % – გასაზომი თვისების მნიშვნელობა), გაუსის ნორმალური განაწილების მრუდი მიიღება (სურ. №47). ასეთ შემთხვევაში თერმული დამუშავების ხარისხის დახასიათება შესაძლებელი იქნება:



სურ. №47. თერმული დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის ხარისხის შეფასების სქემა მსხვილსერიულ წარმოებაში.
 X_b – თვისებების მოცემული დონე; $Y(x)$ - მათემატიკური მოლოდინი;
 $\alpha = Y(x)$ – დან მოცემული მნიშვნელობის გადახრა; $F_1 + F_2 = 100\%$.

ა) საკონტროლებელი $y(x)$ (სიხშირის მაქსიმუმი) თვისების გადახრით ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული x_b სიდიდისაგან (α);

ბ) მათემატიკურად მოსალოდნელი მნიშვნელობების მიმართ ფაქტიური მნიშვნელობების გაბნევის ხარისხით (s).

ნაკეთობები, რომელთა თვისებები ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული დაშვების ზღვრებს მიღმა (x_1 -მდე და x_2 -ის ზემოთ) ძევს, წუნდებულია. ბუნებრივია, მოცემული ტექნოლოგიური პროცესის ეკონომიკურ ეფექტიანობას მათი წილი განსაზღვრავს.

ნაკადურ წარმოებაში მზა პროდუქციის გარანტირებული დონე და მაღალი ხარისხი, მინიმალური მატერიალური და ენერგეტიკული დანახარჯებით შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს თერმული დამუშავების რაციონალური ტექნოლოგიის შერჩევით, ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პარამეტრების კონტროლით და კონტროლის არამრღვევი მეთოდების მაქსიმალურად გამოყენებით. აუცილებელია აგრეთვე, რომ მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ ქარხებში კონტროლის არა-მრღვევი მეთოდები მთელ სამრეწველო პროცესზე აქტიური ზემოქმედების საშუალებად გადაიქცეს. საკონტროლო ხელსაწყოები და მოწყობილობა აუცილებელია უშუალო ტექნოლოგიურ ციკლთან შეირწყას, რაც შესაძლებელს გახდის პროდუქციის ხარისხის კონტროლი სრული ავტომატიზაციისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით განხორციელდეს.

2 დეტალების ხარისხის კონტროლი თერმული დამუშავების შემდეგ

თერმული დამუშავების ხარისხის შესაფასებლად ან ოპერაციებს შორის კონტროლს აწარმოებენ, ან საბოლოო კონტროლს. ბუნებრივია, პირველ შემთხვევაში დეტალები კონტროლირდება თერმული დამუშავების ოპერაციებს შორის, ხოლო მეორე შემთხვევაში – ყველა ოპერაციის დამთავრების შემდეგ.

როგორც წესი, მოწმდება მექანიკური თვისებები, უმთავრესად დეტალის სისალე, სტრუქტურა, დეფორმაციის ხარისხი, ქიმიურ-თერმული პროცესების და მაღალი სიხშირის დენით წრთობის შემთხვევაში – დამატებით ფენის სიღრმე. დეტალებში, სხვა დეფექტებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესაძლო ბზარების გამოვლენას. კონტროლი ხორციელდება საამქროში (დეტალების საერთო ნაკადში), საამქროს ან ქარხნის ლაბორატორიებში.

თერმული და ქიმიურ-თერმული დამუშავების შემდეგ კონტროლის ძირითად ხერხს სისალის განსაზღვრა წარმოადგენს. მაღალ სისალეზე ნაწრთობი, აგრეთვე დეტალები, ცემენტაციის, ციანირების, წრთობისა და მოშვების შემდეგ, როკველის ან ვიკერსის ხელსაწყოზე კონტროლირდება. აზოტირებული დეტალების კონტროლისათვის გამოიყენება ვიკერსის ხელსაწყო.

გაუმჯობესების შემდეგ სისალის განსაზღვრა ბრინჯლის ერთეულებში ხორციელდება. ნაწილობი დეტალების სისალის ხარისხობრივი შეფასებისათვის შესაძლებელია ტარირებული ქლიბის გამოყენება. კონტროლის ეს მეთოდი შედარგბით მარტივი, სწრაფი და იაფია, მაგრამ, იგი გარკვეულ გამოცდილებას მოითხოვს. ჩვეულებრივ, როკველისა და ვიკერსის ხელსაწყოებზე დეტალების 5-10% მოწმდება, ხოლო დანარჩენის კონტროლი ქლიბით ხდება.

თერმული დამუშავების შემდეგ სტრუქტურას მეტალოგრაფიული შლიფებით სწავლობენ. მიკროშლიფის მოსამზადებლად ნიმუშებს თხელი ალუნდის ან კარბორუნდის ქარგოლით ამოჭრიან. მოშვების ასაცილებლად ნიმუშების ამოჭრის დროს, დეტალს ინტენსიურად აცივებენ ემულსიით ან სხვა სითხით.


დაცემენტებული და დაციანებული დეტალების ხარისხის კონტროლისათვის მოწმე-ნიმუშებს იყენებენ, რომლებიც იგივე მასალისგან არის დამზადებული, რისგანაც თავად დეტალი. ამ მიზნით შესაძლებელია, აგრეთვე, მექანიკურ საამქროში წუნდებული ნაკეთობიდან ჩამონაჭრების გამოყენება, რომლებიც ქიმიურ-თერმულ დამუშავებას ვარგის დეტალებთან ერთად გადიოდა.

დაცემენტებული შრის სიღრმის მიახლოებითი განსაზღვრა, ნაწილობი მოწმის ჩამოტეხისა და $\approx 300^{\circ}\text{C}$ -მდე გახურების შემდეგ (როდესაც ფენაში ლურჯი ჟღალა ფერი მიიღება) ხორციელდება. ფენის სიღრმე თვალით განისაზღვრება ან სახავით იზომება. უფრო ზუსტი ანალიზისთვის წარმოებს მომწვარი ნიმუშის მიკროშლიფის შესწავლა მიკროსკოპში.


მნიშვნელოვანია დაცემენტებული შრის სტრუქტურის კონტროლი ნაწილობი ნიმუშის მიკროშლიფზე დაკვირვებით. დაცემენტებული დეტალის სტრუქტურის ხარისხი სპეციალური სკალის ბალებში ფასდება, რომელიც ქარხანაშია შემუშავებული. №48 სურათზე, მაგალითის სახით, წარმოდგენილია ნარჩენი აუსტენიტის, ხოლო №49 სურათზე – ჭარბი კარბიდების მიკროსტრუქტურების სკალა 30XIT ფოლადის ცემენტირებულ შრეში უშუალოდ წრთობისა და დაბალი მოშვების შემდეგ. დეტალები, რომელთა სტრუქტურა №48 სურათზე წარმოდგენილი სკალის 1-5 ბალს შეესაბამება, ვარგისად ითვლება, ხოლო 6-8 ბალის სტრუქტურის მქონე დეტალები, განმეორებით, თერმულ დამუშავებაზე იგზავნება.

ანალოგიურად, დეტალები, რომელთა სტრუქტურა №49 სურათზე წარმოდგენილი სკალის 1-3 ბალს შეესაბამება, ვარგისია, ხოლო 4-6 ბალის სტრუქტურის მქონე დეტალებს განმეორებითი თერმული დამუშავება უტარდება.

ლერძულა და ბრტყელ დეტალებს, რომლებსაც თერმული დამუშავების დროს



სურ. №48. მიკროსტრუქტურის სკალა. – ნარჩენი აუსტენიტის რაოდენობა 30ХГТ ფოლადის დაცემენტებულ შრეში, უშუალოდ წრთობისა და დაბალი მოშვების შემდეგ. x400.



სურ. №49. მიკროსტრუქტურის სკალა. ჭარბი კარბიდების რაოდენობა 30ХГТ ფოლადის დაცემენტებულ შრეში, უშუალოდ, წრთობისა და დაბალი მოშვების შემდეგ. x400.

ფორმის შეცვლისას მიღებული გააჩნია, გამართვას და სიმრუდეზე კონტროლს უტარებენ. იმისათვის, რომ თერმული დამუშავების შემდეგ ხეხვის დროს დერძზე შავი უბნები არ დარჩეს, დეტალის სიმრუდე ცალ მხარეს ხეხვაზე გათვალისწინებული ნამატის ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს.

ბრტყელი დეტალების (ფილების) სიმრუდე შუპის გამოყენებით მოწმდება.

ნაკეთობის მთლიანობის დაურღვევლად ნაწრთობ დეტალზე ზედაპირული წვრილი პზარების აღმოსაჩენად ფართოდ იყენებენ მაგნიტურ მეთოდს – მაგნიტურ დეფექტოსკოპიას. ამ მეთოდით კონტროლირდება, მაგალითად, ზამბარები, სარესორე ფურცლები, საბრუნი მუშტები, ავტომობილის საჭის მართვის დეტალები და სხვა.

ღია ზედაპირული დეფექტები, მაგალითად, მიკრობზარები, შეიძლება ლუმინისცენტური მეთოდით გამომჟღავნდეს. მაგნიტურ დეფექტოსკოპიასთან შედარებით, რომელიც მხოლოდ მაგნიტურ ლითონებში იძლევა დეფექტების გამომჟღავნების შესაძლებლობას, ლუმინისცენტური მეთოდით შეიძლება როგორც მაგნიტური, ისე არამაგნიტური მასალებისგან დამზადებული დეტალების კონტროლი.

3. ინსტრუმენტის კონტროლი თერმული დამუშავების შემდეგ

თერმული დამუშავების შემდეგ, ინსტრუმენტის ხარისხის კონტროლის მიზნით, აწარმოებენ შემდეგ სამუშაოებს:

- ა) ზედაპირული დეფექტების (პზარების, მჭრელ პირზე შემოღნილი უბნების და ა.შ) გამომჟღავნებას;
- ბ) სისალის განსაზღვრას;
- გ) მიკროსტრუქტურის კონტროლს;
- დ) სიმრუდის ხარისხის გაზომვებს.

ზედაპირული დეფექტების გამომჟღავნება გასუფთავებული ინსტრუმენტის 100%-იანი ვიზუალური დათვალიერებით ხორციელდება. ფარული დეფექტების აღმოსაჩენად, განსაკუთრებით როგორც ფასონურ ინსტრუმენტებში, მაგნიტურ დეფექტოსკოპიას იყენებენ.

სისალის კონტროლს ყველა თერმულად დამუშავებული ინსტრუმენტი ექვემდებარება. ამ მიზნით იყენებენ როგორც როკველის ხელსაწყოს, ისე ტარიებულ ქლიბს. შესაძლებელია კონტროლის სხვა მეთოდის გამოყენებაც. როგორც წესი, ამოწმებენ ინტრუმენტის არა მარტო მუშა ნაწილს, არამედ ბოლოვანას სისალესაც. ტარიებული ქლიბით სისალის კონტროლთან ერთდ გაუნახშირბადოებულ ფენასაც ავლენს.

სამჭედლო ტვიფარის კონტროლი ბრინჯლის სპეციალურ წნებზე ხორციელდება.

დაცემენტების, დაციანების ან ნიტროცემენტაციის შემდეგ მიკროსტრუქტურის კონტროლს შერჩევით აწარმოებენ (ინსტრუმენტების პარტიიდან 3-5%). ქიმიურ-თერმულად დამუშავებულ ნიმუშებში ფენის სიღრმე და მისი ხარისხი განისაზღვრება.

სწრაფმჭრელი ფოლადისაგან დამზადებულ დეროვან ინსტრუმენტებში (ბურღი,

შიგსახრახნი, საფართი და სხვა) მოშვების ხარისხს ამოწმებენ. ასეთი კონტროლი-სათვის სპეციალურ ხელსააწყოს – მაგნიტურ ანალიზატორს, აუსტომეტრს იყენებენ. დეროვანი ინსტრუმენტების 100% სიმრუდეზე კონტროლს ექვემდებარება. ბურდები კონუსური ბოლოვანით ცენტრებში მოწმდება, ხოლო ცილინდრული ბოლოვანით – ფილებზე.

VI თავი. ლითონის ხარისხის პონტიფიციული სტრუქტურული მეთოდები

1. მაკროსკოპული და ფრაქტოგრაფიული ანალიზი

ლითონის აგებულების შესწავლას შეუიარაღებელი თვალით ან მცირე გადი-
დებით (x30) კვლევის მაკროსკოპული მეთოდი ეწოდება. ამ შემთხვევაში ხედვის
არეში საკმაოდ დიდი ფართობი ხვდება, რაც კარგ წარმოდგენას იძლევა ლითონის
საერთო აგებულებაზე.

მაკროსკოპული კვლევის მეთოდი გამოიყენება – ლითონში დენდრიტული
აგებულების, ჩაჯდომის სიფხვიერის, აიროვანი ნიჟარების, წილის ჩანართების, ბზა-
რების, სტრუქტურული არაერთგვაროვნების, ფოსფორისა და გოგირდის ლიკვაცი-
ოსა და შენადული ნაკერის ხარისხის გამოსამუდავნებლად.

მაკროანალიზი ვერ ავლენს ლითონის აგებულების მრავალ თავისებურებას,
ამიტომ კვლევის ეს მეთოდი, ჩვეულებრივ, ნიმუშის წინასწარი შესწავლისათვის
გამოიყენება. მაკროსტრუქტურული კვლევის მონაცემებით შეიძლება შეირჩეს შესას-
წავლი ზედაპირის ის საინტერესო უბნები, რომელთა კვლევა შემდგომ უფრო გულ-
დასმით უნდა ჩატარდეს მიკროანალიზით. ლითონის აგებულებას, რომელიც შეუია-
რალებელი თვალით ან მცირე გადიდებით მუდავნდება, მაკროსტრუქტურა ეწოდება.

კვლევა შეიძლება ჩატარდეს ნაკეთობის როგორც ბუნებრივ, ისე სპეციალუ-
რად მომზადებულ ზედაპირსა ან ტეხილზე დაკვირვებით. ზედაპირის მომზადება
ხეხვითა და სათანადო რეაქტივით დამუშავების გზით ხდება. მაკროანალიზისათ-
ვის მომზადებულ ნიმუშს მაკროხეხი ეწოდება. თუ მაკროხეხი მომზადებულია ნა-
კეთობის განივ კვეთში, მას ტემპლეტს უწოდებენ.

ნგრევის ზედაპირის შესწავლისათვის ფართოდ სარგებლობენ ფრაქტოგრა-
ფიული კვლევის მეთოდებით. ამ მიზნით შესაძლებელია ოპტიკური მიკროსკოპის
გამოყენება, თუ ტეხილზე დაკვირვება ნატურალური ზომების შემცირებით ან მცი-
რე გადიდების პირობებში (არაუმეტესი x50, მაკროფრაქტოგრაფია) ხდება. აღნიშნუ-
ლი გამადიდებლობის ზემოთ, მიკროსკოპის გარჩევისუნარიანობის ზღვრამდე ზედა-
პირის შესწავლას მიკროფრაქტოგრაფია ეწოდება. სტრუქტურის უფრო მცირე და-
ტალების კვლევისათვის ელექტრონული მიკროსკოპი გამოიყენება. ტეხილის ზედა-
პირის კვლევას ელექტრონული მიკროსკოპით ელექტრონული ფრაქტოგრაფია ეწოდება.

ტეხილის მაკროანალიზი

მაკროსტრუქტურის კვლევა ნაკეთობის მთლიანობის დაურღვევლად შედარებით იშვიათად გამოიყენება, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ ლითონის ზედაპირზე არსებული დეფექტების გამოვლენა. მაგალითად, მეტალურგიული წარმოების წუნისა და პზარების, რომლებიც ლითონის დამუშავების ან ექსპლუატაციის პროცესში განვითარდა.

უმრავლეს შემთხვევაში მაკროსტრუქტურის შესწავლა უფრო მოხერხებულია ტეხილზე დაკვირვებით ჩატარდეს. ტეხილი გარკვეული მიახლოებით ლითონის სტრუქტურას ასახავს და ამდენად, მისი თვისებების შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა. ტეხილის გულდასმით შესწავლამ შეიძლება მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცეს ლითონის თვისებებზე, რადგან იგი ნაკეთობის ყველაზე შესუსტებულ ადგილას ვითარდება.

ჩვეულებრივ, ტეხილი ზედაპირის წინასწარი დამუშავების გარეშე შეისწავლება. ზოგ შემთხვევაში მაკროსტრუქტურის უფრო მკაფიოდ გამომჟღვნების მიზნით, შეიძლება მისი რეაქტივით ამოჭმა.


ტეხილი შეიძლება იყოს მყოს მყიფე, ბლანტი და დაღლილობით გამოწვეული.

მყიფე ტეხილი კრისტალური აგებულებით ხასიათდება. ტეხილში კარგად ჩანს ლითონის მარცვლების ფორმა და ზომები, რადგან ნაკეთობის რღვევას უმნიშვნელო პლასტიკური დეფორმაცია უსწრებს და მარცვლის ფორმა თითქმის არ მახინჯდება. ტეხილი შეიძლება განვითარდეს როგორც მარცვლის საზღვრებზე, ისე მარცვლებზე. პირველ შემთხვევაში ტეხილს ინტერკრისტალური, ანუ კრისტალთშორისი ეწოდება (სურ. №50 ა), მეორე შემთხვევაში – ტრანსკრისტალური, ანუ შიგაკრისტალური (ბ).


კრისტალთშორისი ტეხილი, ყველაზე ხშირად, მაღალ ტემპერატურაზე გახურებული ლითონის რღვევისას მიიღება, რაც მარცვლებს შორის საზღვრებზე ადვილდნობადი მინარევების თავმოყრით აიხსნება.

ლითონის მთლიანი ან ნაწილობრივი ინტერკრისტალური რღვევის შედეგად ე.წ. ქვისებრი ტეხილი მიიღება (სურ. №51). იგი, ჩვეულებრივ, ცხელი მექანიკური დამუშავებისას ლითონის გადახურების შედეგია. ასეთი ლითონი მსხვილმარცვლოვანი აგებულებით გამოირჩევა.


ტრანსკრისტალური ხასიათის რღვევის შედეგად, ზოგჯერ ქერცლოვანი აგებულების ტეხილი მიიღება, რომელიც გარეგნულად ნაფთალინს მოგვაგონებს. ამი-



სურ. №50. ტეხილის ფრაქტოგრამები
ა – კრისტალთშორისი ტეხილი, ბ – ტრანსკრისტალური ტეხილი. x140.




სურ. №51. ქვისებრი ტეხილის ფრაქტოგრამები.
მარცვლების დეფორმაცია არ შეინიშნება.
ა – x0,7; ბ – x1,5



სურ. №52. ხისმაგვარი (დენდრიტული)
ტეხილის ფრაქტოგრამა. x0,5

ტომ მას ნაფთალინისებრი ტეხილი ეწოდება. ასეთი ტეხილი შერჩევითი ბზინვარებით გამოირჩევა და ისიც ლითონის გახურებაზე მიუთითებს. თუ სხმული ლითონის რღვევა დენდრიტული კრისტალების საზღვრებზე განვითარდა, მყიფე ტეხილს დენდრიტული ეწოდება (სურ. №52).


ბლანტი ტეხილი ბოჭკოვანი აგებულებისაა (სურ. №53). ლითონის მარცვლების ფორმა და ზომები ძლიერ დამახინჯებულია, ვინაიდან რღვევა მნიშვნელოვანი პლასტიკური დაფორმაციის პირობებში მიმდინარეობს. ცხა-



სურ. №53. ბლანტი ტეხილის ფრაქტოგრამები.
δ – x47; δ – x300; δ – x1200.

დია, ბოჭკოვანი ტეხილით ლითონის საწყისი აგებულების შესწავლა შეუძლებელია.

დაღლილობით ტეხილში მკაფიოდ გაირჩევა სამი ზონა: რღვევის კერა (მიკრობზარის წარმოქმნის უბანი), რომელიც №54 ა სურათზე ისრითაა მითითებული), დაღლილობისა და რღვევის დამთავრების ზონები (სურ. №54, №55). ნგრევის კერა ზედაპირს ესაზღვრება და გლუვი, თითქოს მიღესილი, გაპრიალებული ზედაპირით ხასიათდება. იგი თანდათანობით წარმოიქმნება დაღლილობითი ნაპრალის (ბზარის) განვითარების შედეგად.




სურ. №54. დაღლილობითი ტეხილის ზედაპირის ფრაქტოგრამები.
δ – x0,95, δ – x0,65.

მეორე, დაღლილობით ზონაში, როგორც წესი, მოჩანს დამახასიათებელი ნაღარები, რომლებსაც რგოლების კონფიგურაცია აქვს (სურ. №54). ეს დაღლილობითი ბზარის ნახტომისებრ წაწევაზე მიუთითებს. №54 ა ფრაქტოგრამაზე დაღლილობის ზოლები იმის მაჩვენებელია, რომ ნაკეთობის რდვევამდე ბზარი თითქმის განივავეთის 90%-ზე გავრცელდა. №54 პ ფრაქტოგრამაზე გამოსახულია ტეხილი, რომელიც მღუნავი ძაბვების სამი მიმართულებით ზემოქმედების შედეგად არის მიღებული. სწორედ ასეთმა რთულმა დეფორმაციამ განაპირობა არაჩვეულებრივი ნაყშის მიღება, დაღლილობითი ზოლების განვითარების გზით.

როდესაც ტეხილი დიდი დატვირთვისას, მგრეხი ძაბვის ზემოქმედებით უწყვეტად ვითარდება, დაღლილობითმა ზონამ შეიძლება განსხვავებული აგებულებაც მიიღოს, როგორც ეს №55 სურათზეა მოცემული (II უბანი).

დაღლილობითი ზონა ვითარდება მანამ, სანამ სულ უფრო და უფრო შემცირებულ მუშა კვეთში ძაბვის სიდიდე იმ მნიშვნელობამდე არ გაიზრდება, რომელიც ნაკეთობის სრულ რდვევას გამოიწვევს.

რდვევის დამთავრების ზონა ლითონის აგებულებასა და თვისებებზე დამოკი-



სურ. №55. ავტომანქანის ნახევარლერძის დაღლილობითი ტეხილის მაკროსტრუქტურა.

I – ბზარის ჩასახვის კერა;

II – დაღლილობითი ზონა;

III – რდვევის დამთავრების ზონა.

$\alpha \times 0.5$, $\delta \times 1.5$.

დებულებით ბლანტი (III, სურ. 55) ან მყიფე რდვევით ხასიათდება. ტეხილზე სწორად ჩატარებული მაკროანალიზი ყველაზე სრულყოფილად ახასიათებს ლითონის რდვევის სურათს.

2. შლიფის მაკროანალიზი

დევექტებისა და ტრუქტურის გამომუდავნება ლითონში ზედაპირული და ღრმად ამოჭმის მეთოდებით

მაკროხეხის მომზადება. მაკროხეხის მოსამზადებლად საჭიროა გამოსაკვლევი ნიმუშის ამოჭრა ნაკეთობის ყველაზე საინტერესო ადგილიდან და წინასწარი დამუშავება. ნიმუშის მომზადების ხერხებს განსაზღვრავს:

1. საკვლევი ობიექტის სახეობა (სხმული, ზოდი, ნაგლინი და ა.შ);
2. ობიექტის ზომები;
3. კვლევის ხასიათი (კვლევის მიზანი და საგარაუდო მეთოდი).

მაკროხეხის მომზადებისას გამოსაკვლევ ობიექტში უნდა შეირჩეს ჭრის ისეთი მიმართულება, რომელიც შესასწავლი სტრუქტურის ყველაზე მკაფიო გამომუდავნებას უზრუნველყოფს.

მეტალურგიული პროდუქციის ზოგიერთი სახეობისათვის რეკომენდებულია ნიმუშის ამოჭრის შემდეგი სქემები:

1. სხმული დეტალისათვის – ერთი გრძივი და ორი ან სამი განივი ჭრილი, რომელთაგან ერთ-ერთი ჩაჯდომის ნიჟარის ქვედა ზონიდან ამოიჭრება.
2. რელსისათვის – ორი განივი ჭრილი თითოეული ბოლოდან.
3. ვაგონის ან ლოკომოტივის დერბისათვის – სამ-სამი განივი ჭრილი, ამას-თანავე, ერთი ნიმუში დერბის შუა ნაწილიდან ამოიჭრება, თითო-თითო კი – თავსა და ბოლოში.
4. ფურცლოვანი რკინისათვის, ფურცლის თითოეული ბოლოდან 200მმ სიგრძის სამ-სამი განივი ნიმუში ამოიჭრება, ფურცლის გვერდებიდან – თითო-თითო, შუაგულიდან – ერთი.

საფრეზ ან სარანდ ჩარხზე დამუშავების შემდეგ ნიმუშის საკვლევი ზედაპირი ჯერ სახეს ჩარხზე, ხოლო შემდეგ ზუმფარის ქაღალდით მუშავდება. ხეხვაუხეში აბრაზიული მარცვლოვნების ზუმფარით იწყება და თანდათანობით უფრო წვრილმარცვლოვანზე გადასვლით მთავრდება. საბოლოო ხეხვისათვის, ჩვეულებრივ, 125-75 მკმ მარცვლოვნების ზუმფარის ქაღალდი გამოიყენება. ზუმფარის ერთი ნომრიდან მეორეზე გადასვლისას ნიმუშის ზედაპირი ირეცხება და ხეხვის მიმარ-

თულება 90° -ით იცვლება. მაკროკვლევისათვის ნიმუში გაპრიალებით დამუშავებას არ საჭიროებს.

მაკროსტრუქტურის გამომუდავნების ხერხები. დეფექტს, რომელიც ლითონის მთლიანობას (უწყვეტობას) არღვევს, მიეკუთვნება ჩაჯდომის სიფხვიერე, აიროვანი ნიჟარა, სიცარიელე და ბზარი. ზოდში, სხმულში, გლინვით ან ჭედვით დამზადებულ ნაკეთობაში დეფექტის გამოსამუდავნებლად უფრო მიზანშეწონილია ტემპლეტის დამზადება, ხოლო შენადული ნაკერის გამოსაკვლევად – გრძივი ჭრილის-გან დამზადებული მაკროხეხის შესწავლა.

აღნიშნული დეფექტების გამოსამუდავნებლად იყენებენ როგორც ზედაპირული, ისე ღრმად ამოჭმის რეაქტივებს.

ღრმად ამოჭმის რეაქტივები უპირატესად სხმულისა და ნაგლინის მაკროანალიზისათვის გამოიყენება. რეაქტივების შედგენილობა №1 ცხრილშია მოცემული.

ღრმად ამოჭმისათვის მაკროხეხის ზედაპირს წინასწარ წმენდენ სპირტით ჭუჭყის მოსაცილებლად, ხოლო შემდეგ ჩატვირთავენ აბაზანაში, რომელშიც რეაქტივია ჩასხმული. ზოგიერთ შემთხვევაში ამოჭმა გამწოვ კარადაში რეაქტივში დასველებული ტამპონით ხდება. ამოჭმის შემდეგ მაკროხეხს მაშით ან რეზინის ხელთამანის მეშვეობით იდებენ.

ნათელი ზედაპირის მისაღებად, რაც აადვილებს მაკროსტრუქტურულ კვლევას, ამოჭმის შემდეგ ნიმუშს ჯერ წყლით, შემდეგ წყლით განზავებული 10-15%-იანი აზოტმჟავათი რეცხავენ და აშრობენ. უჟანგავი ლითონის ნიმუში ჯერ წყლით ირეცხება, ხოლო შემდეგ - სპეციალური სსნარით, რომელიც ასეთი შედგენილობისაა: 100მლ H_2SO_4 , 50გ $K_2Cr_2O_7$, 100მლ წყალი.

ღრმად ამოჭმის რეაქტივი ძლიერ ურთიერთქმედებს ფოლადის ზედაპირთან. ამასთანავე, კონცენტრირებული მჟავებისა და მათი ნარევების აგრესიული ზემოქმედება ლითონის ზედაპირზე არათანაბარია: იმ უბანში, სადაც არის ფორები, ნიჟარები, ბზარები, სტრუქტურული და ქიმიური არაერთგვაროვნება, რეაქტივი უფრო ინტენსიურად მოქმედებს, რის შედეგადაც მაკროხეხი შერჩევით ამოიჭმება და, ამის გამო, დეფექტები მკაფიოდ ჩანს.

ზედაპირული ამოჭმის რეაქტივებით კარგად მჟღავნდება შედარებით დიდი ზომის ფორები, შენადუდ კონსტრუქციაში – ძირითადი და დადუღებული ლითონის საზღვარი და ლითონის დინების მიმართულება. თუმცა სუსტი ზემოქმედების გამო ისინი ვერ ცვლის ღრმად ამოჭმის რეაქტივებს ფლოკენების, ბზარების, სიფხვიერი-

გაკროხების ამოსაჭმელი ზოგიერთი რეაქტივი და რეჟიმები


ფოლადის ღრმა ამოჭმისათვის		
შენადნობები	რეაქტივის შედგენილობა და ამოჭმის რეჟიმები	შენიშვნა
ყველა ტიპის ფოლადი, გარდა აუსტენიტური და ფერიტული კლასის კოროზიამედები და მხურვალმედები ფოლადისა.	მარილმჟავა 100 მლ, წყალი 100 მლ; $t=60-80^{\circ}\text{C}$; $\tau=5-45$ წთ.	ნათელი ზედაპირის მისაღებად ამოჭმის შემდეგ ზედაპირი უნდა გაირცხოს წყლით, შემდეგ 10-15%-იანი აზოგმჟას ხსნარით და გაშრეს.
კოროზიამედები, მხურვალმედები და სხვა აუსტენიტური კლასის ფოლადი.	1. მარილმჟავა 100 მლ; აზოგმჟავა 10 მლ; წყალი 100 მლ; $t=60-70^{\circ}\text{C}$; $\tau=5-10$ წთ. 2. მარილმჟავა 100 მლ; HNO_3 100 მლ; წყალი 100 მლ; $\text{K}_2\text{Cr}_2\text{O}_7$ 11-11,5 გ. $t=20^{\circ}\text{C}$; $\tau=5-10$ წთ.	რეკომენდებულია ამოჭმა რეაქტივში დასველებული ბამბის ტამპონით. ხეხი ირეცხება წყლით და 5-10%-იანი $\text{K}_2\text{Cr}_2\text{O}_7$ ხსნარით.
ზედაპირული ამოჭმისათვის		
ყველა შედგენილობის ფოლადი	გეინის რეაქტივი: NH_4Cl 53გ; CuCl_2 85 გ; წყალი 1000 მლ; $t=20^{\circ}\text{C}$; $\tau=0,5-1$ წთ.	ხეხის ზედაპირიდან ნალექს აცილებენ ბამბით წყლის ჭავლის ქავეშ. დეფექტური უბნები უფრო ძლიერ არის ამოჭმული.
სპილენის შენადნობები	1. 10-20% $(\text{NH}_4)_2\text{S}_2\text{O}_8$; $t=20^{\circ}\text{C}$; $\tau=1-5$ წთ. 2. FeCl_3 10გ; მარილმჟავა 30 მლ; წყალი 120 მლ; $t=20^{\circ}\text{C}$; $\tau=2-5$ წთ.	ალუმინისა და სპილენის შენადნობები ამოჭმის შემდეგ ირეცხება წყლით, 1-2 წამით იტვირთება HNO_3 -ის 50%-იან ხსნარში, ირეცხება ცხელი წყლით და NaOH -ის 10-15%-იან წყალს ხსნარში.
ალუმინის შენადნობები	მარილმჟავა 40 მლ; HNO_3 40 მლ; $t=20^{\circ}\text{C}$; $\tau=1-10$ წთ.	დურალუმინის ტიპის შენადნობისათვის ამოჭმის შემდეგ აუცილებელია გარეცხვა და გაშრობა

სა და ისეთი ფორების გამოსამჟღავნებლად, რომლებიც ლითონის ზედაპირზე არ გამოდის.

ზედაპირული ამოჭმის რეაქტივები განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება მცირე და საშუალონახშირბადიანი ფოლადის მაკროანალიზის ჩასატარებლად. ყველაზე ფართო გამოყენება, პოვა სპილენის იონების შემცველმა რეაქტივებმა. ამოჭმის წინ ნიმუში სპირტიანი ბამბით იწმინდება და რეაქტივში იტვირთება. წყალს ხსნარიდან გამოძევებული სპილენი მაკროხეხის ზედაპირზე ილექტა. იმ უბნებში,

სადაც რაიმე დეფექტია (ფორი, ბზარი, არალითონური ჩანართი), მიმოცვლის რეაქცია სრულად არ მიმდინარეობს, რის შედეგადაც დეფექტის ადგილები ნაკლებად იფარება სპილენძით და რეაქტივით უფრო ინტენსიურად ამოიჭმება.

№56 სურათზე გამოსახულია შენადუღი შეერთების მაკროხეხი ამოჭმამდე (ა) და გეინის რეაქტივით (იხ. ცხრ. №1) ამოჭმის შემდეგ (ბ). მაკროანალიზით პირა-პირ უბნებში გამომჟღავნებულია ფორები. ძირითად ლითონში მოჩანს, აგრეთვე, მუ-ქი ზოლები, რომლებიც ავლენენ ნახშირბადით, გოგირდით და ფოსფორით გამ-დიდრებულ უბნებს.



სურ. №56. შენადუღი ნაკერის მაკროსტრუქციურა ამოჭმამდე (ა)
და ამოჭმის შემდეგ (ბ)

თუჯში სხმული (დენდრიტული) სტრუქტურის გამოსამჟღავნებლად ბორის მჟავათი გაჯერებული მარილმჟავა გამოიყენება. მოქმედების დასაჩქარებლად რეაქტივს შეიძლება მცირე რაოდენობით წყალი დაემატოს.

ნიმუში რამდენიმე წუთით იტვირთება რეაქტივში, შემდეგ კი მსუბუქად პრი-ალდება. ციკლი 6-10-ჯერ მეორდება. ამოჭმის პირველი ციკლების შემდეგ მკვეთრად მჟღავნდება ბადისებრი სტრუქტურა, რომელიც შემდეგ ქრება და საბოლოოდ პირველადი კრისტალიზაციისათვის დამახასიათებელი დენდრიტული აგებულება ჩნდება.

სხმული ფოლადის მაკროსტრუქტურის გამოსამჟღავნებლად ამონიუმის პერ-

სულფატის 15%-იანი წყალსნარი გამოიყენება. მაკროხეხი 5-10 წუთის განმავლობაში 80-90°C-მდე გაცხელებულ რეაქტივში იტვირთება, რის შემდეგ წყლით ირეცხება და შრება.

მაღალი კონტრასტულობის მისაღებად ზემოთ აღნიშნული რეაქტივით დამუშავების შემდეგ ნიმუში 1-2 წუთის განმავლობაში 5%-იან აზოტმჟავაში იტვირთება, შემდეგ იწმინდება და 2-3 წუთის განმავლობაში მუშავდება, ამჯერად ცივი 15%-იანი ამონიუმის პერსულფატის წყალსნარით.

წნევით დამუშავებისას (გლინგა, ჭედვა, ტვიფრვა) სხმული ფოლადის სტრუქტურა იმსხვრევა, მარცვლები და არალითონური ჩანართები დეფორმაციის მიმართულებით წაგრძელდება, რის შედეგადაც დამახასიათებელი ბოჭკოვანი აგებულება მიიღება.

ფოლადში ბოჭკოვანი აგებულების გამოსამჟღავნებლად შემდეგი რეაქტივები გამოიყენება:

1) 85 გ ქლორიანი სპილენძი, 53 გ ქლორიანი ამონიუმი და 1000 სმ³ წყალი.

მიკროხეხი რეაქტივში 1-2 წუთით იტვირთება. ვინაიდან ლითონის ბოჭკოები არაერთგვაროვანი შედგენილობითა და სტრუქტურით ხასიათდება, მაკროხეხის ზედაპირი არათანაბრად ამოჭმება. ამოჭმის შემდეგ ნიმუში წყლით ირეცხება და შრება.


2) 50%-იანი მარილმჟავა. ამოჭმის პროცესი გამწოვ კარადაში მიმდინარეობს.

წყლიან ჭურჭელში თავსდება ფაიფურის ფიალა, რომელშიც რეაქტივია ჩასხმული და 60-70°C-მდე ცხელდება. ნიმუში რეაქტივში იტვირთება 10-45 წუთით. ამოჭმის შემდეგ ნიმუში ჯერ წყლით, შემდეგ წყალში განზავებული 10-15%-იანი აზოტმჟავათი ირეცხება და შრება.

№57 სურათზე მოცემულია სხმული ფოლადისა (ა) და ავტომანქანის გამოჭედილი ნახევარლერმის (ბ) მაკროსტრუქტურები. როგორც ამ მასალიდან ჩანს, ბოჭკოების მიმართულება ნაჭედის გარეგნულ ფორმასთან არის თანხვდენილი.

3. მიკროსკოპული ანალიზი

ადამიანის თვალი ბუნებრივი ოპტიკური ხელსაწყოა. თვალის ბადურაზე მკაფიო გამოსახულების მიღება დამოკიდებულია როგორც დასაკვირვებელი საგნის ზომებზე, ისე თვალიდან მის დაშორებაზე. უმცირესი მანძილი, როდესაც ადამიანი შესასწავლ საგანს გარკვევით ხედავს, 250მმ-ია. თუ დასაკვირვებელი საგნის ზომები 0,3მმ-ზე ნაკლებია, თვალით მისი ფორმისა და ცალკეული დეტალების გარჩევა შეუძლებელი ხდება. ამ შემთხვევაში აუცილებელია ადამიანის თვალის შეიარაღება



სურ. № 57. სხმული ფოლადისა (ა) და აგტომანქანის ნახევარლერძის (ბ) შაკროსტრუქტურა

ოპტიკური ხელსაწყოთი, რომელიც გაზრდის მკაფიო მხედველობის კუთხეს. ასეთი უმარტივესი ოპტიკური ხელსაწყო არის ლუპა. ლუპის გამადიდებლობა 2,5-დან 25-მდე იცვლება. ნიმუშის უფრო მეტი გადიდებით შესწავლისათვის მეტალოგრაფიული მიკროსკოპით სარგებლობენ.

ლითონის აგებულების კვლევას, სპეციალურად მომზადებულ ნიმუშზე, მეტალოგრაფიული მიკროსკოპის საშუალებით (50-2000-ჯერ გადიდებისას), კვლევის მიკროსკოპული მეთოდი ეწოდება. უფრო დიდ გადიდებაზე (100000-მდე), კვლევის აუცილებლობის შემთხვევაში, ელექტრონული მიკროსკოპი გამოიყენება.

ცნობილია, რომ ლითონის სტრუქტურასა და თვისებებს შორის არსებობს ხარისხებრივი და რაოდენობრივი კავშირი. მიკროსკოპული ანალიზის ძირითადი უპირატესობა სწორედ ისაა, რომ იგი საშუალებას იძლევა, მიკროანალიზის მონაცემების საფუძველზე, ვიმსჯელოთ მანქანათა ნაწილებისა თუ კონსტრუქციების საიმედოობაზე. მიკროანალიზის (ზოგჯერ მაკროანალიზის) მონაცემებით შეიძლება დავადგინოთ, როგორ შეიცვლება ლითონის მექანიკური, ფიზიკური ან ქიმიური თვისებები, სტრუქტურის ამა თუ იმ მიმართულებით ცვლილებისას. უფრო მეტიც, შესაძლებელია მიეთითოს სტრუქტურის გაუმჯობესების ისეთი ეფექტური გზები, რომელიც სასურველი მიმართულებით შეცვლის ლითონის თვისებებს, ანუ პროგნოზირება გაუკეთდეს მისგან დამზადებული ნაკეთობის საექსპლუატაციო საიმედოობას.

მიკროსკოპული ანალიზით (მიკროანალიზით) შეიძლება გამოვავლინოთ:

1. ლითონის სტრუქტურული შემდგენების ფორმა და ზომები;
2. თერმული დამუშავებისა და გარე მექანიკური ზემოქმედების გავლენა შენაძნობის შინაგანი აგებულების ცვლილებაზე;
3. ლითონში არსებული მიკრომანქები – მიკრობზარები, ნიჟარები და სხვა;

4. არალითონური ჩანართები – სულფიდები, ჟანგეულები, გრაფიტის ჩანართები და სხვა.


ცალკეულ შემთხვევებში მიკროანალიზი შენადნობის ქიმიური შედგენილობის მიახლოებითი განსაზღვრის შესაძლებლობასაც იძლევა.

ლითონის აგებულებას, რომელიც მიკროანალიზით შეისწავლება, მიკროსტრუქტურა ეწოდება. მიკროსტრუქტურის შესასწავლად გამოსაკვლევი მასალიდან უნდა ამოიჭრას ნიმუში და შემდეგ გარკვეული თანმიმდევრობით დამუშავდეს (ხეხვა, გაპრიალება, ამოჭმა). მიკროკვლევისათვის მომზადებულ ნიმუშს მიკროსექნი ეწოდება.

ამრიგად, მიკროსკოპული ანალიზი ორ ძირითად ეტაპს მოიცავს: 1. მიკროსექნის მომზადებას; 2. მეტალოგრაფიული მიკროსკოპის საშუალებით მიკროსექნის კვლევას

მეტალოგრაფიული მიკროსკოპი

მეტალოგრაფიულ მიკროსკოპში (სურ. №58) ორი გამადიდებული ოპტიკური სისტემაა გამოყენებული: ობიექტივი (1, 2) და ოკულარი (3, 4). ობიექტივი ადიდებს დასაკვირვებულ უბანს, ხოლო ოკულარი – მხოლოდ იმ გამოსახულებას, რომელიც ობიექტივიდან მიიღება და არ ავსებს მას არავითარი ახალი ელემენტით, თუ ისინი ობიექტივის მიერ არ არის გამომჯდავნებული.



სურ. №58. მიკროსკოპის ოპტიკური სისტემის გამარტივებული სქემა.

2) და ოკულარი (3, 4). ობიექტივი ადიდებს დასაკვირვებულ უბანს, ხოლო ოკულარი – მხოლოდ იმ გამოსახულებას, რომელიც ობიექტივიდან მიიღება და არ ავსებს მას არავითარი ახალი ელემენტით, თუ ისინი ობიექტივის მიერ არ არის გამომჯდავნებული.

ობიექტივი არის ლინზების რთული კომპლექსი, რომელიც ერთ კორპუსშია აკრეფილი. მისი ფრონტალური ბრტყელამოზნექილი ლინზა განსაზღვრავს ობიექტივის გამადიდებლობას, ხოლო რამდენიმე საკორექციო ლინზა ხსნის არასასურველ ოპტიკურ ეფექტს – ქრომატულსა და სფერულ აბერაციებს, რომლებიც სინათლის სხივის ფრონტალურ ლინზაში გავლისას წარმოიქმნება. ობიექტივის კორპუსზე მითითებულია მისი

F ფოკუსური მანძილი და A აპერტურა. ოკულარი იძლევა შესასწავლი უბნის საბოლოო სურათს, თანაც იგი ასწორებს ისეთ რპტიკურ დეფექტებს, რომლებიც როგორი კონსტრუქციის ობიექტივის გამოყენების შემთხვევაშიც კი არ ისპობა. ოკულარის გამადიდებლობა მის კორპუსზეა მითითებული.

გამოსაპვლევი AB (სურ. №58) ნიმუში თავსდება ობიექტივის წინ, მისი F ფოკუსიდან მცირე მანძილზე. საგნის განათებისას სინათლის სხივი ნიმუშიდან აირებულება, გარდატყდება ობიექტივის 1 და 2 ლინზაში, გაივლის ოკულარის 3 ლინზაში და იძლევა საგნის ნამდვილ, შებრუნებულ და გადიდებულ B₁A₁ გამოსახულებას. თვალით დაკვირვებისას ლინზა, რომელიც ამ შემთხვევაში ლუპის როლს ასრულებს, იძლევა საგნის წარმოსახვით, გადიდებულ და შებრუნებულ B₂A₂ გამოსახულებას, რომელიც მიკროსკოპში შესასწავლი საგნის საბოლოო სახეა. ჩვეულებრივ, გამოსახულება ოკულარიდან 250მმ-ზე პროექტირდება.

მიკროსკოპის გარჩევის უნარი. ობიექტივის ლინზის თვისებას, განაცალკეოს მიკროსტრუქტურის ახლომდებარე დეტალები, გარჩევის უნარი ეწოდება. ობიექტივის გარჩევის უნარი d შემდგენ ფორმულით განისაზღვრება:

$$d = \frac{\lambda}{A}, \quad (1)$$

სადაც λ არის სინათლის სხივის ტალდის სიგრძე ანგსტრემებში (თეთრი სინათლისათვის λ=6000 Å);

A-ობიექტივის რიცხობრივი აპერტურა.

გამოსაპვლევი ნიმუში ობიექტივში არეალავს სინათლის კონუსისებრ ნაკადს. კონუსის კუთხე ისეთია, რომ მიკროსკოპის ობიექტივში ყველა სხივი ვერ გაივლის. აქედან გამომდინარებს ობიექტივის რიცხობრივი აპერტურის ცნება.


ობიექტივის ლინზის რიცხობრივი აპერტურა განისაზღვრება ფორმულით:

$$A = 2n \sin \frac{\alpha}{2}, \quad (2)$$

სადაც n არის ობიექტივსა და ნიმუშს შორის არსებული გარემოს გარდატეხის კოეფიციენტი;

α - ობიექტივის ნახვრეტის, ანუ აპერტურული კუთხე, რომელსაც საკვლევი ნიმუშიდან არეკვლილი OA და OB ზღვრული სხივები ქმნის (სურ. №59).

რაც უფრო მეტია აპერტურული კუთხე და გარემოს გარდატეხის კოეფიციენტი, მით უფრო მეტი იქნება ობიექტივის აპერტურა და, აქედან გამომდინარე, მიკროსკოპის გარჩევის უნარი.



სურ. №59. ობიექტივის ლინზის
აპერტურული კუთხე.

ჩვეულებრივ პირობებში მომუშავე მიკროსკოპში ობიექტივსა და გამოსაკვლევ საგანს შორის პაკერია. ასეთ ობიექტივს მშრალი ობიექტივი ეწოდება.

რადგან ობიექტივის აპერტურული კუთხე პრაქტიკულად 144° -ს შეადგენს,

$$\sin \frac{\alpha}{2} = 0,95 \approx 1. \quad (3)$$

ჰაერის გარდატეხის კოეფიციენტი $\lambda=1$; ამ პირობებისათვის რიცხობრივი აპერტურის უდიდესი მნიშვნელობა ტოლი იქნება:

$$2n \sin \frac{\alpha}{2} = 2 \cdot 1 \cdot 1 = 2, \quad (4)$$

ხოლო გარჩევის უნარი

$$d = \frac{\lambda}{A} = \frac{6000}{2} = 3000 \text{ Å} = 0,3 \text{ მკმ} \quad (5)$$

მიკროსკოპის გარჩევის უნარის გასაზრდელად, დასაკვირვებელ საგანსა და ობიექტივს შორის ხელოვნურად ქმნიან ისეთ გარემოს, რომელსაც ჰაერთან შედარებით დიდი გარდატეხის კოეფიციენტი ექნება. ამ მიზნით კედრის ზეთი გამოიყენება ($n=1,52$). ნივთიერებას, რომელიც ობიექტივსა და გამოსაკვლევ საგანს შორის სივრცეში თავსდება, იმერსია ეწოდება, ხოლო ასეთ გარემოში მომუშავე ობიექტივს – იმერსიული ობიექტივი.

იმერსიული ობიექტივით მუშაობისას მიკროსკოპის გარჩევის უნარი

$$d = \frac{\lambda}{2n \sin \frac{\alpha}{2}} = \frac{6000}{2 \cdot 1,5 \cdot 1} = 2000 \text{ Å} = 0,2 \text{ მკმ}. \quad (6)$$

მიკროსკოპის გამადიდებლობა. მიკროსკოპის საერთო გამადიდებლობა ობიექტივისა და ოკულარის გამადიდებლობების ნამრავლის ტოლია:

$$N_m = N_{ob} N_{ok} \quad (7)$$

ობიექტივის გამადიდებლობა

$$N_{ob} = \frac{\ell}{f_{ob}}, \quad (8)$$

სადაც ℓ არის ტუბუსის ოპტიკური სიგრძე, ე.ი. მეზობელ F_1 და F_2 ფოკუსებს შორის მანძილი (სურ. 58);

f_{ob} – ობიექტივის ფოკუსური მანძილი.

$$\text{ოკულარის გამადიდებლობა } N_{ok} = \frac{250}{f_{ok}}, \quad (9)$$

სადაც f_{ok} არის ოკულარის ფოქუსური მანძილი.

თუ ჩავსამო N_{ob} და N_{ok} მნიშვნელობებს მიკროსკოპის საერთო გამადიდებლობის გამოსათვლელ ფორმულაში (7), მივიღებთ:

$$N_m = \frac{\ell}{f_{ob}} \cdot \frac{250}{f_{ok}}. \quad (10)$$

მიკროსკოპის მაქსიმალური სასარგებლო გამადიდებლობა, რომლის საშუალებითაც შესასწავლი ნიმუშის დეტალები მუდავნდება, განისაზღვრება ტოლობით:

$$M = \frac{d_1}{d_2}, \quad (11)$$

სადაც d_1 არის ადამიანის თვალის მაქსიმალური გარჩევის უნარი, რომელიც 0,3 მმ-ის ტოლია;

d_2 – ოპტიკური სისტემის მაქსიმალური გარჩევის უნარი.

მშრალი ობიექტივით მუშაობისას მაქსიმალური სასარგებლო გამადიდებლობა,

$$M = \frac{300}{0,3} = 1000, \quad (12)$$

ხოლო იმერსიული ობიექტივით მუშაობისას

$$M = \frac{300}{0,2} = 1500. \quad (13)$$

სიმკვეთრის სიღრმე. სიმკვეთრის სიღრმე არის ობიექტივის თვისება, მკაფიოდ ასახოს გამოსაკვლევი ობიექტის სხვადასხვა სიბრტყეში განთავსებული დეტალები. ეს სიღრმე $\frac{1}{A^2}$ გამოსახულების პროპორციულია, რაც იმას ნიშნავს, რომ უხეში ზედაპირის მქონე ნიმუშის მიკროსკოპზე შესწავლისას, მიზანშეწონილია მცირე რიცხობრივი აკერტურის მქონე ობიექტივის გამოყენება.


МИМ –7 ვერტიკალური მეტალოგრაფიული მიკროსკოპი

МИМ-7 ტიპის მეტალოგრაფიულ მიკროსკოპზე შესაძლებელია ნიმუშის გამოკვლევა ჩატარდეს როგორც ნათელ, ისე ჩაბნელებულ არეში, ვერტიკალური ან ირიბი განათებით, აგრეთვე, პოლარიზებული სინათლის სხივის გამოყენებით. მიკროსკოპის გამადიდებლობა იცვლება 60-დან 1440-მდე.

მეტალოგრაფიული მიკროსკოპი შედგება ოპტიკური, გამანათებელი და მექანიკური სისტემებისაგან. მიკროგამოსახულების ფიქსირებისათვის კონსტრუქციაში გათვალისწინებულია ფოტომოწყობილობა.

ოპტიკური სისტემა. МИМ-7 ტიპის მეტალოგრაფიული მიკროსკოპის ოპტიკური სისტემა შედგება ობიექტივის, ოკულარისა და მრავალი დამხმარე თანამდებობისაგან (სურ. №60).

მძლავრი (1) ნათურიდან სინათლის სხივი (2) კოლექტორის გავლით (3) სარკეს ეცემა, საიდანაც აირეკლება და (4) შუქფილტრის (მკვეთრი კონტრასტულობის მისაღებად, ჩვეულებრივ, ყვითელი ფერის შუქფილტრი გამოიყენება), (5) აპერტურული დიაფრაგმის, (6) ლინზის, (7) ფოტოჩამპეტისა და (8) მხედველობის არის დიაფრაგმის გავლით (9) პენტაკრიზმას ეცემა, სადაც იგი გარდატყველება. გარდატყველი სხივი გაივლის (10) ლინზას და ხვდება (11) პრტყელპარალელურ ამრეკლ ფირფიზე, საიდანაც დაცემული სინათლის ნაკადის დაახლოებით $1/3$ აირეკლება. არეკლილი სხივი (12) ობიექტივის გავლით, გამოსაკვლევ ტბიექტის – (13) მიკროხეხის ეცემა. მიკროხეხის გაპრიალებულ ზედაპირზე დაცემული სინათლის სხივი კვლავ აირეკლება, გაივლის (12) ობიექტივში და პარალელური კონის სახით ამრეკლი ფირფიზისა და აქრომატული (14) ლინზისაკენ მიემართება.



სურ. №60. მეტალოგრაფიული მიკროსკოპის ოპტიკური სისტემის სქემა

1. ნათურა;
2. კოლექტორი;
3. სარკე;
4. შუქფილტრი;
5. აპერტურული დიაფრაგმა;
6. ლინზა;
7. ფოტოჩამპეტი;
8. მხედველობის არის დიაფრაგმა;
9. პენტაკრიზმა;
10. ლინზა;
11. ამრეკლი ფირფიზი;
12. ობიექტივი;
13. გამოსაკვლევი ობიექტი;
14. აქრომატული ლინზა;
15. ფოტოოპულარი;
16. სარკე;
17. ფოტოგამერის მქრქალი მინა;
18. სარკე;
19. ოკულარი;
20. ანალიზატორი;
21. პოლარიზატორი


გიზუალური დაკვირვებისას ოპტიკურ სისტემაში ჩართულია (18) სარკე, რომელიც სხივს (19) ოკულარის მიმართულებით გადახრის. მიკროსტრუქტურის ფოტოგადაღებისათვის (18) სარკე ტუბუსის ზედა კიდურა მდგომარეობამდე ამოწევით

გამოითიშება ოპტიკური სისტემიდან და სხივი (15) ფოტოოპულარის გავლით (16) სარკისკენ მიემართება, აირეპლება და გამოსახულებას ფოტოპამერის (17) მქრქალ მინაზე იძლევა.

პოლარიზებული სხივით დაკვირვებისათვის ოპტიკურ სისტემაში, სინათლის წყაროს მახლობლად, თავსდება ჩასადგმელი (21) პოლარიზატორი, ხოლო (20) პოლარიზატორი-ანალიზატორი, რომელიც მიკროსენიდან არეკვლილი პოლარიზებული სხივის კონცენტრაციას ახდენს, ოკულარის წინ ან ობიექტივსა და ოკულარს შორის მაგრდება.

პოლარიზებული სინათლის სხივით შეისწავლება შენადნობები, რომელთა ფაზები არაკუბური სისტემის კრისტალური გისოსისგან არის შედგენილი. თუ გამოსაკვლევი ობიექტი ოპტიკურად იზოტროპულია, პოლარიზატორისა და ანალიზატორის შესაბამისი ურთიერთმდებარეობით შეიძლება სინათლე სრულად შთაინთქას, წინააღმდეგ შემთხვევაში სინათლე სრულად არ შთაინთქმება და ზოგიერთი მარცვალი განათებული, ზოგი კი მუქად გამოჩნდება. თუ ჩანართები გამჭვირვალეა, ნიმუშიდან არეკვლილი სინათლის ნაწილი გარდატყდება მის გარე და შიგა ზედაპირებზე, ამიტომ, ასეთი ხასიათის ჩანართები მიკროსკოპში ნათელი ლაქის სახით მოჩანს ან სხვადასხვაფრად იღებება. მაგალითად, სპილენძის შენადნობებში სპილენძის ქვეჯანგის ჩანართები წითლად მოჩანს. ჩანართის გამჭვირვალობის, ფერისა და ანიზოტროპიულობის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გამოსაკვლევი ნიმუშის ბუნებაზე მსჯელობა.

მიკროსტრუქტურის წვრილი, რელიეფური აგებულების მკვეთრი გამომჟღავნებისათვის (მაგალითად, არალითონური ჩანართების შესწავლის დროს) მიზანშეწონილია კვლევა ყოველმხრივი ირიბი განათებით, ანუ მუქ არეში დაკვირვებით ჩატარდეს. ამ შემთხვევაში მიკროსკოპის ოპტიკური სისტემის სქემა იმით განსხვავდება ნათელ არეში კვლევის ოპტიკური სქემისაგან, რომ 10 ლინზის ნაცვლად გამანათებელ სისტემაში (24) ლინზაა ჩართული (სურ. №61), რომლის ერთ-ერთი ზედაპირის ცენტრალური ნაწილი დისკოს ფორმის გაუმჭვირი ლაქით არის დაფარული. იგი აკავებს სინათლის ნაკადის ცენტრალურ ნაწილს და მხოლოდ განაპირა სხივებს ატარებს, რომელიც (25) სარკეს წრიული რგოლის სახით ეცემა. იმისათვის, რომ სინათლის სხივი არ მოხვდეს (11) ამრეკლ ფირფიტაზე, გამოიყენება (23) საფარი. წრიული სარკიდან არეკვლილი სხივი კონცენტრირდება (22) პარაბოლური სარკის შიგა ზედაპირზე, რომელიც ობიექტივზეა დამაგრებული და მასთან ერთად ერთი მთლიანი კონსტრუქციაა. ასეთ ობიექტივს ეპიობიექტივი ეწოდება. პარაბოლური სარკიდან სხივი მიკროსენებს ეცემა. ამრიგად, მუქ არეში დაკვირვებისას ობი-



სურ. №61. მეტალოგრაფიული მიკროსკოპის
ოპტიკური სისტემის სქემა მუქარიანი განათებისას
22. პარაბოლური სარკე; 23. საფარი; 24. ლინზა;
25. წრიული სარკე.

ექტივი გამანათებელი სისტემიდან გამოთიშულია. მუქ არეში დაკვირვებისას ობიექტი ხვდება ნიმუშის ამოშვერილი ზედაპირებიდან არეკვლილი დიფუზური სხივები, ხოლო დანარჩენი ფაზები მიკროსკოპში მუქად გამოჩნდება.

მიკროსკოპის ირიბი განათებით გამოკვლევისთვის საჭიროა (5) აპერტურული დიაფრაგმა (სურ. №60) ან (1) სინათლის წყარო ოპტიკური ღერძის მიმართ გადაადგილდეს. მიკროსკოპში მიკროსკოპის გამოშვერილი ადგილები უფრო ნათლად მედავნდება და ჩრდილავს შესასწავლი მიკროუბნის დანარჩენ ზედაპირს. აქედან გამომდინარე, კვლევის ამ მეთოდის ძირითადი უპირატესობა გამოსახულების კონტრასტის მკვეთრად გაზრდაა.

როგორც მუქ არეში დაკვირვებისას, ისე ირიბი განათების შემთხვევაში კარგად მუღავნდება მეტალოგრაფიული მიკროსკოპის წუნი – ნაკარგები, წერტილოვანი დეფექტები, რელიეფი, რომლებიც მიკროსკოპის მომზადებისას მიიღება. ამიტომ, კვლევის ეს მეთოდები, ხშირად, მიკროსკოპის მომზადების ხარისხის შესამოწმებლადაც გამოიყენება.

გამანათებელი სისტემა. მეტალოგრაფიული მიკროსკოპის გამანათებელმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს გამოსაკვლევი ობიექტის მთლიანი ფართობის საკმაოდ ინტენსიური და თანაბარი განათება. ამისათვის გამანათებელ სისტემაში გათვალისწინებულია სინათლის წყარო (K 30 ტიპის მძლავრი ნათურა, რომელიც მუშაობს 17 ვ ძაბვასა და 170 ვტ სიმძლავრეზე), რომელიც დენს Tp-17 დამადაბლებელი ტრანსფორმატორიდან დებულობს.

კვლევის ობიექტალური პირობების შესაქმნელად ოპტიკურ სისტემაში გათვალისწინებულია ლინზების მთელი სერია, შუქფილტრები და დიაფრაგმა. დიაფრაგმა ზღუდავს სინათლის სხივის კვეთს, ხოლო შუქფილტრების (ფერადი, მქრქალი, კვამლა) საშუალებით შეირჩევა საჭირო ტალღის სიგრძე, ანუ გარკვეული ფერის სხივი, რაც განათების ისეთ პირობებს უზრუნველყოფს, რომელიც მკვლევრის თვა-

ლის გადადლას არ გამოიწვევს. გარდა ამისა, შუქფილტრის სწორად შერჩევა საშუალებას იძლევა შეიქმნას სისტემის ოპტიკური ელემენტების მუშაობის საუკეთესო პირობები და მიღებულ იქნეს კარგი ხარისხის გამოსახულება.


ფერადი შუქფილტრების გამოყენებით შესაძლებელია გამოსახულების კონტრასტი ფართო საზღვრებში შეიცვალოს. შუქფილტრის სწორად შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა შეფერილობის ფაზების შესწავლისას. მაგალითად, თუ გამოსაკვლევი სტრუქტურა ყვითელი და თეთრი ფერის მარცვლებისგან შედგება, მაქსიმალური კონტრასტულობის მისაღებად რეკომენდებულია ლურჯი შუქფილტრის გამოყენება, რომელიც საგრძნობლად შეასუსტებს ყვითელი ფერის სტრუქტურული შემდგენის სიკაშკაშეს.

მექანიკური სისტემა. მეტალოგრაფიული მიკროსკოპის მექანიკურ სისტემაში გაერთიანებულია შტატივი, ტუბუსი და საგნის მაგიდა.

მიკროსკოპი თავსდება (8) საგნის მაგიდაზე (სურ. №62) გამოსაკვლევი ზედაპირით ქვემოთ, ობიექტივის ოპტიკური ღერძის პერპენდიკულარულად. მაგიდას აქვს ფანჯარა, რომელშიც სხვადასხვა დიამეტრის ცენტრალური ხვრელის მქონე საცვლელი (18) ქვესადები იდგმება. სინათლის სხივი მიკროსკებს ქვესადების ხვრელის გავლით ეცემა. ჰორიზონტალური სიბრტყის ორი ურთიერთმართობი მიმართულებით საგნის მაგიდის გადაადგილება სათანადო (9) ხრახნების საშუალებით ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს მიკროსკების სხვადასხვა უბნის გამოკვლევას შერჩეული ფოკუსური მანძილის შეუცვლელად.

მკაფიო გამოსახულების მისაღებად საჭიროა, ნიმუშის გამოსაკვლევი ზედაპირი ფოკუსში დადგეს. ამ მიზნით მიკროსკოპის კორპუსში (14) მაკრომეტრული ხრახნია გათვალისწინებული, რომლის შემობრუნებით საგნის მაგიდა ვერტიკალურ სიბრტყეში გადაადგილდება. ეს უზრუნველყოფს ობიექტივთან ნიმუშის მიახლოებას ან დაშორებას და ამით მის დაახლოებით დაფოკუსებას. სასურველ მდგომარეობაში მაგიდის ფიქსირება სპეციალური მომჭერით ხორციელდება. ზუსტად დაფოკუსება მიკრომეტრული ხრახნის (4) საშუალებით ხდება, რომლის ერთი შემობრუნებით ობიექტივი ვერტიკალურ სიბრტყეში მიღიმეტრის მეათედით (უმრავლეს შემთხვევაში 2 მიკრონით) გადაადგილდება. რაც უფრო მეტია ობიექტივის გამადიდებლობა, მით უფრო მცირე უნდა იყოს მანძილი ობიექტივსა და მიკროსკებს შორის.

(19) ოკულარი ვიზუალური (5) ტუბუსის სიღრუეში თავსდება, ხოლო ობიექტივი – ილუმინატორის (7) ტუბუსში.



სურ. №62. МИМ-7 მეტალოგრაფიული მიკროსკოპის საერთო ხედი:

1. საღგარი;
2. ფოკამერის კორპუსი;
3. ფოტოგამერა;
4. მიკრომეტრული ხრახნი;
5. ვიზუალური ტუბუსი;
6. საფარი;
7. ილუმინატორის ტუბუსი;
8. საგნის მაგიდა;
9. პორიზონტალურ სიბრტყეში სამასალო მაგიდის გადასაადგილებელი ხრახნები;
10. საკვლევი ობიექტის საჭარი;
11. გამანათებლის ფარანი;
12. გამანათებელი სისტემის ფიქსატორი;
13. შუქფილტრების დისკო;
14. მიკრომეტრული ხრახნი;
15. მქრქალმინიანი ჩარჩო;
16. დაცენტრების მექანიზმი;
17. მიკროსკოპის კორპუსი;
18. საცვლელი ქვესადები;
19. ოკულარი.

გამადიდებლობის შერჩევა. ნიმუშის მიკროსტრუქტურული კვლევისათვის წინასწარ ირჩევენ გამადიდებლობას, რასაც ობიექტივისა და ოკულარის წყვილი განსაზღვრავს. ამ მიზნით პრაქტიკულად №2 ცხრილის მონაცემებით სარგებლობენ.

მკაფიო გამოსახულების მისაღებად ობიექტივი და ოკულარი ისეთნაირად უნდა შეირჩეს, რომ მიკროსკოპის საერთო გამადიდებლობა ოპტიკური სისტემის სასარგებლო გამადიდებლობას არ აღემატებოდეს. ამის მისაღწევად საჭიროა მიკროსკოპის გამადიდებლობა იყოს 500A-დან 1000A-მდე ინტერვალში, სადაც A არის ობიექტივის აპერტურა. გამადიდებლობა N=500A გვიჩვენებს ქვედა ზღვარს, ხოლო N=1000 A – ზედას. თუ მიკროსკოპის საერთო გამადიდებლობა ქვედა ზღვარზე ნაკლებია, სრულად არ იქნება გამოყენებული მიკროსკოპის გარჩევის უნარი, ხოლო

ცხრილი №2.

МИМ-7 მეტალოგრაფიული მიკროსკოპის გამადიდებლობის ცხრილი

ო ბ ი ა ქ ბ ი ვ ი	მქრქალ მინაზე		გიზუალური დაკვირვებისას				
	ო პ უ ლ ა რ ი						
	7 ^X	10 ^X	15 ^X	7 ^X	10 ^X	15 ^X	20 ^X
8,6 ^X (F=23,2; A=0,17)	70	120	160	60	90	130	170
14,4 ^X (F=13,89; A=0,3)	115	200	270	100	140	200	300
24,5 ^X (F=8,16; A=0,37)	200	340	450	170	240	360	500
32,5 ^X (F=6,16; A=0,65)	260	440	600	250	320	500	650
იმერსიული							
72,2 ^X (F=2,77; A=1,25) გამოიყენება მხოლოდ ნათელ არეში მუშაობისას	575	1000	1350	500	720	1080	1440
71,7 ^X (F=2,79; A=1,00)	575	1000	1350	500	720	1080	1440

თუ ეს მნიშვნელობა ზედა ზღვარს აღემატება, უარესდება გამოსახულების ხარისხი. მაგალითად, თუ კვლევისათვის შერჩეული ობიექტივის აპერტურა $A=0,37$, კარგი ხარისხის გამოსახულების მისაღებად მიკროსკოპის საერთო გამადიდებლობა $N = 7,5^X$ უნდა მოთავსდეს ინტერვალში $0,37 \times 500 \div 0,37 \times 1000$, ანუ 185-სა და 370-ს შორის. რადგან 0,37 აპერტურის მქონე ობიექტივის გამადიდებლობა 24,5-ის ტოლია, ამიტომ, ამ პირობას დააკმაყოფილებს ოკულარი, რომლის გამადიდებლობა არის:

$$185:24,5 \div 370:24,5 \text{ ანუ } 7,5^X \div 15^X.$$

სტანდარტული ოკულარების გამადიდებლობაა 7^X , 10^X , 15^X და 20^X . ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში უნდა შეირჩეს ოკულარი, რომლის გამადიდებლობაა 10^X ან 15^X .

მიკროსტრუქტურული კვლევა, ჩვეულებრივ, მცირე გადიდებით იწყება, რადგან ამ შემთხვევაში მხედველობის არეში შესასწავლი ზედაპირის შედარებით დიდი ფართობი ხვდება.

მიკროსტრუქტურის ფიქსირება. მიკროსკოპული კვლევის უდიდესი ნაწილი გიზუალური დაკვირვებით ხდება და არ საჭიროებს ყველა გამოკვლეული სტრუქტურის ფიქსირებას. კვლევის ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში საკმარისია ნიმუშის ყველაზე საინტერესო და დამახასიათებელი ერთი ან რამდენიმე მიკროუბნის დაფიქსირება. გარდა დასაბუთებისა ან საილუსტრა-

ციო მასალად გამოყენებისა, იგი მკვლევარს დიდ დახმარებას გაუწევს მიკროსტრუქტული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის ჩატარებისას. არც თუ ისე იშვიათად, მიკროფოტოგრაფიით სტრუქტურის ისეთი ახალი თავისებურებანი მედავნდება, რომლებიც შეუმჩნეველი იყო ვიზუალური დაკვირვების დროს. ამიტომ, აუცილებელი და მეტად საჭირო ხდება მკვლევარს წინ ედოს ყვალა ნიმუშის მიკროსტრუქტურის დამახასიათებელი მიკროუბნების ასლი, რომლებიც გამოკვლეული და შესწავლილი იყო სხვადასხვა დროს ან, შესაძლებელია, სხვადასხვა ადგილას.

მიკროსტრუქტურის ფიქსირების ორი ძირითადი ხერხი არსებობს: ჩახატვისა და მიკროფოტოგრაფირების.

პირველი ხერხის უპირატესობა ისაა, რომ ადამიანის თვალის აკომოდაციის უნარისა და მიკროსკოპის ფოკუსის განუწყვეტელი შეცვლის შედეგად, შეიძლება გამოვიკვლიოთ და ჩავიხატოთ რელიეფური სტრუქტურის თითქმის ყველა დეტალი. ამ შემთხვევაში მიკროფოტოგრაფირებისათვის აუცილებელი იქნებოდა გადაღებების სერიის ჩატარება მიკროსკოპის ზუსტი დაფოკუსებით, ობიექტის რელიეფის გარკვეულ დონეებზე. გარდა ამისა, ადამიანის თვალი საკმაოდ მგრძნობიარე ოპტიკური ხელსაწყოა და იგი ვიზუალური დაკვირვებისას სტრუქტურის ისეთ თავისებურებებს შეამჩნევს, რომლის გადაღებაც მეტად ძნელი იქნება, სტანდარტული მიკროფოტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით. მისი ქაღალდზე ჩახატვა სქემის სახით შედარებით უფრო იოლია. გარდა ამისა, ჩახატვით შეიძლება სტრუქტურის არსებითი დეტალების ფიქსირება მეორეხარისხოვანი, შემთხვევითი დეტალების უგულვებელყოფით, რომლებიც შეიძლება ნიღბავდეს კიდეც სტრუქტურის უმთავრეს და დამახასიათებელ ელემენტებს. ჩახატვის ხარისხი განისაზღვრება მკვლევრის სიფაქიზით და მისი უნარით გამოსაკვლევი ობიექტის სტრუქტურაში დაინახოს მთავარი და არსებითი.

მიკროფოტოგრაფირება, ჩახატვის მეთოდთან შედარებით, ობიექტურობით ხასიათდება და გამოსახულების ასლის ადვილად გამრავლების საშუალებას იძლევა, რაც ხშირად პრაქტიკული მუშაობისათვის არის აუცილებელი.

მიკროსტრუქტურის გადასაღებად უნდა შეირჩეს გამოსაკვლევი ზედაპირის ყველაზე საინტერესო და სახასიათო უბანი, რის შემდეგ მიკროხეხიდან არეკლილი სხივი, წინასწარ დაყენებული საპროექციო ოპულარის (ფოტოფოკულარის) გავლით, მიკროსკოპის ფოტოკამერის მქრქალ მინაზე გადააქვთ. ამ მიზნით ვიზუალურ ტუბუსს (5, სურ. №62) ზედა კიდურა მდგომარეობამდე ამოსწევენ. ცხადია, ამ შემთხვევაში ვიზუალური დაკვირვებისათვის გათვალისწინებული ოპულარი სისტემიდან

გამოთიშულია და მიკროსკოპის გამადიდებლობას ობიექტივთან ერთად ფოტო-ოცულარი (15, სურ. №60) განსაზღვრავს. მიკროსტრუქტურის დაფოკუსების შემდეგ მქრქალი მინა სპეციალურ კასეტაში მოთავსებული ფოტოფირით იცვლება.

ფოტოფირის დაშუქების ხანგრძლივობას, ანუ ექსპოზიციას, სტრუქტურის განათების ხარისხი, სხივის ინტენსიურობა, ობიექტივის გამადიდებლობა და ფოტოფირის მგრძნობიარობა განსაზღვრავს. ექსპოზიციის შერჩევა, ჩვეულებრივ, ექსპერიმენტული გზით ხდება.

მიკროსტრუქტურის გადაღებისათვის გამოყენება ფერადი შუქისადმი მგრძნობიარე 9x12 სმ ზომის ორთოქრომატული ფირი. ფირის დამუშავება (ნეგატივის დამზადება) და პოზიტივის დაბეჭდვა ფოტოგრაფიაში გამოყენებული ჩვეულებრივი ხერხებითა და რეაქტივებით ხდება.

სპეციალური გადამყვანის გამოყენების შემთხვევაში, მიკროსტრუქტურის ფიქსირება შესაძლებელია ციფრული ფოტოაპარატითაც და კომპიუტერული უზრუნველყოფით.

ნიმუშის მომზადება მიკროსკოპული კვლევისათვის

მიკროსკოპი გაუმჯორი მასალების შესწავლისათვის აუცილებელია, რომ ნიმუშის ზედაპირი საკმაოდ ინტენსიურად ირეკლავდეს სინათლის სხივს. ამიტომ კვლევის ჩასატარებლად ნიმუშს სპეციალურად ამუშავებენ სარკისებრი ზედაპირის მისაღებად.

ნიმუშის ამოჭრა და მონტაჟი. მიკროსკოპული ანალიზის ჩასატარებლად განკუთვნილი ნიმუში უნდა ამოიჭრას გამოსაკვლევი მასალის იმ ადგილიდან, რომელიც კვლევისთვის ყველაზე საინტერესო უბანს წარმოადგენს ან ტექნიკური პირობებით არის გათვალისწინებული. მასალის უფრო სრულყოფილი დახასიათებისთვის მიზანშეწონილია ნიმუშის რამდენიმე ადგილიდან ამოჭრა. ერთი და იმავე კვლევის ობიექტიდან ამოჭრილი ნიმუშების რაოდენობა მინიმალური უნდა იყოს, მაგრამ, მან დასმულ კითხვაზე ზუსტი, ამომწურავი და საიმედო პასუხი უნდა გასცეს.


გამოსაკვლევი უბნის გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიმუშზე იმ ზედაპირის შერჩევას, რომელზედაც მიკროსკოპი უნდა მომზადდეს. მაგალითად, თუ გამოსაკვლევი ობიექტი ნაგლინია, მაშინ მიკროსკოპი იმ ზედაპირზე უნდა მომზადდეს, რომელიც კარგად დაახასიათებს გლინვის დროს ლითონის დინების მიმართულებას.

რბილი მასალიდან, მაგალითად, მომწვარი ფოლადიდან ნიმუშის ამოჭრა შეიძლება მოხდეს ლითონსაჭრელ ჩარხზე, მექანიკური ან ხელის პატარა ხერხით,

ხოლო სალი მასალებიდან, მაგალითად, ნაწრთობი ფოლადიდან – თხელი აბრაზიული ქარგოლის გამოყენებით. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ ამოჭრისა და შემდგომი მექანიკური დამუშავების დროს ნიმუში არ უნდა გახურდეს 100°C -ზე მეტად, რადგან ამან შეიძლება სტრუქტურისა და, აქედან გამომდინარე, ლითონის თვისებების შეცვლა გამოიწვიოს.

მიკროსკოპული ანალიზისათვის ნიმუშის ყველაზე ხელსაყრელი ცილინდრული ($d=10\div 15\text{მმ}$, $h=(0,7\div 0,8)xd=7\div 12\text{მმ}$) ან კუბური ($a=10\div 15\text{მმ}$) ფორმაა (სურ. №63, ა, ბ).

თუ მასალის კვეთი იმდენად მცირეა, რომ მისგან აღნიშნული ზომის ნიმუშის დამზადება შეუძლებელია (მაგალითად, მავთული, ფურცელი, წვრილი მჭრელი იარაღი და სხვა), მაშინ მიკროსკების დამუშავების გასაადვილებლად გამოსაკვლევი ლითონის ნაჭერი სხვადასხვა სახის სამარჯვეში მაგრდება (სურ. 63, გ, დ). ნიმუშის ჩამაგრება შემდეგნაირად ხდება: ცილინდრული ნიმუშის ზომის მილაკში, რომელიც ლითონის ან კერამიკულ ფილაზე მოთავსებული, ნიმუში ისე ჩაიდგმება, რომ გამოსაკვლევი ზედაპირით ფილას შეეხოს. ასეთნაირად მომზადებული მილაკი გამდნარი გოგირდით (დნობის ტემპერატურა $110\div 112^{\circ}\text{C}$), ეპოქსიდით ან რომელიმე ადგილდნობადი შენადნობით (50% Bi, $26,5\%$ Pb, 10% Cd, $13,5\%$ Sn. დნობის ტემპერატურა 70°C) შეივსება. წვრილი ნიმუშის ჩამაგრება პლასტმასაში (ბაკელიტი, პოლისტიროლი) ჩაწერითაც არის შესაძლებელი.



სურ. №63. მეტალოგრაფიული ნიმუშის ნორმალური ზომები (ა, ბ)


და სამარჯვები მიკროსკების ჩასამაგრებლად (გ, დ)

1. ნიმუში, 2. მილაკი, 3. ადგილდნობადი შენადნობი.

ნიმუშის ხეხვა. მიკროსკების დამზადება ნიმუშის გამოსაკვლევი ზედაპირის გახშორებით იწყება, რაც ქლიბით (თუ მასალა რბილია) ან ხეხვით ხდება. მიღებული ბრტყელი ზედაპირი შემდგომ სხვადასხვა მარცვლოვნების მქონე (სხვადასხვა ნომრის) ზუმფარის ქადალდზე მუშავდება. აბრაზიულ მასალად გამოიყენება

სილიციუმის კარბიდი (SiC), ალუმინის ჟანგი (Al₂O₃), ალუმინის ჟანგისა და რკინის ჟანგის ნარევი (Al₂O₃+Fe₃O₄), ბორის კარბიდი (B₄C), აგრეთვე „ალმასის ფხვნილი და პასტა.

ხელით ხეხვის დროს ზუმფარის ქაღალდს სქელ მინაზე ან ლითონის ფილაზე ათავსებენ. ნიმუშს დამუშავებული ზედაპირით ზომიერად დააჭერენ ქაღალდს და მოსამზადებელ ზედაპირზე არსებული ნაკაწრების მართობი მიმართულებით ამოძრავებენ. ხეხვას იწყებენ შედარებით მსხვილმარცვლოვანი ზუმფარის ქაღალდზე და თანდათანობით გადადიან უფრო წვრილმარცვლოვანზე. ყოველი ახალი ნომრის ქაღალდზე გადასვლის წინ აუცილებელია ნიმუშის გულმოდგინედ გარეცხვა წყლის ჭავლით ან სველი ბამბით გაწმენდა, რათა გამოირიცხოს წვრილმარცვლოვან ქაღალდზე მსხვილი აბრაზიული მარცვლის მოხვედრის შესაძლებლობა. ამასთანავე, ხეხვის მიმართულება 90°-ით იცვლება, რაც აადგილებს მოცემული ნომრის ზუმფარის ქაღალდზე ხეხვის დამთავრების მომენტის განსაზღვრას – მოცემული მარცვლოვნების ქაღალდზე მანამ ხეხავენ, სანამ სრულად არ მოისპობა წინა ოპერაციის შედეგად მიღებული ნაკაწრები. №64 სურათზე ნაჩვენებია სრულად (ა) და არასრულყოფილად (ბ) დამუშავებული მიკროხეხის ზედაპირები. რაც უფრო ნაკლებია ორ თანამიმდევრულად გამოყენებული ზუმფარის ქაღალდების მარცვლოვნებათა შორის სხვაობა, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს ხეხვის პროცესი. ლითონებისა და შენადნობების უმრავლესობისათვის ხეხვა ზუმფარის ქაღალდზე სრულიად დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა.



სურ. №64. მიკროხეხის მომზადების სხვადასხვა სარისსი
 ა. ზედაპირი მზადაა შედარებით წვრილ აბრაზივზე დამუშავებისათვის;
 ბ. საჭიროა მოცემული მარცვლოვნების აბრაზივზე დამუშავების გაგრძელება

კარგი ხარისხის ზედაპირის მისაღებად ხეხვის პროცესი თავიდანვე სწორად და გულდასმით უნდა ჩატარდეს. დაუშვებელია მსხვილმარცვლოვანი ზუმფარის ქა-

დალდიდან წვრილმარცვლოვანზე გადასვლა, შუალედური ნომრების გამოტოვებით. ასეთ შემთხვევაში ნიმუშის ზედაპირზე არსებული ღრმა ნაკაწრები სრულად არ ისხნება, მათ შორის სიცარიელე ლითონის მტვრითა და აბრაზივით ივსება და ზედაპირი, ერთი შეხედვით, კარგად მომზადებული გვეჩვენება (ასეთ დამუშავებას ცრუ ხეხვა ეწოდება). ზედაპირის შემდგომი დამუშავებისას (გაპრიალება, რეაქტივით დამუშავება) ადვილად ხსნადი ლითონის მტვერი ზედაპირს მოსცილდება და ღრმა ნაკაწრები კვლავ მკაფიოდ გამოჩნდება (სურ. №65).



სურ. №65. ცრუ ხეხვის სქემა


მიკროხესის ზედაპირი: ა. უხეში ხეხვის შემდეგ;
ბ. წმინდა ხეხვის შემდეგ;
გ. რეაქტივით დამუშავების შემდეგ

მექანიკური ხეხვა სპეციალურ სახეს ჩარჩოება, რომელსაც 200-250მმ დოამეტრის რამდენიმე საცვლელი დისკო აქვს. დისკოებზე, რომლებიც ბრუნვას ელექტროძრავადან დებულობს, აკრავენ ან აწებებენ ზუმფარის ქადალდს. მექანიკური ხეხვა ანალოგიური მეთოდიკით ხორციელდება.

ნიმუშის გაპრიალება. ნიმუშის ზედაპირზე არსებულ ნაკაწრებს გაპრიალებით ხსნიან, რის შემდეგაც სარკისებრი საკვლევი ზედაპირი მიიღება. მექანიკური გაპრიალებისათვის სხვადასხვა ტიპის სპეციალური მოწყობილობა გამოიყენება, რომლებიც მბრუნავდისკოიანი სახები ჩარჩის ანალოგიურია. ზედაპირის გასაპრიალებლად დისკოზე აკრავენ მაუდს, რომელსაც სპეციალური საპრიალებელი სითხით ასველებენ. სითხე არის წყალში შეტივტივებული ალუმინის, ქრომის ან რკინის ჟანგის ფხვნილის ნარევი. უფრო ხშირად გასაპრიალებლად ქრომის ჟანგი გამოიყენება.

საპრიალებელი სითხე შემდეგი პროპორციით მზადდება: 1 ლ წყალში იყრება 10-15გ ქრომის ჟანგი ან 5გ ალუმინის ჟანგი. შავი ლითონების გასაპრიალებლად, უმრავლეს შემთხვევაში, გამოიყენება პასტა, რომელიც შედგება ქრომის ჟანგის, სტეარინის, ნავთის, ოლეინის მჟავასა და ხოდისაგან. გამაცივებელ სითხედ ბენზინი გამოიყენება. კარგი შედეგის მისაღებად საპრიალებელ დისკოზე ნიმუშის ძლიერად მიჭერა არ არის მიზანშეწონილი, რადგან ამან შეიძლება ზედაპირული ფე-

ნების დეფორმაცია და სტრუქტურის შეცვლა გამოიწვიოს. სასურველია ნიმუში ისე დავიკავოთ, რომ დისკოს ბრუნვის მიმართულება გასაპრიალებელ ზედაპირზე არსებული ნაკაწრების მართობი იყოს. როდესაც ნაკაწრები მოსცილდება, ნიმუში ნელ-ნელა უნდა შემობრუნდეს დისკოს ბრუნვის საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც გამორიცხავს სტრუქტურის მყიფე შემდგენების ამოგლეჯას და მიკროხეხის ზედაპირზე ერთ-ერთი გაფრცელებული წუნის, გ.წ. „კომეტის კუდის“ წარმოქმნას (სურ. №66).




სურ. №66. მეტალოგრაფიული სენის მომზადების წუნი – „კომეტის კუდი“

მაციას და სტრუქტურის დამახინჯებას. თუმცა, ეს გარემოება არ გაართულებს კვლევის პროცესს, თუ ნიმუში წინასწარ რეაქტივით მოიწამლება, რადგან ამის შედეგად დამახინჯებული ფენების ნაწილი მოიხსნება. თუკი მიკროხეხი გამოსაკვლევია უშუალოდ გაპრიალების შემდეგ მოუწამლავ მდგომარეობაში და ამასთანავე, ზედაპირის დამახინჯება საერთოდ გამორიცხული უნდა იყოს; მექანიკური გაპრიალება ელექტროლიტური ან ქიმიური გაპრიალების მეთოდით უნდა შეიცვალოს.

№67 სურათზე მოცემულია ელექტროლიტური გაპრიალების ლაბორატორიული დანადგარის სქემა. ელექტროლიტური გაპრიალებისას აბაზანაში ჩატვირთული ნიმუში ანოდის როლს ასრულებს. ელექტროგაპრიალების უჯრედს მუდმივი დენი მიეწოდება. გარკვეული ელექტრული რეჟიმის დროს ანოდი იწყებს გახსნას, რის შედეგადაც დასამუშავებელ ნიმუშზე სწორი და სარკისებრი ზედაპირი მიიღება. ელექტროლიტური გაპრიალება არ იწვევს ნიმუშის ზედაპირული ფენების დამახინჯებას, რაც საშუალებას იძლევა მეთოდი გამოყენებულ იქნეს მეტად რბილი ლითონების, ერთფაზა შენადნობებისა და ადვილად დეფორმირებადი ლითონებისა და შენადნობების მიკროხეხის დასამზადებლად. ელექტროლიტი და ელექტრული გაპრიალების რეჟიმი დასამუშავებელი მასალის მიხედვით შეირჩევა (იხ. ცხრ. №3).

ქიმიური გაპრიალებისას მეტალოგრაფიული კვლევისათვის საჭირო სარკისებრი ზედაპირი სათანადო რეაქტივში ნიმუშის მოთავსებით მიიღება. ნორმალურად



სურ. №67. ელექტროლიტური გაპრიალების ლაბორატორიული დანადგარის სქემა.

1. ბრტყელი კაოზდი;
2. ვოლტეტრი;
3. მილიამპერმეტრი;
4. რეოსტატი;
5. ჩამრთველი;
6. გამაცივებელი აბაზანა;
7. მინის ქიმიური ჭურჭელი;
8. ელექტროლიტი;
9. ნიმუში;
10. მაგნიტური ამრევი.

ცხრილი №3.

ზოგიერთი ლითონისა და შენადნობის ელექტროგაპრიალების რეჟიმები

გასაპრიალებელი ლითონი	ელექტროლიტის შედგენილობა	დენის სიმკვრივე, ა/სმ ²	ელექტროლიტის ტემპერატურა, °C
ნახშირბადიანი და ლეგირებული ფოლადი	აზოტმჟავა (სიმკვრივე 1,48) ორთოფოსფორმჟავა 38%, გლიცერინი 53%, წყალი 9%	8-10	30
სპილენძი, თითბერი	ქრომის ანჰიდრიდი 7,2%, ორქრომმჟავა ნატრიუმი 21,7%, მმარმჟავა 7%, გოგირდმჟავა 5,8%, წყალი 58,3%	0,2-2	20-115
ალუმინის შენადნობები	გოგირდმჟავა (სიმკვრივე 1,84) 38%, ფოსფორმჟავა 48%, წყალი 14%	2-4	60-75
ნიკელის შენადნობები	გოგირდმჟავა (სიმკვრივე 1,84) 60%, წყალი 40%	7,5	95
		0,2	30

მიმდინარე ქიმიური გაპრიალების პროცესს შეიძლება თან ახლდეს აირების ინტენსიური გამოყოფა, როგორც მაგალითად, სუფთა რეინის გაპრიალებისას. წერტილოვანი კორზისა და აირის ბუშტების წარმოქმნის გამორიცხვის მიზნით, საჭიროა ნარევის განუწყვეტლივ მორევა.

ქიმიური გაპრიალების შედეგად, მართალია, ზედაპირი სარკისებრი მიიღება, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, იგი მკვეთრად გამოხატული რელიეფით ხასიათდება. ასეთ შემთხვევაში მექანიკური გაპრიალების პროცესის შეთავსება მცირე ხანგრძლივობის ქიმიურ გაპრიალებასთან საკმაოდ დადებით შედეგს იძლევა. ისევე, როგორც ელექტროლიტური გაპრიალება, ეს მეთოდიც ძირითადად სუფთა ლითონებისა და ერთფაზა შენადნობებისათვის გამოიყენება.

მიკროხეხის გარეცხვა, გაუცხიმოება და შენახვა. მიკროსტრუქტული კვლევისათვის მომზადებული ნიმუში უნდა გაირეცხოს, გაუცხიმოვდეს და გაშრეს. უმრავლეს შემთხვევაში ნიმუშს წყალში რეცხავენ, შემდეგ წმენდენ ეთილის სპირტში დასველებული ბამბით და აშრობენ ფილტრის ქაღალდით. გასაშრობად უკეთესია გამთბარი მშრალი ჰაერის გამოყენება.

მიკროხეხის გაუცხიმოებისათვის ეთილის (C_2H_5OH) ან მეთილის (CH_3OH) სპირტი, ეთილ-ეთერი $[(C_2H_5)_2O]$, ბენზოლი (C_6H_6) და აცეტონი $[(CH_3)_2CO]$ გამოიყენება. მომზადებული მიკროხეხის დაუანგვისაგან დაცვა შეიძლება მისი ექსიკატორში შენახვით, რომელშიც მოთავსებული იქნება ტენის შთამნიჭმელი ნივთიერება, მაგალითად, კალციუმის ქლორიდი ან სილიკონგელი. შესაძლებელია, აგრეთვე, გაპრიალებული ზედაპირის დაფარვა გამჭვირვალე ნეიტრალური ზეთის ან ლაქის თხელი აპკით, რომელიც ხელს არ უშლის მიკროსკოპულ კვლევას.

ნიმუში რომ მექანიკურად არ დაზიანდეს (არ დაიკარის), სათანადო კოლოფურში უნდა ინახებოდეს, რომელშიც ბამბა ან ხავერდის ნაჭერი იქნება ჩაფენილი.

4. მიკროსტრუქტურის გამომუდავნების მეთოდები


მიკროხეხის გამოკვლევა მოუწამლავ მდგომარეობაში

ლითონის მიკროსტრუქტის გამოკვლევა მიზანშეწონილია დაიწყოს მოუწამლავი მდგომარეობიდან, ანუ უშუალოდ გაპრიალების, გარეცხვისა და გაშრობის შემდეგ. მოუწამლავ მდგომარეობაში ნიმუშის გამოკვლევა ლითონში არსებული სხვადასხვა დეფექტისა (ფორების, ბზარებისა და ა.შ.) და არალითონური ჩანართების (მაგალითად, წილისა და გრაფიტის) დადგენის საშუალებას იძლევა. მოუწამლავი მიკროხეხი მიკროსკოპში ნათელი არის სახით მოჩანს, რომლის ზედაპირზე ხშირად შეიმჩნევა მუქი (რუხი ან შავი, ზოგჯერ შეიძლება ყვითელი) ფერის მცირე ზომის უბნები, რომლებიც არალითონური ჩანართების კვალია. ზოგიერთ შენადნობში ასეთი ჩანართები შეიძლება სტრუქტურულ შემდგენად მოგვეჩვენოს.

მოუწამლავ მიკროხეხს, გადიდების ორ დიაპაზონში ($50 \div 100$) იკვლევენ.

მცირე გადიდებისას მკვლევარი დებულობს საერთო ინფორმაციას ნიმუშის აგებულების შესახებ, დიდი გადიდების შემთხვევაში კი გამოიკვეთება ზედაპირის დეტალური გამოკვლევის მიზანშეწონილობა. არალითონური ჩანართის ფერი, აგებულება, აგრეთვე, გრაფიტის ფორმა თუჯში მკვეთრად განსხვავდება ძირითადი ლითონის აგებულებისგან. მაგალითად, Cu_2O სპილენძში, SnO ბრინჯაოში, TiC ლეგირებულ ფოლადში, Si ალუმინის შენადნობებში. რეაქტივით დამუშავების (მოწამლის) შემდეგ აღნიშნული ფაზების ფერი იცვლება.

მოუწამლავი ნიმუშის ანალიზის საფუძველზე, ზოგჯერ შეიძლება გარკვეული დანიშნულებით ლითონის ვარგისობაზე მსჯელობა. მაგალითად, ბზარების, ფორების, ერთ ადგილზე თავმოყრილი არალითონური ჩანართების დიდი რაოდგნობა, ლითონის არადამაკმაყოფილებელი ხარისხის მაჩვენებელია. №68 სურათზე წარმოდგენილია მოუწამლავი ნიმუშის მიკროსტრუქტურები.



სურ. №68. მოუწამლავი ლითონის მიკროსტრუქტურები. x100

ა. გრაფიტის ჩანართები რუს თუჯში, ბ. მიკრობზარი, რომელიც ფოლადში თერმული ძაბვის შედეგად წარმოიქმნა, გ. არალითონური ჩანართები.

*მიკროსტრუქტურის გამოყენაზება ფაზების შერჩევითი გახსნის
ძეთოდით (ქიმიური მოწამვლა)*


მიკროსტრუქტურის გამოსამუდავნებლად მიკროხეხის გაპრიალებულ ზედაპირს მჟავა, ტუტის ან მარილის ხსნარით ამუშავებენ. რეაქტივით დამუშავების, ანუ მოწამვლის პროცესის არსი ისაა, რომ ცალკეული სტრუქტურული შემდგენები (სუფთა ლითონის, მყარი ხსნარის ან ქიმიური ნაერთის მარცვლები) რეაქტივით სხვადასხვა სიჩქარით იხსნება ან სხვადასხვაფრად იღებება.

რეაქტივი, რომლითაც დაფარულია მიკროხეხის ზედაპირი, ელექტროლიტია. შენადნობის სტრუქტურული შემდგენი, რომელსაც შედარებით ელექტროუარყოფითი ელექტროდული პოტენციალი აქვს, ანოდია და იხსნება, ხოლო დანარჩენი

სტრუქტურული შემდგენები, შედარებით დადებითი ელექტროდული პოტენციალით, კათოდის როლშია და თითქმის უცვლელი რჩება. რადგან ანოდისა და კათოდის ასეთი უბანი ბევრია, მოწამვლის შედეგად მიკროხეხის ზედაპირზე მრავალი ღრმული და ამოშვერილი უბანი მიიღება. ზოგად შემთხვევაში, რაც უფრო მეტია მრავალფაზიან შენადნობში ფაზების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს შორის განსხვავება (ხსნადობა, საწყისი ელექტროქიმიური პოტენციალი, დროის მიხედვით მისი ცვლილება და ა.შ), მით უფრო ადვილად მედავნდება მიკროსტრუქტურა. სუფთა ლითონება და ერთფაზა შენადნობში ელექტროქიმიურ წყვილად უნდა მივიჩნიოთ მარცვლის საზღვარი და იმავე მარცვლის ზედაპირი. მარცვლის საზღვარს შედარებით უარყოფითი ელექტროდული პოტენციალი აქვს, ამიტომ, ეს უბნები უფრო სწრაფად იხსნება.

მოწამლული მიკროხეხის ზედაპირიდან სინათლის სხივი სხვადასხვაგვარად აირეკლება: სუსტად ამოჭმული სტრუქტურული შემდგენებიდან მეტი სინათლის სხივი მოხვდება მხედველობის არეში და ნათელი არის სახით გამოჩნდება; ძლიერად ამოჭმული სტრუქტურული შემდგენებიდან კი სინათლის სხივის ნაწილი გაიბნება და მუქად გამოჩნდება. მაშასადამე, მიკროსტრუქტურის გამომჟღავნება დამყარებულია გამოსაკვლევი ნიმუშის ზედაპირის მდგომარეობასა და ამ ზედაპირიდან არეკვლილი სხივების რაოდენობაზე.

№69 სურათზე წარმოდგენილი სქემით ადვილად შეიძლება აიხსნას სუფთა ლითონის მარცვლის საზღვრების ხილვადობა მიკროსკოპში.



სურ. №69. მიკროსკოპში მარცვლების ხილვადობის სქემები.


ა. სხივის არეკვლა მიკროხეხის ზედაპირის სხვადასხვა უბნიდან, ბ. მიკროსტრუქტურა მკვეთრად გამოხატული მარცვლის საზღვრებით.

მიკროსტრუქტურის გამომჟღავნების ქიმიური მოწამვლის მეთოდიკა როგორც გამოსაკვლევი ლითონის, ისე რეაქტივის ქიმიური შედგენილობის მიხედვით შეიჩევა. თუ ნიმუშის მოწამვლის ხანგრძლივობა დიდია ან გამოყენებული რეაქტივი

დამჟანგველ რეაგენტებს შეიცავს, ნიმუში გაპრიალებული ზედაპირით რეაქტივში თავსდება, რათა გამოირიცხოს მასზე პაკის ბუმბულების წარმოქმნა და რეაქციის პროდუქტების დალექვა. ამასთანავე, საჭიროა ნიმუშის პერიოდულად შერხევა.

თუ რეაქტივი სუსტად ურთიერთქმედებს ლითონთან ან ისეთ აპკს წარმოქმნის, რომელიც ართულებს რეაქციას, მაშინ მოწამვლისთვის რეკომენდებულია ნიმუშის მოთავსება გაპრიალებული ზედაპირით ზემოთ, რეაქტივის დაწვეთება და შემდგომში მისი ბამბით გაწმენდა. ხშირად მიკროხეხს რეაქტივით დასველებული ბამბითაც წამლავენ.

მოწამვლის პროცესი, ჩვეულებრივ, რამდენიმე წამს გრძელდება. მოწამლვის შემდეგ ნიმუში ირეცხება თბილ წყალში, შემდეგ მეთილის სპირტში და თბილი პაკრით შრება ან ბამბით იწმინდება. №4 ცხრილში მოცემულია შავი და ფერადი ლითონების სტრუქტურის გამოსამჟღავნებლად გამოყენებული ზოგიერთი რეაქტივის შედგენილობა. მოწამვლამ უნდა უზრუნველყოს მიკროსტრუქტურის მკაფიოდ გამომჟღავნება (სურ. 70, ა). თუ მარცვლის საზღვრები და ცალკეული ფაზები მკაფიოდ არა ჩანს სურ. 70, ბ), ეს არასაკმარისი მოწამვლით აიხსნება, ამიტომ, საჭიროა პროცესის განმეორება. გადაწამვლის შემთხვევაში კი მიკროსტრუქტურა მუქად მოჩანს, იკარგება კონტრასტი (გ) და საჭირო ხდება ნიმუშის ხელახლი გაპრიალება და რეაქტივით თავიდან დამუშავება.



სურ. №70. ფოლადის მიკროსტრუქტურა. x200.
მოწამლულია სპირტში განზავებული 3%-იანი
აზოტმჟავით.

- ა. ნორმალურად მოწამლული,
- ბ. სუსტად მოწამლული,
- გ. გადაწამლული.

ელექტროლიტური ამოჭმა

ელექტროლიტური ამოჭმა არსებითად ელექტროლიტური გაპრიალების ანალოგიურია, მხოლოდ ამ პროცესისათვის შედარებით მცირე ქაბვა და დენის სიმკვ-

შავი და ფერადი ლითონებისა და მათი შენადნობების მიკროსტრუქტურის
გამოსამუდავნებელი ზოგიერთი რეაქტივი

რეაქტივი	რეაქტივის შედგენილობა	გამოყენების თავისებურება
ნახშირბადიანი და ლეგირებული ფოლადებისათვის		
1. აზოტმჟავას სპირტში განზავებული ხსნარი	აზოტმჟავა (სიმკვრივე 1,4გ/სმ) - 1-5 მლ; ეთილის სპირტი - 100 მლ.	პერლიტს დებაგს მუქ ფერად, ამჟღავნებს ფერიტის მარცვლის საზღვრებს, მარტენსიტულ და მოშვების პროდუქტებს. გამოიყენება ნახშირბადიანი ფოლადისა და თუჭის, აგრეთვე დააზოტებული და დაცემენტებული ფოლადების სტრუქტურის გამოსამუდავნებლად.
2. პიკრინმჟავას ხსნარი სპირტში	პიკრინმჟავა (კრისტალური)-4გ; ეთილის სპირტი - 100 მლ.	გამოიყენება ნახშირბადიანი ფოლადისა და თუჭის, აგრეთვე დააზოტებული და დაცემენტებული ფოლადების სტრუქტურის გამოსამუდავნებლად.
3. სამეფო ხსნარი	მარილმჟავა (სიმკვრივე 1,19გ/სმ ³ – 3 ნაწილი; აზოტმჟავა (სიმკვრივე 1,4 გ/სმ ³) – 1 ნაწილი	უჟანგავი ფოლადისა და შენადნობების სტრუქტურის გამოსამუდავნებლად.
სპილენბისა და მისი შენადნობებისათვის		
4. ამონიუმის პერსულფატის ხსნარი	ამონიუმის პერსულფატი -10გ; წყალი – 90 გ	სპილენბის, თითბრისა და კალიანი ბრინჯაოს სტრუქტურის გამომუდავნებისათვის
ალუმინის შენადნობებისათვის		
5. წყალბადფორმჟავა	წყალბადფორმჟავა – 0,5 მლ; წყალი – 99,5 მლ	დურალუმინისა და ალუმინის ფუძეზე დამზადებული სამსხმელო შენადნობების სტრუქტურის გამოსამუდავნებლად

რივეა საჭირო. ანოდი არის ნიმუში, ხოლო კათოდად შეირჩევა ელექტროლიტში შედარებით უხსნადი ელექტროგამტარი მასალა, მაგალითად, უჟანგავი ფოლადი, პლატინა ან გრაფიტი. უმეტეს შემთხვევაში, ელექტროლიტური ამოჭმისათვის მუდმივ დენზე მომუშავე ელექტროლიტები გამოიყენება (ცხრილი №5). ელექტროლიტური ამოჭმისათვის, ჩვეულებრივ, იგივე დანადგარი გამოიყენება, რაც ელექტროლიტური გაპრიალებისას განვიხილეთ (სურ. №67).

ამოჭმა დაჟანგვის მეთოდით

გაპრიალებული მიკროხეხის დამჟანგველ ატმოსფეროში გახურებისას, ცალკეული ფაზა განსხვავებული ფერის ჟანგეულის თხელი ფენით იფარება. თუ შერჩეულ ტემპერატურაზე ჰაერის ატმოსფეროში გახურებისას სათანადო სისქის ჟან-

ცხრილი №5.

მიკროხეხის ელექტროლიტური ამოჭმისათვის გამოყენებული
ზოგიერთი რეაქტივი

რეაქტივი	რეაქტივის შედგენილობა	თავისებურება და გამოყენება
1. ქლორიანი რკინა და მარილმჟავა	ქლორიანი რკინა – 0,5%; მარილმჟავა (სიმკვრივე 1,19 გ/სმ ³) – 1%; მეთილის სპირტი – 98,5%	ნახშირბადიანი ფოლადისათვის. დენის სიმკვრივე 0,5 ა/სმ ²
2. მარილმჟავა	მარილმჟავა (სიმკვრივე 1,19 გ/სმ ³) – 10%; ეთილის სპირტი – 90%	უხვად ლეგირებული ფოლადისათვის. დენის სიმკვრივე 0,05 ა/სმ ²
3. მჟაუნმჟავა	მჟაუნმჟავა – 2 გ; წყალი – 100 მლ	კარბიდისა და უჟანგავი ფოლადის ძირითადი სტრუქტურის გამოსამუღავნებლად. ძაბვა 3-6 კ
4. ორთოფოსფორმჟავა	ორთოფოსფორმჟავას წყალს სნარი (სიმკვრივე 1,43-1,55 გ/სმ ³)	სპილენბისა და მისი შენადნობებისათვის. დენის სიმკვრივე 0,02-0,05 ა/სმ ²

გეულის ფენა არ მიიღება, საჭიროა დაჟანგვის ეფექტის გაზრდა. ამ მიზნით მიკროხეხის ზედაპირზე ზემდებრად დამჟანგველ კრისტალებს, მაგალითად, კალიუმის ბიქრომატს ($K_2Cr_2O_7$) ათავსებენ. ამ მეთოდით შეიძლება გამომჟღავნდეს, აგრეთვე, ფოლადის მარცვლის ზომები.

გაკუუმური ამოჭმა ფაზების შემსყითი აორთქლების მეთოდით

გაკუუმური მეტალოგრაფია ითვალისწინებს მაღალ ტემპერატურამდე ნიმუშის გახურებას გაკუუმში, რის შედეგადაც კარგად ვლინდება მარცვალსა და მის მიმდებარე ფენებში აორთქლების სხვადასხვა სიჩქარე. ჩვეულებრივ, მინარევებით მდიდარი მარცვლის საზღვრებიდან აორთქლება უფრო მაღალი სიჩქარით მიმდინარეობს, რის გამოც ეს უბნები მკაფიოდ მჟღავნდება. თანამედროვე დანადგარებით სტრუქტურის შესწავლა სხვადასხვა აირით ამოჭმის შემდეგაც შეიძლება განხორციელდეს, რომელსაც გამახურებელ კამერაში სპეციალურად აწვდიან. ეს მეთოდი გახურებისას მარცვლის ზრდასა და ფაზური გარდაქმნის მიმდინარეობაზე დაკვირვების შესაძლებლობასაც იძლევა.

ვაკუუმი კათოდური ამოჭმა

ამ შემთხვევაში მიკროსენტონი კათოდის როლს ასრულებს. განმუხტვისას მისი ზედაპირი „იბომბება“ გარკვეული სიჩქარის მქონე დადებითი იონებით, რაც ატომების ამოგდებასა და მის მოცილებას იწვევს. ამოგდებული ატომების რაოდენობა და მათი მოცილების სიჩქარე ნიმუშის მიკროსტრუქტურაზეა დამოკიდებული, ამიტომ, დამუშავების შემდეგ მიკროსენტონი ქიმიური ან ელექტროლიტური მეთოდით ამოჭმულ ზედაპირს წააგავს. ვაკუუმში კათოდური ამოჭმის მეთოდის უპირატესობა ქიმიურთან შედარებით ისაა, რომ ამ დროს შესაძლებელია მრავალფაზა შენადნობში სხვადასხვა სტრუქტურული შემდგენის აგებულების ერთდროული გამომჟღავნება.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას კარგად ჩანს კრისტალოგრაფიული და სტრუქტურული თავისებურებანი როგორც ძლიერად, ისე სუსტად მოწამლულ შენადნობებში. ეს კი განხილულ მეთოდს ძირითად უპირატესობას ანიჭებს სხვა მეთოდებთან შედარებით.

VII თავი. ლიტორნის მექანიკური თვისებების პრეცენტოლის მეთოდები

საპასუხისმგებლო დეტალების წარმოების ციკლში, მექანიკური თვისებების გამოცდაა გათვალისწინებული. მისი მიზანია ლითონისა და მისგან დამზადებული ნაკეთობის თერმული დამუშავების ხარისხის კონტროლი.

მექანიკური თვისებების კონტროლისათვის ერთსა და იგივე დუმელში, ერთნაირი რეჟიმით დამუშავებული პარტიიდან ნაკეთობათა გარკვეული რაოდენობა შეირჩევა, რომლისგანაც გამოცდებისათვის საჭირო სტანდარტულ ნიმუშებს ამზადებენ. გამოსაცდელი ნაკეთობისა და ნიმუშების რაოდენობა ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებებიდან გამომდინარე შეირჩევა.

1. დრეკადი და პლასტიკური დეფორმაცია

გარე ძალების ზემოქმედებით ლითონი იცვლის ფორმას და ზომებს, ანუ დეფორმირდება. მცირე დატვირთვა იწვევს მხოლოდ დრეკად დეფორმაციას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები არ მიმდინარეობს. ძირითადად, ხდება ატომების გადაადგილება მცირე, ატომთშორისზე ნაკლები მანძილით, რაც იწვევს კრისტალური გისოსის დამახინჯებას. ეს ცვლილებები კრისტალში შენარჩუნებულია მანამ, სანამ მოქმედებს გარე ძალები. ძალის მოხსნის შემდეგ ატომები უბრუნდება თავის პირვანდელ წონასწორულ მდგომარეობას, გისოსის დამახინჯება იხსნება და ლითონში აღდგება საწყისი ფორმა და ზომები. ლითონის უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს დრეკად დეფორმაციას, სიხისტე ეწოდება.

მოქმედი ძალა ლითონში აღძრავს ძაბვებს. მაგალითად, ნიმუშის გაჭიმვის შემთხვევაში აღძრული ძაბვა $\sigma = \frac{P}{F}$ მგბა, სადაც P არის მოქმედი ძალა, F – განივი კვეთის ფართობი ძალის მოქმედების უბანში.


თუ ლითონში აღძრული ძაბვა გადააჭარბებს დრეკადობის ზღვარს, იწყება გაცილებით უფრო რთული პროცესი – პლასტიკური დეფორმაცია. პლასტიკური დეფორმაციის დროს კრისტალის ერთი ნაწილი მთლიანად გადაადგილდება (დაიძვრება) მეორის მიმართ. ძალის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ლითონი არ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას, ანუ რჩება დეფორმირებულ მდგომარეობაში.

საკონსტრუქციო მასალას მოეთხოვება არა მარტო დეფორმაციისადმი, არამედ რღვევისადმი (ნერევისადმი) გაზრდილი წინააღმდეგობაც. წინააღმდეგობას დეფორმაციისადმი, ჩვეულებრივ, აერთიანებენ ზოგად ცნებაში „სიმტკიცე“, ხოლო წინა-

აღმდეგობას რდვევისადმი – ცნებაში „საიმედოობა“. თუ ნაკეთობის მთლიანობის რდვევა ხდება არა ერთი, არამედ მრავალგზის დატვირთვის აქტის შემდეგ, საქმე გვაქვს მასალის ხანგამძლეობასთან. ბუნებრივია, მაღალხარისხოვანი საკონსტრუქციო მასალა, ერთდროულად, უნდა ხასიათდებოდეს როგორც სიმტკიცით, ისე საიმედოობით და ხანგამძლეობით.

ლითონზე მოქმედი გარე ძალები გარკვეული სიდიდის შემდეგ მის რდვევას იწვევს. რდვევის პროცესში არჩევენ ორ ეტაპს: ბზარის ჩასახვასა და მის გავრცელებას სრულ რდვევამდე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პლასტიკური დეფორმაცია დისლოკაციური მექანიზმით ხორციელდება. მოძრაობის გზაზე დისლოკაციებს ხვდება სხვადასხვა სახის დაბრკოლება (უცხო ატომი, სხვადასხვა სახის ჩანართი, ბლოკებისა და მარცვლის საზღვრები), რომელთა გადალახვა შეუძლებელი აღმოჩნდება. ამიტომ, დაბრკოლებებთან ხდება დისლოკაციების უპირატესი თავმოყრა-დაგროვება. სწორედ ამ ადგილებში ჩაისახება პირველი ბზარები. ბზარის ჩანასახი უკვე თვითონ გადაიქცევა დაბრკოლებად, დისლოკაციის მოძრაობის გზაზე, რაც იწვევს ნარჩენი ძაბვების დაგროვებას და ჩასახული ბზარის გავრცელებას – პროცესი მთავრდება ლითონის სრული რდვევით.

როგორც ცნობილია, ლითონის რდვევა შეიძლება იყოს მყიფე და ბლანტი. მყიფე რდვევისათვის დამახასიათებელია მახვილი, დატოტვილი ბზარი (სურ. №71 ა), რომელიც დიდი სიჩქარით ვრცელდება, პრაქტიკულად, პლასტიკური დეფორმაციის მიმდინარეობის გარეშე.



სურ. №71. მყიფე (ა) და ბლანტი (ბ) ბზარების სქემა.

ბლანტი ტენილის შემთხვევაში ბზარი ბლაგვია (სურ. №71 ბ). იგი დაბალი სიჩქარით, მაგრამ, მნიშვნელოვანი პლასტიკური დეფორმაციის გზით ვრცელდება. რდვევის ხასიათიდან გამომდინარე, ბლანტი ტენილი ბოჭკოვანი აგებულებით ხასიათდება, ხოლო მყიფე ტენილი – კრისტალური აგებულებით, რადგან ამ დროს არ მახინჯდება მარცვლის ფორმა და ზომები პრაქტიკულად ლითონის რდვევა იშვიათად წარიმართება მხოლოდ მყიფე ან ბლანტი მექანიზმით. უფრო ხშირად ნაკეთობის რდვევა შერეული ხასიათისაა.


2. ლითონის მექანიკური თვისებების კონტროლი

საკონსტრუქციო მასალის მექანიკური თვისებები გულისხმობს თვისებათა ერთობლიობას, რომელიც ახასიათებს მასალის წინააღმდეგობას, მასზე გარედან მოდებული მექანიკური ძალის (დატვირთვის) ზემოქმედების მიმართ. მოდებული ძალა შეიძლება იყოს სტატიკური (მდოვრედ მზარდი), დინამიკური (მკვეთრად და დიდი სიჩქარით მზარდი), განმეორებითი და ცვალებადი (მრავალჯერადად მოდებული, რომლის სიდიდე ან სიდიდე და მიმართულება ერთდროულად იცვლება).

აქედან გამომდინარე, დატვირთვის ხასიათისა და მისი მოქმედების დროზე დამოკიდებულებით არჩევენ სტატიკურ (გაჭიმვაზე, კუმშვაზე, დუნვაზე, გრეხაზე, სისალეზე), დინამიკურ (დარტყმით სიბლანტეზე) და დადლილობაზე (ცვალებადი დატვირთვის და ძალის განმეორებითი მოდების პირობებში) მექანიკურ გამოცდებს. ცალკე ჯგუფად იხილავენ ხანგრძლივ მაღალტემპერატურულ (ცოცვადობაზე, ხანგრძლივ სიმტკიცეზე) გამოცდებს.

გაჭიმვაზე და კუმშვაზე გამოცდა

სტატიკური გამოცდებიდან ყველაზე ფართოდ გამოიყენება გამოცდები გაჭიმვაზე. იგი საშუალებას იძლევა ერთი გამოცდის შედეგებით მასალის რამდენიმე უმთავრესი მექანიკური მახასიათებელი განისაზღვროს, კერძოდ, ლითონის სიმტკიცე, ანუ წინააღმდეგობა დეფორმაციისადმი და პლასტიკურობა – უნარი, მიიღოს ნარჩენი დაფორმაცია მთლიანობის დაურღვევლად.



სურ. №72. გაჭიმვაზე გამოსაცდელი ნიმუშები:

ა – მრგვალი ცილინდრული,
ბ – ბრტყელი.


გაჭიმვაზე გამოცდებს სპეციალურ გამზღვევ მანქანაზე აწარმოებენ, რომელზეც ნიმუში ორი თანაბარი და საპირისპირო მიმართულების ძალით იჭიმება.

გაჭიმვაზე გამოსაცდელად სტანდარტული, ცილინდრული ან ბრტყელი ნიმუშები გამოიყენება, საწყისი საანგარიშო სიგრძით $l_0=5,65\sqrt{F_0}$ (მოკლე ნიმუში) ან $l_0=11,3\sqrt{F_0}$ (გრძელი ნიმუში) დიამეტრით 3მმ და მეტი, ან სისქით 0,5მმ და მეტი (სურ. №72). საანგარიშო სიგრძე l_0 ნიმუშის განივი კვეთის F_0 ფართზეა დამოკიდებული.

ბრტყელი ნიმუშები, როგორც წესი, ფურცლოვანი მასალების გამოსაცდელად გამოიყენება. ცილინდრული ნიმუშებიდან უპირატესად მოკლე ნიმუშებია რეკომენდებული, დოამეტრით $d=10\text{mm}$. გამოცდების დაწყებამდე საწერტით, საკაწრით ან სხვა მეთოდით, ნიმუშზე საანგარიშო 1_o სიგრძეს აღნიშნავენ.

გამოცდის დროს ნიმუშის დატვირთვა თანდათანობით ხდება. გამოსაცდელი მანქანის ჩამწერი მოწყობილობის საშუალებით გამოიხაზება გაჭიმვის მრუდი კოორდინატებში „დატვირთვა P – დეფორმაცია Δl “.

გამოცდის შედეგები გამოისახება მრუდით, რომლის ძირითადი ტიპები №73 სურათზეა წარმოდგენილი. პლასტიკური მასალების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია №73ა სურათზე მოცემული დიაგრამის ტიპი, როდესაც დრეკადობის არე თანდათან გადადის პლასტიკურობის არეში. ზოგიერთ ლითონში, როგორიცაა, მაგალითად, ნახშირბადმცირე ფოლადები, დრეკადობის არე პლასტიკურობის არეში, დენადობის ბაქნის გავლით გადადის (დიაგრამის ბ ტიპი). ნაკლებპლასტიკური მასალებისათვის კი, როგორიცაა, მაგალითად, ნაწრთობი მცირედ მოშვებული ფოლადი და რუხი თუჯი, რომლებიც მცირე ნარჩენი პლასტიკური დეფორმაციის პორობებში ინგრევა, №73 გ სურათზე წარმოდგენილი გაჭიმვის მრუდია დამახასიათებელი.



სურ. №73. გაჭიმვის დიაგრემები:


- ა – დრეკადიდან პლასტიკურ არეში მდოვრედ გადასვლის შემთხვევაში;
- ბ – დრეკადიდან პლასტიკურ არეში დენადობის ბაქნით გადასვლის შემთხვევაში;
- გ – მყიფე ლითონისათვის.

№74 სურათზე წარმოდგენილ გაჭიმვის დიაგრამაზე დამახასიათებელი წერტილებია აღნიშნული, რომლებზე დაყრდნობითაც ლითონის შემდეგი მექანიკური მახასიათებლები განისაზღვრება: პროპორციულობის ზღვარი, დრეკადობის ზღვარი, დენადობის ზღვარი, დროებითი წინააღმდეგობა გაგლეჯაზე, ჰეშმარიტი წინააღმდეგობა გაგლეჯაზე.

P_პ წერტილამდე P–Δl დამოკიდებულება წრფით აისახება, რაც იმის მაჩვენებელია.

ლია, რომ ნიმუშის სიგრძის ცვლილება დატვირთვის პირდაპირპორციულია.

დიაგრამის წრფივი უბანი შეესაბამება ნიმუშის დრეკად დეფორმაციას, ხოლო $P_{\text{კრ}}$ წერტილის ორდინატა –პროპორციულობის ზღვრის შესაბამის დატვირთვას. პროპორციულობის ზღვარი სპონ შემდეგი დამოკიდებულებით გამოითვლება:



სურ. №74. გაჭიმვის მრუდი პლასტიკური ლითონისათვის.

შის საანგარიშო სიგრძის 0,05% ნარჩენ წაგრძელებას განაპირობებს (ზოგიერთ შემთხვევაში ნარჩენ წაგრძელების სიდიდე კიდევ უფრო მცირე აიღება – 0,005%-მდე). შერჩეული დაშვება დრეკადობის ზღვრის აღნიშვნაშია მითითებული. მაგალითად, $\sigma_{0,05}$ ან $\sigma_{0,02}$.

გაჭიმვის დიაგრამაზე $P_{\text{დენ}}$ დატვირთვას BC ბაქნის მდებარეობა განსაზღვავს. მისი მნიშვნელობით დენადობის ზღვარი განისაზღვრება – ძაბვის უმცირესი მნიშვნელობა, რომლის დროსაც ნიმუში დატვირთვის უნმნიშვნელო მატებით დეფორმირდება:

$$\sigma_{\text{დენ}} = P_{\text{დენ}} / F_0, \text{ მგპა;}$$

თუ გაჭიმვის დიაგრამაზე დენადობის ბაქანი არ არის გამომუდავნებული, მაშინ მიმართავენ დენადობის პირობითი სიდიდის განსაზღვრას. ეს არის ძაბვა, რომლის დროსაც წარმოქმნილი ნარჩენ წაგრძელება საანგარიშო სიგრძის 0,2% შეადგენს, რაც აღინიშნება სიმბოლოთი $\sigma_{0,2}$:

$$\sigma_{0,2} = P_{0,2} / F_0, \text{ მგპა}$$

დენადობის პირობითი ზღვრის პრაქტიკულად განსაზღვრა გაჭიმვის მრუდზე ხდება. ამისათვის აბსცისაზე საანგარიშო სიგრძის 0,2% გადაზომავენ. მის ბოლოდან გაჭიმვის მრუდზე პროპორციული დეფორმაციის შესაბამისი მონაკვეთის პარა-

ლელურ ხაზს ატარებენ; მრუდთან გადაკვეთის წერტილი პირობითი დენადობის ზღვრის შესაბამის დატვირთვას (საძიებელ ს0,2 ძაბვას) შეესაბამება.

D წერტილის ორდინატა (სურ. 74) განსაზღვრავს მაქსიმალურ დატვირთვას, რომელსაც ნიმუში გამოცდის პროცესში უძლებს. $P_{\text{აქ}} = P_{\text{აქ}}/F_0$, მგვა დატვირთვის შეფარდებას ნიმუშის საწყისი განივავეთის F_0 ფართთან დროებითი წინააღმდეგობის ზღვარი (სიმტკიცის ზღვარი) ეწოდება:

$$\sigma_{\text{აქ}} = P_{\text{აქ}}/F_0, \text{ მგვა}$$

K წერტილი გაჭიმვის დიაგრამაზე ნიმუშის ნგრევის მომენტს შეესაბამება, P_k ორდინატა კი იმ დატვირთვას განსაზღვრავს, რომელსაც ნიმუში გაწყვეტისას განიცდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პლასტიკურ ნიმუშებში გაწყვეტამდე ყელი წარმოიქმნება. ამიტომ, ჭეშმარიტი წინააღმდეგობა გაწყვეტაზე S_k განისაზღვრება გაწყვეტის მომენტში დატვირთვის სიდიდის შეფარდებით გაწყვეტის შემდეგ, ნიმუში წარმოქმნილი ყელის F_k განივავეთის ფართთან:

$$S_k = P_k/F_k$$

გაჭიმვაზე გამოცდისას მასალის პლასტიკურ თვისებებს ნიმუშის გაწყვეტის შემდეგ, ფარდობითი წარგრძელებით (δ) და ფარდობითი შევიწროებით (ψ) აფასებენ.

ფარდობით წაგრძელებას უწოდებენ საანგარიშო სიგრძის ნაზრდის შეფარდებას საანგარიშო სიგრძის საწყის მნიშვნელობასთან. იგი პროცენტობით გამოისახება:

$$\delta = (l_k - l_0)/l_0 = (\Delta l/l_0) \times 100\%,$$

სადაც l_k არის საანგარიშო უბნის სიგრძე, ნიმუშის გაწყვეტის შემდეგ;

ამ უბნის სიგრძის განსაზღვრისათვის ნიმუშის გაწყვეტილ ნაწილებს ერთმანეთთან მჭიდროდ ისეთნაირად აერთებენ, რომ მათი ღებები წრფეს ქმნიდნენ და ზომავენ საწერტით მონიშნულ მანძილს.


ფარდობითი შევიწროება ψ არის ნიმუშის განივავეთის ფართობის მაქსიმალური შემცირების ფარდობა საწყისი განივავეთის ფართთან:

$$\psi = [(F_0 - F_k)/F_0] \times 100\%$$

სადაც F_0 არის ნიმუშის საწყისი განივავეთის ფართი, ხოლო F_k – ნიმუშის განივავოს ფართი, გაწყვეტის შემდეგ.

ფარდობითი შევიწროების გამოსათვლელად ზომავენ ნიმუშის მინიმალურ დიამეტრს, მისი გაწყვეტის შემდეგ ორი ურთიერთმართობი მიმართულებით, შემდეგ ითვლიან დიამეტრის საშუალო მნიშვნელობას და F_k განივავეთის ფართს.

№74 სურათზე წარმოდგენილი დამოკიდებულება დატვირთვასა და წაგრძელებას შორის, ნიმუშის ზომების ცვლილებასთან ერთად შეიცვლება. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნიმუშის ზომების გავლენა დიაგრამის სასიათზე, მას აგებენ კოორდინატებში ძაბვა σ -ფარდობითი წაგრძელება და ძაბვას ითვლიან მოცემულ მომენტში მოქმედი დატვირთვის შეფარდებით ნიმუშის საწყის განივევეთის ფართან F_0 ($\sigma = P/F_0$), ხოლო ფარდობით წაგრძელებას – მოცემულ მომენტში Δl აბსოლუტური წაგრძელების შეფარდებით საწყის l_0 საანგარიშო სიგრძესთან ($\epsilon = \Delta l/l_0$). ამგვარად აგებულ დიაგრამას პირობითი ძაბვების დიაგრამას უწოდებენ. რადგან P და Δl მნიშვნელობები შესაბამისად გამოცდის მოცემულ პირობებში მუდმივ F_0 და l_0 მნიშვნელობებზე იყოფა, $P-\Delta l$ კოორდინატებიდან σ - ϵ კოორდინატებზე გადასვლით, დიაგრამის სახე არ იცვლება (სურ. №75). პირობითი ძაბვების დიაგრამის ხასიათიდან გამომდინარე, მაქსიმალური მნიშვნელობის მიღწევის შემდეგ დატვირთვა მცირდება, თითქოს ნიმუში სიმტკიცეს კარგავს. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ნიმუშის გამოცდის დროს იგი არათანაბრად იჭიმება და ნგრევის მახლობლობაში „ყელი“ წარმოქმნება. თუ გავითვალისწინებთ ნიმუშის განივი კვეთის შემცირებას ყელის წარმოქმნის პროცესში დადატვირთვას განივი კვეთის ნამდვილ ფართან შევაფარდებთ, მაშინ ძაბვის შემცირება კი არა, პირიქით, მისი მატება შეინიშნება. ასეთ შემთხვევაში ჭეშმარიტი ძაბვების დიაგრამა მიიღება (სურ. №75).



სურ. №75. ჭეშმარიტი და პირობითი ძაბვების დიაგრამა.

ლითონებისა და შენაღნობების მექანიკური თვისებების განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება. მზა პროდუქციის ჩაბარებისათვის აუცილებელ საკონტროლო მახასიათებლებს მიეკუთვნება: დროებითი წინააღმდეგობა გაგლეჯაზე (სიმტკიცის ზღვარი) საქს, დენადობის ზღვარი $\sigma_{0,2}$, ფარდობითი წაგრძელება δ და ფარდობითი შევიწროება ψ .

მაღალ ტემპერატურებზე მომუშავე ლითონებისა და თერმულად დამუშავებული ნაკეთობების ხარისხის კონტროლისათვის (მაგალითად, გაზის და ორთქლის ტურბინა, მაღალი წნევის ქვაბები და სხვა ანალოგიური ნაკეთობები) მექანიკური თვისებების განსაზღვრას გაზრდილ ტემპერატურებზე აწარმოებენ. ამ ტიპის გამოცდები შეიძლება იყოს ხანმოკლე და ხანგრძლივი.

რისხის კონტროლისათვის (მაგალითად, გაზის და ორთქლის ტურბინა, მაღალი წნევის ქვაბები და სხვა ანალოგიური ნაკეთობები) მექანიკური თვისებების განსაზღვრას გაზრდილ ტემპერატურებზე აწარმოებენ. ამ ტიპის გამოცდები შეიძლება იყოს ხანმოკლე და ხანგრძლივი.

გაჭიმვაზე ხანმოკლე გამოცდებისათვის ჩვეულებრივი მოწყობილობა გამოიყენება. სასურველი ტემპერატურის უზრუნველსაყოფად, სატაცებში ჩამაგრებულ ნიმუშს, მინიატურულ მუფელის ღუმელს ჩამოაცვამენ. ღუმელის ტემპერატურა თერმოწყვილით კონტროლირდება. ტემპერატურის რეგულირებას პოტენციომეტრით ანხორციელებენ. ნიმუშის გამოცდას მას შემდეგ იწყებენ, როდესაც ტემპერატურა სასურველ მნიშვნელობას მიაღწევს. მოცემულ შემთხვევაშიც მექანიკური თვისებების მახასიათებლებია: სიმტკიცის ზღვარი გაგლეჯაზე საჟს., დენადობის ზღვარი $\sigma_{0,2}$, ფარდობითი წაგრძელება მდა ფარდობითი შევიწროება ყ.

ხანგრძლივი გამოცდებისას განსაზღვრავენ მასალის უნარს, აიტანოს ხანგრძლივი დატვირთვა მაღალ ტემპერატურულ პირობებში. განისაზღვრება ხანგრძლივი სიმტკიცის ზღვარი და ცოცვადობა, ანუ მასალის მიდრეკილება დეფორმირდეს და დაინგრეს გაზრდილ ტემპერატურაზე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მოცემულ ტემპერატურაზე ხანგრძლივი სიმტკიცის ზღვარი არის მაქსიმალური ძაბვა, რომელსაც მასალა დაუნგრევლად უძლებს, გამოცდის მოცემული ხანგრძლივობის პირობებში. გამოცდის ხანგრძლივობას (დროს) **ბაზას** უწოდებენ.

გაზომვებს სპეციალურ მანქანაზე აწარმოებენ. გამოცდის პროცესში ნიმუშს მუდმივი დატვირთვა მიეწოდება. სატაცებში ჩამაგრებული გამოსაცდელი ნიმუშის გახურება მასზე ჩამოცმული მრგვალი მუფელური ღუმელის საშუალებით ხდება. გამოცდის პროცესში ნიმუშის ტემპერატურა მუდმივად არის შენარჩუნებული.

კუმშვაზე გამოცდას გაზრდილი სიმყიფის მქონე მასალებს უტარებენ (მაგალითად, რუხ თუჯს). გამოცდებისათვის როგორც ჩვეულებრივ გამგლეჯ, ისე სპეციალურ მანქანებს იყენებენ. გამოსაცდელი ნიმუშის ფორმა, უმეტეს შემთხვევაში, ცილინდრულია, რომლის სიმაღლის შეფარდება დიამეტრთან $1,0:2,0$ შეადგენს. მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ გამოსაცდელი ნიმუშის ტორსული ზედაპირები მკაცრად ურთიერთპარალელური უნდა იყოს.


კუმშვაზე გამოცდის შემთხვევაშიც არის შესაძლებელი ლითონის მექანიკური თვისებების ყველა მახასიათებლის დადგენა, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ სიმტკიცის ზღვარს განსაზღვრავენ.

დარტყმით სიბლანტებზე გამოცდა

ექსპლუატაციის პროცესში მანქანათა ნაწილები არა მარტო სტატიკური, მდოვრედ მზარდი დატვირთვების ზემოქმედებას განიცდის, არამედ დინამიკური (დარტყმითი), მკვეთრად და ნულიდან მაქსიმალურ მნიშვნელობამდე დიდი სიჩქარის გამოცდის შემთხვევაშიც არის შესაძლებელი ლითონის მექანიკური თვისებების ყველა მახასიათებლის დადგენა, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ სიმტკიცის ზღვარს განსაზღვრავენ.

რით მზარდი დატვირთვების ზემოქმედებასაც. ამდენად, დეტალის ნგრევა დარტყმითი დატვირთვების გავლენითაც შეიძლება განვითარდეს. ამიტომ, აუცილებელია იმის ცოდნაც, თუ რამდენად უწევს წინააღმდეგობას ლითონი ასეთ დატვირთვებს.


დარტყმით გამოცდებს კვადრატული განივალეთის სტანდარტული ნიმუშების (10×10 მმ, სიგრძე 55 მმ, სურ. 76) ნგრევით აწარმოებენ. სიგრძის შუა ზონაში ნიმუშს U ტიპის ნასერი გააჩნია, რომლის სიგანე და სიღრმე 2მმ-ს შეადგენს, ხოლო მომრგვალების რადიუსი – 1მმ. გამოიყენება, აგრეთვე, ნიმუშები V ან T (ბზარი) ტიპის ნასერებით. პირველის წვეროსთან მდებარე კუთხეა 45° , მომრგვალების რადიუსი – 0,25მმ. მეორე ნასერი უფრო მახვილია. ნასერი ძაბვების კონცენტრატორის როლს ასრულებს. რაც უფრო მახვილია კუთხე, მით უფრო ძლიერად მოქმედებს ძაბვების კონცენტრატორი.



სურ. №76. დარტყმით სიბლანტეზე გამოსაცდელი
ნიმუშის ფორმა და ზომები.

დარტყმითი დატვირთვებით გამოცდებს აწარმოებენ ხელსაწყოზე, რომელსაც ქანქარა ურნალს უწოდებენ (სურ. №77). მისი მუშაობის პრინციპი ასეთია: ურნალის ქანქარა ტვირთიანად (2) თავისუფლად ქანაობს, საკუთარი დერძის გარშემო. სასხლეების საშუალებით ტვირთი შეიძლება ნებისმიერ სიმაღლეზე დაფიქსირდეს. ქანქარას განთავისუფლების შემთხვევაში, ტვირთი საწინააღმდეგო მხარეს იმავე სიმაღლემდე აიწევს, რომელზეც საწყის მდგომარეობაში იყო დაფიქსირებული. თუ ტვირთს მოძრაობის გზაზე დაბრკოლება (მაგალითად, გამოსაცდელი ნიმუში) შეხვდება, თავისუფალი ვარდნის ენერგიის ნაწილი ამ დაბრკოლების გადალახვაზე დაიხარჯება და ტვირთი საპირისპირო მხარეს უფრო დაბალ სიმაღლემდე აიწევს.

გამოსაცდელი ნიმუში (4, სურ. №77 ა, ბ) ტვირთის მოძრაობის გზაზე სადგარის (1) ორ საბჯენზე იდება. ვარდნის დროს ტვირთი მას დუნავს და ანგრევს. აქედან გამომდინარე, ქანქარას ენერგიის მარაგი ნიმუშის გადაღუნვაზე, ნგრევაზე და ტვირთის საპირისპირო მხარეს გარკვეულ სიმაღლემდე აწევაზე დაიხარჯება. თუ



სურ. 77. ქანქარა ურნალის სქემა (ა), ნიმუშის
მდებარეობა გამოცდის დროს (ბ) და გამოცდის
სქემა.

1 – საღარი; 2 – ქანქარა; 3 – სკალა; 4 – ნიმუში;
5 – ხელის მუხრუჭის დგედი; 6 – ხელის მუხრუჭის
ბერკეტი.

ენერგიის საერთო მარაგს იმ ნაწილს გამოვაკლებთ, რაც ნიმუშის გადატეხის შემდეგ ტვირთის საპირისპირო მხარეს აწევაზე იხარგება, დარჩება ის ენერგია (მუშაობა), რომელიც ნიმუშის გადატეხაზე დაიხარჯა.

ამგვარად, მუშაობა (K), რომელიც ნიმუშის გადატეხაზე დაიხარჯა, ქანქარას ტვირთის საწყისი და ნიმუშის გადატეხის შემდეგ მდგომარეობების სხვაობით გამოითვლება:

$$K=P(H-h),$$

სადაც P არის ქანქარას ტვირთის წონა, ნ;

H – ქანქარას აწევის საწყისი სიმაღლე (ნიმუშის გადატეხამდე), მ;

h – ქანქარას აწევის სიმაღლე ნიმუშის გადატეხის შემდეგ (იხ. სურ. 77, გ).

H და h სიმაღლეების განსაზღვრა შესაძლებელია, თუ ცნობილი იქნება ქანქარას სიგრძე L და მისი აწევის კუთხეები საწყის (α) და საბოლოო (β) მდგომარეობაში:

$$H=L(1-\cos\alpha); \quad h=L(1-\cos\beta), \quad \text{საიდანაც}$$

$$K=PL(\cos\beta-\cos\alpha)$$

P და L მოცემული ურნალისათვის მუდმივ სიდიდეებს წარმოადგენს, ა და β კუთხეები ხელსაწყოს სკალიდან აიღება. წარმოდგენილი გამოთვლების ასაცილებლად პრაქტიკაში, ცხრილებით სარგებლობენ, სადაც ყოველი β კუთხისათვის K მუშაობის მნიშვნელობებია მოცემული.

ძირითადი მახასიათებელი, რომელიც დარტყმითი დატვირთვით გამოცდის შედეგად მიიღება, არის დარტყმითი სიბლანტე. იგი აღინიშნება სიმბოლოებით KC. დარტყმითი სიბლანტე არის მუშაობა, რომელიც გამოითვლება ნიმუშის გადატეხაზე დახარჯული მუშაობის ფარდობით, ნასერის ადგილას, ნიმუშის განივევეთის ფართან:

KC=K/F,

სადაც F არის ნიმუშის განივევეთის ფართი ნასერის ადგილას, სმ^2 .


დარტყმითი სიბლანტის ჩაწერის დროს, მის აღნიშვნაში, მესამე სიმბოლოა შემოტანილი, რომელიც ნიმუშზე ნასერის ფორმას მიუთითებს. აქედან გამომდინარე, იმ ნიმუშის დარტყმითი სიბლანტე, რომლის ნასერი U ფორმისაა, აღინიშნება სიმბოლოებით KCU, V ფორმის ნასერით - KCV, ხოლო T ფორმის ნასერით – KCT. დარტყმითი დატვირთვის სტანდარტული განზომილებაა $\frac{\text{კ}}{\text{მ}^2}$ ან $\frac{\text{კ}}{\text{სმ}^2}$.

დარტყმით სიბლანტეზე ნიმუშების გამოცდას აწარმოებენ როგორც ოთახის ტემპერატურაზე, ისე მაღალ და უარყოფით ტემპერატურაზეც. ამ მიზნით ნიმუშებს ახურებენ ან აცივებენ საჭირო ტემპერატურამდე და სწრაფად გადააქვთ გამოსაცდელ ურნალზე.

დარტყმით სიბლანტეზე გამოცდით მასალის მთელ რიგ ძვირფას თვისებებს აღგენენ: უნარს გაუძლოს დარტყმით დატვირთებს, მიღრეკილებას მყიფე რღვევისადმი, მგრძნობიარობას ნასერებისადმი. საიმედო მუშაობისათვის აუცილებელია, რომ ცივტეხადობის ტემპერატურული ზღურბლი მასალის საექსპლუატაციო ტემპერატურაზე ქვემოთ მდებარეობდეს. რაც უფრო დაბალია ცივტეხადობის ზღურბლი, მით უფრო მცირეა ნაკეთობის მყიფე რღვევის ალბათობა.

თუმცა, ცივტეხადობის ზღურბლს ზევითაც შეიძლება მასალამ მყიფე რღვევისადმი მიღრეკილება გამოამჟღავნოს. ეს, უპირველეს ყოვლისა, მაღალმტკიცე მასალებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც შემცირებული პლასტიკურობით ხასიათდება. ასეთი მასალების უცაბედად ნგრევის ასაცილებლად აუცილებელია ბზარმედეგობის გათვალისწინება, ანუ უნარი, დამუხრუჭდეს ბზარის განვითარება.

მაღალმტკიცე მასალებისათვის საფრთხეს არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ რაღაც 1k კრიტიკული ზომის ბზარები წარმოადგენს, რომლებსაც თავისთავად ზრდის უნარი გააჩნია. მაღალმტკიცე მასალის ბზარმედეგობის განსაზღვრისათვის ნასერის მქონე სპეციალურ მასიურ ნიმუშს, რომელსაც წინასწარ აქვს ბზარი ჩასახული (სურ. №78), ნგრევის სიბლანტეზე ცდიან. გამოცდას აწარმოებენ ხისტი დატვირთვის პირობებში, როდესაც მასალის შესაძლებლობა პლასტიკური დეფორმაციისა-



სურ. №78. ნგრევის სიბლანტეზე გამოსაცდელი ნიმუშის სქემა.

დმი მინიმალურია (ნიმუშის ნგრევა მოწყვეტით მიმდინარეობს და ნგრევის სიბრტყე მოქმედი ძალის პერპენდიკულარულია).

გამოცდის მიზანია დატვირთვისა და ბზარის იმ სიგრძის განსაზღვრა, რომლის დროსაც ბზარის გავრცელება თავისთავად მიმდინარეობს. გამოცდის შედეგების მიხედვით ნგრევის სიბლანტეს განსაზღვრავენ, რომელიც ბზარის

წვეროსთან ძაბვების ინტენსიურობის კოეფიციენტით (K_{Ic}) ხასიათდება. K_{Ic} კოეფიციენტი მიუთითებს, რა მნიშვნელობას (ინტენსივობას) აღწევს ძაბვები ბზარის წვეროში ნიმუშის რღვევის მომენტი. იგი აკავშირებს მოდებულ ს ძაბვას ბზარის კრიტიკულ I_k სიგრძესთან:

$$K_{Ic} = \sigma \sqrt{a \pi l_k},$$

სადაც α არის უგანზომილებო კოეფიციენტი, რომელიც ბზარის გეომეტრიას ახასიათებს.

როგორც წარმოდგენილი თანაფარდობიდან გამომდინარეობს, K_{Ic} სიდიდის განზომილებაა მგპა·მ^{1/2}.

K_{Ic} სიდიდის მნიშვნელობა ბზარის წვეროში პლასტიკური დეფორმაციის განვითარებაზეა დამოკიდებული და ბლანტი ბზარის განვითარებისადმი წინააღმდეგობას ახასიათებს. მას ნგრევის სიბლანტეს უწოდებენ. რაც უფრო მეტია K_{Ic} მნიშვნელობა, მით უფრო მეტია მასალის წინააღმდეგობა ბლანტი რღვევისადმი.

K_{Ic} კოეფიციენტის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ცოდნით შესაძლებელია განისაზღვროს ნგრევის ძაბვა ს დეფექტის ზომაზე დამოკიდებულებით ან პირიქით, დეტალში მოსალოდნელი ძაბვის მნიშვნელობით დადგინდეს ბზარის ზომა, რომელიც ლითონის რღვევას გამოიწვევს

3. სისალის კონტროლი

სიმტკიცის მახასიათებლების შესაფასებლად სარგებლობენ, აგრეთვე, სისალის განსაზღვრის მეთოდებით, რომელიც არ მოითხოვს ნაკეთობის მთლიანობის დარღვევას.

სისალე არის მასალის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს პლასტიკურ ან დრეკად დეფორმაციას, მასში გარეშე, უფრო სალი სხეულის შეჭრის შემთხვევაში. ამჟამად სისალე მიღებულია, როგორც მექანიკური თვისებების ერთ-ერთი ძირითა-

დი მაჩვენებელი, რადგან მისი გაზომვა მეტად მარტივი და ადვილად განსახორციელებელია.

სისალის გაზომვის რამდენიმე მეთოდი არსებობს, რომელთაგან ყველაზე ფართო პრაქტიკული გამოყენება ჩაწერის მეთოდმა პოვა. ამ შემთხვევაში სისალეს განსაზღვრავენ მცირედ დეფორმირებადი მასალისაგან (ჩაწრობი ფოლადი, ალმასი, სალი შენადნობები), დამზადებული ბურთულას, კონუსის ან პირამიდის ჩაწერით გამოსაკვლევ ლითონში. ბუნიკის ქვეშ და მის უშუალო მახლობლობაში გამოსაცდელი ლითონის ზედაპირული ფენები პლასტიკურ დეფორმაციას განიცდის, რის გამოც დატვირთვის მოხსნის შემდეგ ნიმუშზე ანაბეჭდი მიიღება. რადგან დეფორმირება მცირე მოცულობაში ხდება, ამიტომ ამ მეთოდით შეიძლება გამოიცადოს არა მარტო პლასტიკური ლითონები, არამედ ისეთი მასალებიც, რომლებიც ჩვეულებრივი მექანიკური გამოცდების ჩატარების დროს დიდ სიმყიფეს ამჟღავნებენ.


მექანიკური თვისებების შესწავლის სხვა ხერხებთან შედარებით, სისალის განსაზღვრის მეთოდი შემდეგი უპირატესობებით ხასიათდება:

1. გაზომვის ჩატარება ტექნიკურად უფრო მარტივი განსახორციელებელია;
2. პლასტიკური მასალების სისალესა და სხვა მექანიკურ თვისებებს (ძირითადად, სიმტკიცის ზღვარს) შორის არსებული რაოდენობრივი კავშირი საშუალებას იძლევა, ემპირიულ ფორმულებზე დაყრდნობით, ლითონის სხვა მექანიკურ მახასიათებლებზეც ვიმსჯელოთ;
3. სისალის განსაზღვრისას ნაკეთობის მთლიანობა არ ირღვევა, რაც გამოცდის შემდეგ მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალებას იძლევა;
4. სისალის განსაზღვრა შესაძლებელია მცირე სისქის ნაკეთობებზეც, თხელფენებსა და მიკრომოცულობებში.

ინდიკატორზე მოქმედი P დატვირთვის მიხედვით, ასხვავებენ მაკროსისალეს ($P \geq 5$ კგ) და მიკროსისალეს ($P \leq 500$ გ).

*სისალის განსაზღვრა ბურთულის ჩაწერის მეთოდით
(ბრინჯლის ხერხი)*

ბრინჯლის ხერხით სისალის განსაზღვრის დროს გამოსაცდელ ნიმუშში რაღაც P ძალის ზემოქმედებით, გარკვეული დიამეტრის ფოლადის ნაწრობი ბურთულა ჩაიწერება. ამ მიზნით გამოიყენება ავტომატური ბერკეტული სისტემის წნევი, რომლის საერთო ხედი №79 სურათზეა წარმოდგენილი. ბუნიკი, რომელშიც ჩამაგრებულია ფოლადის ნაწრობი ბურთულა (1), ხრანის საშუალებით შპინდელში (2)



სურ. №79. ბრინჯლის წნევის სქემა.

1. ფოლადის ნაწილთობი ბურთულა,
2. შპინდელი,
3. საგნის მაგიდა,
4. სახელური,
5. სასიგნალო ნათურა,
6. ძრავის ჩასართავი ღილაკი,
7. რელე,
8. საწორო.

მაგრდება, ხოლო გამოსაცდელი ნიმუში საგნის მაგიდაზე (3) თავსდება. სახელურის (4) საათის ისრის მიმართულებით შემობრუნებისას მაგიდა ზემოთ გადაადგილდება და ნიმუში გამოსაცდელი ზედაპირით ბურთულას მიებჯინება. ამით ნიმუშს წინასწარი დატვირთვა გადაეცემა, რის შესახებაც სიგნალს წითელი ნათურა (5) იძლევა. წინასწარი დატვირთვის სიდიდე 100 კგ-ს შეადგენს. ღილაკზე (6) თითის დაჭერით ჩაირთვება ძრავი, რის შედეგადაც ბურთულაზე დატვირთვა გაიზრდება და იგი გარკვეული დროის განმავლობაში ლითონში ჩაიწნევება. შემდეგ დატვირთვა

მოიხსნება და ხელსაწყო ავტომატურად გამოირთვება. დატვირთვის ხანგრძლივობა გამოსაცდელი მასალის სისალეზე დამოკიდებულებით 10-60 წამს შეადგენს და მისი რეგულირება ძრავის რელეს (7) საშუალებით ხდება. ნიმუშის გასანთავისუფლებლად საჭიროა სახელურის უკუშემობრუნება. დატვირთვის სიდიდე საწონების (8) საშუალებით შეიძლება შეიცვალოს.

ბურთულას ჩაწევის შედეგად, ნიმუშის გამოსაცდელ ზედაპირზე ანაბეჭდი მიიღება. სისალის მნიშვნელობა გამოითვლება მოქმედი P ძალის შეფარდებით ანაბეჭდის F ფართობთან და HB ასოებით აღინიშნება:

$$HB = \frac{P}{F} = \frac{2P}{\pi D(D - \sqrt{D^2 - d^2})} \quad (1)$$

სადაც P არის დატვირთვის სიდიდე, კგ;

F – ანაბეჭდის ზედაპირის ფართობი, მმ²;

D – ბურთულის დიამეტრი, მმ;

d – ანაბეჭდის დიამეტრი, მმ.

ბურთულის დიამეტრისა და დატვირთვის შერჩევა. ბრინჯლის ხერხით სისალის გასაზომად, ბურთულის დიამეტრი (D=10; 5; 2,5 მმ) მასალის სისქის მიხედვით შეირჩევა. როგორც (1) ფორმულიდან გამომდინარეობს, სხვა თანაბარ პირობებში სისალეს ანაბეჭდის დიამეტრი განსაზღვრავს. ცხადია, ანაბეჭდის დიამეტრი რაც უფრო დიდი მიიღება, სისალე მით უფრო მცირე იქნება, მაგრამ დატვირთვის სი-

დიდება და ანაბეჭდის დიამეტრს შორის მუდმივი თანაფარდობა, რაც სისალის ზუსტი განსაზღვრისათვის არის აუცილებელი, მხოლოდ გამოცდის გარკვეული პორობების დაცვის შემთხვევაში მიიღება. ცხადია, ეს თანაფარდობა სხვადასხვა სისალის მასალისათვის სხვადასხვა იქნება.

გამოსაცდელი მასალის თვისებებიდან გამომდინარე, დატვირთვის სიდიდე შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$P=KD^2 \quad (2)$$

სადაც K არის გამოსაცდელი მასალის მუდმივა და იგი 30, 10 ან 2,5-ის ტოლი აიღება;

D - ბურთულას დიამეტრი, მმ.

ბურთულას დიამეტრი და დატვირთვის სიდიდე, გამოსაცდელი მასალის თვისებებისა და სისქის გათვალისწინებით, №6 ცხრილიდან აიღება. როგორც ცხრილიდან ჩანს, სხვადასხვა დიამეტრის ბურთულის გამოყენებისას შესაბამისი დატვირთვა შეირჩევა. მაგალითად, თუ გამოცდის პირობებია HB 10(3000)30, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სისალე განისაზღვრებოდა 10მმ დიამეტრის ბურთულით, დატვირთვის სიდიდე შეადგენდა 3000კგ, ხოლო დაყოვნების დრო – 30 წამს. დატვირთვის მაქსიმალური ცდომილება არ აღემატება 1%.

მკვეთრი ანაბეჭდის მისაღებად ნიმუშის ზედაპირი უნდა იყოს სწორი, გლუვი და სუფთა. ამ მიზნით იგი აბრაზიული მასალით ან ქლიბით მუშავდება.

ანაბეჭდის დიამეტრისა და სისალის განსაზღვრის მეთოდიკა. ანაბეჭდის დიამეტრი იზომება ლუპით (სურ. №80, ა) ან მიკროსკოპით ორი ურთიერთმართობი მიმართულებით და გამოითვლება მისი საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა. ლუპას აქვს სახაზავი (სურ. №80, ბ), რომლის დანაყოფის ფასი 0,1მმ-ს შეადგენს.

ანაბეჭდის დიამეტრის გასაზომად ლუპას ქვედა საყრდენით ნაკეთობის (ნიმუშის) გამოსაცდელ ზედაპირზე ათავსებენ და ისე გადაადგილებენ, რომ სკალის საწყისი დანაყოფი ანაბეჭდის გარშემოწერილობის ერთ-ერთ წერტილს შეუთავს-დეს (სურ. №.81), შემდეგ ითვლიან დანაყოფების რიცხვს, რომელზეც დიამეტრი ვრცელდება. მაგალითად, 81 სურათზე ნაჩვენები ანაბეჭდის დიამეტრი 4,2მმ-ის ტოლია. ლუპას ან ნიმუშს შემოაბრუნებენ 90⁰-ით და გაზომვას იმეორებენ. სისალის განსაზღვრა შესაძლებელია როგორც (1) ფორმულის გამოყენებით, ისე შესაბამისი სტანდარტული ცხრილებიდან, სადაც სისალე მოცემულია დატვირთვის სიდიდეზე და ანაბეჭდის დიამეტრზე დამოკიდებულებით. მაგალითად, თუ გამოცდა ჩატარებუ-


ცხრილი №6

ბურთულის დიამეტრისა და დატვირთვის შესარჩევი ცხრილი

გამოსაცდე- ლი მასალა	სისალის დი- აპაზონი ბრი- ნელის ერთეუ- ლებში	გამოსაცდელი მასალის მინიმალური სისქე, მმ	თანაფარ- დობა $P=KD^2$	ბურთუ- ლის დიამეტ- რი D, მმ	დატვირ- თვა P, კგ	დაყოვნების ხანგრძლი- ვობა, წამი
შავი ლითონები	140-450	6-დან 3-მდე 4-დან 2 მდე 2-ზე ნაკლები	$P=30D^2$	10,0 5,0 2,5	3000 750 187,5	10
	<140	6-ზე მეტი 6-დან 3-მდე	$P=10D^2$	10,0 5,0	1000 250	10
ფერადი ლითონები	>30	6-დან 3-მდე 4-დან 2 მდე 2-ზე ნაკლები	$P=30D^2$	10,0 5,0 2,5	3000 750 187,5	30
	35-130	9-დან 3-მდე 6-დან 3-მდე	$P=10D^2$	10,0 5,0	1000 250	30
	8-35	6-ზე მეტი	$P=2,5D^2$	10,0	250	60



სურ. №80. ანაბეჭდის დიამეტრის
გასაზომი ლუპა.
ა – საერთო ხედი, ბ – ლუპის სკალა.



სურ. №81. ანაბეჭდის დიამეტრის
ათვლა ლუპის გამოყენებით.

ლია $D=10$ მმ ბურთულით, დატვირთვის სიდიდე შეადგენდა 3000კგ-ს, ხოლო და-
ყოვნების დრო - 10 წამს (გამოცდის პირობა HB 10(3000)10), 81 სურათის შესაბა-
მისად სისალე 207HB-ს ტოლი იქნება. თუ გამოცდები ჩატარებულია $D=5$ მმ ან
 $D=2,5$ მმ ბურთულით, იგივე ცხრილით სისალის განსაზღვრისთვის საჭიროა ანა-
ბეჭდის დიამეტრის მნიშვნელობა გამრავლდეს შესაბამისად 2-ზე ან 4-ზე.

მასალის სისალის სწორი დახასიათებისთვის გაზომვების სერია კიდევ ორ-
ჯერ მაინც უნდა განმეორდეს. განმეორებითი გაზომვების დროს მომდევნო ანაბეჭ-
დის ცენტრი მეზობელი ანაბეჭდისგან და ნიმუშის კიდეებიდან დაცილებული უნდა
იყოს, გამოყენებული ბურთულის არანაკლებ ორი დიამეტრისა. კერძო მონაცემების
საფუძველზე გამოითვლება სისალის საშუალო მნიშვნელობა.

ხელსაწყოს შემოწმება. გაზომვების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, სერიული გაზომვების დაწყებამდე, შემოწმდეს ხელსაწყოს სიზუსტე, რაც სტანდარტული ფილების გამოყენებით ხდება. ფილების სისალე წინასწარ არის ცნობილი (მითითებულია მის გვერდით ზედაპირზე). თუ ხელსაწყოს სიზუსტე არ არის დარღვეული, სტანდარტული ფილის სისალის გაზომვის შედეგაბი უნდა თავსდებოდეს ფილაზე მითითებული სისალის ზღვრებში. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა შესწორების სიდიდის განსაზღვრა და მისი გათვალისწინება სერიული გაზომვების შედეგებში.

*სისალის განსაზღვრა კონუსის ან ბურთულის ჩაწერის მეთოდით
(როკეგლის ხერხი)*

როკეგლის ხერხით სისალის განსაზღვრა გამოსაცდელ ნიმუშში აღმასის კონუსის ან ფოლადის ნაწრობი ბურთულის ჩაწერით ხდება. აღმასის კონუსის წვეროსთან მდებარე კუთხე 120^0 -ს შეადგენს, ხოლო ბურთულას დიამეტრი – 1,588მმ. განსახილველი მეთოდი ბრინჯლის მეთოდისგან პრინციპულად იმით განსხვავდება, რომ სისალე ბუნიკის ჩაწერის სიღრმის მიხედვით განისაზღვრება.


აღმასის კონუსი ან ფოლადის ბურთულა ნიმუშში თანმიმდევრულად, წინასწარი P_0 და ძირითადი P_1 დატვირთვების ზემოქმედებით იწერება (სურ. №82). სრული დატვირთვა

$$P=P_0+P_1$$


წინასწარი დატვირთვის სიდიდე ყველა შემთხვევაში 10კგ-ის ტოლია.

როკეგლის ხერხით სისალე TK-2 ტიპის ხელსაწყოზე განისაზღვრება, რომლის სქემა №83 სურათზეა მოცემული. გამოსაცდელი ბუნიკი (1) ხრახნის საშუალებით შპინდელში მაგრდება. ინდიკატორის ციფერბლატზე (2) გათვალისწინებულია ორი სკალა - შავი C და წითელი B (სურ. №84). ანათვალის აღება დიდი ისრის (1) მიხედვით ხდება.

საგნის მაგიდაზე (3, სურ №83) მოთავსებული ნიმუში სახელურის (4) საათის ისრის მიმართულებით შემობრუნებისას ზევით გადაადგილდება და გამოსაცდელ ბუნიკს მიებჯინება. სახელურის შემდგომი შემობრუნებით ბუნიკი იწყებს ნიმუში შეჭრას და როდესაც პატარა ისარი (2, სურ. №84 ა) წითელ წერტილს (3) შეუთავსდება, წინასწარი დატვირთვის სიდიდე 10 კგ-ს შესაბამისი იქნება. ასეთ მდგომარეობაში დიდი ისარი C სკალის ნულოვანი დანაყოფის მახლობლობაში გაჩერდება (დასაშვებია ± 5 დანაყოფით აცდენა, სურ. 84, ბ). ინდიკატორის სკალის ნუ-




სურ. №82. ალმასის კონუსის ჩაწესით
სისალის განსაზღვრის სქემა



სურ. №83. TK-2 ხელსაწყოს სქემა

1-გამოსაცდელი ბუნიკი; 2-ინდიკატორი;
3-საგნის მაგიდა; 4-სახელური; 5-დოლი;
6-კლავიში; 7-მუდმივი ტვირთი;
8-მოსახსნელი ტვირთი

ლოგანი დანაყოფის ისართან ზუსტად გასწორება (სურ. №84, გ) დოლის (5, სურ. №83) შემობრუნებით ხდება. კლავიშაზე (6, სურ. №83) ხელის დაჭერით დატვირთვის ნორმალური ციკლი იწყება, რომელიც 4 წამს გრძელდება. ციკლის დამთავრების შემდეგ ძირითადი დატვირთვა ავტომატურად იხსნება. ინდიკატორის სკალაზე დიდი ისრის საბოლოო მდგომარეობა უჩვეულებელი სისალეს როგორის ერთგულება (სურ. №84, დ).



სურ. №84. TK-2 ხელსაწყოს ინდიკატორის
ციფერბლატზე ისრების თანმიმდევრული
გადაღვილების სქემა.

ალმასის კონუსით გამოცდისას ანათ-

ვალი შავი (C) სკალიდან აიღება, ხოლო ბურთულით გამოცდის შემთხვევაში – წი-
თელი (B) სკალიდან.

დატვირთვისა და გამოსაცდელი ბუ-
ნიკის შერჩევა. დატვირთვა და ბუნიკი გა-
მოსაცდელი ლითონის სისალის მიხედვით
შეირჩევა. მუდმივი ტვირთი (7, სურ. №83)
50 კგ დატვირთვას უზრუნველყოფს. მოსა-
ხსნელი ტვირთების (8) რეგულირებით შე-
საძლებელია დატვირთვის სიდიდე 100 ან
150 კგ-მდე გაიზარდოს.

ალმასის კონუსით სისალის განსაზღვრის დროს საერთო დატვირთვა 150 ან 60
კგ-ს უნდა შეადგენდეს. პირველ შემთხვევაში სისალის მნიშვნელობა დიდი ისრით
ნაჩვენები დანაყოფის მიხედვით ციფერბლატის C სკალიდან აიღება და HRC-თი
აღინიშნება. მაგალითად, №84 დ სურათზე სისალე შეესაბამება 62 HRC-ს.

ამ მეთოდით განისაზღვრება ნაწილობი და დაბალმოშეგბული ფოლადების

სისალე. რეკომენდებულია, აგრეთვე, საშუალო სისალის (230 HB და მეტი) მასალების გამოცდაც, რადგან პროცესი სწრაფად ხორციელდება და ბრინჯელის მეთოდთან შედარებით ნაკეთობაზე უმნიშვნელო კვალი რჩება. შესაძლებელია თხელი ზედაპირული ფენების, მაგალითად, ცემენტირებული შრის სისალის განსაზღვრა, ამასთანავე, ფენის სისქე 0,5 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

60 კგ დატვირთვით გამოიცდება მეტად სალი მასალები, მაგალითად, სალი შენადნობები (HRC>70), აგრეთვე, 0,3-0,5მმ სისქის შრეები. სისალის მნიშვნელობა იგივე სკალიდან აიღება და HRA ასოებით აღინიშნება. HRC და HRA სიდიდეებს შორის შემდეგი დამოკიდებულება არსებობს:

$$HRC=2HRA-104.$$

ფოლადის ბურთულით გამოცდის დროს საერთო დატვირთვა 100კგ-ს შეადგენს. სისალის მნიშვნელობა დიდი ისრით ნაჩვენები დანაყოფის მიხედვით ციფერბლატის B სკალიდან აიღება და HRB ასოებით აღინიშნება. ამ მეთოდით გამოიცდება რბილი ფოლადი და მომწვარი ფერადი ლითონები, რომელთა სისქე 0,8-2მმ ზღვრებში იცვლება. როკველის ხერხით გამოცდის პირობები №7 ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი №7

როკველის მეთოდით სისალეზე გამოცდის პირობები

როკველის სკალით სისალის განსაზღვრის დასაშვები ზღვრები	სკალის აღნიშვნა	ბუნიკის ტიპი	საერთო დატვირთვა, კბ	სისალის აღნიშვნა როკველის ერთეულებში
25-100	B	ფოლადის ბურთულა	100	HRB
20-67	C	ალმასის კონუსი	150	HRC
70-90	A	ალმასის კონუსი	60	HRA

გაზომვებში ცდომილების მინიმუმამდე შესამცირებლად, კონუსის ცენტრი ნიმუშის წიბოდან მოცილებული უნდა იყოს არანაკლები 1,5მმ-ისა. ბურთულას გამოყენების შემთხვევაში ეს მანძილი 4 მმ-დაც იზრდება. იგივე პირობების დაცვაა საჭირო ორი მეზობელი ანაბეჭდის ცენტრებს შორის. ნიმუშის როგორც გამოსაცდელი, ისე საყრდენი ზედაპირები უნდა იყოს სუფთა, სწორი, გლუვი და ურთიერთპარალეური.

ხელსაწყოს შემოწმება სიზუსტეზე სტანდარტული ფილების გამოყენებით


ხდება იგივე მეთოდიკით, როგორც ეს „სისალის განსაზღვრა ბურთულის ჩაწერის მეთოდით (ბრინჯლის ხერხით)“ მუ-7 თავში იყო განხილული.

გამოსაკვლევ ნიმუშზე განმეორებითი გაზომვების რიცხვი სამზე ნაკლები არ უნდა იყოს. მიღებული მონაცემების საფუძველზე სისალის საშუალო მნიშვნელობა გამოითვლება.

სისალის განსაზღვრა ალმასის პირამიდის ჩაწერის ხერხი (გიკერსის ხერხი)

ვიკერსის ხერხით სისალის განსაზღვრა გამოსაკვლევ ნიმუშში ოთხწახნაგა ალმასის პირამიდის ჩაწერით ხდება, რომლის წვეროსთან მდებარე კუთხე 136⁰-ს შეადგენს. ამ მეთოდით სისალის გამოცდის დროს სხვადასხვა დატვირთვით მიღებული ანაბეჭდის დიაგონალებს შორის ფარდობა მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს, რაც დატვირთვის ფართო ზღვრებში შეცვლის შესაძლებლობას იძლევა.

№85 სურათზე ნაჩვენებია ვიკერსის ხელსაწყოს სქემა. მის ძირითად ნაწილს შემოსაბრუნებელი თავურა (1) წარმოადგენს, რომელშიც ჩამაგრებულია სამართული ალმასის პირამიდით (2). სამართული ლითონის გარსაცმითაა დაცული. ანაბეჭდის დიამეტრი თავურაზე დამაგრებული მიკროსკოპით (3) იზომება.



სურ. №85. ვიკერსის ხელსაწყოს სქემა:
1-შემოსაბრუნებელი თავურა,
2-ალმასის პირამიდა,
3-მიკროსკოპი,
4-ტვირთი,
5-საგნის მაგიდა,
6-მქნევარა,
7-გამშენები მექანიზმის კლავიში,
8-ნათურა.

დატვირთვის შერჩევა. დატვირთვის სიდიდე გამოსაკვლევი შრის სისქის მიხედვით შეირჩევა. ზოგადად შეიძლება ჩაითვალოს, რომ გამოცდის შედეგად მიღებული ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძე, უკიდურეს შემთხვევაში, 1,5-ჯერ ნაკლები უნდა იყოს შრის სისქეზე. ცხადია, რაც უფრო მცირეა გამოსაცდელი შრის სისქე, დატ

ვირთვა მით უფრო ნაკლები აიღება.

თუ გამოსაცდელი შრის სისქე (ცემენტირებული, კონდენსირებული და ა.შ) წინასწარ არ არის ცნობილი, რეკომენდებულია გაზომვები თავდაპირველად სხვა-დასხვა დატვირთვით (მაგალითად, 10; 20 და 30 კგ) ჩატარდეს. თუ მასალის ძირი-თადი მასა გაზომვის შედეგებზე გავლენას არ ახდენს, სისალის მნიშვნელობები თითქმის ერთნაირი მიიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა დატვირთვის შემ-ცირება დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობების მიღებამდე.


ვიკერსის მეთოდით გამოცდისას შემდეგი ტვირთები გამოიყენება: 5, 10, 20, 30, 50, 100 და 120 კგ. შერჩეული ტვირთი (4, სურ. №85) სათანადო დეროზე იკიდება.

ანაბეჭდის მიღება. სწორი და მკაფიო ანაბეჭდის მისაღებად სისალეზე გამო-საცდელი ზედაპირი უნდა იყოს სწორი, გლუვი და სუფთა. ამ მიზნით ნიმუში აბ-რაზიული ქვით ან ზუმფარის ქალალდით მუშავდება.

სათანადო სახელურის ქვედა კიდურა მდგომარეობამდე დაწევით, საკიდზე მოთავსებული ტვირთი მაღლა აიწევს და ხელსაწყო მუშა მდგომარეობაში ჩადგება. შემოსაბრუნებელი თავურა (1, სურ. 85) მარცხენა კიდურა მდგომარეობაში დგება. გამოსაცდელი ნიმუში საგნის მაგიდაზე (5) თავსდება. მქნევარას (6) საათის ისრის მიმართულებით შემობრუნებისას მაგიდა ზემოთ გადაადგილდება და ნიმუში გარ-საცმს მიებჯინება. გამშვები მექანიზმის კლავიშზე (7) ხელის დაჭერით იწყება დატვირთვის ციკლი, რომლის სანგრძლივობის რეგისტრაციას ნათურა (8) ახდენს.


ციკლის დამთავრების შემდეგ მაგიდას ქვემოთ დასწევენ და თავურას საწი-ნააღმდეგო მიმართულებით შემობრუნებით მიკროსკოპის ოპტიკურ დერმს ანაბეჭ-დის ცენტრს შეუთავსებენ. მაგიდის ვერტიკალურ სიბრტყეში გადაადგილდებით ანა-ბეჭდი ფოკუსში მოჰყავთ და მისი დიაგონალის სიგრძეს ორი ურთიერთმართობი მიმართულებით ზომავენ.

ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძის გაზომვა. ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძის გასაზომად მიკროსკოპი აღჭურვილია მიკრომეტრული ოკულარით (სურ. №86). ოკუ-ლარს აქვს დანაყოფებიანი სკალა, ორი ძირითადი და ერთი დამატებითი (პუნქტი-რიანი) შტრიხებით (სურ. №87 ა). გაზომვის წინ ძირითადი შტრიხები ანაბეჭდის დიაგონალთან შედარებით უფრო დიდ მანძილზე უნდა იყოს გაწეული (ბ). ოკულა-რის ხრახნის (1, სურ. №86) შემობრუნებით ანაბეჭდის დიაგონალის მარცხენა წერ-ტილს მარცხენა ძირითად შტრიხს უთავსებენ (გ, სურ. №86), ხოლო მარჯვენა შტრიხს – მიკრომეტრული ხრახნის (2, სურ. №87) შემობრუნებით - დიაგონალის



სურ. №86. ვიკერსის ხელსაწყოს მიკროსკოპის მიკრომეტრული ხრახნი.
 1-მარცხენა ძირითადი შტრიხის დასაყენებელი ხრახნი;
 2-მარჯვენა ძირითადი შტრიხის დასაყენებელი ხრახნი ლიმბით;
 3-დამატებითი შტრიხის დასაყენებელი ხრახნი.

ბოლო წერტილს (დ, სურ. №87).



სურ. №87. ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძის განსაზღვრის სქემა

ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძე აიღება ოკულარის სკალასა და მიკრომეტრულ ხრახნების დანაყოფების რიცხვით. 10^x გამადიდებლობის ობიექტივის გამოყენებისას სკალის ერთი დანაყოფი შეესაბამება 100 მიკრომეტრს ($0,1\text{მმ}$), ხოლო მარჯვენა მიკრომეტრული ხრახნის ლიმბაზე – ერთ მიკრონს ($0,001\text{მმ}$). მაგალითად, თუ მარჯვენა ძირითადი შტრიხი სკალის (2) და (3) დანაყოფებს შორის მდებარეობს (სურ. №87 დ), ხოლო ლიმბაზე დანაყოფების რიცხვი 15-ს შეადგენს, ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძე $0,215\text{მმ}$ -ის ტოლი იქნება.

ვიკერსის ხერხით გაზომილი სისალე HV ასოებით აღინიშნება (ინდექსად ხშირად დატვირთვის სიდიდის აღმნიშვნელი რიცხვი იწერება). სისალე განისაზღვრება, როგორც ანაბეჭდის ერთეულზე მოსული დატვირთვა:

$$HV = \frac{2P \sin \frac{\alpha}{2}}{d^2} = 1,854 \frac{P}{d^2} \delta \partial / \partial \delta^2$$


სადაც P არის დატვირთვა, კგ;

α - პირამიდის მოპირდაპირე წახნაგებს შორის კუთხე, 136^0 ;

d - ანაბეჭდის ორი დიაგონალის სიგრძის საშუალო არითმეტიკული, მმ.

ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძით სისალის განსაზღვრისათვის შეიძლება სპეციალური ცხრილების გამოყენებაც.

მიკრომეტრული ოკულარის დამატებითი შტრიხი სერიული გამოცდების დროს გამოიყენება. დაგუშვათ, დეტალების გარკვეული სერიისთვის დასაშეგბი სისალე 300-დან 350 HV-მდე ინტერვალში მდებარეობს, რასაც 10 კგ დატვირთვის დროს 240-230 მიკრომეტრი დიამეტრის ანაბეჭდი შეესაბამება. მარჯვენა ძირითად



სურ. №88. ანაბეჭდის დიამეტრის განსაზღვრა დამატებითი შტრიხის გამოყენებით.

და დამატებით შტრიხებს დიაგონალის დასაშვები ზღვრების შესაბამისად აყენებენ (სურ. №88) და ამოწმებენ, თავსდება თუ არა მიღებული ანაბეჭდის დიაგონალი ამ ზღვრებში.

ამა თუ იმ ხერხით გაზომილი სისალის ურთიერთშედარებისათვის სთანადო გადამყვანი ცხრილით სარგებლობენ, სადაც სხვადასხვა მეორედით გაზომილი სისალის მნიშვნელობებს შორის დამოკიდებულებაა მოცემული.

ხელსაწყოს შემოწმება. სიზუსტეზე ხელსაწყოს შემოწმება საკონტროლო სტანდარტული ფილების საშუალებით ხდება. ხელსაწყოს ჩვენება ფილაზე მითითებული სისალის ზღვრებში უნდა მოთავსდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზომვის შედეგებში საჭიროა სათანადო შესწორების შეტანა.

მიკროსისალის კონტროლი

მიკროსისალის განსაზღვრა მასალის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია.

მაკროსისალის განსაზღვრის დროს დეფორმირებული შრის მოცულობა ბევრად აღემატება ლითონის მარცვლების მოცულობას, ამიტომ, კონტროლის ამ მეორედებით, ფაქტიურად, ლითონის „გასაშუალოებული“ სისალის მნიშვნელობები აიღება. ლითონებისა და შენადნობების მრავალი თავისებურების გამომჟღვანებისათვის აუცილებელია არა მარტო „გასაშუალებული“, არამედ სტრუქტურის ცალკეული ფაზებისა და სტრუქტურული შემდგენების სისალის ცოდნაც. ამ ამოცანის გადაწყვეტა მიკროსისალის გაზომვის მეთოდის გამოყენებით ხდება.


მიკროსისალის განსაზღვრის დროს ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძე იმდენად მცირე მიიღება, რომ შესაძლებელია ცალკეული მარცვლის სისალის განსაზღვრა. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება, აგრეთვე, მეტად წვრილი ნაკეთობის ხარისხის შესამოწმებლად (მაგალითად, მაჯის სათის დეტალები), თხელი ნახევარფაბრიკატების (ლენტი, კილიტა, მავთული), გალვანური ფირების, ორთქლის ფაზიდან კონდენსირებული მასალების, მყიფე არალითონური მასალების (აბრაზივი, მინერალი, მინა) სისალის განსაზღვრისათვის.

მიკროსისალე გამოსაცდელ ნაკეთობაში ალმასის პირამიდის ჩაწერით განისაზღვრება. №89 სურათზე მოცემულია მიკროსისალეზე გამოსაცდელი ПМТ-3 ტი-

პის ხელსაწყოს საერთო ხედი. ხელსაწყოს შტატივზე დამაგრებულია მიკროსკოპი (1), რომლის გადაადგილება ვერტიკალურ სიბრტყეში მაკრომეტრული (2) და მიკრომეტრული (3) ხრახნების საშუალებით ხდება. ტუბუსის ზედა ნაწილში ჩასმულია ოკულარული მიკრომეტრი (4), ხოლო ქვედა ნაწილში – ობიექტივი (5). ტუბუსზე დამაგრებულია დასატვირთი მექანიზმი (6) ალმასის პირამიდით (7), რომლის მოპირდაპირე წახნაგებს შორის კუთხეა 136° .

ანაბეჭდის მისაღებად ხელსაწყო აღჭურვილია მრგვალი ფორმის ტვირთების კომპლექტით, რომელთა წონა 1, 2, 5, 10, 20, 50, 100, 200 და 500 გრამს შეადგენს. ტვირთი (8) დასატვირთი მექანიზმის ჭოკზე თავსდება.

გამოსაცდელი ნიმუში (9) საგნის მაგიდაზე (10) სათანადო მიმჯერი თათებით ან პლასტილინით მაგრდება. ხრახნების (11) საშუალებით შესაძლებელია მაგიდის ზედა ნაწილის გადაადგილება ჰორიზონტალურ სიბრტყეში ურთიერთმართობი მიმართულებით, ხოლო სახელურით (12) - 180° -ით მაგიდის შემობრუნება ვერტიკალური ღერძის გარშემო. გამოსაკვლევი ნიმუშის ფოკუსირება მაკრო (2) და მიკროხრახნების (3) საშუალებით ხდება. ნიმუში ილუმინატორში ჩაყენებული ნათურის საშუალებით ნათდება.




სურ. №89. ПМТ-3 ტიპის ხელსაწყოს საერთო ხედი:

1-მიკროსკოპი, 2-მაკრომეტრული ხრახნი, 3-მიკრომეტრული ხრახნი, 4-ოკულარული მიკრომეტრი, 5-ობიექტივი, 6-დასატვირთი მექანიზმი, 7-ალმასის პირამიდა, 8-ტვირთი, 9-ნიმუში, 10-საგნის მაგიდა, 11-მაგიდის გადასაადგილებელი ხრახნები, 12-მაგიდის შემოსაბრუნებელი სახელური, 13-ოკულარის ჩამოსაცმელი კორპუსი.

თუ კვლევის მიზანს შენადნობის ცალკეული სტრუქტურული შემდგენების სისალის განსაზღვრა წარმოადგენს, საჭიროა მიკროხეხის წინასწარ მომზადება და რეაქტივით დამუშავება, მეტალოგრაფიაში ცნობილი მეთოდებით.

ანაბეჭდის მიღება. გაზომვების დაწყებამდე ოკულარ-მიკრომეტრის ლიმბს (1, სურ. №90) ნულოვან დანაყოფზე ასწორებენ. ამ მდებარეობაში ოკულარ-მიკრომეტრის ორმაგი შტრიხი (2) უძრავი სკალის (3) მე-4 დანაყოფს შეუთავსდება, ხოლო დიაგონალების გადაკვეთის წერტილი მხედველობის არის ცენტრში აღმოჩნდება.




სურ. №90. სრახნული ოკულარ-მიკრომეტრი.
1-ლიმბი, 2-ორმაგი შტრიხი, 3-უძრავი სკალა.

საგნის მაგიდაზე დამაგრებულ ნიმუშს ფოკუსში აყენებენ და კვლევისათვის საინტერესო მიკროუბანს (მაგალითად, ლითონის მარცვალს) მაგიდის გადაადგილებით ოკულარ-მიკრომეტრის დიაგონალების გადაკვეთის წერტილს უთავსებენ (სურ. №91, а). წინასწარ შერჩეული ტვირთი საკიდზე თავსდება. საგნის მაგიდის მარცხენა კიდურა მდგომარეობამდე (180^0 -ით)

შემობრუნებით სისალის გამოსაცდელად შერჩეული მიკროუბანი აღმასის პირა-მიდის ცენტრის ქვეშ მოექცევა. დასატვირთი მექანიზმის სახელურის თანაბარი, მდორე შემობრუნებით სათანადო დატვირთვა ვითარდება.

10-15 წამის შემდეგ დატვირთვა მოიხსენება და საგნის მაგიდა საწყის მდებარეობას უბრუნდება. თუ ხელსაწყო სწორად არის ცენტრირებული, ანაბეჭდი ოკულარ-მიკრომეტრის დიაგონალების გადაკვეთის წერტილში ან მის უშუალო მახლობლობაში მიიღება (სურ. №91 ბ).



სურ. №91. ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძის განსაზღვრის სქემა.

ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძის გაზომვა და სისალის განსაზღვრა. ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძის განსაზღვრა, უმეტეს შემთხვევაში, შემდეგი თანმიმ-

დევრობით ხდება: ხრახნების (11) (სურ. №89) შემობრუნებით საგნის მაგიდას ისეთ-ნაირად გადაადგილებენ, რომ ანაბეჭდის მარჯვენა წერტილი დიაგონალების გადაკ-ვეთის წერტილს შეუთავსდეს (სურ. №91, გ). ამის შემდეგ, ოკულარ-მიკრომეტრის ლიმბის დოლს შემოაბრუნებენ და დიაგონალების გადაკვეთის წერტილს ანაბეჭ-დის მარცხენა წერტილს შეუთავსებენ. ბუნებრივია, გადაადგილდება ორმაგი შტრი-ხიც და იგი უძრავი სკალის რაღაც დანაყოფებს შორის აღმოჩნდება (დ). ანათვა-ლი ოკულარ-მიკრომეტრის უძრავი სკალიდან აიღება და მას ლიმბის დანაყოფების რიცხვი ემატება. უძრავი სკალის დანაყოფის ფასი 100 მიკრომეტრს შეადგენს, ხო-ლო ლიმბის დოლისა – 1 მიკრომეტრს. ამგვარად, №91 დ ნახაზზე წარმოდგენილი ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძე, ოკულარ-მიკრომეტრის დანაყოფებში ტოლი იქნება 165 ერთეულისა.

მოქმედი სტანდარტის თანახმად, ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძე ორი ურთი-ერთმართობი მიმართულებით უნდა განისაზღვროს და მათი საშუალო არითმეტი-კული გამოითვალოს. ამ მიზნით, პორიზონტალური დიაგონალის სიგრძის გაზომ-ვის შემდეგ, ოკულარ-მიკრომეტრს 90⁰-ით შემოაბრუნებენ, გაზომვას იმეორებენ და ანგარიშობენ დიაგონალების სიგრძეთა საშუალო მნიშვნელობას ზ.

ოკულარ-მიკრომეტრის დანაყოფებში გამოსახული ანაბეჭდის დიაგონალის სიგრძე მიკრომეტრებში შემდეგი ფორმულის საშუალებით გადაჰყავთ:

$$d = \bar{z} q,$$

სადაც $q=0,31$.

ზემოთ განხილულ მაგალითში დიაგონალის სიგრძე

$$d = 165 \times 0,31 = 51,15 \text{ მმ.}$$

სისალე H განისაზღვრება ფორმულით:

$$H = 1,854 \frac{p}{\bar{d}^2} \text{ კმ/მმ}^2 \quad (\text{ან } H = 1,854 \frac{p}{\bar{d}^2} \times 9,8 \text{ მგკა}),$$

სადაც P არის დატვირთვა, კბ;

\bar{d} - ანაბეჭდის ორი დიაგონალის სიგრძის საშუალო არითმეტიკული, მმ.


თუ დატვირთვა p გამოისახება გრამებში, დიაგონალის სიგრძე d – მიკრო-მეტრებში, მაშინ, სისალის გამოსათვლელი ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$H = 1854 \frac{p}{\bar{d}^2} \text{ კმ/მმ}^2 \quad (\text{ან } H = 1854 \frac{p}{\bar{d}^2} \times 9,8 \text{ მგკა}).$$

სისალის განსაზღვრისათვის, პრაქტიკაში, სტანდარტული ცხრილებითაც სარგებლობენ, რომლებიც შედგენილია 5, 10, 20, 50, 100, 200 და 500 გრამი და-ტვირთვებისათვის, დიაგონალის სიგრძეზე დამოკიდებულებით.


გაზომვების ცდომილება. მიკროსისალის განსაზღვრის დროს დაშვებულ ცდომილებას, ძირითადად, ანაბეჭდის დიაგონალის გაზომვის სიზუსტე განაპირობებს. ცდომილების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ოკულარ-მიკრომეტრის დიაგონალებისა და სკალის არასაკმარისი სიმკვეთრე, რაც ოკულარის ფრონტალური ლინზის შემობრუნებით გამოსწორდება. დიაგონალის სიგრძის მაღალი სიზუსტით გაზომვას უზრუნველყოფს, აგრეთვე, ნიმუშის მკვეთრი, თანაბარი განათება და გამოსახულების გაზრდილი კონტრასტულობა, რაც დიაფრაგმირებითა და შუქფილტრების სწორი შერჩევით მიიღწევა.

ჯამური ცდომილების ერთ-ერთი შემდგენია ოკულარ-მიკრომეტრის ხრახნების უქმი სვლა. მისი გამორიცხვის მიზნით გაზომვების ყველა სერია რეკომენდებულია დიაგონალების ერთი და იგივე მიმართულებით გადაადგილებისას ჩატარდეს, როგორც წესი, სკალის დიდი დანაყოფებიდან მცირე დანაყოფებისაკენ (მარჯვნიდან მარცხნივ).



სურ. №92. ПМТ-3 ტიპის
მიკროსისალის მზომი სელსაწყო
ფოტომოწყობილობით
1-ოკულარი, 2-ფოტოპარამეტრი.

ფოტოგადაღება. ПМТ-3 ტიპის სისალის საზომ ხელსაწყოზე შესაძლებელია გამოსაკვლევი ობიექტისა და ანაბეჭდის ფოტოგადაღება. ფოტოგადაღებისთვის ოკულარის ჩამოსაცმელი კორპუსის (13, სურ. №89) ნაცვლად მიკროსკოპის ტუბუსში ფოტომოწყობილობა მაგრდება (სურ. №92). ფოტომოწყობილობა აღჭურვილია ფოტოკამერით (2) და ვიზუალური ტუბუსით, რომელ-



სურ. №93. მიკროსისალის ანაბეჭდი.


შიც ჩადგმულია ოკულარი (1). ფოტოგადაღებისათვის გამოიყენება 7^X , 10^X ან 15^X გამადიდებლობის სტანდარტული ოკულარები. ანაბეჭდისა და მიკროსტრუქტურის ფოტოგადაღება ჩვეულებრივი მეთოდით ხორციელდება, ფოტოფირფიტის ან ციფრული ფოტოაპარატის გამოყენებით. №93 სურათზე წარმოდგენილია ალმასის პირამიდის ანაბეჭდები კონდენსირებული ნიკელის ფირზე.

VIII თავი. ლიტოგრაფის ხარისხის პონტოლის ზოზიპური მეთოდები

ლიტონების დიაგნოსტიკის ფიზიკური მეთოდები მზა დეტალის ზედაპირზე ან მის მოცულობაში არსებული მაკროსკოპული ზომის სხვადასხვა დაფექტის აღმოჩენის საშუალებას იძლევა. აღნიშნულ დაფექტებს მიეკუთვნება: ფორები, ნიჟარები, ჩაჯდომის სიცარიელეები, ბზარები, ნაკერის უკმარშენადული ადგილები, განშრევების უბნები და არალითონური ჩანართები. დაფექტოსკოპიის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ისინი კონტროლის არამრღვევ მეთოდებს მიეკუთვნება, რადგან პროცესი ხორციელდება არა ნიმუშებზე, არამედ მზა დეტალებზე.

1. რენტგენული დაფექტოსკოპია

რენტგენული დაფექტოსკოპიის მეთოდი ნივთიერებაში გამავალი რენტგენის სხივების შესუსტების ხარისხზე დაფუძნებული.



სურ. №94. გაჭვირვის გზით ფოტოგრაფიულ
ფირზე ნაკეთობის პროექციის მიღების სქემა:
1-რენტგენის მიღაერი, 2-კვლევის ობიექტი,
3-ფოტოგრაფიული ფირი.

მიღაერან (1, სურ. №94) გამოსხივებული რენტგენის სხივები გაჭოლავს გამოსაკვლევ ობიექტს (2) და ფოტოგრაფიულ (რენტგენის) ფირზე ხდება. რადგან სხივები ობიექტის სხვადასხვა სისქისა და სიმკვრივის უბანში გადის, ისინი სხვადასხვა ხარისხით განიცდიან შესუსტებას. ამიტომ, ფირის ფოტოგრაფიული აზე რენტგენის სხივების ზემოქმედების ინტენსიურობა სხვადასხვა იქნება. აქვთ დანართის გამომდინარე, ფოტოგრაფიულად დამუშავების შემდეგ, რენტგენის ფირის გაშავების ხარისხი სხვადასხვა უბანზე განსხვავებული აღმოჩნდება. აქეთ გასათვალისწინებელია, რომ რენტგენის სხივების გაჭოლვის უნარი იზრდება, დ. მენდელეევის პერიოდულ სისტემაში ელემენტის რიგითი ნომრის შემცირებასთან და გამოსხივების სიხისტის ზრდასთან ერთად.

ამგვარად, კვლევის ობიექტის იმ უბნებში გავლისას, სადაც სიცარიელე, ბზარი, ნიჟარა ან ფორები არსებობს, რენტგენის სხივები ნაკლები ხარისხით შესუსტდება, რადგან აღნიშნული დაფექტები, პრაქტიკულად, არ შთანთქავს სხივებს და მასალის სისქე დაფექტის არსებობის ადგილებში, სხვა უბნებთან შედარებით,

უფრო მცირე აღმოჩნდება. ამიტომ, რენტგენის ფირზე ასეთი დეფექტები მუქი ლაქების გამოჩენით გამოვლინდება.

რენტგენით გაშუქებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ფართოდ გამოიყენება როგორც ინდივიდუალურ, ისე მასობრივ წარმოებაში დეტალებისა და მეტალურგიული ნახევარფაბრიკარების (სხმული, ნატვიფრი, შენადული შეერთებები) კონტროლისათვის.

2. გამა-დეფექტოსკოპია

დიდი სისქის ნაკეთობის კონტროლისათვის უ-სხივებით გაშუქების მეთოდი გამოიყენება. გამა-დეფექტოსკოპია საშუალებას იძლევა დეფექტები 300მმ-მდე სისქის ფოლადის ნაკეთობაში გამომჟღავნდეს.

თავისი ბუნებით უ-სხივები რენტგენის სხივების მსგავსია, მაგრამ, მისგან უფრო მაღალი სიხისტით გამოირჩევა. უ-სხივების წყაროს რადიოაქტიული ოზოტოპები წარმოადგენენ. უ-დეფექტოსკოპიაში ძირითადად კობალტის ^{60}Co და ირიდიუმის ^{192}Ir ხელოვნური რადიოაქტიური ოზოტოპები გამოიყენება, რომელთა გამოხივების ხანგრძლივობა შესაბამისად 5,3 წელს და 75 დღეს შეადგენს. ^{60}Co -ის გამოყენების შემთხვევაში ფოლადის ნაკეთობის ზღვრული სისქე 250-300, ხოლო ^{192}Ir -ის გამოყენების შემთხვევაში – 50-60 მილიმეტრია. ეს უკანასკნელი უფრო მაღალი მგრძნობიარობით გამოირჩევა ^{60}Co -თან შედარებით, რაც გამოხივების უფრო დაბალ სიხისტესთან არის დაკავშირებული.

უ-სხივებით დეფექტების გამოსამჟღავნებლად გამოხივების წყაროს დეტალის წინ ათავსებენ, ხოლო დეტალის უკან – მარეგისტრირებელ მოწყობილობას. დეტალში გავლილი უ-სხივების ინტენსიურობის ცვლილება ინდიკატორით რეგისტრირდება. ლითონის მთლიანობის დარღვევის ადგილებში სხივის ინტენსივობა ნაკლებად სუსტდება, რაც დეფექტის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.


უ-სხივებით გაშუქება არ მოითხოვს ისეთი დიდი ზომის აპარატურას, როგორიც რენტგენული დეფექტოსკოპისთვის არის აუცილებელი. უ-სხივებით გაშუქება დეტალის ძნელად მისადგომ ადგილებში შეიძლება განხორციელდეს, სადაც რენტგენის სხივებით კვლევა შეუძლებელი ან გაძნელებულია.

3. მაგნიტური დეფექტოსკოპია

მაგნიტური დეფექტოსკოპია ფერომაგნიტური მასალებისგან დამზადებული დეტალების არამრღვევი კონტროლის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს. იგი სხვა-

დასხვა ისეთი გვარის დეფექტების გამომუდავნების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც არღვევენ მასალის მთლიანობას (წვრილი პზარები, ნიჟარები, ბეჭვბზარები და ა.შ). დეფექტების გამოსამუდავნებლად სპეციალური ხელსაწყო, მაგნიტური დეფექტოსკოპი გამოიყენება. დეფექტების აღმოსაჩენად მაგნიტურ ფხვნილებს ან მაგნიტურ სუსპენზიას იყენებენ. მაგნიტურ ფხვნილს რკინისგან, ფერომაგნიტური მაგნეტიტისა (Fe_3O_4) ან რკინის ჟანგისგან (Fe_2O_3) ამზადებენ. სუსპენზიის მისაღებად ფერომაგნიტურ ფხვნილს ზეთში, ნავთში ან სხვა სითხეში ურევენ.

გამოსაკვლევ დეტალს მაგნიტურ დეფექტოსკოპში ამაგნიტებენ. დეფექტურ უბნებში მაგნიტური ნაკადი დეფექტის ზედაპირზე გამოდის და ყალიბდება გაბნევის მაგნიტური ველი, რომელიც დეფექტის კიდეებთან მაგნიტურ პოლუსებს წარმოქმნის (სურ. №95). ზედაპირზე მაგნიტური ფხვნილის არსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი პოლარობა დეფექტის კონტურზე ფხვნილის ინტენსიურ დაფენას გამოიწვევს.



სურ. №95. მაგნიტური ველის გავრცელება და მაგნიტური პოლუსების წარმოქმნა დეფექტების საზღვრებში.

ამგვარად, დამაგნიტების შემდეგ გასაკონტროლებელ დეტალს მაგნიტური ფხვნილით (მშრალი მეთოდი) ან მაგნიტური სუსპენზიით (სველი მეთოდი) ფარავენ. ფხვნილის ნაწილაკები, რომლებიც მაგნიტური გაბნევის ზონაში მოხვდება, მაგნიტური ძალების ზემოქმედებით დეფექტის საზღვრებში მიიზიდება და მის კონტურს შემოხავას. შედაგად, მანამადე უთვალადო, შენიდბული დეფექტი კარგად შესამჩნევი ხდება. კონტროლის დამთავრების შემდეგ დეტალს განამაგნიტებენ.

4. გრიგალური დენის მეთოდი

შიგა დეფექტების გამომუდავნება გრიგალური დენის გამოყენებითაც არის შესაძლებელი. მეთოდს ელექტრომაგნიტური ინდუქცია უდევს საფუძვლად.

თუ ინდუქციურ კოჭას, რომელშიც ცვლადი დენი გადის, ლითონურ სხეულს მიუახლოვებთ, ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებით მასში გრიგალური დენი აღიძვრება. გრიგალური დენის სიდიდე და მისი შეღწევადობის სიდრო, კოჭას ცვლადი მაგნიტური ველის სიხშირეზე დამოკიდებულებით იცვლება. გრიგალური დენის სიდიდის განსაზღვრა სპეციალური გამზომი კოჭის გამოყენებით არის შესაძლებელი.

მეთოდი სუფთა ლითონებისა და შენადნობებისაგან დამზადებულ პროდუქტიაში ზედაპირული და მასთან მიმდებარე ქვეშრეში არსებული დეფექტების გა-

მოსამჟღავნებლად გამოიყენება. დეტალის ფორმა მარტივი (მილი, პროფილი, ძელაკი, ზოლი) უნდა იყოს, თანაბარი განივჯვთის მქონე, არ უნდა ხასიათდებოდეს უხეში სტრუქტურული არაერთგვაროვნებით.

გარდა ამისა, მეოთხი ელექტროგამტარობის უკონტაქტო განსაზღვრისა და
ამ პარამეტრის ცვლილების მიხედვით, ზედაპირული ან კრისტალთშორისი კორო-
ზიით დაზინებული ზონების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა; აფიქსირებს
ძაბვის ქვეშ კოროზიის შედეგად ბზარწარმოქმნის ფაქტს; ალუმინის შენადნობების
ნახევარფაბრიკატებში აკონტროლებს გადახურების ფაქტს (გადახურება გამოუს-
წორებელი წუნია, რომელიც შეიძლება ალუმინის ზოგიერთ შენადნობში წრობის
წინ გახურების პროცესში განვითარდეს); გაიზომოს ფურცლის, ფოლგის, დანაფა-
რის და ა.შ. სისქე.


გრიგალური დენის მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოყენებით შესაძლებელია დეფექტების გამომჟღავნება არამაგნიტურ მასალებში (ალუმინუმი, მაგნიუმში, სპილენზი და ა.შ).

5. ლუმინესცენტული მეთოდი

ლუმინესცენტული მეთოდი მხოლოდ ღია, ზედაპირული დეფექტების (მაგალითად, წვრილი ბზარების) გამომჯდავნების შესაძლებლობას იძლევა. მაგნიტურ მეთოდთან შედარებით, რომლის საშუალებითაც მხოლოდ ფერომაგნიტური მასალების კონტროლია შესაძლებელი, ლუმინესცენტული მეთოდი ნებისმიერი, როგორც ლითონური (მაგნიტური და არამაგნიტური), ისე არალითონური მასალების (მაგალითად, პლასტმასის) კონტროლისათვის გამოიყენება.

ლუმინესცენტული მეთოდით კონტროლი შემდეგი თანმიმდევრობით ხორცი-ელდება: დეტალის ზედაპირს ჭუჭყისგან გულდასმით ასუფთავებენ, შემდეგ კი ჩატვირთავენ აბაზანაში, რომელშიც ფლუორესცენტული სითხეა ჩასხმული (ტრანსფორმატორის ზეთის, ნავთის და სპეციალური, მომწვანო-ოქროსფერი ფხვნილის ნარევი). გამოსაკვლევ დეტალს აბაზანაში 10-15 წუთს აყოვნებენ. ხსნარი არა მარტო ასველებს დეტალს, არამედ მიკროსკოპულ ბზარებშიც შეიუონება. შემდეგ დეტალის ზედაპირს ჩამორეცხავენ, ჰაერზე აშრობენ და დაფექტების უფრო მკვეთრად გამომუდავნების მიზნით, მაღალი შთანთქმის უნარის მქონე ფხვნილს აყრიან (მაგნიუმის ჟანგის წვრილად დაქუცმაცებული ფხვნილის ნარევს ნახშირმჟავა მაგნიუმთან). ფხვნილი დაფექტების სიღრუიდან სითხეს შეიწოვს, სველდება და დეტალის ზედაპირს ეკვრის. ჭარბ ფხვნილს ჰაერის შებერვით აცილებენ. ასეთნაირად დამუშავებული დეტალის ზედაპირს, სიბნელეში, სპეციალური აპარატის გამოყენებ-

ბით ულტრაიისფერი სხივებით აშუქებენ (სურ. №96). ულტრაიისფერი გამოსხივების წყაროდან სხივები (2) ფილტრის (3) გავლით (ფილტრი ხილული სინათლის სხივებს აკავებს) ეცემა გამოსაკვლევი დეტალის ზედაპირს. ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ფლუორესცენტული სითხე იწყებს მომწვანო შეფერილობის ნათებას, რაც დეფექტის კონტურებს ამჟღავნებს.



სურ. №96. ზედაპირული დეფექტების აღმოჩენის ლუმინოსცენტული მეთოდის სქემა:

- 1-რეცლექტორი, 2-კვარცის სინდიუმიანი ნათურა,
- 3-შუქილტრი, 4-ულტრაიისფერი სხივები,
- 5-დეფექტის სიცარიელეში არსებული ნივთიერების ლუმინესცენციის ნაკადი, 6-ნაკეთობა,
- 7-ზედაპირული დეფექტები.

6. შეფერადების (საღებავების) მეთოდი

ეს მეთოდი წვრილი დეფექტების გამოსამჟღავნებლად გამოიყენება და საინდიკატორო სითხეების საშუალებით ხორციელდება. საინდიკატორო სითხე ჭუჭყისა და ცხიმისაგან გულდასმით გასუფთავებულ საკონტროლო დეტალის ზედაპირზე დაიტანება. გაჟღენოს შემდეგ სითხეს ზედაპირიდან აცილებენ და მასზე თეთრი გამოსამჟღავნებელი საღებავი დააჭვთ. დატანილი საღებავი დეფექტების ღრმულებიდან საინდიკატორო სითხეს ამოიწოვს. ამასთან, სითხე რამდენადმე გაინთხევა დეფექტის უბნებში და მისი ფერის ტონის მიხედვით დეფექტების შეუიარაღებელი თვალით გამომჟღავნების შესაძლებლობას იძლევა.

შეფერადების მეთოდისათვის არაერთი საინდიკატორო სითხე გამოიყენება. მაგალითად, 80% ნავთი, 20% სკიპიდარი სპეციალური საღებავის (სურანი IV) დანამატებით (15 გრამი 1 ლიტრ სითხეზე, წყალი – 0,6 ლიტრი. წითელი დანაფარი). გამოსამჟღავნებელ საღებავად შემდეგ შემადგენლობას იყენებენ: 0,4 ლიტრი სპირტი, 300 გრამი ცარცი, 1 ლიტრი სითხე (თეთრი დანაფარი).

7. ულტრაბგერითი მეთოდი


შიგა წვრილი დეფექტების (ზომით 1-2მ-დე) გამოსამჟღავნებლად ულტრაბგერა გამოიყენება, რომლის რხევის სიხშირე წამში 20000 ჰერცს აღემატება. ამასთანავე, რაც უფრო მეტია სიხშირე, მით უფრო მცირეა ბგერის ტალღის სიგრძე და მით უფრო მცირე ზომის დეფექტის აღმოჩენაა შესაძლებელი.

ულტრაბგერითი დეფექტოსკოპია დაფუძნებულია ბგერის ტალღის უნარზე, აირეკლოს შემხვედრი დაბრკოლებიდან. რაც უფრო მცირება დეტალის მოცულობაში არსებული დეფექტის ზომები, მის აღმოსაჩენად მით უფრო მცირე სიგრძის ულტრაბგერის გამოყენებაა საჭირო.

ხელსაწყოს, რომლის საშუალებითაც მასალის შიგა დეფექტებს აღმოაჩენენ, ულტრაბგერითი დეფექტოსკოპი ეწოდება. იგი ელექტრულ ენერგიას აკუსტიკურ, ულტრაბგერით ტალღებად გარდაქმნის. გარდამქმნელები დამზადებულია კვარცის, სეგნეტის მარილის, ფიროვანი ნახევრადგამტარების და სხვა, ე.წ. პიეზოელექტრული მასალებისგან.

თუ კვარცის ფირფიტას ლითონის ორ ფირფიტას შორის მოვათავსებთ, რომლებიც ცვლადი დენის გამანათებელ ქსელთან იქნება შეერთებული, ელექტრული განმუხტვების ზემოქმედების შედეგად, კვარცის მინა განმუხტვების ტაქტის შესაბამისად შეკუმშვას და გაფართოებას დაიწყებს.

გასაკონტროლებელ ნაკეთობასთან გარდამქმნელის უშუალი კონტაქტის შემთხვევაში ულტრაბგერითი ტალღები დეტალის მთელ განივავეთში გავრცელდება, დეტალის მოცულობაში დეფექტის (ბზარის, ნიჟარის და ა.შ) არსებობის შემთხვევაში კი ულტრაბგერითი ტალღების ნორმალური გავრცელების ხასიათი ირდვევა. ტალღების ნაწილი დეფექტებიდან აირეკლება და კვლავ ნაკეთობის ზედაპირზე ბრუნდება, ანუ ულტრაბგერითი ეხო წარმოიქმნება. როდესაც კვარცის ფირფიტა ეხოს იჭერს, ლითონის ფირფიტებში ცვლადი ელექტრული მუხტი აღიგზნება. შესაძლებელია ამ მუხტის გაძლიერება და ელექტრული ხელსაწყოთი მისი გაზომვა. დეფექტის მდებარეობის სიღრმის განსაზღვრისათვის საკონტროლო დეტალში ულტრაბგერა არა უწყვეტად, არამედ პერიოდულად, დიდი შუალედებით იგზავნება. დეფექტის მდებარეობის სიღრმეს ულტრაბგერის გაგზავნასა და მისი უკან დაბრუნებას (ულტრაბგერითი ეხო) შორის დროის შუალედებით განსაზღვრავენ. დროის ამ შუალედის დადგენისათვის ელექტრონულ-სხივურ მილაკს იყენებენ. იმ მომენტში, როდესაც საკვლევი დეტალის ზედაპირზე ულტრაბგერის ტალღა იგზავნება, მილაკის ეკრანზე პიკი (ამოვარდნა) (1) (სურ. №97) ფიქსირდება. ამასთანავე,



სურ. №97. ულტრაბგერითი დეფექტოსკოპი
და სურათი, რომელიც მის ეკრანზე აისახება
შიგა დეფექტების მქონე დეტალის გაშიკებისას.

ელექტრონული სხივი მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობს და ეკრანზე პორიზონტალურ წრფეს ხაზავს. როდესაც ხელსაწყოსთან კონტაქტში მყოფი დეტალის ზე-დაპირზე დეფექტიდან უკუარებელილი ულტრაბგერის ტალღა ბრუნდება, კრანზე 1 პიკის მარჯვნივ პიკი (2) აისახება. და ბოლოს, დეტალის მირიდან (ფსკურიდან) არეკვლილი ულტრაბგერის დაბრუნებისას, ეკრანის მარჯვენა მხარეს პიკი (3) ჩნდება. ნაკეთობაში დეფექტის განლაგების ადგილს მე-2 პიკამდე მანძილის გაზომვით ადგენებს.

ულტრაბგერითი დეფექტოსკოპია უპირატესად დიდი განივავეთის მქონე დეტალებსა და ნახევარფაბრიკატებში დეფექტების გამოსავლენად გამოიყენება. ამ მე-თოდით შესაძლებელია ისეთი ტიპის დეფექტების დადგენა, რის საშუალებასაც მაგნიტური, ლუმინესცენტული, ზოგჯერ კი რენტგენული მეთოდები არ იძლევა.

Л 0 Ф Ә Р Ә Ф Ә Р Ә

1. И.В. Фиргер. Термическая обработка сплавов. Справочник. Л., «Машиностроение», 1982, с.302.
2. Термическая обработка в машиностроении. Справочник. Под редакцией д-ра техн. наук, проф. Ю.М. Лахтина и д-ра техн. наук, проф. А.Г. Рахштадта. М., «Машиностроение», 1980, с. 783.
3. Я. Йех. Термическая обработка стали. Справочник. М., «Металлургия», 1979, с. 215.
4. Ә. Әжрәмбәев, Ә. Әкимжанов. Әсәләтмәңдүрбөйө. әбделесе, „Түзбәкүрә“ үбізгерсінде, 2008, ғз. 262.
5. И.С. Каменичный. Краткий справочник технолога-термиста. М., «Машгиз», 1963, с. 285.
6. М.Е. Блантер. Металловедение и термическая обработка. М., «Машгиз», 1963, с.416.
7. А.И. Самохинский. Технология термической обработки металлов. М., «Машгиз», 1962, с.427.
8. Ю.А. Барабаш, Б.К. Ушаков, А.Г. Секей. Технология термической обработки стали. М., «Металлургия», 1986, с. 424

წინასიტყვაობა	3
I თავი. ლითონის კონსტრუქციული სიმტკიცე	4
1. საკონსტრუქციო მასალების ზოგადი მახასიათებლები	4
2. ლითონის კონსტრუქციული სიმტკიცის მახასიათებლები	6
3. შენადნობის ფაზური შედგენილობის გავლენა კონსტრუქციულ სიმტკიცეზე	14
4. საკონსტრუქციო მახასიათებლების ამაღლების მეთოდები	17
II თავი. გარემოს გავლენა საკონსტრუქციო მასალის თვისებებზე	22
1. მაღალი ტემპერატურები	22
2. დაბალი ტემპერატურები	23
3. კოროზიულად აქტიური არეები	26
4. წყალბადის, წყლისა და წყლის ორთქლის გარემო	30
5. რადიაციული დასხივება	33
6. მაღალი წნევა და ღრმა ვაკუუმი	38
7. შეჯახება მყარ ნაწილაკებთან	41
8. კონტაქტი თხევად ლითონებთან	41
9. ელექტრული და მაგნიტური ველი	44
III თავი. თერმული და ქიმიურ-თერმული დამუშავების გავლენა ნაკეთობის თვისებებზე	46
1. ფოლადის თერმული დამუშავების სახეების მიმოხილვა	46
2. ფოლადის ქიმიურ-თერმული დამუშავება	57
IV თავი. თერმულად დამუშავებული ნაკეთობის დეფექტები და მათი წარმოშობის მიზეზები	62
1. წუნის სახეები თერმულად დამუშავებულ ნაკეთობაში	63
2. თერმულად დამუშავებულ ნაკეთობაში დეფექტების წარმოქმნის წყაროები	64
V თავი. თერმულად დამუშავებული ნაკეთობის ხარისხის კონტროლი . . .	83
1. ზოგადი მიმოხილვა	83
2. დეტალების ხარისხის კონტროლი თერმული დამუშავების შემდეგ	85
3. ინსტრუმენტის კონტროლი თერმული დამუშავების შემდეგ . . .	88
VI თავი. ლითონის ხარისხის კონტროლის სტრუქტურული მეთოდები . . .	90
1. მაკროსკოპული და ფრაქტოგრაფიული ანალიზი	90

2.	შლიფის მაკროანალიზი	95
3.	მიკროსკოპული ანალიზი	99
4.	მიკროსტრუქტურის გამომჟღავნების მეთოდები	118
VII თავი.	ლითონის მექანიკური თვისებების კონტროლის მეთოდები	125
1.	დრეკადი და პლასტიკური დეფორმაცია	125
2.	ლითონის მექანიკური თვისებების კონტროლი	127
3.	სისალის კონტროლი	136
VIII თავი.	ლითონის ხარისხის კონტროლის ფიზიკური მეთოდები	152
1.	რენტგენული დეფექტოსკოპია	152
2.	გამა-დეფექტოსკოპია	153
3.	მაგნიტური დეფექტოსკოპია	153
4.	გრიგალური დენის მეთოდი	154
5.	ლუმინესცენტული მეთოდი	155
6.	შეფერადების (საღებავების) მეთოდი	156
7.	ულტრაბგერითი მეთოდი	156
	ლიტერატურა	159

რედაქტორი ლ. კვინიკაძე

გადაეცა წარმოებას 05.03.2018. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.05.2018. ქაღალდის ზომა
60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 10.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent